სპირიდონ ვანგელი

ჩუკოს და ფუფუკის ამბები

„ნაკადული“ თბილისი 1988

ჩუბო და გუგუცი მოლდავიელი ბიჭები არიან. მოლ-
დაველია არც ისე დიდია. მაგრამ ჩუბო და გუგუცე
ერთმანეთს მაინც არ იცნობენ. ისინი სხვადასხვა სო-
ფელში ცხოვრობენ.

ჩუბო ბალტარაა, ერთ[illegible] ცხრა. გუგუცი უფრო დი-
დ[illegible]

ისინი კიდეც ჰგვანან ერთმანეთს და კიდეც არა. ჰგვანან იმით, რომ საქმიანები არიან, უქმად დროს არ კარგავენ, ყოველთვის დედა. მამა, ბებია, ბაბუა, თანასოფლელები, უყვართ ოცნება...

თარგმნა ლილი ბოგოლიუბ

კირგელი—მეიერს გამოცემა

© ქართული თარგმანი, 1988

76801 156
В — 18 — 88
М [illegible]03(08) — 88
ISBN 5 — 525 — 00059 — 8

[illegible]

ჩუბოს ბებიას და ბაბუას ამბავი

იყო ერთი პატარა მოლდაველი ბიჭი, წაღაზე ოდნავ მაღალი, ამიტომ ჩუბოცელი დაარქვეს. ჩუბოცელი მოლდავურად წაღას ჰქვია. ქართულად ბიჭს წაღიტოლა ერქმეოდა, მაგრამ ჩვენ ჩუბო დავუძახოთ, როგორც დედა ეძახდა ხოლმე მოფერებით.

— ჩუბო! ჩუბო! ჩუბოცელ! სადა ხარ?

— ჩუბო! ჩუბო! სად დაიკარგე?

ბიჭი ყოველდღე მართლა სადღაც იკარგებოდა. დედა მხოლოდ საღამოობით, შინ როცა ბრუნდებოდა, მაშინ ხედავდა. დღისით მხოლოდ წაღებმა იცოდნენ, სად დადიოდა ჩუბოცელი.

ერთ დღეს დედამ მთელი დღე ეძება და, იცით, სად იპოვა?! საქათმეში!

— ჩუბო! აქ რას აკეთებ? — ჰკითხა დედამ.

— ვზივარ.

— სად ზიხარ? ღმერთო, გვიშველე და შეგვიწყალე!

— როგორ თუ სად? ქათმის ბუდეში!

— რატომ?

ჩუბომ თვალები მოჭუტა და წამწამსა და წამწამს შუა გამოხედა დედას. საოცარია, ნუთუ დედამ არ იცის, წესიერი კაცი რატომ ზის ქათმის ბუდეში?

— ბუდეს ვათბობ, წიწილა რომ არ გაციოდეს.

— რომელი წიწილა?

— აი, ისა, კვერცხში რომ ზის. ახლა მოვა ქათამი და დადებს კვერცხს...

მართლაც, შემოვიდა საქათმეში დედალი და დადო კვერცხი. წიწილას არც წამოუხველებია. ჩუბოსაც თითქმის არ დაუსველებია, ბევრი-ბევრი ერთხელ ან ორჯერ, ცოტა დააცემინა კიდეც, ცოტა ცხვირშიც მოუჭირა. მოკლედ, დედამ კოტოშები დააყარა. მეორე დღეს კი ჩუბო იმ კოტოშებიანად გაქრა.

საღამოს მოვიდა დიდხელიანი კაცი. კაცს დიდ ხელში უფრო პატარა ხელი ჩაებღუჯა. ეს ჩუბოს ხელი იყო. ოღონდ ახლა ჩუბოს ხელებზე კი არა, ჩუბოს ფეხებზეა ლაპარაკი. ჩუბოს ფეხები ჰქონდა სვეეეეეეეეეელი და სოფლიდან საკმაოდ მოშორებით ეპოვათ.

— სად მიდიოდი, ჩუბო, სად? — ეკითხებოდა დედა.

— მინდოდა მენახა, ზამთარი სად თავდებოდა. შენთვის ენძელები უნდა მომეტანა.

მთელი საღამო ოხრავდა და ტიროდა დედა. როცა ჩუბომ დაიძინა, ქმარს უთხრა:

— აი, ნახავ, დავკარგავთ ჩუბოს... ნამქერში ჩაძვრება... და გაზაფხულზე მხოლოდ მის წაღ... წაღ... წაღებს ვიპოვით,..

— კარგი, ვეყოფა! — მაგიდას მუშტი დაარტყა მამამ.

დაარტყა მუშტი და დაწვა დასაძინებლად. დილით ჩვეულებრივზე ადრე ადგა, ჭიშკარს დიდი ბოქლომი დაადო და დამშვიდებული გულით წავიდა სამუშაოდ.

ჩუბო მოგვიანებით წამოდგა, ბოქლომიც დაინახა და ეზოში დადებული თოვლიც. ეზოში ბევრი თოვლი იყო,

მეტი არაფერი. რაღაცით სასაცილოცაა. უყურებ და ვერაფერს ხედავ — მარტო თოვლია და ბოქლომი, ბოქლომი და თოვლი. თოვლით კი ბოქლომს ვერ გააღებ.

ჩუბოს არც უცდია ბოქლომის ვაღება. ეზოს რომ მაღალი ქვის ვალავანი ჰქონდა შემოვლებული, იმის ძირას თოვლის ბებია დადგა. მერე მსარზე ააცოცდა და ვალავანს გადაეველო.

— ჩუბოცელ! საით! — დაუძახა მეზობელმა.

— თოვლის ბაბუას საძებრად მივდივარ, ბებიამ მთხოვა.

ჩუბო შინ რომ მობრუნდა, ჭიშკარი დაკეტილი დაუხვდა. რა უნდა ექნა?! ვალავანს აქეთ ასლა თოვლის ბაბუა დადგა, ყოჩაღად მოექცა მსარზე და ვალავანს გადაახტა.

— ნუ გეშინია, ბებია, — უთხრა თოვლის ბებიას, — შენი თოვლის ბაბუა ვალავანს იქით დგას.

საღამოს, დედა და მამა რომ [illegible] ბრუნდნენ, ჩუბო უკვე შინ იყო... მამამ ჭიშკრის გასაღები ხელში ააჩხარუნა და თქვა:

— ესეც ასე! მართლა კარგად მოვიფიქრე.

ჰოდა, დასაძინებლად რომ დწვა, გასაღები ბალიშის ქვეშ ამოიდო.

დილით მამა ისევ გაუშურა სამუშაოდ სადურგლოში. პირში ჩიბუხი ედო, ჯიბეში გასაღები. დედა ფერმაში წავიდა, ჩუბო კი ეზოში გამოვარდა.

უცებ ხედავს, თოვლის ბებია თვალით რაღაცას ანიშნებს და თეთრი თითით საკისკენ უხმობს.

— მეონი, ჩემს ბერიკაცს ქუდი არ ხურავს, — უთხრა თოვლის ენაზე, რომელიც ჩუბოს კარგად ესმოდა, — ნახე, გეთაყვა, ღამით ვალავანს იქით ვილაც სიცივით კანკალებდა.

— ოჰო! ის კანკალებდა?! — წამოიძახა ჩუბომ, გაიქცა სახლში და მამის ძველი ქუდი ვამოიტანა.

— ეს შენი ბებრუხანასავან, — უთხრა თოვლის ბაბუას და ბებერ თოვლის თავზე ქუდი ჩამოაფხატა.

ხალამის, სოფლიდან რომ მობრუნდა, თოვლის ბებიას კანფეტით გაუმასპინძლდა.

— მოხუცმა გამომატანა შენთან, ხალამს ვითელის, — უთხრა ჩუბომ და ჩაფიქრდა. იმას ფიქრობდა, სოფელში არც ბებია მყავს და არც ბაბუაო, ეს კი, რა თქმა უნდა, გულსატკენი იყო.

— ყური მივდე, — უთხრა ბიჭმა თოვლის ბებიას, — გინდა, ჩემი ბებია იყო?

— მოკა, ნოკა, ჩუკუ, ბუ, — უპასუხა მოხუცმა, რაც თოვლის ენაზე ნიშნავს: მინდა, რატომაც არა?

— რა კარგია! — გაუხარდა ჩუბოს, — შენ ბებია დალ-ბას[1] დაგიძახებ, ბაბუას კი დალბუს.

მაშინდლიდან მოყოლებული დღე ისე არ გაივლიდა, ბებია დალბას თავისი მოხუცისათვის რაიმე არ გაეგზავნა: ხან ხელთათმანი, ხან ჯორხი, ქუჩაში ხომ ცივა და ავი ძაღ-ლებიც დადიან.

— რას აკეთებს იქ ის ბერიქალი? — ეკითხებოდა ხოლ-მე ბაბუა დალბუ ჩუბოს, — თორემ მე — ბული, ტული, ცო-კა, ბოკ!

— აჰა, გავიგე, — პასუხობდა ჩუბო. — აუცილებლად ვეტყვი — და ეუბნებოდა კიდეც:

— მოხუცმა შემოგითვალა, ცაზე მთვარე ავანთე, რომ ღამით არ მოგწყინდესო.

ერთხელ დედამ დაინახა, რომ თოვლის ბებიას იმისი შალი ეხვია, ამამ კიდევ თავისი დაკარგული ჩიბუხი თოვლის ბაბუას უპოვა პირში გაჩრილი.

— ამას არა უშავს, მთავარია, რომ შინიდან არ გადის, — ამბობდა მამა. — ჭიშკარზე ბოქლომის დადება კარგი რამეა, უებარი საშუალებაა!

თოვლის ბებია და ბაბუა, რა თქმა უნდა, შველოდნენ

---

[1] „დალბა" მოლდავური სიტყვაა, ქართულად თეთრი, ქათქათა იქ-ნება, ამასვე ნიშნავს „დალბუც".

ჩუბოს ეზოდან გადასვლა-გადმოსვლაში და თევზივით პირში წყალი ჰქონდათ ჩაგუბებული.

ერთხელაც მეზობლის ქალი მივარდა ფანჯარაში. ამ დროს ჩუბოს დედა ძროხას წველიდა:

— შეეშვი წველას.

— რა მოხდა?

— ჩუბოს ციგაში ბებერი ძაღლი ფარაონი შეუბამს, მდინარის იქითა ნაპირზე გადასულა და პირდაპირ მამლის მთისკენ გაუწევია.

— რაღა ვქნა! იქ ხომ სამი ჭაა!

— თანაც ციგისთვის პროპელერი მიუმაგრებია და პირდაპირ მთას მისდგომია! მთა კი უშველებელია! რა საშინელებაა! — ქაქანებდა მეზობელი.

დედა მამასთან მივარდა სადურგლოში:

— რა ვქნათ?!

მამა გარეთ გამოვარდა. ამ დროს გზაზე ფქვილით სავსე ტომრებით დატვირთული მარხილი მოდიოდა.

— ნწ! ნწ! — წამში შეაჩერა მამამ ცხენი, გამოხსნა, ზედ მოახტა და მამლის მთისაკენ გააჭენა.

ტომრების პატრონმა პირი დააღო, მაგრამ აბა რამდენ ხანს იქნებოდა პირღია? ჩამოხტა, თვითონ შეება მარხილს და გზაზე გაასრიალა. ჩუბოს დედა მარხილს უკნიდან აწვებოდა და აწვებოდა, თან ცას შესცქეროდა, ჩემი ჩუბო ხომ არა ჩანს სადმეო. თუ პროპელერიანი ციგა აქვს, შეიძლება სოფელს თავზეც გადმოუფრინოსო.

ბებია დალბა კი ბაბუას ეკითხებოდა:

— ნიკი, მიკი? (ჩვენი შვილიშვილი არა ჩანს?)

ისიც უნდა ითქვას, ბებიამ დილითვე შეამჩნია, ჩუბოს პროპელერიანი ციგა რომ ჰქონდა.

— მართლაც არსად გაფრინდესო, — გაიფიქრა და ციგას ძაფი გამოაბა. ძაფი მისი კოფთიდან იყო გამორღვეული და სანამ ჩუბო მამლის მთისკენ მიქროდა, კოფთა ნელ-ნელა ირღვეოდა და ახლა ნახევარი სახელოღა იყო დარჩენილი.

— ძაფს ჩაეჭიდე! — დაუყვირა ბებიამ ბაბუას. — ორივენი როგორმე შეკავერებთ!

დედამ გზასვეე გაიგონა: „მუკი, მური, რიკი, მი!" მაგრამ ვერაფერი გაიგო. ხახლთან რომ მივიდა, დაინახა, თოვლის ბაბუაც და ბებიაც რაღაც თოკს ჩახეთქებოდნენ და ძთელი ძალით თავისკენ ეწეოდნენ.

დედამ ხელი მოავლო ძაფს და იგრძნო: ვიღაცა ხის იმ ბოლოშია. ეგენ ჩუბია? ნეტა ძაფი არ გაწყდეს!

გამოსწიეს ძაფი, გამოსწიეს და პატარა წალა შერჩათ ხელში.

— ჩუბო! საწყალი ჩუბო! სადაა ჩუბო?

მოირბინა ორმა მეზობელმა. წალა რომ დაინახეს, ავიშვიშდნენ:

— საწყალი! სადირმა დაგლიჯა! ძაღლებმა შეჭამეს!

ასე ტირიდნენ, მოთქვამდნენ და კოცნიდნენ წალას, სანამ მამა არ მოვიდა. ძაძას ხელში ჰყავდა ჩუბო აყვანილი, მისი ცალი ფეხი კი უბეში ედო.

გვიან საღამოს ძათ კვალს ციგაში შებმული ბებერი ძაღლი ფარაონიც მოჰყვა. ხომ მიხვდით, რაც მოხდა, ხიჩქარეში დალბა ბებიას ძაფი თურმე ციგისთვის კი არა, ჩუბოს წალისთვის გამოუბამს.

— წალას რამე უნდა წავაწეროთ, — თქვა მამამ.

— რა წავაწეროთ? — იკითხეს აქეთ-იქიდან.

— რა და, რომ ეს ბიჭი ტურტურიკელი ჩუბია. შორს რომ წავიდეს, მაინც ვიპოვით, მადლობა ღმერთს, დღეს ხალხმა წერა-კითხვა კარგად იცის.

მეორე დღეს დალბა ბებიამ ჩუბის პატრონი, წალაზე რა გაწერიაო.

— ჩუ-ბო! — მარცვალ-მარცვალ ამოიკითხა ჭკვიანმა ბებერმა ძაღლმა ფარაონმა. — ტურ-ტუ-რი-კე-ლი[1] ჩუ-ბო!

— გესმის, ბაბუა! — დაუძახა დალბა ბებიამ ფალიტუ ბაბუას, — ძეც და შენც ამ სოფლიდან ვართ. ეს ია-მარიანე კი ხარ გამოძმდგარი, მაგრამ არ იოქერი, მაწანწალა ვართ.

---

[1] „ტურტურიკა" მოლდავურად გარეული მტრედია ჰქვია. ლამაზი სახელია. გარეულ მტრედს ქართულადაც ლამაზი სახელი ჰქვია — ვაკანსია.

ᲬᲘᲜᲐᲥᲕᲘᲚᲘᲡ ᲙᲐᲪᲘ

მეორე დღეს შეშინებულმა მამამ ფარაონი თაკისთან, სადურგლოში წაიყვანა, ჩუბომ ისევ ციგაში არ შეაბასო.

— ეზოს ვიღა უდარაჯებს? — ჩაფიქრდა ჩუბო და ქუდი კეფაზე მოიგდო. ადგა და თვითონ შეძვრა საძაღლეში. გავიდა ასე ათი წუთი, გაიღო ჭიშკარი და ეზოში, გუშინ ფერმაში რომ მიირბინა, ის მეზობელი შემოვიდა.

უცებ საძაღლიდან ბანჯგვლიანი თავი გამოჩნდა და გაოფთრებული აყეფდა.

— ჩუბო! რა იყო, რა დაგემართა?! შეხედე, კვერი გამოგიცხვე, ქოშმიშისთვალებიანი მტრედი.

„ძაღლი“ ღრენით გამოვიდა საძაღლიდან და ეცა მეზობელს დაოთხილი.

მხოლოდ მაშინ იქცა ოთხფეხა ღრენია მხეცი ორფეხა არსებად, როცა დედა და მამა, და მათთან ერთად ფარაონიც, შინ მობრუნდნენ. ახლა სომ უკვე ჰყავდა ეზოს დარაჯი.

საღამოს, მაშა რომ წაღებს იხდიდა, ჩუბომ ჰკითხა:

— მამა,შენ ღონიერი ხარ?

— კი, ვარ, — უპასუხა მამამ.

— როცა გძინავს, გჭირდება ღონე?

— არა, არ მჭირდება, — კეფა მოიქექა მამამ.

— მაშ მათხოვე ხვალამდე.

— რა გათხოვო? — ვერ მიხვდა მამა.

— ღონე.

— კი ბატონო, ინებე, — გულღიად შესთავაზა მამამ.

— მაშინ ჩემს საბავშვო საწოლში ჩაწექი, — უთხრა ჩუბომ, — ახლა შენ ბავშვი ხარ, მე კი, პირიქით, დიდი.

— ჰო, მაგრამ ვერ ჩავეტევი.

— არა უშავს, რამენაირად ჩაწექი.

მამას ჩაეცინა, მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო, რაც საბავშვო საწოლში იწვა, მაგრამ, რადგან დაჰპირდა, შვილს კამათი აღარ დაუწყო, ოთხად მოიკეცა და საბავშვო საწოლში ჩაწვა.

— ნანი-ნანი-ნანინა! დაიძინე პაწია! — დაარწია ჩუბომ.

მამა ჯერ იცინოდა, მერე უცებ დაამთქნარა და მშვიდად ჩაეძინა.

დედამ რომ მამა აკვანში დაინახა, შეეშინდა:

— ღმერთო ჩემო! რად ჩაწექი ბავშვის საწოლში? საფენები ხომ არ დაგიგო? ღმერთო, რა ხდება ამ სახლში!

მამამ თვალები გაახილა, ხოლო აკვნიდან' წამოდგომა ველარ შეძლო. ტანად დიდი იყო, მაგრამ ძალა აღარ ჰქონდა, ბავშვივით უღონო შეიქნა. ძლივძლივობით გაშალა ცალი ფეხი.

— რაღაც დავიღალე, — თქვა და უფრო ღრმად დაიძინა.

დედამ ჯერ ივიშვიშა და ივაგლახა, მერე თვითონაც ღაწვა დასაძინებლად. ჩუბო დაელოდა, როდის ჩაეძინებოდა, შემდეგ კი ჩუმად გამოვიდა წინკარში, სადაც ხორბლით სავსე ტომრები ელაგა. ასწია ერთი ტომარა. ბიჭოს! ღონე მართლაც მოსვლია, ასწია მეორე, არც ის გასჭირვებია! — აიტანა ტომრები სხვენზე. მერე ეზოში ჩავიდა.

— იკა, ჩიკა? — მოისმა სიბნელიდან. — რატომ არა გძინავს?

დალბა ბებიამ მაშინვე შენიშნა შვილიშვილი.

ჩუბომ ამასობაში ფარდულიდან ძალაყინი გამოიტანა და დაჭრა ქვის გალავანს. ბუჰ! მანამ ურტყა, სანამ გალავანი ფანჯარასავით ოთხკუთხედად არ გამოჭრა. ფანჯრიდან მაშინვე დალბუ ბაბუას თავი გამოჩნდა.

— საღამო მშვიდობისა! — თქვა ბაბუამ და ქუდი მოიხადა. — საღამო მშვიდობისა, დალბა ბებია!

— ოჰ, რა კარგია, ფანჯარა რომ გვაქვს! — გაიხარა დალბა ბებიამ. — ყოჩაღ, ჩუბო! ახლა ვხედავ ბაბუას!

— თუ ფანჯარა გაქვს, გინდაც სახლი გქონია, — ფიქრიანად თქვა ბერიკაცმა. — მართალია, ჩვენი სახლი ერთკედლიანი და ერთფანჯრიანია, მაგრამ ეს არაფერია! გული იმაზე მწყდება, რომ სტუმარს ვერ დავსვამთ. ერთი სკამიც არ გაგვაჩნია.

— მოვიფიქრებთ რამეს, — თქვა ჩუბომ და იმ ქვისგან, გალავნიდან რომ ძალაყინით ამოტეხა, ქვის სკამი გააკეთა.

— სტუმარი მინდა მეწვიოს! — თქვა უცებ დალბა ბებიამ. — ძალიან მინდა!

— საიდან მოვიყვანო? — თქვა ჩუბომ. — ყველას სძინავს.

— წისქვილის კაცსაც სძინავს?

ჩუბომ თავისდა უნებურად პირი დააღო.

წისქვილის კაცის არსებობა ჩუბოსაც ჰქონდა ვაგონილი. ამბობდნენ, მდინარე რეუტის მეორე ნაპირზე, ძველ წისქვილში უდევს ბინაო.

— წადი, ჩუბო, თოვლის ცხენი წაიყვანე და წადი, — სთხოვა ბაბუამ.

ჩუბომ სწრაფად გამოძერწა ლამაზფაფრიანი, ყინულისფლოქვებიანი თოვლის ცხენი შეაბა მარხილში და ისე გააჭენა, ყინულის ფლოქვებს სულ ჭახაჭუხი გაუდიოდა.

— ნწ! ნწ! — ზედ წისქვილის ზღურბლთან შეაჩერა ჩუბომ მარხილი. წისქვილის კარის ღრეჩოში სინათლე გამოკრთოდა, უცნაური ციმციმა სინათლე. ნეტა ქურდები ხომ არ არიან, ანდა ყაჩაღებიო, გაიფიქრა ჩუბომ, მიაყურა და გაიგონა სიმღერა:

პაპა მყავდა შეწისქვილე,
ფქვილით იპკინტაედა წვერებს,
მამაჩემიც, უფროსი ძმაც
სულ ფქვილში ურეკენ ხელებს.
მეც აკენიდან წისქვილში ვარ,
ხორბალსა ვფქვავ ნელა-ნელა,
ცეკვავს, დახტის დოლაბურა:
— ტაში, ტაში სარეკელა.
ვაკაკეთოთ ცომის გუნდა,
შოთი პური ყველას უნდა.

ჩუბომ ერთი ამოიოსრა, თავი გაიმაგრა და კაკ! კაკ! კაკ! — დააკაკუნა კარზე.

— კეთილო კაცო, წისქვილში რა მოიტანე? — მოისმა ხმა. — წისქვილი არ მუშაობს! გაისად ჩამოდი! ოჰო! რა ლამაზი ცხენია!

წისქვილის კაცმა კარი გამოაღო. თბილი ტყავკაბა ეცვა, ხედ გრძელი ჭაღარა წვერი ეყინა, მაგრამ პატარა იყო, ისე პატარა, ჩუბოს წაღის ტოლა. ხელში სანთელი ეჭირა წვერისაგან მოშორებით, ცეცხლის ალი რომ არ მოსდებოდა.

ჩუბომ გაოცებისაგან თვალები ააფახულა, ხომ არ მეჩვენებაო? მართალია, სოფელში წისქვილის კაცზე ხშირად ლაპარაკობდნენ, მაგრამ ნახვით ბევრს არ უნახავს. წისქვილის კაცი ყველას კი არ ენახვება.

— შენ იყავი, რომ მღეროდი?

— ჩვენ ვიყავით, — დაუქნია თავი წისქვილის კაცმა.

— ჰოო, ორნი ხართ?

— მე ვმღერი და შევე ვისმენ, ესე იგი, ორნი ვართ. ოღონდ წვერი ორივეს ერთი გვაქვს.

— დიდი ხანია აქ ცხოვრობ?

წისქვილის კაცმა თავისკენ მიიხმო და ჩუბომ ზღურბლს გადააბიჯა.

კაცმა კედელთან მიიყვანა. კედელზე სამი ფ
ეკიდა: ორი ყვითელი, ერთი მწვანე.

— აა, — მიხვდა ჩუბო. — მაშ, ორი შემოლვრომა
ზაფხულია, რაც აქ ცხოვრობ!

— დიახ! — დაუქნია წვერი წისქვილის კაცმა, სვლაში
ჩაქუჩი აიღო და ხან სად აკაკუნებდა, ხან სად, თანაც
ისევ ძღეროდა:

ჩაქუს, ჩაქუს, ჩაქუნი,
ჩაქუს, ჩაქუ, ლურსბახო,
არ მაჭიმოთ სარცხვილი,
გავაძაგრეთ წისქვილი!
ჩაქ, ჩააქ!
საქმე არ შეუერხლება,
უქვილიც ბევრი გვექნება,
ჩაქუჩ-ლურსმან-თამაშში
მადა მოდის ჭამაში'
ჩაქ, ჩააქ!

— მე ჩემ საქმეზე მოვედი, — უთხრა ჩუბომ. — ჩემი ბე-
ბია და ბაბუა ახალმოსახლეობას დღესასწაულობენ და
სტუმრად გეპატიჟებიან.

— არა მცალია, — უთხრა წისქვილის კაცმა. — ოჰ, რა
ცხენი გყავს! ასეთი ცხენით ვასეირნებას რა სჯობს! კარ-
გი, წავიდეთ! ოღონდ, იცოდე, ცხენზე მე უნდა შევჯდე!

— ეგრე იყოს! — დაეთანხმა ჩუბო. წისქვილის კაცი
თოვლის ცხენს მოახტა, ჩუბი მარხილში ჩაჯდა და მხი-
არულად გაქროლდნენ.

— მოიხედე, — უთხრა წისქვილის კაცმა. — ჩემს სი-
ცოცხლეში არ ყოფილვარ სტუმრად, თუ იცი, რა უნდა
ვაკეთო?

— თვითონ ნახავ.

ბაბუა დალბუმ შორიდანვე მოჰკრა თვალი ჩუბოსა და
წისქვილის კაცს და ორივეს მარშით შეეგება: — ბუმ! ბუმ!
ბუმ!

— მობრძანდით, მობრძანდით, დიდებულო სტუმრებო! — თავს უკრავდა დალბა ბებია.

წისქვილის კაცი ცხენიდან ჩამოხტა, ჩუბომ მაშინვე ფანჯრის რაფაზე შემოსვა, სასტუმრო სკამზე კი თვითონ დაჯდა.

დალბუ ბაბუამ თეთრ ულვაშებზე გადაისვა ხელი.

— ჩვენ ხომ ნათესავები ვართ! — უთხრა წისქვილის კაცს. — როცა ჩვენ, თოვლის კაცები, და, თქვენ, წისქვილის კაცები, თეთრები ვართ, მაშინ კვერებიც თეთრი ცხვება.

— მართალი ბრძანებაა, — თქვა წისქვილის კაცმა. — თუ ზამთარში ღიდთოვლობაა, მაშინ ჭირნახულიც ბევრი მოდის.

ბაბუა დალბუს უნდოდა ეთქვა, მაღლა, ცაში, მეცა მაქვს თოვლის წისქვილიო, მაგრამ ბებიამ შეაწყვეტინა.

— მიირთვით, გთხოვთ! მიირთვით, ძვირფასო სტუმრებო! — თქვა და ფანჯრიდან თეფში გადააწოდა. თეფშზე ის კანფეტი იდო, ჩუბომ რომ აჩუქა.

— როცა წისქვილი დადგება, როგორ აამუშავებ ხოლმე? — ჰკითხა ბაბუა დალბუმ წისქვილის კაცს.

— ჩაქუჩით ვაკაკუნებ.

— ესე იგი, ხელოსანი ხარ, არა?

— მააშ.

— არ შეგიძლია მთვარე აქ გააჩერო, ჩვენს თავზე, თორემ სიბნელეში ზოგჯერ მგონია, ჩემი ბერიქალი გვერდით არა მყავს-მეთქი.

— შეიძლება, ბაბუ, ოღონდ ჯერ წისქვილი უნდა მოვათავო, მერე მთვარემდეც მივაღწევ.

წისქვილის კაცი დიდხანს ჭამდა კანფეტს. მისთვის ის იმხელაკე იყო, რამხელაც ჩვენთვის საზამთროა. როცა შეჭამა, თეფში უბეში ჩაიდო. მოკლედ, ძალიან მოეწონა სტუმრად ყოფნა.

— მე ისევ მალე მოვალ, — თქვა ბოლოს.

როცა ჩუბომ მამა საბავშვო საწოლიდან ამოიყვანა და თავის საწოლში გადააწვინა, სოფელში უკვე მამლები ყიოდნენ.

უკუ

დილაადრიან ეზოში გაისმა ყვირილი:

— ტუკუ, მუკუ, ბარაბუკუ! (გვიშველეთ!)

რა თქმა უნდა, დალბა ბებია და მისი ბერიკაცი ყვიროდნენ. საქმე ისაა, რომ მამამ გაიღვიძა, გამონგრეული გალავანი ნახა და მაშინვე ამოშენებას შეუდგა.

თოვლის ადამიანების ყვირილმა გააღვიძა ჩუბო. ნახევრად მძინარე წამოხტა ლოგინიდან, გავარდა ქუჩაში, მიირბინა გალავანთან და, ღამით რომ გააკეთა, იმ ფანჯარაში შეძვრა.

— ჩამოდი, ჩუბო! — დაუყვირა მამამ. — ვილაცას გამოუნგრევია და უნდა ამოვაშენო.

ჩუბო არც განძრეულა.

— რას შვრები, მეი? — დაუყვირა ზღურბლიდან დედამ. — კედელში გინდა ბავშვი ჩაატანო?

— ფუი! — ვადააფურთხა გაბრაზებულმა მამამ, ხელი ჩაიქნია და თავის სადურგლოში წავიდა.

ჩუბო მაშინ კი ჩამოვიდა ფანჯრის რაფიდან და ისევ დასაძინებლად წავიდა.

ასე გადაურჩა ბებიას და ბაბუას ფანჯარა ამოშენებას.

გახარებული ბებია თვალს არ აცილებდა თოვლის ბაბუას. თოვლის ბაბუამ ერთი ჩაახველა, მერე ჩიბუხი აძიძილო და თავის თოვლის პალტოს კალთებზე დააწერა:

ტინგა, რინგა
ტი-ტი-რი... და ა. შ.

ჩვენს ენაზე ასე იკითხებოდა:

მე და ჩემი დედაბერი
სხვას არას გთხოვთ ბევრსა,
ხელისგულზე მოვიწვავთ
თუნდაც ერბო-კვერცხსა!

ოღონდ ნუ გაგვიმეტებთ,
ოღონდ ნუ გვემტერებით,
ოღონდ ნუ დაგვაშორებთ
ქვის გულცივი კედელით!

როგორც ხედავთ, ეს იყო ლექსი. დალბუ ბაბუას მკერდში პოეტის თოვლის გული სცემდა.

ბებიას ლექსი ძალიან მოეწონა. კითხულობდა წამლერებით, თვალმილულული და, ალბათ, დიდხანს იკითხავდა, ერთიმეორის მიყოლებით რომ არ მოსულიყვნენ სტუმრები.

პირველი ჭკვიანი და გონიერი ძაღლი ფარაონი მოვიდა. რაღაც ჩაიდუდღუნა, მიესალმა, ლექსი წაიკითხა. მერე შაშვები მოფრინდნენ. ცხვარი რომ ცხვარია, სამჯერ გამოვიდა ფარეხიდან, ესტუმრებოდათ, გაიხედავდა ფანჯარაში და წავიდოდა. თქმით კი სიტყვაც არ უთქვამს, ბენტერაა და იმიტომ.

— სტუმრები კარგია, მაგრამ ჩვენ თვითონ უნდა გავმრავლდეთ, — ბრძანა დალბუ ბაბუამ.

— ეს როგორ? — ვერ მიუხვდა ბებია.

— როგორ და ჩვეულებრივად. თოვლის ბაბუნა მინდა მყავდეს!

დალბუ ბაბუამ თავისი დაიჩემა, ბებიას სხვა რა გზა ჰქონდა, ადგა და გაასინა პატარა თოვლის ბაბუნა.

ხომ წარმოგიდგენიათ, რა ამბავი ატყდებოდა მათ ერთფანჯრიან სახლში! იყო ზეიმი, აღტაცება!

ბაბუა ფანჯრიდან ვერ ხედავდა ვაჟიშვილს და მიელ ქუჩაზე გაჰყვიროდა:

— უფრო მაღლა ასწიე! წესიერად შემასვდე!

ბებია მაღლა-მაღლა სწევდა შვილს, ბაბუა იცინოდა და თან ეუბნებოდა:

— იმხელა გაიზარდე, ჭერსა სწვდებოდე! აი, ვინ დაიცავს ჩვენს სახლს!

ასე ხარობდნენ და მსიარულობდნენ. ბიჭს უკუ დაარქვეს. უკუ კარგი ბიჭი დადგა. რაც მთავარია, სიარული შეძლო. ბაკ, ბუკ, — გამობაკუნდა ეზოდან და მამასთან მივიდა. კოცნეს და კოცნეს ერთმანეთი, ეფერნენ და ეფერნენ.

ჩუბომ რომ გამოიღვიძა, უკუ უკვე ხლურბლთან ელოდებოდა.

— გამარჯობა! — დაუძახა ჩუბომ. — მოდი, დავეტოლოთ, ვინ უფრო მაღალია!

მართლაც დაეტოლნენ ერთმანეთს. ჩუბო უფრო მაღალი აღმოჩნდა, მაგრამ მისი პერანგი უკუს მაინც ძიერგებოდა. ცოტა დიდი კი იქნებოდა, მაგრამ რას იზამ, აბა დედიშობილა ხომ ვერ ივლიდა. მისცა ჩუბომ პერანგი, შარვალზე კი ჯერჯერობით არაფერი გაძღვიდა. ჩუბოს თვითონაც ერთადერთი შარვალი ჰქონდა. ან თვითონ უნდა სცმოდა, ან უკუს.

თანაც, სხვათა შორის, უკუ თვალსა და ხელს შუა იზრდებოდა. სანამ ჩუბო თავის აელადიდებას — ძროხას,

ცხვრებს, ქათმებს, ფარაონსა და ვაშლის ხეზე შემოსხდარ ბელურებს უჩვენებდა, უკუ იზრდებოდა და იზრდებოდა.

მალე ჩუბომ და უკუმ დახუჭობანას თამაში გამართეს. უკუ სასაცილო ბიჭია, რომ იხუჭებოდა, ხელებს თვალებზე იფარებდა და ყვიროდა:

— უკვე! უკვე! დავიმალე!

რა თქმა უნდა, ყველანი იცინოდნენ, პირდაპირ სიცილით იხოცებოდნენ!

— უყურეთ, ბიჭი დაიმალა! ახალშობილიც ამას ჰქვია.

შარვლის ამბავი კი ისევ ისე მოსაგვარებელი რჩებოდა. წესიერ ადამიანს კი, თუნდაც თოვლისა იყოს, უშარვლოდ ტანტალი არ ეკადრება. მაგრამ შარვალი, როგორც იცით, არ ჰქონდა, ამიტომ ჩუბომ ბებია დალბას მსხვილი ძაფი გამოართვა და ფეხებზე მჭიდროდ შემოახვია. მშვენიერი შარვალი გამოვიდა, ტანზე რეიტუზივით შემოწკეპილი.

ის დღე, უკუ რომ დაიბადა, გამორჩეული იყო.

იმ დღეს რომ ვინმეს ყური მიედო ტელეგრაფის ბოძისთვის, მაშინვე ზანზალაკების წკარუნს გაიგონებდა ეს სოფელს მოახლოებული ახალი წელი წკარუნებდა.

ჩუბომაც აიღო ნაძვის ტოტი და ფანჯარასთან თოვლში ჩაარჭო. ზედ კი სიმინდის ტაროები, ხორბლის თავთავები და რეჰანის გამხმარი ღეროები დაჰკიდა. ლამაზად ჯამოუვიდა. თანაც დალბუ ბაბუას სახლში სასიამოვნო სურნელება დატრიალდა.

— საღამოვდება, დალბუ ბაბუა, შეიძლება უკვე მოგილოცოთ? — ჰკითხა ჩუბომ.

— მოხუცო! — გასძახა გახარებულმა ბაბუამ ბებიას. — ბავშვები გვეწვიენენ მოსალოცად!

ჩუბომაც ჩამოჰკრა ფანჯარასთან ზანზალაკებს და დაიწყო სიმღერა:

თოვლის გუთანს გავაკეთებ,
შიგ შევაბამ წყვილად ცხენსა,

თოვლში ვხნავ და თოვლში ეოესავ,
თოვლი მომცემს მოსალხენსა.
აწუ, აჩუ, ფიფქა ცხენო,
მითხარ, საით გაგაჭენო?!
დავამწიფებ თოვლის ყანას,
გავილესავ ყინვით კბილებს,
დავაცხობ და დაგირიგებთ
თოვლის ფაფუკ ორცხობილებს.
აჩუ, აჩუ, ფიფქა, ცხენო,
მითხარ, საით, გაგაჭენო?!
— ჩემს პატრონთან მინდა დღესა,
მივულოცავ ახალ წელსა!
— ჰეი, ჰეი, ბედნიერსა,
მოგილოცავთ ახალ წელსა!

— დიდად გმადლობთ! — ამბობდა დალბუ ბაბუა, — მადლობა ურეტურესათვის.[1]

ბებიამ ჩუბოს და უკუს თხილი მისცა, ბაბუამ ორ-ორი თუ სამ-სამი კაპიკიც დაუმატა.

ჩუბომ და უკუმ მთელ სოფელს ჩამოუარეს ურეტურეს სიმღერით.

ჩუბო მღეროდა, უკუ ეშველებოდა, შიგადაშიგ წამოიძახებდა ხოლმე:

— ჰეი, ჰეი-ი-ი!

ეს იყო სულ, რაც მოლდავურად იცოდა, სამაგიეროდ ოსტატურად აწკარუნებდა ზანზალაკებს.

— რამდენი ხართ? — ეკითხებოდნენ ფანჯრიდან დიასახლისები.

— ორნი, — ეუბნებოდა ჩუბო. — მე და ბაბუა დალბუს ვაჟიშვილი.

---

[1] „ურეტურეს“ მოლდავეთში ეძახიან საახალწლო მისალოცლექსებს. ახალი წლის წინა საღამოს ყმაწვილები კარდაკარ დადიან, მიადგებიან ფანჯარას და კითხულობენ ლექსებს, ულოცავენ სახლის პატრონებს და, რა თქმა უნდა, საჩუქრებსაც იღებენ.

ქალებსაც ორივესთვის გამოჰქონდათ ძღვენი.

— მოდი, ხვალაც წავიდეთ ურეტურეს სამლერლად, ჰეი! — ამბობდა უკუ. — ზეგაც, ჰეი! და საერთოდ ყოველ სალამოს, ჰეი!

— რას ამბობ, უკუ, — იცინოდა ჩუბი. — ურეტურეს მხოლოდ ერთ სალამოს მღერიან, ახალი წლის წინა სალამოს. ჰეი! ჰეი! ჰეი-ი-ი!



რატომ აამუშავეს ფისქვილი

ერთ საღამოს ჩუბომ ისევ სთხოვა მამას, ჩემს საწოლში ჩაწექით. მამამ გაგონებაც არ ისურვა.

— ვამოსწორეულ ვალავანში მგელი რომ გადმოძვრეს? — უთხრა ჩუბოს.

— მაშ, მე ჩავწვები! ე-ე-ე! ვინ იცის, რა ხანია, არავის დავურწმუნივარ, — თქვა დედამ და გაჭირვებით ჩაეკვეხა ჩუბოს საწოლში.

ჩუბომ კი უმღერა:

— ნანა-ნანა-ნანინა, ნანინა, ჰაწაწინა!

დედამ მალე დაიძინა. დაესიზმრა, ვითომ მწვანე მინდოროში დარბოდა და პეპლებს იჭერდა.

მამამ იარა ოთახებში, იბურტყუნა, ახვნეშა, მერე აძვრა სხვისზე, ხარახურაში ძველი აკვანი მოძებნა და შიგ ჩაწვა. მალე დედასთან ერთად ისიც მწვანე მინდორში დარბოდა და იმავე პეპელას იჭერდა. რაც დედას და მამას ღონე ჰქონდათ, იმ საღამოს ჩუბოს მიეცა.

გარეთ ქთუარე ასაოებდა. ქთუაროის სხიეებით განა-

თებული ბებია და ბაბუა ფანჯარასთან იდგნენ და ერთმანეთს შესცქეროდნენ.

ჩუბომ ჩუმად, ისე ჩუმად, რომ ბებიას არ გაეგონა, ბაბუას უთხრა:

— მე წისქვილში მივდივარ, შენ ეზოს უდარაჯე. თუ მგელი მოვა, ხმამაღლა დაითვალე სამამდე გერმანულად: „აინ“, „ცვაი“, „დრაი“! — შეეშინდება და გაიქცევა, ოღონდ, თუ მგელი ძალიან მშიერი იქნა, საჭმელი აჭამე.

უთხრა ეს და მიწაზე, ბაბუას გვერდით კალათა დადგა, თოვლის ცხენი მარხილში შეაბა და გააქროლა.

ქუჩაში სულიერი არ ჭაჭანებდა, ძაღლებსაც ხმა გაეკმინდათ.

ბარტო ბორს, მდინარის გადაღმა, წკმუოდა მელია.

— ჩუბომ წისქვილის კარი შეაღო.

— ეჰეი, ძია, სადა ხარ?

— ჩუუ! — თითქოს ჭიდან მოისმა ხმა.

ჩუბომ მიიხედ-მოიხედა, ხედავს, წისქვილის იატაკს ქვემოთ პატარა გუბურა კამკამებს. წისქვილის კაცი ნავში ‘ხის და თევზს იჭერს.

წისქვილის კაცმა ჩუბო რომ დაინახა, პატარა კიბით ზემოთ ამოვიდა.

— ვესმის, მელია წკმუის? — უთხრა ბიჭს. — ის ჩემი მელიაა, შია და წკმუის. როცა შია, თევზს ვაჭმევ ხოლმე.

მას შემდეგ, რაც რეუტი ყინულით დაიფარა, ჩუბოს თევზი პირში არ ჩასვლია, მაგრამ წისქვილის კაცი ვერ ხედებოდა, ტაფა ცეცხლზე შემოედგა. ის კი არა, ჩაქუჩს დასწვდა და წისქვილის შეკეთებას შეუდგა, თან ამბობდა:

— წყლის წისქვილზე უკეთესი ქვეყანაზე არაფერია. სულ მდინარეზე უნდა იცხოვრო! ვზივარ ერთხელ ნავში. უცებ ეს წისქვილი დავინახე. ვიფიქრე, მოდი, შევაკეთებმეთქი!

— წისქვილს როდის ავამუშავებთ? — ჰკითხა ჩუბომ. — შინ ფქვილი გამოგველია!

წისქვილის კაცმა კიდევ სამჯერ დაჰკრა ჩაქუჩი:

— მზადაა, უკვე შეიძლება ხორბლის დაფქვა.

მერე ხელში სანოელი აიღო და ქვევით, წისქვილის ბორბალთან ჩავიდა.

— ეეჰ, — ხელი ჩაიქნია წისქვილის კაცმა. — წყალი ხომ გაყინულია. ბორბალი რომ დაბრუნდეს, წყალი უნდა მოდიოდეს. ფუი... ვაკეთე, ვაკეთე, ის კი დამავიწყდა, რომ ზამთარია და წყალი გაყინული იქნებოდა.

ჩუბო დაეჯაჯგურა ბორბალს, იქნებ დავატრიალოო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ღონე დიდი ჰქონდა, მამისა და დედისა, მაგრამ მაინც არ ეყო.

ჩუბო შუალამისას მობრუნდა შინ. ბაბუას მისი ფეხის ხმა რომ მოესმა, შორიდანვე მრისხანედ წამოიძახა:

— აინ, ცვაი, დრაი!

მეორე დილას ჩუბომ ადგომაც ვერ მოასწრო, რომ უკუმ მოირბინა ყვირილით:

— უბედურება ვვეწვია, ჩუბო, ადექი!

ჩუბო გამოვარდა სახლიდან, მიირბინა ბებიასთან და ნახა, რომ სახე სულ დაკაწრული ჰქონდა.

— რა მოგიეიდა?

— შ-შ-შ-შ, — წამოიჩურჩულა ბებიამ.

— უბედურება შეგვემთხვა, ჩუბო, — უთხრა პაპამ. — მე ჩამეძინა. მესიზმრა, ვითომ მგელი მოგვისტა! გავახილე თვალი, ვხედავ, ბელურაა. მიაფრინდა ამ ჩემს მოხუცს, მთლად დაკაწრა და ხმაც წაართვა.

— ხმა კი არა, კბილები, — გაეცინა ჩუბოს. — კბილები ხომ ხორბლის მარცვლებისა ჰქონდა. არა უშავს, ახალ კბილებს ჩავუსვამ, ნაკაწრებსაც დავუფარავ, კიდევ კარგი, ისევ წამოთოვა.

ჩუბომ ჩაუსვა ბებიას ახალი კბილები, წინანდელზე ხუთით მეტი. თეთრ ლოყებზეც გაუსწორა ნაკაწრები.

— ისევ რომ მოფრინდეს?

— მაშინ შენ იმას... — უთხრა ჩუბომ და ყურში რაღაც უჩურჩულა.

— კარგი, — ვაიკინა ბებიამ. — ეკრე ეთხამ.

ბელურა, რა თქმა უნდა, მალე მიმბაძავდა. შორიდანვე შეამჩნია ახალი კბილები და ეცა, ბებიამ დაადო პირი და ყლაპ! — ვადაყლაპა ბელურა.

ხელ კი არა ჩაუყლაპავს, პირი დამუწა ისე, რომ ბელურას მხოლოდ კუდი დაურჩა გარეთ.

— ვაიმე, ეს რა უბედურება დამემართა! — იწივლა საწყალმა ბელურამ, — თოვლის ქალმა ნამეკლაპა! რატომ? რისთვის? ვაბიშვი, ბებია! აქ ბნელია და მეშინია!

— კიდევ ახლებ ხელს სხვების კბილებს? — ჰკითხა ბებუამ.

— მეტს აღარ ვიზამ! არა! მაპატიეთ, ვთხოვთ!

შეეცოდა ხელელი ბელურა ბებიას, ვაიღო პირი და გამოუშვა. ბელურამ მაინც მოახერხა, სტაცა ნასკარეტი ერთ კბილს და გაფრინდა.

საღამოს, ნავახშმეკს, მამამ უთხრა დედას:

— ვერა და ჭერ დავიჭირეთ მე და შენ ის ბებელა, ისე კი უნდა დავიჭიროთ.

და ისევ ჩაწვნენ თავ-თავიანთ ნაბავშეო ნაწოლებში, ჩუბო არწეკდა ორიეეს — დედას მარცხენა ხელით, მამას — მარჯვენათი:

— ნანა-ნანა-ნანინა, ნანინა, ბაწაწინა!

რასაკვირველია, მათი ღონე მაშინვე ჩუბოს მიეცა და ისიც ისევ გაიქცა წისქვილში.

გზაზე ვადაწყვიტა, ძია ტოადერისათვის შეევლო. ეს ძია ძალიან ღონიერი კაცი იყო, ნამდვილი ვოლიათი. რაც მთავარია, ძალიან უყვარდა ხაშხაშიანი ღვეზელი.

„აი, ვინ მიშველის წისქვილის ამუშავებაში“, — გაიფიქრა ჩუბომ.

დაკაკუნა და მაშინვე გამოეპასუხა ვოლიათი:

— ოჰო! ჩუბოცველ! შენა ხარ? შემოდი!

ძია ტოადერმა კარი გააღო და ბიჭის ხელში აყვანა დააპირა, მაგრამ ჩუბომ უთხრა:

— მოიცა, ძია ტოადერ. ჯერ მე ვცდი.

და გოლიათს მუხლების ქვემოთ სტაცა ხელი, მერე კი ხემოთ ისე ასწია, რომ ძია ტოადერის ქუდი ლაფაროს წამოედო და იქ დარჩა ჩამოკიდებული.

— უყურე ამას! — თქვა ძია ტოადერმა. — ყოჩაღ შენ! რა ღონიერი ყოფილხარ!

ძია ტოადერი კეთილი კაცი იყო და ჩუბომ იცოდა, შეიძლებოდა, დაეყოლიებინა აკვანში ჩაწოლაზე. გოლიათის ღონე კი წისქვილის ქვის დასაბრუნებლად გამოადგებოდა.

— რას ამბობ, ჩუბო, — უთხრა ძია ტოადერმა. — აკვანში როგორ ჩავეტევი.

— მაშინ ვარცლში ჩაწექი.

— რას ამბობ, ჩუბო! მრცხვენია ვარცლში ჩაწოლა. კარგი, კარგი, შენი ხათრით ჩავწვები.

ძია ტოადერის ცოლმა ქმარი რომ ვარცლში ჩაწოლილი დაინახა, ენა ჩაუვარდა და გახევდა, ორი თერმომეტრი ერთად ჩაიდო იღლიაში, ერთი მარცხენაში, მეორე — მარჯვენაში. (საოცარი ისაა, მარცხენა მხარეს რომ ედო, იმ თერმომეტრში ტემპერატურა 36-სა და 8-ს უჩვენებდა, მეორეში 38-სა და 6-ს).

სანამ ტოადერის ცოლი გაერკვეოდა, რა ხდებოდა, ჩუბო უკვე წისქვილში იყო.

წისქვილის კაცმა აიფარა წინსაფარი, ჩაყარა ხვიმირში მარცვალი, ჩუბომ დაატრიალა ბორბალი და აძუშავდა წისქვილი.

მერე კი აანთეს ყველა სანთელი, რომ ენახათ, როგორი ფქვილი ჩამოიფქვა — თეთრი იყო თუ არა.

— თეთრია! — წამოიძახა წვერიანმა წისქვილის კაცმა. — აი, როგორი თეთრია! გეუბნებოდი თუ არა? ყვითელი ხორბლისაგან თეთრი ფქვილი ჩამოვფქვი! ხედავ?

წისქვილის კაცი გადაკოტრიალ-გადმოკოტრიალდა და მთელი წისქვილი გამოგავა თავისი წვერით.

ცოდან თოვლი მეყრება,
თუ ყვითელი მარცვალი,
ფქვილი თეთრი გამომდის
ადანდალი, დანდალი!..

დილაადრიან ძია ტოადერის ქუდი, რომელიც ისევ ლაფაროში ეკიდა, პირთამდე იყო სავსე თოვლივით თეთრი ფქვილით. ცოტა კი არ გეგონოთ, ქუდში 43 კილოგრამი ჩაეტია.

მფრინავი კალაჩები

იმ დღეს მამა სადურგლოში არ წასულა. ამაყად დასეირნობდა სოფელში.

— მართალია, ნათლი? — ეკითხებოდა მას ხან ერთი, ხან მეორე. მამა პასუხად თავს უქნევდა.

მთელი ტურტურიკა ხარობდა. ანდა როგორ არ გაიხარებდნენ?

ფქვილი თუ გინდა, გამოიტანე ტომრით ხორბალი ქუჩაში, დატოვე ალაყაფის კართან, თვითონ კი ჩაწექი აკვანში. დილით ტომარაში ფქვილი დაგხვდება, თეთრი, ფაფუკი! ისეთი ცომი გამოდის, თითზე ბეჭედივით შემოიხვევ!

ახლა სოფელში როგორი სურნელება იდგა?! ერთ ხლურბლთან ფუნთუშის სურნელება ტრიალებდა, მეორესთან — საკნატუნასი, მესამესთან ღვეზელისა...

ჩუბო ხორბლისთვის სოფელში ჩამორბოდა ხოლმე, წისქვილის კაციც თან დაჰყვებოდა, ძალიან მოსწონდა სოფლის ჰაერი და ეს ნაირ-ნაირი მადის აღმძვრელი სუნი. იჯდა თოვლის ცხენზე და მთელი ხმით მღეროდა:

ცანად ერთი ცოცქნა ვარ,
თალად მშვენიერი,
თოვლის პაპას ბიბამშვილს
დაძარეკს გრძელი წკერი.

ზეცის თავზე წისქვილი
ტრიალებს და ბრუნავს,
ცეროდენა რაინდი
ვეებრძვი ოთელის გუნდას.

ყინვის კაცი ჩაუქა
მჩუქნის ფიფქის ღიმილს,
ამ წელს ბევრი გვექნება
ფანტელიც და ფქვილიც.

წისქვილის კაცი ფქვილისთვის ფულს არ იღებდა, ან რად უნდოდა, როცა დათვლაც არ იცოდა.

მაგრამ სოფელ ტურტურიკაში კეთილი ხალხი ცხოვრობდა. გადაწყვიტეს, წისქვილის კაცისათვის სამაგიერო ვადაეხადათ.

ბორცვის წვერიდან ქვემოთ, წისქვილამდე, გრძელი, მაგარი ძაფი გააბეს. ავიდოდნენ ბორცვზე, ძაფზე კალაჩს წამოაცვამდნენ და თვალის დახამხამებაში ახლად გამომცხვარი და გემრიელი კალაჩი უკვე წისქვილში იყო ჩასრიალებული.

ქვემოთ, წისქვილში, ზანზალაკი აწკარუნდებოდა, წისქვილის კაცისთვის რომ შეეტყობინებინა, კალაჩი მოგიეიდაო.

ფრინველები, ბელურები თუ ყვავები, ლამის ჭკუიდან ირყეოდნენ, ამ მფრინავ კალაჩებს რომ შესცქეროდნენ.

წისქვილი ორშაბათსაც მუშაობდა, სამშაბათსაც, ოთხშაბათსაც, ხუთშაბათს კი ერთმა კაცმა თქვა:

— ერთიც ვნახოთ და ჩუბომ დილით ღონე არ დაგვიბრუნოს, ხომ დავრჩებით ასე აკვნებში მთელ ზამთარს?

— ანდა უცებ ყველას უფროსობა მოინდომოს? — თქვა

მეორეს. — რა საქმეებს ჩაიდენს! ეი, დედაკაცო, მომფხანე ყურის ძირი, ხელის აწევის ღონე არა მაქვს.

იმ დღეს ორი ტომარა ფქვილი დაფქვეს თუ არა, ჩუბოს ძილი მოერია.

მიწვა თუ არა, წისქვილის კაცმა უმღერა: „ნანა-ნანა-ნანინა, ნანინა პაწაწინა...“ და მთელი სოფლის ღონე ახლა მას მიეცა.

ჩუბომ ჩაიძინა. წისქვილის კაცმა სიხარულისაგან ისე ჩქარ-ჩქარა ვაიქნია ხელ-ფეხი, რომ ჰაერში აფრინდა. წვერიან ფარვანასავით ვადაევლო წისქვილს და ფეხებზე ქეჩის ჩექმები წასძვრა.

უკვე გვიან იყო, ჩუბო არ ჩანდა. ბაბუა დალბუ შეშფოთდა. ამბის გასაგებად უკუ გააგზავნა წისქვილში.

უკუმ რომ მიირბინა, წისქვილის კარი მოფრიალებული დახვდა, ჩუბოს აკვანში ეძინა, წისქვილის კაცი კი არსად ჩანდა.

წისქვილის კაცი ამ დროს მთვარესთან მიფრინდა, ხან მხრით წაეჯაჯგურა, ხან მუხლი გაჰკრა, ერთი სიტყვით, ცდილობდა, მთვარე მოეძრო ციდან და წისქვილის თავზე დაეკიდა.

უკუმ ჩუბოცელს გაღვიძება დაუწყო, მაგრამ, გაგიგონია, თვალი ვერ გაახელინა. რა ქნას?!

მოისაზრა, რაც უნდა ექნა: თოვლის ბიჭი გააკეთა.

— იოკა, მოკა, ტროკა, ნა! (აბა, სწრაფად!) — უთხრა უკუმ ბიჭს. ბიჭმა მართლაც სწრაფად გააკეთა ახალი თოვლის ბიჭუნა.

ახლა იმ ბიჭუნას უთხრა უკუმ: — იოკა, მოკა, ტროკა, ნა! — და საქმე სწრაფად წავიდა წინ.

ერთი თოვლის ბიჭუნა მეორეს აკეთებდა და სულ რაღაც ნახევარ საათში ასი თოვლის ბიჭუნა გაჩნდა. ჯარისკაცებივით გამწკრივდნენ ისინი წისქვილიდან დალბუ ბაბუამდე. ბაბუამ დაუძახა ბებიას, ბებიამ თოვლი დააგუნდავა და გუნდა ფანჯარაში შეაგდო. ფანჯრიდან ჩუბოს დედამ გამოიხედა:

— რა გნებავთ?

— ალი, ცული, ოკა, უ, — წაიბუტბუტა ბებიამ — ამ, ამ!

რა იყო „ალი, ცული, ოკა, უ,“ დედამ, რა თქმა უნდა, ვერ გაიგო, მაგრამ „ამ, ამ,“ რას ნიშნავდა, ეს კი უცებ მოისაზრა. მიხვდა, ბებიას ჭამა უნდაო.

გამოვარდა დედა ეზოში და ბებიას ახალი პური გამოურბენინა. ბებიამ ეს პური ბაბუას მიაწოდა, ბაბუამ აიღო და თოვლის პირველ ბიჭუნას მისცა, იმან—მეორეს, მეორემ—მესამეს და დედას პურმა სწრაფად მიაღწია წისქვილამდე.

იქ უკვე უკუმ, ის ხომ ჭკვიანი და ალღოიანი ბიჭი იყო, დედას პური ცხვირთან მიუტანა ჩუბოს.

ჩუბომ ცხვირი ააცმაცუნა, თვალები მოიფშვნიტა.

— დედა, შენა ხარ? — თქვა, წამოიწია და აკვნიდან სრულიად გამოფხიზლებული გადმოვიდა.

უცებ რაღაცამ ბრაგვანი მოადინა წისქვილის სახურავზე.

თურმე წისქვილის კაცი ჩამოვარდნილიყო მთვარიდან! კიდევ კარგი, იმ დროს, როცა ჩუბოს ღონე დაუბრუნდა, მთვარე ზუსტად წისქვილის თავზე იდგა.

— წავიდეთ, ჩუბო, წავიდეთ, — აჩქარებდა უკუ, — აგე ცისკრის ვარსკვლავი, სადაცაა გათენდება, ხალხი კი აკვნებიდან ვერ დგება!

ჩუბომ სწრაფად მოიგდო ზურგზე ტომრები და სოფელში წაიღო. თან გზადაგზა თოვლის ბიჭუნებს ეუბნებოდა:

— ჩუბო, მიო! (ჩუბო მადლობელია თქვენი!)

— იაკო, ჩი? (კიდევ როდის შევხვდებით?)

— ჩიკო, ნიო! (ხვალ ღამით!)

მთვარიდან ჩამოტანილი კვერცხი

წისქვილის კაცი დიდად კმაყოფილი იყო, წისქვილი რომ არ დაენგრა.

აი, ციდან რომ ვოლიათი ჩამოვარდნილიყო, მაშინ რა მოხდებოდა?! ვოქვათ, ძია ტოადერისნაირი კაცი? კიდევ კარგი, ყველაფერი კეთილად ყამთავრდა.

მან კოჭლობა-კოჭლობით შემოუარა წისქვილს — ყველაფერი რიგზე იყო — და დაწვა დასაძინებლად.

ტყუილად იკლავდა თავს წკრიალით მეორე დილას წისქვილის ზანზალაკი, კალაჩი მოვიგიდაო, წვერგადაფარებულ წისქვილის კაცს ღრმა ძილით ეძინა.

როდის, როდის, როცა, როგორც იქნა, თვალი გაახილა, წისქვილი მთელი და უვნებელი დახვდა, მაგრამ თავი ვერ ჰქონდა რიგზე! ღმერთო ჩემო! რა ემართებოდა თავს?

მსრეველი არ უსერდებოდა! ასწევდა თავს და წამსვლელ ჩამოუვარდებოდა, თითქოს ვილაცა ეწვევა წვერზეო.

შეიძლება წვერში იმალება ვინმე? ზის იქ და ქვემოთ ექაჩება?

— ჰეი, შენ! გამოდი! — დაუყვირა წისქვილის კაცმა.

მაგრამ წვერიდან არავინ გამოვიდა. წისქვილის კაცმა აღარ იცოდა, რა ექნა.

ყოველ შემთხვევისათვის სარკესთან მივიდა და უცებ დაინახა, რომ შუბლზე კოპი ადგა, მტრედის კვერცხისოდენა კოპი. წისქვილის კაცმა ქუდი მოსინჯა, სხვა კვერცხიც ხომ არა დევსო? ჯერჯერობით თითქოს არ იყო.

წისქვილის კაცი ქუჩაში გამოვიდა და წისქვილიდან სოფლამდე ჩამწკრივებული თოვლის ბიჭუნები ლაინახა.

— სადაა ხორბლით სავსე ტომრები? — ჰკითხა ბიჭებს.

თოვლის ბიჭუნები უხმოდ იდგნენ. მხოლოდ ერთმა დაღუნა თავი და რაღაც უსურჩულა მეზობელს ყურში.

— იცით, რას გეტყვით, ბიჭებო! ვითომ ჩემი ტელეფონი ხართ, თოვლის ტელეფონი — წისქვილიდან სოფლამდე გაბმული. კარგი?!

— კეთილი! — თავი დაუქნიეს მრგვალთავიანმა ბიჭებმა.

— ალო, ჩუბო! — დაიძახა წისქვილის კაცმა. — შინა ხარ? ეს მე გელაპარაკები თოვლის ტელეფონით! გაიგე? მორჩა, დავამთავრე!

— ალო, ჩუბო! ტელე-ტელე-ტელე-ტელე-ტა-ტი-ტი-დო-დო-დო... აყაყანდნენ თოვლის ბიჭუნები და სოფლამდე მიიტანეს ყაყანიო ეს სიტყვები. ერთ წუთს შეყოვნდნენ და ახლა სოფლიდან წამოიღეს ყაყანიო წისქვილამდე:

— მე ჩუბო მქვია, ალა კი არა!

— შენ რა, გეწყინა, თუ?! — დაუყვირა წისქვილის კაცმა. — ჰო, მე ცოტა ვიფრინე... ჰო, თითქმის მთვარემდე... ჰოდა, წისქვილის სახურავზე დავეარდი...

აყაყანდნენ თოვლის ბიჭუნები და ჩუბო მიხვდა, რომ მთვარე დავარდა წისქვილზე.

— თავზე მტრედის კვერცხასხელა კოპი მაზის, — ჩიოდა ტელეფონში თოვლის კაცი.

— მთვარეს მტრედასხელა კვერცხი აქვს, — გადასცა ჩუბის, ბოლოს რომ იდგა იმ ბიჭუნამ.

ჩაფიქრებული დადიოდა ჩუბო ეზოში, ნეტა როგორია, მთვარის კვერცხი?!

არც ბებიას, არც ბაბუას, არც, რა თქმა უნდა, ბიჭუნა უკუს არასოდეს ენახათ ასეთი კვერცხი.

„კრუხს რომ ჩავუდო ბუდეში?“ — ჩაფიქრდა ჩუბო და ქუდი კეფაზე გადაიწია, — „ნეტა გამოიჩეკება პატარა ყვითელი მთვარე?“

როცა ჩუბი იღლიაში ამოჩრილი კრუხით წისქვილში მივიდა, წისქვილის კაცი საწოლზე იჯდა თავშეხვეული. კრუხზე სიტყვის გაგონებაც არ მოისურვა.

— პატარა მთვარე გამოიჩეკება, — არწმუნებდა ჩუბო და ბოლოს და ბოლოს დაიყოლია.

წისქვილის კაცმა მთელი ღამე წამომჯდარმა გაატარა, თავზე კრუხი აჯდა. ხოლო დილით შუბლზე არავითარი კვერცხი აღარ ჰქონდა.

— მართლა? — გაოცდა წისქვილის კაცი და სარკეს მივარდა.

— აი, ხედავ, — უთხრა ჩუბომ, — შენ რამდენამდე ოსტატი ხარ, მე — ექიმი.



ჩუბოცელის კოშკი

დილიდანვე დატრიალდა თოვლის წისქვილი. თოვლი ბარდნიდა სოფელ ტურტურიკაში. ჩუბომ დედა ფერმაში მიაცილა და შინისაკენ გამოეშურა, თან უკან-უკან იყურებოდა და ხედავდა, როგორ პირწმინდად შლიდა თოვლი მის ნაკვალევს, თითქოს ფეხიც არ დაუდგამს ფერმაში.

— ტუკა, უკა? (რატომა ხარ ნაღვლიანი?) — ჰკითხა დალბა ბებიამ.

— გული მწყდება, ასე პატარა რომ ვარ. ნეტა ხის სიმაღლე ვიყო! მაშინ ჩვენი ეზოდან დედას დავინახავდი ფერმაში, ჰოდა, ისიც დამინახავდა.

— ნიკ, ნიკ! — უთხრა დალბა ბებიამ. — ხისტოლა რომ გახდე, ღრუბელი თავზე თმას აგიბურდავს, დედას ბორშიანი თეფშის სხვენზე შემოდგმა მოუწევს. მაღალი ქუდის დახურვა სჯობს, დედა მაინც დაგინახავს.

— მეც რომ მინდა დავინახო?!

ჩაფიქრდა ჩუბო. თავისი არც ისე მაღალი ქუდი კეფაზე გადაიწია, მერე თოვლის ცხენი მარხილში შეაბა და

წისქვილში წავიდა. ერთიმეორის მიყოლებით სვამდა თოვლის ბიჭუნებს მარხილში და თავის სახლში მოჰყავდა.

დღე იწურებოდა, გზაზე კი ისევ ბევრი ბიჭუნა იდგა.

ჩუბომ მოიფიქრა და ბიჭუნებს სასწრაფოდ ფეხები გაუკეთა. ისინიც ტყაპა-ტყუპით წატყაპუნდნენ სოფლისაკენ.

სალამოს თოვლის ცხენი წისქვილის კაცს გაუგზავნა.

როცა ოსტატი ეზოში შევიდა, ცეცხლზე წყლიანი ქვაბი იყო შემოდგმული, ჩუბოს ხელში ჯოხი ეჭირა და ქვაბს ურევდა, რაღაც ხსნარს ამზადებდა.

დიახ, დიახ, ხსნარს ამზადებდა, იმ ხსნარს, სახლის შენებისას ქვას ქვაზე რომ აწებებს. საქმე ის იყო, რომ ჩუბომ კოშკის აშენება განიზრახა. გადაწყვიტა, გალავანი დაეშალა და ქვები ცამდე აეკოკოლავებინა.

— კარგი, გავაკეთოთ კოშკი, — თქვა წისქვილის კაცმა და წვერი უბეში ჩაიტანა, მუშაობაში ხელი რომ არ შეეშალა.

ჩუბოცელის დედა და მამა დიდი ხანია თავიანთ საბავშვო საწოლებში იწვნენ და ეძინათ, სიზმარში პეპლებს დასდევდნენ, ეზოში კი ამ დროს არნახული კოშკი შენდებოდა.

ქვებს წისქვილის კაცი აწყობდა, თოვლის ბიჭუნები კი აწოდებდნენ. ბებია და ბაბუაც დროს არ კარგავდნენ, გალავანს არღვევდნენ, ჩუბო კი ქვებს კალათაში დებდა და თოკით აჰქონდა მაღლა.

ზევით-ზევით მიიწევდა კოშკი და ის იყო, სახლს ასცილდა, რომ გათავდა ქვა, მთლად დაირღვა გალავანი, დარჩა მხოლოდ დალბუ ბაბუას ფანჯარა და სასტუმრო სკამი.

კოშკი ისეთი მაღალი გამოვიდა, რომ ახლა მთვარიან ღამეშიც არ უჩანდა წვერი. წისქვილის კაცი და ჩუბო რამენაირად ქვევით უნდა ჩამოსულიყვნენ. თოვლის ბიჭუნებმა თოვლის უზარმაზარი ბორცვის წამოჭიმვა დააპი-

რეს, რომ კოშკის მყოფნი სულ დამსტარიყვნენ, მაგრამ ბებია შეეჭვდა:

— გადმოსტომით კი ვადმოსტებიან, მაგრამ ვიპოვით მერე ასეთ ნამქერში?

მაშინ ჩუბომ თოკი გამოაბა კოშკის წვერს და იმ თოკს ჩამოჰყვნენ ორივენი.

თოვლის ბიჭუნები ჩუბოს ყოფილი ქვის გალავნის ადგილას ჩამოამწკრივა. საოცარი გალავანი გამოვიდა, თოვლის ბიჭუნების გალავანი!

— ბაბუ, — დაუძახა ბებიამ დალბუ ბაბუას, ბიჭუნებს რომ შესცქეროდა. — ნუთუ ესენი ყველანი ჩვენი შვილებია?

— აბა ვისი! — უპასუხა ბაბუამ.

— უყურე შენ! ჰო, ეტყობა, მართლაც ასეა. აი, ეს თითქოს შენა გგავს... ჰეი, ყმაწვილო, რა გქვია?

ბიჭუნა ხმას არ იღებდა, მხოლოდ თვალებს ახამხამებდა.

— ეს ბავშვი მუნჯია თუ რა?!

— დედუნა, მაგას პირი არა აქვს, — თქვა უკუმ.

დააცქერდა ბებია და დაინახა, რომ ბიჭს ნამდვილად არა ჰქონდა პირი, მეორე უცხვირო იყო! გვერდით რომ ედგა, ის კი ცალთვალა.

— ღმერთო ჩემო! ეს რა ბავშვებით ავავსეთ ქვეყანა!

— ქხ! — ჩაახველა დალბუ ბაბუამ. — ქხ — ქხ... — ჩაახველა კიდევ, ცდილობდა რაიმე მოესაზრებინა.

— ეტყობა, მთლად გამოყეყეჩდი!

— მოიცა, ბებერო, რა სისულელეს ამბობ! უბრალოდ ღამით გააკეთეს ფაციფუცით. ვის ახსოვდა პირი ან ცხვირი! განა ეგაა ბედნიერება! სამაგიეროდ, შეხედე, როგორი მეგობრობა იციან! ასეთები ჭირში არ მიგატოვებენ. — ეი, ყმაწვილებო! — დაუძახა მათ დალბუ ბაბუამ. — შეხედეთ, როგორი კოშკი ავაშენეთ! ყოჩაღები ვართ! არწიენები!

თვალებიანმა ბიჭუნებმა ცას ახედეს, უკვირდათ, მართლა რა მაღალი კოშკი გამოვიდაო!

დალბა ბებია ცოტათი დამშვიდდა. მართლაც რა უშავს,

ცალთვალები რომ არიან, სამაგიეროდ, ნამდვილი არწივებია!

დილით მამამ გამოიღვიძა, მავიდა ფანჯარასთან და პირი დააღო.

— ღმერთო ჩემო! — დაიყვირა დედამ. — სადაცაა, ჩამოინგრევა!

უცებ ჩუბო ხელში აიტაცა და ქუჩაში, სახლიდან მოშორებით გაიპარა.

მამამ სასწრაფოდ ფამ-ჭურჭლის ჭომარაში ჩალაგება დაიწყო, კოშკი ჩამოიქცევა და ჭურჭელს დალეწავსო.

— ფარდულს რომ დაეცეს?! — აყვირდა ჩუბოს დედა.

მამამ მსხვილი მორს დააგლო ხელი, კოშკს შეუყენა, დედამ ფარდულიდან ცხვრები გამორეკა. მეზობლებმაც მოირბინეს. ერთი ყაყანი და ღრიანცელი ატეხეს, კოშკი თუ დაინგრა, ხეირს არავის დააყრისო.

— თვითონ დავანგრიოთ! რას ველოდებით! — ყვირიან ერთხმად.

— ქვემოდან როგორ დაანგრევ? ვრძელი კიბეა საჭირო!

— აიღე წერაქვი და ადი ზევით!

— თვითონ ადი! სახუმარო საქმე არაა! მაგ კოშკის წვერის რომ ვუყურებ, ქუდი თავზე აღარ მიჩერდება!

კოშკს უამრავი სალხი შემოხვეოდა ნიჩბებით, ცულებით, საჩიდრებით.

— ნუ გეშინიათ! კოშკი არ ჩამოინგრევა! ცნობილმა ოსტატმა ააგო! — იყვირა ჩუბომ და კოშკს მუშტკბი დაუშინა.

— უყურეთ, ძვრაც არ ეტყობა!

ამის თქმა იყო და ყველანი მისცვივდნენ კოშკს მუშტებით — კოშკი არც შერყეულა. მართლაც მაგრად იყო ნაშენი. ცოტათი რომ დამშვიდდნენ, მეზობლები თავ-თავიანთ სახლებში წავიდ-წამოვიდნენ, მაგრამ დროდადრო

ხან ერთი გამოიხედავდა ფანჯრიდან, ხან — მეორე, ამოწმებდნენ, ხომ ისევ დგას კოშკი და ხომ არ ინგრევაო?

მარტო ჩუბოს მამა არ შევიდა სახლში. კოშკს გარს უვლიდა და ოხრავდა. გალავანზე დარდობდა. ქალამზეც შიშობდა. გაიქცევა სადმე ეს ჩერჩეტი ჭრელა და უყარე მერე კაკალიო.

— რისთვის ააშენე ეს კოშკი, რად გინდოდა? — ჰკითხა დედამ ჩუბოს.

— რატომ და, როცა ფერმაში ხარ, შორიდან რომ დაგინახო. — უპასუხა ჩუბომ.

— ოჰ, ჩუბო, ჩუბო, — ამოიოხრა დედამ. — დღეს მე არსად არ წავალ, მთელი დღე შინ ვიქნები. მიყურე, რამდენიც გინდა! ოღონდ კოშკზე არ ახვიდე! გესმის?

გავიდა ის დღე, გავიდა მეორე დღე — კოშკი იდგა წყნარად, სულაც არ ფიქრობდა დანგრევას. გავიდა კიდევ ერთი დღე და მამამ გრძელი, მაგარი კიბე შეკრა, რომ ჩუბოს შესძლებოდა, კოშკზე ამძვრალიყო და, როცა ძალიან მოიწყენდა, დედა დაენახა.

მამამ კოშკის წვერი გადახურა, რომ დიდთოვლობისას ჩუბო არ ჩაჩუმქრულიყო.

კოშკის წვერზე ყოფნას არაფერი სჯობდა.

ხშირად იქ სხვა ბიჭებიც ადიოდნენ, ზოგჯერ მამაც აძვრებოდა ხოლმე და ქუდს იქნევდა ფერმის მხარეს — დედი, მალე მოდი სახლში, მეც მოვწყინდაო.

ვაზი

თოვლის ბიჭუნებს შინ ჯდომა არ უყვარდათ. რადგან სიარული შეეძლოთ, უნდა ევლოთ კიდეც.

სახლს გაშორდებოდნენ თუ არა, უკან უქნარების ჯგრო აედევნებოდათ, თითქოს ცირკი ყოფილიყო. კაცმა რომ თქვას, სანახავები კი იყვნენ. ერთი უცხვირო იყო, ჩელ-ოათმანები კი ეკეთა, მეორეს კიდევ ფეხზე წაღები ეცვა, ტანზე კი არაფერი.

დღისით ჩუბო ბიჭებს სახლიდან შორს არ უშვებდა, მარტო ღამე მიჰყავდა სასეირნოდ.

ერთხელ, გვიან საღამოს, ტყაპ-ტყუპ, ტყაპ-ტყუპ და მთელი ეს კომპანია სასეირნოდ გაემართა. ბებიაც გაჰ-ყვათ, ბაბუაც და ბიჭი უკუც.

ტყაპ-ტყუპ, ტყაპ-ტყუპ, ისე მიდიოდნენ, თითქოს ორ თათზე შემდგარი თეთრი დათვები მიბაჯბაჯებენო.

— ოჰ, ოჰ, შეეისეენოთ, — თქვა ბაბუამ, — გავსაყათდი. ნასეთ, პირიდან ორთქლი როგორ ამომდის.

— ბებერო, წამოდი, წამოდი, — არ ანერებდა ბებია, მაგრამ ბაბუა მაინც ნამოუდგა გზის პირას.

— ამ ბორცვს ქუდი რატომ არ ახურავს? — ჰკითხა ბაბუამ ჩუბოს.

— ზაფხულში ეხურა. მერე მოსადგეს და ახალი ხორბალი დათესეს.

ბებიამ თოვლი ხელით გადასვეტა.

— შეხედე, ბორცვს თავზე მწვანე თმა ამოსვლია! ეს არის ხორბალი? ნეტა კარგად იხარის!

ერთიმეორის მიყოლებით მიდიოდნენ თეთრი სტუმრები ნაშემოდგომი ხორბალთან, ჩაიხრებოდნენ, რომ ენახათ, როგორი იყო. როცა მთელი კომპანია წაიღა, ერთმა წვეულმა, ყველაზე მაღლა რომ ყელყელაობდა, მეორეს უთხრა:

— ეჰე, ჰეი! ნახავთ, ზაფხულში როგორი თავთავი გვექნება და რა მოსავალი მოვა, ამდენი თოვლის ადამიანი როძ გვეწვია სტუმრად.

ნუბოცელი და მისი ხალხი გუნდ-გუნდად შეეიდა ბალში.

— აი, ესენი ცალ ფეხზე რომ დგანან, ხეებია, — ეუბნებოდა ჩუბო. — ზაფხულობით მწვანე ქუდებს ახურავენ! ვაშლის გამოსხმაც შეუძლიათ, წითლების, ყვითლების.

დალბა ბებიამ მიწიდან თოვლი გადაფხიკა და ვაშლს დაუწყო ძებნა:

— მანდ რას ეძებ, ზემოთ, ტოტებზე ასხია ხოლმე.

— მართლა? — ჰკითხა ბაბუამ. — მერე დაბლა არ ცვივიან?

— ხეს ყუნწით უჭირავს.

— უყურე შენა! — თქვა ბაბუამ და ბიჭუნებს ჩაეკითხა: — თქვენც თუ გაიგეთო!

— ჰო, ჰო, — ჩაიდუღუნეს ბიჭუნებმა, ხოლო ერთმა, დაკაწრულმა, აკითხა:

— ვაშლები არ დაგკაწრავენ, ყუნწში რომ ჩააელო ხელი?

— არა, — გაიცინა ჩუბომ. — ვაშლი კეთილია, როგორც ცაზე მთვარე. ახლა ზამთარია და ბაღი მიჩუმებულია. გაზაფხულზე უნდა ნახოთ! გაზაფხულზე ყოველ ხეს თავისი მუსიკოსი ჰყავს.

ჩუბომ თქვა ეს და ვაშლის ხეზე აძვრა, მგალობელი შაშვივით დაიჭახჭახა, მერე მეორეზე გადახტა და ბულბულივით დაუსტვინა.

— ეჰე, ჰეი! — თავს აქნევდა ბაბუა დაღბუ. — ლამაზია ეს ქვეყანა. დასანანი ისაა, რომ ბულბულებს ვერ მოვუსმენთ. გაიგეთ, ჩემო არწიყებო?

— მაშ, მაშ, — ისევ ჩაიდუდუნეს ბიჭუნებმა, ერთ-ერთი ტოტზე ახტა და დაიყვირა:

— გუ-გუ!

ამ დროს ხემ, რომელზეც ერთადერთი ფოთოლიღა კონწიალებდა, მეორეს უჩურჩულა:

— შეხედე, რამდენი თოვლის ბიჭუნაა, გაზაფხულზე ყვავილებით დავიფარებით!

დგაფადგუფით, ტყაპატყუპით დაიძრა ბიჭუნების გუნდი. გორაკს თავზე მოექცნენ და ციგებით სრიალს მოჰყვნენ. იყო ყვირილი, ხმაური! ციგა ერთია, ისინი კი ბევრნი არიან. ხუთ-ხუთნი, ექვს-ექვსნი სხდებიან და ჰაიდა, ქვევით. გზად ციგიდან ცვივიან. ბებიაც და ბაბუაც კი სამჯერ დაეშვნენ გორაკიდან.

— ერთხელ კიდევ ჩამოვცურდეთ! — თქვა ბებიამ.

— მოიცა, მე თითქოს რაღაც მესმის, ოღონდ რა, ვერ გამიგია. აბა, ჩუმად, არწივებო!

ბიჭუნები მიჩუმდნენ, ბაბუამ ყური მიუგდო, ხელი ჩაიქნია და მეზობელი გორაკისაკენ გაემართა. უკან დგაფადგუფითა და ტყაპატყუპით გაჰყვა თოვლის ბიჭუნების გუნდი.

გორაკზე სიცივისაგან კანკალებდა ვაზი. შემოდგომით

შეფუთვა დაეიწყებოდათ. ამიტომ ახლა ყინულის ქერქი შემოკვრიოლა და სუსხიანი ქარი გულამდე ატანდა.

ქარი მთიშაეს, მაშინებს,
მიჭერს ყინვის მარწუხებს,
ჩემი ყოფნა, არყოფნა
არაეის არ აწუხებს!
სულო, ჩემი საწყალო,
რა ვქნა, რით გცე ნუგეში,
ქარო, ჩადექ, წყეულო,
გულო, ჩაჯექ ბუდეში!

გორაკის თავზე თოვლი თითქმის არ იდო და ქარისთვის თავის მორიდება ვაზს არაფრით შეეძლო.

— ოლო, დოლო! (ესე იგი, მოდით აქო!) — დაიძახა დალბუ ბაბუამ, ჩუბოცელის ძმაბიჭები — თოვლის ბიჭები მაშინვე ვაზს შემოეხვივნენ და თითქოს თოვლის ქოხში მოაქციეს.

დალბა ბებია უკუსთან ერთად გორაკზე აბობღდა, სულ მაღლა, ლამის ღრუბლებთან. უკუ ხელების ქნევას მოჰყვა, ბებია კი აყვირდა:

— წიპ-წიპ-წიპ! ფიფქებო, ფიფქებო, მოდით ჩემთან!

ციდან უცებ თოვლი წამოვიდა, დატრიალდა ბაბუა დალბუს წისქვილი და მალე საწყალი ვაზი თბილ, რბილ თოვლში გაეხვია. თოვლის კაცები კი ჩუბოს წინამძღოლობით შინისაკენ ვაემართნენ. ისე ხვავრიელად ბარდნიდა, რომ ხელიხელჩაკიდებულები მოდიოდნენ, გზა არ დაგვებნესო.

ბაბუა დალბუს თავისი წისქვილი სხვა მხარეში მიაქვს

არავისთვის უკითხავს, ისე აძვრა უკუ სხვენზე კიბით და საკვამურში ამოჰყო თავი. უნდოდა ენახა, კვამლი როგორ ჩნდებოდა.

საკვამურში, რა თქმა უნდა, დიდხანს ვერ გაძლო, ხველება აუტყდა, თვალიც აუცრემლდა. სწრაფად მოაგროვა ქუდში კვამლი, ბებიასთვის რომ ეჩვენებინა, და ისევ ქვევით ჩაძვრა.

დაბლა რომ ჩამოვიდა, ქუდში უკვე აღარაფერი დახვდა. სამაგიეროდ თვითონ ეშმაკივით იყო გაშავებული.

ასეთი საშინელება რომ დაინახეს, ბიჭუნები თავქუდმოგლეჯილები გაცვივდნენ აქეთ-იქით. ზოგი ფარდულში დაიმალა, ზოგი ფარეხში — ცხვრებთან. მარტო ბაბუა დალბუ არ შეშინებულა. ჯოხიც კი მოუქნია:

— ვინა ხარ? აქ რა გინდა, ღამის კაცო?

— ღამის კაცი კი არა, უკუ ბიჭი ვარ.

— არა! ჩემი შვილი დღის კაცია!

— მოიცა, მოიცა! — თქვა ბებიამ. — ქუდი რაღაც უკუსას ჰგავს, წაღებიც მეცნობა.

— ოხ, შე არამზადავ! — იყვირა ბაბუამ. — უკუ გაძარცვე, შიშველ-ტიტველი დატოვე. აბა, გაიხადე წაღა!

უკუმ გაიხადა წაღა და პაპამ დაინახა, რომ ფეხი თეთრად უქათქათებდა.

— ეეჰ, — ამოიოხრა ბაბუამ. — ისეთი კარგი იყო, თეთრი, თეთრი! ახლა რას ჰგავს?! არწივებო! მოიტანეთ ერთი ვედრო წყალი.

ბიჭუნებმა მოათრიეს წყალი და შეასხეს უკუს, თან ბანეს და ხეხეს, მაგრამ წყალი ზედ მიეყინა, უკუ კი როგორი ყარაჩიც იყო, ისეთივე ყარაჩი დარჩა.

— ფუი! — გადააფურთხა ბაბუამ, ხოლო უკუმ საიდანღაც სარკე გამოძებნა, იცქირებოდა შიგ და იცინოდა.

მერე ყველა მიეჩვია უკუს სიშავეს. ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ არაა მთავარი. მთავარია, გული ჰქონდეს ადამიანს, კეთილი გული!

რაც მართალია, მართალია, გული უკუს კარგი ჰქონდა. მან ასწავლა თოვლის ბიჭუნებს მისალმება. მაგრამ ეზოში ვის უნდა მისალმებოდნენ, ამიტომ სოფელში მიდიოდნენ ხალხის საძებრად.

დაინახავდნენ ვინმეს, შემოეხვეოდნენ გარს. კაცი ფიქრობდა, რაღაც უნდათ, ან კანფეტი, ან კაპიკიანიო, და დაიწყებდა ჯიბეების ქექვას. ამ დროს ბიჭუნები ერთხმად აყვირდებოდნენ:

— გამარჯობათ! — და სიცილ-სიცილით გამორბოდნენ შინისაკენ.

— ბებია! — მიახარებდნენ ბებიას. — დღეს კარგი დღე გვექნება!

მართლა კარგი ბიჭები არიან.

სოფელში მალე მეგობრებიც გაუჩნდათ. პირველკლასელ ბიჭუნებს ეშველებოდნენ ჩანთების ტარებაში. გო-

გონებს კი თოვლის ცხენზე სვამდნენ, ასეირნებდნენ და სკოლაშიც მიჰყავდათ.

— ჩვენც დავდივართ სკოლაში, — ეტრაბახებოდნენ ბებიას.

— ყოჩაღები ხართ, — ეტყოდა ბებია.

— არწივები ხართ! — ეუბნებოდა ბაბუა.

ზოგჯერ ბიჭუნები მალაზიასთან იერიდნენ თავს. ფული აბა იქათ საიდან ჰქონდათ. დალუებოდნენ და ელოდნენ, გამოვიდოდა რომელიმე მოხუცებული მალაზიიდან, ჩამოართმევდნენ ჩანთას და შინ მიუტანდნენ მალაზიიდან, სამაგიეროდ კანფეტის ქაღალდებს აძლევდნენ, ზოგჯერ კანფეტსაც მიაწვდიდნენ ხოლმე, ერთ ცალს ათ ბიჭზე.

საღამოს ბებიასთვის კანფეტის ქაღალდები მოაქონდათ, ბაბუასთვის ხან სასტვენი, ხან ძველი ქოლგა. ბაბუა სასტვენს ჩაუბერავდა, ხან ქოლგას შლიდა. ქოლგის ქვეშ ბარე ოცი ბიჭუნა ეტეოლა.

ერთხელაც ბიჭუნები ბაზარში წავიდნენ

დარბიან ბაზარში — ჭრაჭ-ჭრუჭ, ჭრაჭ-ჭრუჭ — ვინ მზესუმზირა გააკნატუნა, ვის კაკალი ამოვა. სარბილითა და თამაშით რომ გული მოიჯერეს, შინ დაბრუნდნენ.

მოდიან გზაზე და დაინახეს ძროხა. ის-ის არის, გლეხს უყიდია ბაზარში და შინ მიჰყავს, მაგრამ ძროხა უძალიანდება და ნაბიჯს წინ არ დგამს. გლეხი ეწევა, ძროხა კი სარქესად მიიწევს.

ირადა ძროხას მოწვეულის დრეა.

გლეხმა იშოვა ეიდრო და გზაზეეე შეეიდგა წველას. ძროხას წინ ჩალა დაუყარა. ლაძის შუა გზაზე ბაკი მოუწყოს!

ბიჭუნებმა მოინახეს, რა უნდა გაეკეთებინათ. აიღეს ხელში თითო ღერო ჩალა და ძროხას წინ დაუდგეს. გაიწია ძროხამ ჩალისაკენ, ბიჭუნებმა წინ გაიწიეს, გაედევნათ ძროხა, იარეს ბიჭებმა, სდიათ ძროხამ და ასე მიიყვანეს გლეხის სახლამდე.

გლეხს გაუხარდა, ძროხა სახლში ძყავსო, და თოვლის

ბიჭუნებს ღურბინდი აჩუქა, ძველი, გატყავებული, მაგრამ რა გინდა, შიგ ყველაფერი კარგად ჩანდა.

უჰ, როგორ გაიხარეს ბიჭუნებმა! უყურებენ ერთიმეორეს ღურბინდში, სარსარებენ. დაიწყეს ძებნა, სად არის ჩუბოო?

ჩუბო კოშკზე იჯდა. მიუშვირეს ღურბინდი, უზარმაზარი გამოჩნდა ჩუბო, მამასავით დიდი.

— ასეა, — თქვა დალბუ ბაბუამ, — მოვა დრო და ის მართლა გასდება მამამისის ხელა.

— ხალხო, ეს რა ყოფილა, — ჩაფიქრდა ბებია, — ესე იგი, ამ რაღაცით ხვალინდელი დღის დანახვა შეიძლება. აბა, ერთი მიმეცით ეგ ღურბინდი.

აიღო ღურბინდი, შეხედა კოშკს, ჩუბის, მერე ფეხებთან ღაიხედა.

— ხა-ხა-ხა! — იცინოდნენ ბიჭუნები, — იქ არავინ არ არის.

— ჯერჯერობით არ არის,— თქვა ბებიამ.

იმ საღამოს მან ჩუბოს საქსოვი ჩხირები სთხოვა და ორი შულო შალის ძაფი, ერთი თეთრი, ერთი მწვანე. მთელი ღამე ქსოვა და ქსოვა ბებიამ და ქუდი მოქსოვა.

— შეხედე, ბაბუ, კარგი გამომივიდა? — იკითხა ბებიამ.

— აი! — ცერა თითი აჩვენა დალბუ ბაბუამ. ბებია ასლა კაბის ქსოვას შეუდგა.

მეორე დღეს ბებიამ ისევ სთხოვა ბიჭუნებს ღურბინდი და ისევ დაიხედა ფეხებთან. ბიჭუნები იცინოდნენ.

— ჯერ კიდევ არ ჩანს, — თქვა ბებიამ. — თქვენ ჩუმად იყავით! თორემ საცაა, მოგვიკაკუნებს, ჩვენ კი ვერ ვავიგონებთ!

— ვინ მოგვიკაკუნებს?

—მალე სტუმრები გვეწვევიან,—ჩაიბუზღუნა ბებიამ და უფრო სწრაფად განაგრძო ქსოვა.

ბიჭუნებს არ აინტერესებდათ, რას აკეთებდა ბებია თავისი ჩხირებით. ისინი დარბოდნენ სოფელში, ესალმებოდნენ, ვინც შეეხვდებოდათ. ერთი სიტყვით, ძალიან მხიარულობდნენ.

ბებია კი სულ ქსოვდა. დალბუ ბაბუა სიტყვაძვირი გახდა და ნაფიქრებული.

ერთ კვირა დღეს კი ჩუბოს უთხრა:

— გახედე, შენი კოშკი ირყევა... სახლიც ირყევა... შენც... არა, ეს მე მესხმის თავბრუ.

ჩუბომ პირსასოცით შეუხვია თავი, ის კი ვერ შეამჩნია, რომ ბაბუამ სიმაღლეში დაიკლო, რაღაცნაირად მოიბუსა, თავი დახარა. ბებიაც შესამჩნევად მობერდა, მხრები ჩამოეყარა.

თოვლის ბიჭუნებმა მთელი კვირადღე ჩრდილში გაატარეს, ყარდულთან იღგნენ და მხიარულად უყვიროდნენ გამელელ-გამომველელს:

— გამარჯობათ! გამარჯობათ!

უკუ თოვლის ცხენზე შემომჯდარიყო და მთელი დღე მიყრუებულ ჩრდილიანან ხევხუეებში დააქროლებდა.

ორშაბათს ჩუბომ რომ გამოიღვიძა და ფანჯარასთან მიირბინა, ხმა ველარ ამოიღო! არც ბებია ჩანდა, არც ბაბუა, არც თოვლის ბიჭუნები.

ეზოში კი მამის ძველი ქუდი, ჯოხი და დურბინდი ეყარა...

ჩუბო ქუჩაში გავარდა და თოვლზე ნაკვალევი დაინახა.

სირბილ-სირბილით გაჰყვა ნაკვალევს მდინარე რეუტამდე. რა დამართნოდა ერთ ღამეში მდინარეს! ჩქეფდა, ბობოქრობდა, თითქოს თოვლის ადამიანების მთელი ძალა და ღონე მას მისცემოდა. ახლა თვითონ მდინარემ დაატრიალა წისქვილის ბორბალი. წისქვილის კაცი იდგა სასურავზე და გაიძახოდა:

— ხორბალი! ხორბალი! ხორბალი მოიტანეთ!

მაგრამ წისქვილში არავინ მიიჩქაროდა. მეორე ნაპირიდან შეუძლებელი იყო გადმოსვლა — ხიდი წყალს დაეფარა. ჩუბო არც ფიქრობდა ფქვილზე, თავის თოვლის მეგობრებს ეძებდა. უცებ მათ წყალში მოჰკრა თვალი.

წყლის ადამიანებად ქცეულ თოვლის ადამიანებს ქვე-

ვით მიაქანებდა მდინარე. სელისყელგად ჩეკელები, თავშიშველები მიქეცებოლნენ ლისებას.

— ბაბუ! დაიჭი! — ღაუყვირა ჩუბომ ბაბუას და თავისი ქული წყალში მოისროლა.

მოირბინა წისქვილის კაცმა და პატარა ბალით ქულის ლაჭერა მოინდომა, მაგრამ წყლის ბიჭუნებმა ქულს ხელი სტაცეს და თავიანთ ქოქოთა ფურთუნებში ჩაახვიეს.

— ჩუბო მიო! ჩუბო მიო! — იძახდა ჩუბოცელი. უსლოლა წალებიც მდინარეში გადაეყარა, მაგრამ წისქვილის კაცი ხელებში ეცა.

— სჯობია, ნავები გაუშვა, წალები წყალში ჩაიძირება.

ჩუბომ რამდენიმე ქალალლის ნავი ვააკეთა და თოვლის ბიჭებს უკან გააყოლა.

ერთ ნავზე ეწერა: „ლალბა ბებია“.

ძეორეზე — „ალალბუ ბაბუა“.

მესამეზე — „უკუ“.

ნავებმა ჩაუარეს სხვადასხვა სოფელს, დაბას. ბავშვები კითხულობდნენ თოვლის კაცების სახელებს.

ჩუბი კი იდგა, გაჰყურებდა მათ და, თუ მართალს დავწერთ, ტიროდა.

წისქვილის კაციც უყურებდა, როგორ იყალყებოდა მდინარე და იქნეკდა ლა იქნეკდა პატარა ბალეს.

— რატომ იჭერდი ქულს? — ჰკითხა ჩუბომ. — მე ხომ ბაბუას გადავუგდე.

— ბაბუა წყალში არ ყოფილა. მოგეჩვენა და მეტი არაფერი.

— როგორ?

— როგორ და მისმინე, მოგიყვები, რა მოხდა წუხელ ღამით. ის იყო, დასაძინებლად დაეწექი, რომ უცებ მესმის: ბაკ-ბუკ, ბაკ-ბუკ. გავიხედე ფანჯარაში — ბაბუა თოვლის ცხენზე ზის, დანარჩენებიც მასთან არიან. დადიან სანაპიროზე. ვიფიქრე, წისქვილში ჩუბის მაგივრად მოვიდნენ-მეთქი. უცებ ვხედავ, ბაბუა ხელს იქნევს. მაშინვე ეშეება

ციდან ღრუბელი და მესმის, როგორ ეუბნება ბაბუა ბებიას:

— ადი, მოხუცო, მაგ ღრუბელზე, ყველას ერთად მაინც ვერ აგვიყვანს მაღლა.

მართლაც აცურდა ღრუბელი ცაში და თან დალბა ბებია წაიყვანა. მერე ერთიმეორის მიყოლებით დაეშვნენ მიწაზე ღრუბლის ცხენები. ბიჭუნები შემოახტნენ და აცურდნენ ზევით. ბაბუაც შეჯდა ცხენზე და უკუც. უნდა გენახათ, რა სასაცილო იყო, თოვლის ცხენი რომ მოახტა ღრუბლის ცხენს, მათ უკან კი გაცურდა ღრუბელი, რომელზეც წისქვილი იდგა.

— აა, თურმე რა ყოფილა! — თქვა ჩუბომ. — ახლა ყველაფერი გავიგე. დალბუ ბაბუამ თავისი თოვლის წისქვილი სხვა მხარეში გადაიტანა, იქ, სადაც ჯერ კიდევ ცივა...

ბიოჩიკა

მეორე დილით ეზოში ბებერი ძაღლი ფარაონი აყეფდა, ადექი, ჩემო პატრონო, სტუმარი გვეწვიაო.

დალბუ ბაბუას ფანჯარასთან, სტუმრებისათვის გაკეთებულ სკამზე, გოგონა იჯდა. ჩუბოს არასოდეს ენახა ასეთი პატარა გოგონა. თვალები ლურჯი ჰქონდა, ხორბლის მარცვლის ოდენა, თეთრი ქუდი ეხურა, მწვანე კაბა ეცვა, ოღონდ ესაა, ფეხშიშველა იყო!

— შენ რა, დედამ შინიდან გამოგაგდო?

— ნიკა დედა, — თავი დააქნია გოგონამ. — დედა არა მყავს.

ჩუბოს ახლა კი ეცნო ქუდი და კაბა, დალბა ბებიამ რომ მოქსოვა, ის იყო. აი, თურმე ვის ელოდა! აფსუს, წინდების მოქსოვა რომ ვერ მოასწრო.

ჩუბომ გოგონას თავის დედის ფეხსაცმელები მოუტანა. გოგონა შიგ ჩაძვრა და ისე იჯდა, გეგონება, დიდ ნავში ზისო, მხოლოდ თავი მოუჩანდა.

— მიო, ნიკ, პა, პი, რი. (არა, მე ახლა არ მცივა).

— აქ რას აკეთებ?

— სტუმრად მოვედ.. ...ს თოვლის პიტუნებთან, მაგრამ, ეტყობა, დამავიანდა, შეიძლება ამათ სახლში ვიცხოვრო?

— სახურავი რომ არა აქვს! — უთხრა ჩუბომ — ჩვენთან იცხოვრე. თუ არადა, ჩვენ სულაც ფარდულში გადავსახლდებით.

— მიო. გმადლობთ! მაგრამ მე სახურავქვეშ ცხოვრება არ შემიძლია. აბა, ქარი როგორ შემოვა ჩემს სახლში? ან მზე? ან ვარსკვლავები? ან მთვარე?

— კარგი, ეგრე იყოს, — უთხრა ჩუბომ. — აქ იცხოვრე. — რა გქვია?

— გიო, ჩიო, იკა.

— აა, გიოჩიკა[1] — გაეღიმა ჩუბოს. — გინდა, ჩემს კოშკს ძოგცემ?

— ნიკ, ტურა, ული, — თავი გააქნია გოგონამ, — მე მიწაზე მაქვს საქმე.

თქვა და ქუჩაში, დალბუ ბაბუას ქუდში ჩაწვა დასაძინებლად. ჩუბომ თავქვეშ ბალიში ამოუდო, ზემოდან კი თავისი ხელთათმანი დააფარა.

იმ ღამეს ჩუბოს ცუდად ეძინა. ეშინოდა, ვაითუ ვინმემ გამოიაროს, ქუდი წაიღოს და გიოჩიკაც ზედ მიაყოლოსო! ეზოში სულ ფეხის ხმა ესმოდა. წარამარა დგებოდა, ფანჯარასთან მიდიოდა, ბოლოს შუქიც აანთო.

გაეღვიძა დედას, ხედავს, შალის ძაფის გორგალი ტრიალებს იატაკზე, ჩუბოს სათვალე დაუკოსებია ცხვირზე და ზის! ღმერთო ჩემო! დალბა ბებიას ჩხირებით რაღაცას ქსოვს.

ჩუბო წინდას ქსოვდა, მაგრამ რაღაც სახელოს მსგავსი გამოუდიოდა.

დედამ მაშინვე დასაძინებლად დააწვინა, ხოლო დილით ბალიშთან ჩუბოს ორი ახალთახალი პატარა წინდა ედო

---

[1] გიოჩელ ძოლდავურად ენძელაა, ეს სახელი ერქვა გოგონასაც.

ჩუბო ეზოში გამოვარდა. დაინახა, გიოჩიკა ბალახში იჯდა, მიწაზე. ბალახი ღამით ამოსულიყო.

— ეს შენა ხარ, იონელ? სადაა გეორგელი? გააღვიძე, უკვე გაზაფხულდა. — ეუბნებოდა ვიღაცას გიოჩიკა და მარცვლის ოდენა ზანზალაკს აწკარუნებდა.

ამ დროს მიწიდან მწვანექუდიანებმა ამოჰყვეს თავი. ესენი იყვნენ გეორგელი, ილე, ვასილე.[1]

ჩუბოს უნდოდა გიოჩიკასთვის წინდები ჩაეცმია.

— არა, არ მინდა, მე ფეხშიშველა დავდივარ. ჯობია, ფრინველებს მოუქსოვო, ისინიც ხომ ფეხშიშველები არიან!

ახლა მოდი და იპოვე საშველი! ქვეყანაზე ამდენი ფრინველია, ვინ აუვა.

— გოლიათო, — თქვა გიოჩიკამ და ჩუბო თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა. — მე ერთ საიდუმლოს გაგიმხელდი, ყური ასე მაღლა რომ არ გქონდეს.

ჩუბომ ხელში აიყვანა და მხარზე შემოისვა.

— ტიო, იგო, უ, — უჩურჩულა გიოჩიკამ. — წუხელ ღამით ვიღაც მოვიდა და სულს მიბერავდა: ჰუ-ჰუ, ჰუუ-უ.

— აი, თურმე რა ყოფილა! ტყუილად კი არ ესმოდა ფეხის ხმა ღამით ეზოში. ჰოდა, გადაწყვიტა, დადარაჯებოდა, ვინ მივიდოდა ღამით გიოჩიკასთან.

მოსაღამოვდა. მალე დაღამდა კიდეც. ქუჩაში შესამჩნევად აცივდა. უცებ ჩუბომ გაიგონა: ბაკ-ბუკ! და ვიღაც მივიდა დალბუ ბაბუას ქუდთან.

ჩუბო გარეთ გამოვარდა და დაინახა, რომ კრავი დახრილიყო და, ჰუ-ჰუ, ჰუ-ჰუ — სულს უბერავდა გიოჩიკას, არ გაიყინოსო.

ერთხელ ჩუბოს დაესიზმრა, თითქოს მისი კრავი ვარსკვლავების დიდ ურემში იყო შებმული (მოლდავეთში დიდი დათვის თანავარსკვლავედს დიდ ურემს ეძახიან). ჭრი-

---

[1] იონელი — ქართულად ვასოა, გეორგელი — გიო, ილე — ილო, ვასილე — ვასო.

ალებენ ვარსკვლავების ურმის ამ ქვეყანასავით ძველთა-ძველი ბორბლები, ძლიერძლიერობით ვხილება კრავი ურემს ვარსკვლავების შუა.

— ხაით მაათრე ვარსკვლავების ურემს? — დაუკვირა ნუბომ. — ვხა ლაგებს�sა, დაიკარგება ვარსკვლავეთში. ხამყარი დიდია, შენ კი პატარა ხარ.

— მწვანე მთლიანებს ვეძებ, ლელას ლორთქო ბალახი უსლა ჩაძოვუტანო, — უპასუხა კრავმა.

ამ დროს ვიღაცამ ფანჯარაზე დააკაკუნა და ნუბოს გაელვიძა.

— ალი, ტრალი, ი, ა! (გძინავს, ნუბო? ადექი!) გესმის, წერილები მოფრინდნენ!

ჯერ ისევ ნახევრად მძინარე ნუბი გოთხიკასთან ერთად კოშკზე ავიდა. თან მხიარულად დაკრა ღოლს. გოთხიკ კი წერილების თელას შეუღგა:

— ცხრა, ათი და კიდევ ერთი თითი! კიდევ ერთი! სულ რამდენი ყოფილა, ნუბო?

აგე, შორს ყარყატიც გამოჩნდა, ნუბომ ღოლზე მის გასაგონად მარში დაუკრა.

მოფრინდნენ მერცხლები და გოთხიკას ალარ ჰყოფნიდა თითები მათ დასათვლელად.

კოშკზე ღოლი უკრავდა და ორგვლივ ყველაფერი მწვანით იმოსებოდა. აბოიჩარდა ითხელი, ტანი აიყარეს გეორგელმა, ილემ და ვახილემ. ახლა ისინი გოთხიკას წელამდე სწვდებოდნენ და ზურგზე მთელი ჭიანჭველის მოკიდება შეეძლოთ.

გახვრეტილი ქუდი

გაგეცინებოდათ, რომ მოგესმინათ, როგორ ესაუბრებიდა ჩუბოს მამა გიოჩიკას.

— გიამბო თხისა და თიკნების ამბავი? — ეკითხებოდა მოლდავურად.

გოგონა მხოლოდ მხრებს იჩეჩდა.

მამა ახლა რუსულად შეეკითხებოდა:

— თხაზე გინდა გიამბო რამე?

გიოჩიკა მხოლოდ თავს იქნევდა, არ მესმის, რას მეუბნები, კეთილო კაცო.

მაგრამ მამა არ ეშვებოდა.

— გუტენ მორგენ, — ეუბნებოდა მერე გერმანულად.

გიოჩიკა უსიტყვოდ აფახულებდა თვალებს.

მამამ გერმანულად სხვა არაფერი იცოდა, ამიტომაც ძალაუნებურად ფრანგულზე გადადიოდა და ეუბნებოდა:

— მერსი!

გოგონა ხმას არ იღებდა.

მამას, რა თქმა უნდა, გაგონილი ჰქონდა, რომ კიშინი-

ოვში არიან დიდი მეცნიერები, ჭკვიანები, გრძელწვერიანები.

— რაც უნდა თქვა, — უთხრა ერთხელ დედას, — გიოჩიკას კიშინიოვში წაყვანა მოგვიწევს. იქ გავიგებ, რომელი ქვეყნიდანაა!

— შენ რას ამბობ, ჭკუიდან შეიშალე? — უთხრა დედამ. — იმ მეცნიერებს წვერი აქვთ გრძელი, თორემ განა მართლა ყველაფერი იციან! გოგონას მუზეუმში დასვამენ! ან ცირკში წაიყვანენ! იქ ლომებია, დათვებია! ამაზე არ ფიქრობ?!

— ჰოო, — კეფა მოიფხანა მამამ.

ამით დამთავრდა დედაქალაქში გამგზავრებაზე საუბარი.

გიოჩიკასთვის მამამ საგანგებოდ გამოჭრა პატარა კარი, რომ იქიდან შემოსულიყო, წყლიან ეედროს კი პაწაწინა კიბე მიადგა. გიოჩიკა ჭამით არაფერს ჭამდა, წყურვილით კი სულ სწყუროდა. ჯამიდან ხომ ვერ დალევდა ქათმების წყალს.

გიოჩიკას საწოლიც გაუკეთეს და სადღაც კუთხეში კი არ დაუდგეს, არამედ კასა-მარეში[1], წითელვარდებიან ხალიჩასთან.

მაგრამ გიოჩიკას არაფრით არ უნდოდა საწოლში ძილი. ადრინდებურად ეზოში, ბაბუა დალბუს ქუდში წვებოდა.

დედამ შალის თბილი, ფოჩებიანი საბანიც მოუქსოვა, მაგრამ ერთ დილას ჩუბომ ფანჯარაში რომ გადაიხედა, დაინახა, საბანი მიწაზე ეგდო.

— ვაიმე, გაიყინებოდა! — შეშინდა ჩუბო.

გამოვარდა ეზოში, ხედავს, გიოჩიკას წინანდებურად ბაბუა დალბუს ქუდში სძინავს, ზედ კი ჭრელი საბანივით ორი პეპელა გადაფარებია.

---

[1] კასა-მარე — ყველაზე კარვი, ყველაზე ნათელი, ყველაზე ლამაზი ოთახია მოლდაკურ სახლში.

— აი, საბანიც ამას ჰქვია! — თქვა გიორგიკამ, როცა გაიღვიძა. — რა ლამაზია. როგორი ლამაზია! დიდი მადლობა!

პეპლები თვითონ ცოტა მოყინულიყვნენ და, რომ შემობარიყვნენ, ფრთები სწრაფად ააფათქუნეს.

— რა გქვია შენ? — დაუძახა ჩუბომ ერთს და უკან გაედევნა.

— შენ რომ უკვე ქუდი დამიფარო?

— მოიცა! — დაუყვირა ჩუბომ. — ქუდს გავხვრეტ. თუ დაგაფარებ, ისინიც გამოძვრები.

მართლაც გახვრიტა ქუდი. პეპელას გული დაუშშვიდდა და შეჩერდა.

— მე კირა მქვია, — უთხრა ჩუბოს.

— სად მიფრინავ?

— ეს ჩემი საქმეა. თქვენ, ადამიანებმა, გინდათ ყველაფერი იცოდეთ! — ფრთები აიქნია პეპელა კირამ და გაფრინდა.

მერე პეპელა კირა თავის მეგობრებს უყვებოდა, როგორ გახვრიტა ჩუბომ ქუდი.

მერცხლები კი სულ კოშკს მისჩერებოდნენ.

— ოჰ, როგორი კოშკია! შეიძლება ჩამოვსხდეთ კოშკის თავზე?

ჩუბომ, რა თქმა უნდა, ნება მისცა, კოშკის თავზე დამსხდარიყვნენ კიდეც და ბუდეც გაეკეთებინათ. ხელიც წაეშველა. გიორგიკასთან ერთად ბუმბულს და ხმელ ბალახს აგროვებდა.

თითქმის ოცი ბუდე გააკეთეს მერცხლებმა კოშკზე.

ერთი მერცხალი, რომელსაც პაიცას ეძახდნენ, ჩუბოს მხარზე შეაჯდა.

— ვეთაყვა, ძალიან გთხოვთ, — სთხოვა ბიჭს, — მობრძანდით ჩვენთან სტუმრად. ოღონდ ზღურბლთან წალები გაიხადეთ. ბოდიშს კი ვიხდით, მაგრამ თქვენი ზომის საშინაო ჩუსტები არა გვაქვს. ქუდი საკიდარზე ჩამოჰკიდეთ, კარს უკან.

ჩუბომ პირი დააღო. არც ერთ ფრინველს არ მიუწვევია იგი ბუდეში. ანდა შიგ როგორ უნდა ჩატეულიყო?!

მერცხალი კი აუფრინდა მხრიდან და ჩუბომ გაიგონა სიმღერა:

ქეთილია და პატიოსანს
ყველგან ხურავს სანდო ჭერი,
მერცხლის ვიწრო ბუდეშიც კი
ჩასკუპდება ფრენა-ფრენათ...

რაღას იზამდა, წაღებიც გაიძრო და ქუდიც მიუხადა მერცხალს.

— გმადლობთ, ჩუბო, — თავი დაუკრა მერცხალმა. — წელს ჩვენს ზღურბლზე ფეხთ არავის გაუსდია, არც ქუდი მოუხდია არავის ჩვენს ბუდესთან.



გავრილა

მას შემდეგ, რაც გიოჩიკა გამოჩნდა, დედას საზრუნავი შეუმცირდა, გეგონება, შინ მოზრდილი ქალიშვილი ჰყავსო. წიწილებს ხომ გიოჩიკა აპურებდა.

მართალია, ჯამში საკენკს ჩუბო ყრიდა, შიგ გიოჩიკას სვამდა და ჯამს მხარზე იდგამდა. გიოჩიკა მაღლიდან უყრიდა საკენკს წიწილებს, ჩუბო კი უძახდა:

— წიპ-წიპ, წიწილებო.

სახლს ვიღა ჰგვიდა?

მართალია, ცოცხი დიდი იყო, გიოჩიკა ვერ მოერეოდა და ჩუბოს ეჭირა, მაგრამ გიოჩიკა უხსნიდა, როგორ მოემარჯვებინა.

— ეი ასე, კარგია. ახლა აქ გამოგავე, — ეუბნებოდა ცოცხის კუდზე დასკუპული. — არ გეგონოს, რომ ვქანაობ, უბრალოდ ერთად ვგვით იატაკს.

ჩუბო ზოგჯერ საქმეს თავს ანებებდა, კოშკზე ადიოდა და ეზოს ბატონ-პატრონად გიორჩიკა რჩებოდა.

ერთ საღამოს დედამ შეამჩნია, რომ ვედროში წვეთი წყალი არ დარჩენილიყო. ნუთუ გიორჩიკამ დალია სულ, სანამ ჩუბო კოშკზე იყო ასული?

— არა მჯერა, — თქვა მამამ. — ალბათ დაღვარა.

მეორე დღეს ჩუბომ კოშკიდან დაინახა, როგორ შეფრინდნენ მერცხლები ერთიმეორის მიყოლებით გიორჩიკას კარებში.

თვითონ გიორჩიკა წინ და უკან დარბოდა, ხან სახლში შევარდებოდა, ხან გამოვარდებოდა. პირს წყლით აივსებდა და ეზოში ყვავილებს აპკურებდა. მერცხლებსაც ნისკარტებით გამოჰქონდათ წყალი, ბალახს ასხამდნენ.

— მოეშვით მაგ საქმეს, — უთხრა ჩუბომ. — წვიმა წამოვა და მორწყავს.

— წვიმა წამოვა?

— ჰო, წვიმა! — აუხსნა ჩუბომ. — სოფელს ღრუბელი გადაუვლის და გაწვიმდება.

გავიდა ერთი დღე, მიჰყვა მეორე. მზე აცხუნებდა, წვიმა კი არადა არა ჩანდა.

ერთხელ ჩუბომ ღრუბელი შეამჩნია. გიორჩიკასთან ერთად სწრაფად ავიდა კოშკზე და მთელი ხმით აყვირდა:

ოჰ, ღრუბელო, ღრუბელო,
ბროლის კოჭებიანო,
გაიძრე ეგ ჩექმები,
ჩამოუშვი ფეხები!

გიორჩიკამ ბაბუას ქოლგა გაშალა, ღრუბელი რომ მიმხვდარიყო, ქვემოთ წვიმას ელოდებიანო.

— მიდი ერთი, გაიქეცი, გამიგე, რა უნდათ იმ ბავშვებს, — უთხრა მამიდა ღრუბელმა თავის ძმისწულს, ღრუბელ გავრილკას.

— ასლავე! — დაიძახა გავრილკამ, დატრიალდა სოფლის თავზე და თითქოს შემთხვევით კოშკთან მიფრინდა.

ჩუბომ თვალის დახამსამებაც ვერ მოასწრო, რომ მოხერხებულმა გავრილკამ ქოლგას ბოლო გაშოსდო და გიოჩიკა ცაში აიტაცა.

გავრილკა მაღლა-მაღლა მიიწევდა, გიოჩიკა კი ქვემოთ იყურებოდა. თავბრუ დაეხვა, თვალწინ ყველაფერი აუთამაშდა: სახლები, ხეები. მზე ხან მარჯვნიდან უნათებდა, ხან მარცხნიდან, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ხან აქეთ გადაქანდებოდა, ხან — იქით. გიოჩიკას თვალზე ხელის აფარება უნდოდა, მაგრამ, ვაი, გაახსენდა, ქოლგაზე რომ იყო ჩამოკიდებული.

მერცხალმა პაკიცამ კოშკიდან დაინახა, როგორ მიფრინავდა ცაში გიოჩიკა და ისე შეეშინდა, ერთი ამბავი ატეხა.

მერცხლები ჩუბოს თავს ზემოთ დატრიალდნენ

— იკა, ბიკა, ა? (ცხვირსახოცი თუ გაქვს?)

ჩუბომ ამოიღო ჯიბიდან ცხვირსახოცი. მერცხლებმა კუთხეებში ნისკარტები ჩააელეს და გიოჩიკასთან გაფრინდნენ. თუ ვინიცობაა, ჩამოვარდებოდა, დაეჭირათ.

ანც გავრილკას კი გოგონა სულ ზევით და ზევით მიჰყავდა, პირდაპირ თავის სახლში მიაქროლებდა.

მამიდა ღრუბელმა რომ გიოჩიკა დაინახა, მოიღუშა.

— ჰე, გავრილკა, — თითი მუქარით დაუქნია, — ისევ სისულელეს სჩადიხარ! მხოლოდ ეშმაკობაზე ფიქრობ!

მამიდას გავრილკასთვის ერთი კარგად უნდა წაექიმუნჯებინა, მაგრამ, გოგონა რომ შეათვალიერა, მოლბა. გიოჩიკა მიეწონა და გავრილკას ხუჭუჭა თავზე კიდეც მოეფერა.

გავრილკამ სასწრაფოდ გააკეთა პატარა მფრინავი სკამი და ზედ დაასკუპა გიოჩიკა.

— მიო, — უთხრა გოგონამ.

ამ დროს სტუმრის სანახავად ნაირ-ნაირი ნათესავ-ღრუბლები მოფრინდნენ, ზოგი ლომისფაფარა, ზოგი მამლისბიბილოვანი, ზოგი კურდღელივით ყურცქვიტა.

— ყოჩაღ, გავრილკა! — გაიძახოდნენ ერთხმად. — შეცულლუტო, შენა! რა გოგო გიპოვია!

გავრილკა იპადრეპოდა და ოვალს აპაჭუნებდა.

— აბა, ვოვონა, თქვი, რა ვინდოდა? — ჰკითხა ღრუ-ბელ-მამიდამ გიოჩიკას.

— ირი, მირი, ტიო, დუ! (ბალახს წყალი უნდა!) — თქვა გიოჩიკამ და პეშვი პირთან მიიტანა.

— შენ, ეი, გავრილკა! — მკაცრად დაუყვირა მამიდამ. — შეახედე საკუჭნაოში, კოკები სავსეა წყლით?

— ახლავე! — დაიყვირა გავრილკამ და საკუჭნაოსკენ გაიქცა.

უცებ ცის თაღი ისე ჩამობნელდა, ოითქოს უშველებელმა შავმა ფრინველმა ქვეყანას ფრთები გადააფარაო. ხან აქ, ხან იქ ნაპერწკლები ყაცვიედა.

— ფრთხილად! — იყვირა მამიდამ. — ცეცხლს ნუ ეთამაშები! თორემ გაიღვიძებს ბაბუა — მეხთამტეხი! დგას კოკებში წყალი?

— თითქმის ყველა სავსეა! შეიძლება გადავლვარო?

— მოიცა! როცა გეტყვი, მაშინ ქენი! — უყვირა მამიდამ. და გიოჩიკას მიუბრუნდა, — ასე, ჩემო ვოვონა, ჩამოვცლით კოკებს შენი სოფლის თავზე, შენ კი ჩქარა გაიქეცი შინ. ეტყობა, ამ ცულლუტმა მაინც გააღვიძა ბაბუა.

გიოჩიკა გადმოხტა მფრინავი სკამიდან, მერცხლებმა ცხვირსახოცი გაუშალეს და დაიჭირეს.

სწრაფად ეშვებოდნენ ისინი დაბლა, მავრამ კოშკამდე კიდევ დიდი მანძილი ედოთ, შორიდან რომ მოესმათ:

— გრუხ! გრუხ! გრუხ!

მერე უფრო ხმამაღლა და საშინლად:

— გრუხ! გრუხ! — თითქოს მიწაზე რიყის ქვები ცვიოდა.

გაიღვიძა ბაბუა — მეხთამტეხმა:

— ეეჰ, გავრრრიიიილლლკა! — ამოიღმუვლა ბრაზიანად. — რად გგგააამმმააღღღვვვიიიძძძეეე!

გამოჰყო ბაბუამ ულვაშები — ელვამ ცის თაღი გადასერა. გადმოპირქვავდა მიწაზე სავსე კოკები, დაუშვა წვიმამ

გიოჩიკა უკვე კოშკზე იყო. ჩუბოს ხელისგულზე დაასკუპდა.

— ოჰ, როგორ შემეშინდა, — გამოუტყდა ჩუბოს — გავრილკა დიდი სასაცილო ვინმე ყოფილა.

მთელი დღე წვიმდა სოფელში.

საღამოს კი დედამ თქვა:

— დღეს გიოჩიკამ შინ უნდა დაიძინოს. ასეთ წვიმაში გარეთ ძილი არ შეიძლება.

— ნიკ, ნიკ! — თქვა გიოჩიკამ. — მიო, მიო.

და, როგორც ყოველთვის, ბაბუა დალბუს ქუდში ჩაწვა.

მაშინ მამამ აიღო ქუდი, ტაბურეტზე დადო და ზედ ქოლგა გაშალა.

მთელი ღამე წკაპუნებდნენ ქოლგაზე წვიმის წვეთები:

— გავრილკამ მოგიკითხა! გავრილკამ მოგიკითხა! გავრილკამ მოგიკითხა!

წისქვილის კაცის ქორწილი

ერთ დილას ჩუბომ დალბუ ბაბუას ქუდის ვეერდით ასანთის ნამწვი იპოვა. ეტყობა, ღამით ვიღაც იყო და დაგდო, მაგრამ ვინ იყო, გიოჩიკამ არ იცოდა — ეძინა.

მეორე დღეს სანთლის ნამწვი ნახეს, მესამე დღეს კი მამამ ფანჯარაში ანთებული სანთელი დაინახა.

— კეთილი კაცია, არ იღელვო, — თქვა დედამ.

— სახლს რომ ცეცხლი წაეკიდოს?

ჩუბო ეზოში გავარდა და წისქვილის კაცი არ დაინახა?!

— შენ ანთებ სანთლებს? — ჰკითხა ჩუბომ.

— მე ვანთებ.

— რად ანთებ?

— ამ ეზოონას ყურება მინდა.

წისქვილის კაცი სიცივისაგან გათოშილიყო და ჩუბომ შინ შეიყვანა.

დილით გიოჩიკამ გაიღვიძა და დაინახა, ღამის ზედ ეფინა ვიღაცის თეთრი გრძელი წვერი.

— დილა მშვიდობისა, — მიესალმა გიოჩიკა.

წისქვილის კაცმა არ იცოდა, რა ეთქვა და დაიბნა.

— წვერი მოძქარე, — ამის თქმაღა მოახერხა.

გიოჩიკას გაეცინა და სტაცა წვერში ხელი. წისქვილის კაცმა თავი დაიქნია და გიოჩიკა ისე დაირწა, როგორც საქანელაში.

გოგონა რომ მიწაზე დასვა, წისქვილის კაცი გაიქცა: შეშინდა, უცებ რომ მკითხოს, რა გქვია, რაღა ვქნაო?

— „მართლაცდა, რა მქვია?! დამავიწყდა!... მარტოდმარტო ვცხოვრობ და აი, ყველაფერი დამავიწყდა...ეეჰ!"

ის დიღხანს იჯდა კოშკის უკან და თავის თავს სახელს უგონებდა.

— თეთრქუდა, მე თეთრქუდა მქვია, — უთხრა მერე გიოჩიკას და მაშინვე გაიქცა, მაგრამ მალე მობრუნდა და ჩუბო ოითით თავისკენ მიიხმო.

— გესმის, — უთხრა ჩურჩულით. — ეს გოგონა რომ დავინახე, პირი ღია დამრჩა და, ეტყობა, ესეიგი ჩამეძინა ძილში კი პირში ფრინველი ჩამიფრინდა. ახლა ფრთებს აფათქუნებს ჩემს მკერდში.

ჩუბომ მკერდზე ყური მიადო.

— ეგ გულია, — უთხრა ჩუბომ, — აქამდე არ გიგრძვნია?

— არასოდეს, — გამოუტყდა წისქვილის კაცი, — მაგრამ შენ ცდები, ჩიტი ფართხალებს ჩემს მკერდში.

მას შემდეგ წისქვილის კაცი ყოველდღე დადიოდა სოფელში.

სანამ იქ წავიდოდა, მონდომებით ივარცხნიდა წვერს, იწმენდდა წაღებს, იკერებდა ღილებს. წისქვილს მიალაგებდა, ფანჯრებს დაწმენდდა, იატაკს მორეცხავდა.

წისქვილიდან სოფლამდე გზად ყვავილებს ესაუბრებოდა, უფრო მეტად ლურჯსა და ცისფერს.

ერთ დილას კი აღარ ესტუმრა ვიოჩიკას. არც ნასადილევს გამოჩნდა.

ნეტა, რა მოხდა?!

ჩუბო კოშკზე ავიდა, მაგრამ წისქვილის კაცი იქიდა-

ნაც ვერ დაინახა. უცებ თვალი მოჰკრა თეთრკუდა მერცხალს.

— ეს მერცხალი, ალბათ, წისქვილიდანაა, — მიხვდა ჩუბო, — კუდი გაფქვილული აქვს.

წისქვილის მერცხალო,
დაფრინავ ცაში,
წისქვილის კაცი
არ შეგხვდა გზაში? — ჰკითხა ჩუბომ.

მერცხალმა კი უპასუხა:

ჩვენი წისქვილის კაცი
მდინარეზე დავახვახებს
და ფაფუკი თეთრი წკერ ით
წისქვილის ქვას არახრახებს.

„ავად ხომ არ გახდა?“ — იფიქრა ჩუბომ და წისქვილში გაიქცა.

წისქვილის კაცი სალ-სალამათად იყო, მდინარის პირას დარბოდა და პეპლებს იჭერდა.

— წისქვილი რატომ დგას?

— შვებულება მაქვს, — უთხრა წისქვილის კაცმა. — დროა, დავისვენო!

წისქვილის კაცი ეშმაკობდა. პეპლებს იმიტომ დასდევდა, ამოწმებდა, დავბერდი თუ არაო.

— მისმინე, ჩუბო! მინდა საჩუქარი მოგცე!

— საჩუქარი? — გაუხარდა ჩუბოს. — რა?

ძიამ მაკრატელი ამოიღო და თვალის დახამხამებაში წვერი მოიჭრა.

— გამომართვი!

— რა კარგია! — ეაიხარა ჩუბომ. — წვერი მაჩუქე? მაგრამ როგორ გავიკეთო?

— ფქვილით მივაწებოთ.

წისქვილის კაცმა მაშინვე გახსნა ერთი მუჭა ფქვილი წყალში და ცომით მიუწება ჩუბოს წვერ-ულვაში. თან გუ-

ლიანად იცინოდა: — ხა-ხა-ხა! — ახლა შენ ჰგავხარ მოხუ-ცებულს, მე წვერი აღარ მჭირდება, ცოლს ვირთავ!

— აი, მესმის! — უთხრა ჩუბომ. — ქორწილი როდისაა?

— სამ დღეში.

ჩუბო შინ მობრუნდა.

მეორე დღეს, წისქვილს რომ მიუახლოვდა, ჩუბომ დო-ლის ხმა გაიგონა. სასიძო დოლის დაკვრას სწავლობდა. მედოლისა და დოლის გარეშე ქორწილი რა ქორწილია?!

— პატარძალთან ვინ იცეკვებს? — ჰკითხა ჩუბომ.

— მე, აბა სხვა ვინ?

— ზურგზე დოლაკიდებული?

— დიახ, ზურგზე დოლაკიდებული.

— სისულელეა, — უთხრა ჩუბომ. — წესი არ არის. მე მყავს ერთი საიმედო მეგობარი, ის დაგვეხმარება.

სამ დღეს ემზადებოდნენ საქორწილოდ. კრავს შუბ-ლით დოლის დაკვრა ასწავლეს. სხვათა შორის, გვარია-ნად გამოუვიდა.

მერე თაფლის სანთლები ჩამოქნეს, რომ საღამოს ქორ-წილში შუქი ჰქონოდათ. სამი ტოლმა შეახვიეს, ერთი, ცოტა მოზრდილი, ჩუბოსათვის, ორი მომცრო — სიძე-პა-ტარძლისათვის.

წინა ღამეს ნამცხვრები აცხვეს. ცომისაგან სამი ფი-გურა გააკეთეს: დალბუ ბაბუა, ბებია და ბიჭი უკუ, რომ ზამთრის მეგობრებიც ყოფილიყვნენ ქორწილში.

დილისთვის წისქვილის კაცი და ჩუბო ძალიან დაიქან-ცნენ და ღრმა ძილით ჩაეძინათ, ქორწილში პატარძლის მოწვევა კი დაავიწყდათ.

დაიწყო ქორწილი. გაისმა დოლის რაკარუკი.

ეს საქორწილო დოლს დაჰკრა რქები კრავმა.

ჩუბოს ეძინა. სასიძომ თავი ბალიშის ქვეშ შერგო — დოლი ძილს უშლიდა. ვინ არაკუნებს? ნახა რა, დრი!

კრავი კი არ ჩერდებოდა:

— დამ-დამ, დარა-რა! დამ-დამ, დარა-რა!

გიოჩიკას სოფლიდან დოლის ცემა მოესმა.

— ნეტა, ვისა აქვს დღეს ქორწილი? — გაიფიქრა და წისქვილში გაიქცა.

მიირბინა და სადაა ქორწილი?! მხოლოდ კრავი უბაგუნებდა შუბლს დოლზე.

გაუხარდა კრავს, გოგონა რომ დაინახა, და უფრო მხიარულად ააბაგუნა დოლი.

გიოჩიკამ ცეკვა დაიწყო, მის თავს ზემოთ კი უცებ ღრუბელი გამოჩნდა, ქვევით ჩამოცურდა და დატრიალდა. ეს, რა თქმა უნდა, ღრუბელი გავრილკა იყო.

დიდხანს ცეკვავდნენ გიოჩიკა და გავრილკა, ერთი მიწაზე, მეორე — ცაში.

— ჰეი-ჰეი, გიოჩიკა! — ჩამოსძახებდა გავრილკა. — უჰ! უჰ! გავუსვათ და გამოვუსვათ!

ამდენი ტაში-ტუშისაგან სასიძოს გამოეღვიძა და აყვირდა:

— ჩუბო, ადექი! ჩემი საცოლე მოვიდა!

— მე ვარ საცოლე?! — გაოცდა გიოჩიკა. — მე რა საცოლე ვარ? დედამიწას ცოტა ხნით ვესტუმრე და მალე დაგტოვებთ.

— პატარძალო, პატარძალო! — დაიყვირა სასიძომ. — შენ ჩემი საცოლე ხარ!

— სად გინახავს ფეხშიშველა პატარძალი? — მიაძახა გოგონამ და რეუტის სანაპიროზე გაიქცა.



მაღალი სტუმარი

სამი მამალი — ერთი შინაური და ორი მეზობლისა — დილითვე აყივლდა ზღურბლზე: ყიყლიყოო!

— სტუმრები გვეწვევიან, — თქვა ჩუბოს დედამ.

თავი ხილაბანდით წაიკრა და საქმეს შეუდგა: მორეცხა, დაწმინდა და გაფხიკა მთელი სახლი, კედლები აქა-იქ შეათეთრა, კარი შეღება.

საქმიანობდა და დროდადრო გზასაც გაჰყურებდა: ხომ არავინ მოდისო? მაგრამ სტუმრები არა და არ ჩანდნენ.

გაბრაზებულმა წნელით გადარეკა მამლები ეზოდან, მომატყუესო.

იმ ღამეს კარზე არავის მოუკაკუნებია. გამთენიისას კი ჩუბო გაქრა.

გიოჩიკამ ნახევრადმძინარე წაიყვანა რეუტზე.

მდინარის ნაპირს რომ მიადგნენ, გიოჩიკამ უთხრა ჩუბოს:

— იბანავე.

ჩუბო წაძით არ შეყოყმანებულა. სწრაფად გაიხადა და წყალში ჩასტა.

ნაძძინარევი რეუტი ბუტბუტით მიაგორებდა ქვევით ტალღებს.

ჩუბო ერთი ჩაყერეყუმელავდა წყალში და ნაპირზე ავიდა. გიორჩიკამ სუფთა პერანგი მიაწოდა.

— უყურე, მდინარეს როგორი ორთქლი ასდის! — უთხრა ჩუბომ გიორჩიკას. — მე გავათბე რეუტის წყალი, ახლა შენც შეგიძლია იბანაო.

გიორჩიკაც შევიდა წყალში.

ჩუბო და გიორჩიკა შინ რომ დაბრუნდნენ, დედა და მამა აღელვებულები დახვდათ.

— სად იყავით ამ დილაადრიან?

— რეუტზე, — უპასუხა ჩუბომ. — ვბანაობდით.

— თქვენც უნდა დაიბანოთ. — თქვა გიორჩიკამ. — მალე მაღალი სტუმარი უნდა გვეწვიოს!

აი, თურმე რატომ ყიოდნენ მამლები! ესე იგი, არ ტყუოდნენ.

დედა და მამა გიორჩიკას არ შეკამათებიან, ძალიან მოსწონდათ და იმიტომ. მამა წყლით სავსე კასრში ჩაძვრა, დედა ვარცლში ჩაჯდა, ფარაონს ვედროთი გადაასხეს წყალი.

— ისქარეთ, — ამბობდა გიორჩიკა — საცაა სტუმარი კარზე მოგვიკაკუნებს!

დედამ და მამამ გადაიცვეს სუფთა ტანსაცმელი, გოგონამ ანიშნა, მომყევითო.

გამოვიდნენ გარეთ და ეზოში, იმ ადგილას, სადაც ოდესღაც ბაბუა დალბუ იდგა, მათ მართლაც ელოდათ მაღალი სტუმარი.

მართალია, ჯერ არ იყო ისე მაღალი, მაგრამ თვალდათვალ იზრდებოდა და უკვე ოქროსფერი ფარფლებიანი ქუდი ეხურა.

— ეეჰ! — გაოცდა მამა, დედამ კი თავი დაუკრა, მიესალმა და უცებ ყველამ ერთად — ჩუბომ, დედამ, მამამ, გიოჩიკამ — ხელი ხელს ჩაჰკიდეს და ამღერდნენ:

ციმციმა ბროლიდან
მოხვედი შორიდან,
ო, მაღალო სტუმარო!
ძნელ გზაზე იარე,
ცალ ფეხზე იარე,
ო, მაღალო სტუმარო!
შენა ხარ მზის ძმა და
სტუმარი კარისა,
მზის ჩასვლა-ამოსვლა,
სინათლე ოვალისა,
ო, მაღალო სტუმარო!
შენა ხარ
ღვთაება,
ყვავილი მშვენი,
გმადლობთ, რომ მოქარვე
სახლ-კარი ჩვენი,
ო, მაღალო სტუმარო!

ასე მღეროდნენ და ტაშს უკრავდნენ.

სიმღერის ხმაზე მოფრინდნენ პეპელა კირა და ფუტკარი მარიუცა.

— მე გუშინვე ვიცოდი, სტუმარი რომ გვეწვეოდა, — თქვა ფუტკარმა.

— მე გუშინისწინ! — იცინოდა კირა.

ჩუბომ სოფელს ჩამოურბინა.

— ადექით! — უკაკუნებდა ფანჯრებში. — მაღალი სტუმარი გვეწვია. დალბუ ბაბუას სახლშია. ბაბუამ თავისი ადგილი დაუთმო.

მამამ ფარდულში ორი კასრი შეაგორა, ყველას, ვინც სტუმრის სანახავად მოდიოდა, უნდა ებანაა.

ვინც საზიდრით მოდიოდა, ჭასთან ჩერდებოდა და ცხენებს თითო ვედრო წყალს ავლებდა. ერთი ბრიყვი ჩაშავე-

ბულ-გაზინთული ტრაქტორით მოვიდა. ის დიდხანს. არ ამოუშვიათ კასრიდან.

— ჩუბო, მომხედე, — უთხრა ძია ტოადერმა. — გუშინ დავიბანე. შემახედე რა, სტუმრისთვის!

— ჩადი კასრში!

— ვერ ჩავეტევი.

ძია ტოადერს ნაწილ-ნაწილ მოუწია დაბანამ. დაბანისა და სტუმრის მისალმების შემდეგ ჭიდან კასრებით წყლის ზიდვას შეუდგა.

— ჩუბო, მისმინე, — უთხრა ბაბუა გეორგემ. — ტანი კი დავიბანე, მაგრამ გული ვერა მაქვს რაღაც სუფთა.

— რატომ?

— ჩემს დედაკაცს წავეჩხუბე.

— ახლავე შეურიგდეს, — თქვა გიორჩიკამ.

ბაბუას შინ წასვლა მოუწია. იქიდან თავის დედაკაცთან ერთად მობრუნდა.

— მულცუმესკ! — მიესალმა დედაკაცი მაღალ სტუმარს.

რა თქმა უნდა, ყველა არ მოდიოდა დალბუ ბაბუას სახლში.

— ნეტავი თქვენა! — თქვა ერთმა ჯიუტმა კაცმა. — მეტი საქმე არა მაქვს, რაღაც მზესუმზირას სანახავად დაეიბანო. აგერ, მინდორში, რამდენიც გინდა იმდენია. ჭუჭყიანიც კარგად შევხედავ!

— მინდორში ასეთი მაღლები არ არიან. ვერა ხედავ, თვალდათვალ იზრდება!

— სულ ერთია, არ დავიბან! არც შევხედავ! — იმეორებდა ჯიუტი კაცი.

ამ დროს ცაზე პატარა ღრუბელი გამოჩნდა.

აქეთ-იქით დაფრინავდა და ბოლოს მაღალი სტუმრის თავზე შეჩერდა. რა თქმა უნდა, ეს გავრილკა იყო.

რამდენიმე სოფლელი ბიჭი კოშკზე ავიდა და გავრილკას ჯოხები და ქვები დაუშინეს.

— გავრილკას თავი გაანებეთ! — დაიყვირა გიოჩიკამ.

— მიმიფურთხებია მაგათთვის, — გაიცინა გავრილკამ და წვერი დააქნია. წვერიდან მიწაზე მსხვილი, მძიმე წვეთები ჩამოცვივდა, კოშკიდან კი — ბიჭები.

— ეი, გიოჩიკა, — დაუძახა გავრილკამ. — ჩუბოს უთხარი, რომ უკუმ, ბაბუამ და ბებიამ მოკითხვა შემოუთვალეს. თოვლის ბიჭუნებიც სალამს უგზავნიან! გუშინწინ ვნახე ყველანი!

ამ დროს სადღაც შორიდან მოისმა ბუზღუნი:

— სადა ხარ, გავრრრილლლკა! საღ დაიკარრრგეეე?!

გავრილკა აფართხალდა, ვანსე გახტა, მაგრამ მოასწრო და მინდორში მდგარი ის ჯიუტი კაცი კარგად ამოლუმპა.

დალბუ ბაბუას სახლში კი, ხუსტად ფანჯრის მოპირდაპირე მხარეს, მეორე მზესუმზირა ამოიწვერა და აყვავილდა.

როგორ მოატყუა ჩუბომ წისქვილი

თეთრკუდა მერცხალს ყოველდღე მოჰქონდა კუდით წისქვილის ამბები. კუდი ხან თეთრი ჰქონდა, ხან მოყვითალო.

თუ ჩუბო კოშკზე თეთრ დროშას გამოფენდა, სოფელში ხალხმა იცოდა, რომ წისქვილში ხორბალი იფქვებოდა, თუ ყვითელს, მაშინ სიმინდი.

მაგრამ დადგა ცხელი დღეები, რეუტში წყალმა იკლო და წისქვილის ბორბალიც ძლივს ბრუნავდა.

— წისქვილს ფრთები ხომ არ გავუკეთოთ? — თქვა ერთხელ ჩუბომ.

— ჩუბო, ჭკუის კოლოფი ხარ! — აღფრთოვანდა წისქვილის კაცი. — ნამდვილი ჭკუის კოლოფი!

— ცოტას რეუტი დაატრიალებს, — განაგრძობდა ჩუბო, — ცოტას ქარი და წისქვილი დღედაღამ იმუშავებს.

მთელ კვირას მუშაობდნენ ისინი და კვირა დღეს ფრთები უკვე მზად იყო.

კარვი ფრთები გამოვიდა, გრძელი, ფართო! ოღონდ არ ტრიალებდნენ!

ვერც ჩუბომ და ვერც წისქვილის კაცმა ვერ მოიფიქრა, რომ წისქვილი დაბლობზე ედგათ, ქარი კი მთა-გორებზე დაქრის. ასე რომ, ფრთები არაფერში გამოადგებოდათ.

გავიდა დღე, მიჰყვა მეორე, კიდევ ერთი კვირა და უცებ სოფელს კოკისპირული წვიმა დაატყდა თავს.

იღრიალა რეუტმა და ისე დაატრიალა წისქვილის ბორბალი, გეგონებოდა, სადაცაა, ნაწილ-ნაწილ დაშლისო.

კოკისპირულ წვიმასთან ერთად დაბლობზე გრიგალის კუდიც შემოფრინდა.

იღრიალა გრიგალმა და წისქვილის ფრთები ისე დაატრიალა გეგონებოდა, სადაცაა, ნაწილ-ნაწილ დაშლისო.

თვალის დახამხამებაში დაფქვა წისქვილმა, რაც ხვიმირაში ხორბალი ეყარა, და ბორბალიცა და ფრთებიც ახლა ტყუილუბრალოდ ბრუნავდნენ.

წისქვილის კაცს უნდოდა სოფელში გაქცეულიყო, ეთქვა, მოიტანეთ ხორბალიო, მაგრამ თავსხმაში აბა ვინ რას მოიტანდა!

წისქვილი კი სიბრაზისაგან აძიგძიგდა.

— სად არის ხორბალი? — იღრიალა, ბორბალს დგანდგარი აუყენა და უცებ ადგილიდან დაიძრა. ფრთების ფათქუნ-ფათქუნით სანაპიროს გაუყვა, მერე მკვეთრად იბრუნა პირი და პირდაპირ პურის ყანას მიაშურა. წისქვილის კაცი გარეთ გამოვარდა და ნაპირზე დარჩა პირდაღებული.

ჩუბო რომ კოშკიდან ჩამოდიოდა, წისქვილის მერცხალი მოფრინდა.

— ჩუბო, უბედურება მოხდა!

— ვიცი, ყველაფერი ჩემი თვალით დავინახე, — უთხრა ჩუბომ და პურის ყანისკენ გაიქცა. ფერდობს იქიდან ყანისაკენ წისქვილი მორბოდა, ღრიალებდა, ძიგძიგებდა.

— შეჩერდი, წისქვილო! — დაუყვირა ჩუბომ, — შეჩერ-

დი, ვეუბნები! შენ რა, ჩუბოს ველარა ცნობ! ფრთები ხომ მე ვეგასხი!

— გრრ-გრრ! თხ-თხ, — გრიალებდა და თახთახებდა წისქვილი. — რამდენი ვინმე აქ დადის, აბა, რა ვიცი, ვინა ხარ!

— ყანაში არ შესვიდე, გესმის? ჯერ ლორთქოა. უკან დაიხიე, თორემ ტორიოლებსა და პეპლებს დაფქვავ!

— გრრ-გრრ-გრრ! ჰოფ-ჰოფ-ჰოფ! ტყაპ-ტყუპ! ვერ ვიგებ ადამიანის ენას!

რა ქნას ჩუბომ? ახლომახლო კაცის ჭაჭანება არ არის.

უცებ მოისაზრა, გაიძრო პერანგი, გამოკვანძა საყელო, ვითომ ტომარააო, ჩააგდო შიგ ქუდი და წისქვილს დაუძახა:

— ჰეი, წისქვილო! ხორბალი მოვიტანე!

მოიხედა წისქვილმა, ხედავს, მართლა დგას გზაზე ტომრიანი კაცი.

— გრრ-გრრ-გრრ! ტყაპ-ტყუპ! მოიტა ხორბალი!

— ჯერ არა! წავიდეთ, სადაც იდექი! გზადაგზა კი ვერ დავყრი მე ჩემს ხორბალს, — უთხრა ჩუბომ, ზურგი შეაქცია წისქვილს და მდინარისაკენ წავიდა.

დაიბნა წისქვილი და ისევე გაჰყვა ჩუბოს, როგორც ადრე ძროხამ მისდია თოვლის ბიჭუნებს.[1]

მიიყვანა ჩუბომ წისქვილი თავის ადგილას, მიცვივდა ხალხი და წისქვილი დიდ ბოძს მსხვილი თოკით მიაბეს.

მხოლოდ მაშინ მოკუმა წისქვილის კაცმა პირი და ნიკაპი მოიქექა, თურმე, ნუ იტყვით და, ისევ ეზრდებოდა წვერი.

---

[1] ნეტავ, სად არიან თოვლის ბიჭუნები? მენატრებით, ცალთვალებო!



ხიდი

ლოკოკინამ ნიჟარიდან თავი გამოყო, მზეს შეხედა — უნდა ეჩქარა!

ავიდა ბორცვაკზე, რომელიც მთად მოეჩვენა, და ქვევით მდინარისაკენ დაეშვა.

რა მოხდა? სად გაქრა ხიდი? სულ ახლახან აქ იყო, თავის ადგილას, ახლა კი მხოლოდ ორი ხის ფეხი მოჩანს წყლიდან.

„გუშინდელმა ქარიშხალმა გაიტაცა, — გაიფიქრა დეიდა ლოკოკინამ. — რა ვქნა ახლა?“

სახლი, რა თქმა უნდა, ყოველთვის თან დააქვს, ზურგზე სახლაკიდებულს რა გაუჭირდება, მაგრამ წყალგაღმა ხომ ნათესავები ელოდებიან!

სამგზავროდ რომ გაემზადა, დებმა თავი მოიკლეს და არ უშვებდნენ, მაგრამ ლოკოკინას შენ გააჩერებ? გოლიათების ნახვა მოუნდა, მორჩა და გათავდა!

გოლიათები სოფელ ტურტურიკაში ცხოვრობდნენ.

ასლა შინ ბრუნდებოდა და თან ქვეყნის ცხელ-ცხელი ამბები მიჰქონდა.

— ეჰ, ერთი პატარა ხომალდი მაინცა მყავდეს!

ჩუბოს კოშკიდან დაინახა დეიდა ლოკოკინა.

„მდინარეზე ვერ გადადის“, — მიხვდა ჩუბო, ჩამოვიდა კოშკიდან და გაეარდა სოფელში.

— დეიდა ლოკოკინას მიეშველოთ! — იძახდა ყოველი ფანჯრის წინ. — მდინარეზე ვერ გადადის!

— საწყალი ლოკოკინა! — თქვეს ტურტურიკელებმა. — უნდა მიეშველოთ.

და მდინარესთან მიცვივდა მთელი სოფელი, ვის მორი ეჭირა, ვის — ცული. ჩუბოს მამამ ხერხი მოიტანა. შევიდნენ წყალში, ატეხეს ერთი რაკარუკი და ხიდიც გაკეთდა.

— აბა, დეიდა ლოკოკინა! — ღრიალებდნენ გოლიათები. — წადი შინისაკენ!

გადაიარა დეიდა ლოკოკინამ მდინარე. შინ არავინ დაუჯერა, რომ გოლიათებმა მისთვის მდინარეზე ხიდი გასდეს.

— ეს რა არის? — თქვა ლოკოკინამ და ჯიბიდან ნაფოტი ამოიღო. — აი, ჩემი ხიდის ნაფოტი!

ყველა ლოკოკინამ ხმა გაკმინდა. ნაფოტი ფაქტი იყო! ფაქტი კი ნაფოტი არ არის!

დეიდა ლოკოკინას ქმარი ძია ლოკო აღფრთოვანებული შესცქეროდა ცოლს. ნამგზავრი ლოკოკინა იბანდა. დაბანას რომ მორჩა, ქმარს სთხოვა, პირსახოცი მომაწოდეო.

— მომეცი პირსახოცი! ხომ ხედავ, დავიბანე.

ძია ლოკოს თავის დღეში არ გაეგონა, რა იყო პირსახოცი, მაგრამ ყოველ შემთხვევისათვის სახე რქის წვერით შეუმშრალა.

საუზმის შემდეგ ლოკოკინამ თქვა:

— დღეს გაზეთი მოიტანეს? ერთი სათვალე მომაწოდე.

სათვალე რაც იყო, ძია ლოკომ იცოდა, გაზეთის სახელი კი პირველად გაიგონა. მაგრამ ცოლს რომ არ ეფიქრა, გაუნათლებელიაო, ადგა და ყურს უკან მოფხანა. ლო-

კოკინამ მაშინვე დაიძინა. მას შემდეგ, როგორც კი დეიდა ლოკოკინა გაზეთს მოიკითხავდა, ქმარი უპასუხებდა ხოლმე: — ამ წუთშიო, — და ყურს უკან ფხანდა. ოღონდ ძია ლოკოს ერთი რამ ვერ გაეგო, რად უნდოდა სათვალე მის ცოლს, როცა დასაძინებლად ემზადებოდა.

საღამოობით, როცა მთვარე ამოვიდოდა და ირგვლივ იდუმალება ისადგურებდა, დეიდა ლოკოკინას გარს პატარა ლოკოკინები შემოეხვეოდნენ ხოლმე.

— მოგვიყევი რა, კიდევ გოლიათებზე! მოგვიყეი, როგორ დადიოდი სკოლაში.

— როგორ დავდიოდი და... — ყვებოდა დეიდა, — ჩავძველი ჩანთაში და წავედი. მარტო ერთ დღეს ვიყავი იქ და თვლა ვისწავლე ორამდე. ახლაც არ დამეიწყებია, მახსოვს: ერთი, ორი! მანამდე ის ვიცოდი, თავზე რომ რქები მადგას, მაგრამ რამდენი, არა! თურმე ორი მქონია! ყოველ შემთხვევაში სასიამოვნოა იცოდე, რომ თავზე ორი რქა გადგას!

— ერთი-ორი! ერთი-ორი! — იმეორებდნენ პატარა ლოკოკინები და ხან ერთ რქას გამოსწევდნენ, ხან — მეორეს.

— ერთი-ორი! ჰო, მაგრამ ორის შემდეგ რა არის? — იკითხა პატარა ლოკოკინა ულემ.

— რაღაც არის, — უპასუხა დეიდამ. — მაგრამ, რა — არ ვიცი, მე ხომ სულ ერთადერთი დღე ვიარე სკოლაში.

— მე ვფიქრობ, მერე არაფერიც არ არის, — ჩაერია ლაპარაკში ძია ლოკო. — რა უნდა იყოს? ესეც საკმარისია! — ერთი, ორი.

ასე ლაყბობდნენ, სანამ ცა ღრუბლებმა არ დაფარა. როგორც კი ცა მოიბურა, ლოკოკინებმა, ყველამ, როგორც ერთმა, ცისკენ აიშვირეს რქები და ერთხმად დაიწყეს რაღაც ლოკოკინური ლექსის კითხვა:

ახ, ღრუბელო, ღრუბელო,
ახ, თიმარე, მარე,
მაგ ცანცარა წყერიდან

გამოუშვი მთვარე...
აბა, გქონდეს ბალახი,
მოგვეც მთვარე ახალი.

— ეი, თქვენ, ცოტა ჩუმად! ნუ გაგვაყრუეთ! — მოისმა ციდან ხმა. — მთვარეს მტვერს ვაცლი.

ეს, რა თქმა უნდა, გავრილკა იყო.

გავრილკამ წვერი დაიქნია და სუფთა მთვარე ცაზე გამოგორდა.

შორიდან ყრუ გრუხუნი მოისმა:

— ეი, გავრررილკა! მთვარეს არ მიეკარო!

გავრილკამაც ჩაიქროლა.

დეიდა ლოკოკინა ქმარს მიუბრუნდა.

— არა ხარ მართალი! შენ გვონია, ერთი, ორი და მერე არაფერია? ჩვენთვის, ლოკოკინებისთვის, შეიძლება მაგრამ გოლიათებს უთუოდ აქვთ კიდევ რაღაც, თორემ ისე ისინიც მხოლოდ ერთ დღეს იყლიდნენ სკოლაში.

— ჩუბო ნახე?

— რა თქმა უნდა, თანაც ბევრჯერ. გოლიათებში ყველაზე პატარაა. აი, იქ, მდინარის გაღმა, ღგას მისი კოშკი.

— შენ იყავი კოშკზე?

— სამი დღე და ღამე მივცოცავდი. ზემოთ რომ ავედი და ქვემოთ გადმოვისვლე, უჰ, რა იყო! სახლებიც დაპატარავდა და გოლიათებიც. სადღა იყო გოლიათები, ყველანი ცეროდენებს ჰგავდნენ.

— კარგი რა, ბებიკო, — უთხრა ლოკოკინა ულემ. — იტყუები! როგორ თუ გოლიათები სადღა იყო? სად წავიდნენ? ან როგორ შეიძლება დიდი სახლები დაპატარავდეს?

— არამარტო სახლები! აღარც სოფელი ტურტურიკაა ძალიან დიდი. მის იქით მინდორია, მინდორს იქით კი ტყე. აი, რა ჩანდა კოშკიდან, ჩემს რქებს გეფიცები!

— კარვი, გეყოფათ, — თქვა ძია ლოკომ. — თავგხა ამიბნიეთ!

ძია ლოკომ მოიცადა, სანამ ჰატარები არ წავიდ-წამოვიდნენ და შემდეგ ცოლს ყურში უსურჩულა:

— შენ რასა როშავ? ამბობენ, გოლიათებს ისეთი რამეები აქვთ, ირგვლივ ეინ რას ლაპარაკობს, ესმითო. ჰოდა, იმათ რომ გაიგონ, რასაც შენ ლაქლაქებ, მერე? გაძნდა, სიდი მოშალონ? ან კიდევ მოვიდნენ და გადახნან ეს ჩვენი ლოკოკინეთი!

— ხიდს რას ერჩიან! — უთხრა დეიდა ლოკოკინამ. — რადგან გასდეს, მაშასადამე, არ მიძლიან!

ლიო

სამი დღე დედა შინიდან არ გამოსულა. ავად გახდა.

ჩუბოს მიჰქონდა წყაროს წყალი, ხელს ადებდა შუბლზე, რომ სიცხე გამოენელებინა, მაგრამ დედა თავს სულ უფრო ცუდად და ცუდად გრძნობდა.

ჩუბომ მეზობლისაგან გაიგო, რომ სოფელ პიტპალაკში[1] ერთ დეიდას სამკურნალო ბალახი აქვსო და მაშინვე იმ შორეულ სოფელში გაემგზავრა. ჩუბოს კვალდაკვალ მიჰყვა ბებერი ძაღლი ფარაონი.

ჩუბო დიდხანს მიდიოდა და სულ ესმოდა, როგორ ბლაოდა შორეულ სოფელ პიტპალაკში ძროხა. სანამ ძროხა ბლაოდა, ჩუბო მის ხმას მიჰყვებოდა, მაგრამ აი, მოსალა-

[1] „პიტ-პალაკ! პიტ-პალაკ!" — ასე ქვითქვითებენ მწყრები მოლდაველთის მინდორ-ველად.

მოვდა, ძროხამ დაიძინა და ჩუბო გზას ასცდა. ის იყო, სიმინდის ყანაში აპირებდა დაძინებას, რომ წიწილებიანმა ქათამმა დაინახა.

რა თქმა უნდა, უბრალო ქათამი კი არ იყო, არამედ დიდი ვარსკვლავ-ქათამი, ყოველდამე რომ ამოდის ცაზე. თავის ვარსკვლავწიწილებთან ერთად ზუსტად ჩუბოს დასცქეროდა ციდან.

— მოიხედე, ლიო, — უთხრა ქათამმა ერთ-ერთ პატარა ვარსკვლავს, — შენ იცი, სად არის სოფელი პიტპალაკი?

— რა თქმა უნდა, დედილო.

— მაშინ წადი და გზა უჩვენე.

ლიო სწრაფად გასრიალდა ცაზე, ჩუბოც უკან მიჰყვა. ამ დროს, სად იყო, სად არა, ცაზე გავრილკა გამოჩნდა, ის ჰაერში უქმად დაყიალებდა. ლიო რომ დაინახა, მაშინვე უკან გამოენთო, სწრაფად დაეწია და წვერები შემოახვია.

— ადგილიდან არ დაიძრა, ჩუბო! — დაუყვირა ლიომ. — მანდ იდექი, სანამ არ დამეხსნება! ეს გავრილკაა! უსაქმური და ხულიგანი.

გავრილკას მოშორება არც უფიქრია, ლიო გიოჩიკაზე ნაკლებ კი არ მოსწონდა!

ლიო გავრილკას წვერიდან გამოძვრა და ჩუბოს სინათლის ძაფი გაუწოდა:

— მოები, თორემ დაიკარგება!

ჩუბომ სწრაფად მიიბა ქამარზე ვარსკვლავის ძაფი.

— რასა შვრები, პატრონო? — უთხრა ბრძენმა ფარაონმა. — ცაში რომ აგიტაცოს, უკან როგორღა ჩამოხვალ? ჩვენ რა ვიცით, ამ ვარსკვლავებს თავში რა უტრიალებთ?!

და ფარაონი კბილებით ჩუბოს შარვალს ჩააფრინდა, რამე თუ მოხდებოდა, მიწიდან არ მოეწყვიტათ.

ასე მიდიოდნენ: ლიო — გავრილკა — ჩუბო — ფარაონი.

ლიო — წვერშემოხვეული,
ჩუბო — ძაფმობმული,
შარვალი — ფარაონის კბილებში მოქცეული!

გავრილკა კი არც არავისთან იყო დაკავშირებული და არც არავისთან გადაბმული. მაღლობა ღმერთს, ბაბუას ჯერ კიდევ ეძინა.

— სად მიდიხართ? — ჰკითხა ჩუბოს ლიომ, რომელსაც წვერში საჭვრიტინო გამოეგრა.

— სამკურნალო ბალახზე, — უპასუხა ჩუბომ. — დედა გამიხდა ავად.

გავრილკამ კი ამასობაში გვერდზე გაუსვია. იქვე, ახლოს, უქუდო მთა დაინახა და გადაწყვიტა, ქუდის მაგივრად ჩამოფსატოდა თავზე. ისე გამოვიდა, თითქოს მთას ვარსკვლავიანი ბოხოხი ეხურა.

ფარაონმა მაშინვე შეამჩნია, რომ გავრილკა ცუღლუტობდა, უნდოდა დაწკავწკავება, მაგრამ როგორ?! შარვლისათვის რომ კბილი გაეშვა, ვაითუ ჩუბო ვარსკვლავს აეტაცა. ეძებე მერე!

სანამ ჩუბო მთის მწვერვალისკენ მიბობღავდა, გავრილკას მოსწყინდა ქუდობა. თავისუფალი კაცი, ბოლოს და ბოლოს, ვერ შეძლებს დიდხანს იჯდეს ვიღაცის თავზე, და გავრილკამაც სხვა მხარეს გაუტია.

ლიო კი მწვერვალზე დარჩა.

ჩუბოს ვარსკვლავი ქუდში ჩაისვა და ის შორეულ სოფელ პიტპალაკში წაუძღვა.

ჩუბო რომ შინ დაბრუნდა. ჯიბეში ბალახი ედო, ქუდში — ვარსკვლავი, ხოლო ფარაონს ისევ შარვალში ჰქონდა კბილები ჩავლებული.

ვარსკვლავის კაშკაშისაგან აწრიალდა სოფელი ტურტურიკა. ძია ტოადერმა იფიქრა, ნამდვილად ხანძარი გაჩნდაო და ვედროთი გამოვარდა გარეთ, ბაბუა გეორგემ ბარჯით მოირბინა.

მალე ჩუბოს ეზოში თითქმის მთელმა სოფელმა მოიყარა თავი. ერთნი სახურავზე აცვივდნენ, მეორენი კოშკზე, რომ დაენახათ ქუდით მოტანილი ვარსკვლავი.

— ციდან ჩამოვარდა საწყალი, — ამბობდნენ ქალები, — კიდევ კარგი, არ დაიმტვრა.

— შენი წასვლის დრეა, ლიო, — გაახსენა ჩუბომ.

— ცოტა ხანს კიდევ ვიქნები შენთან, — უთხრა ვარსკვლავმა. — მანამ დავრჩები, სანამ დედაშენი არ მორჩება.

მეორე დილით ჩუბომ რომ გაიღვიძა, ლიო და გიორჩიკა დედას უსხდნენ, ფანჯრებზე კი ტურტურიკელ ბავშვებს მიეჭყლიტათ ცხვირები. მათ შუა წისქვილის კაცის ახლად წამოზრდილი წვერიც მოჩანდა.

ბავშვები ყაყანებდნენ, იცინოდნენ და ლიოს ზოგი ხაშხაშმოყრილ ფუნთუშას სთავაზობდა, ზოგი — თხილს. წისქვილის კაცი ახლად გამომცხვარ კალაჩს უქნევდა. თურმე ყველანი ვარსკვლავის გასამასპინძლებლად მოვიდნენ. ერთს ახირებულ კაცს თხა მოეყვანა, რას გაუგებ, ეგება ვარსკვლავებს თხის რძე უყვართო. თუმცა ძალიან შეწუხდნენ, როცა გაიგეს, ვარსკვლავები სინათლით იკვებებიანო, მაგრამ მაშინვე შესანსლეს თავიანთი ძღვენი.

საღამოს ჩუბომ ვარსკვლავი კოშკზე აიყვანა და იმწამს წისქვილშიც და ლოკოკინეთშიც დღესავით განათდა. ასე ანათებდა ლიო მთელი ღამე.

ლიო, ლიო,
სულ ფხიზლობ,
დღეც ანათებ,
ღამეცა,
დაისვენე, გეთაყვა,
დაგიხუჭავთ თვალებსა.
ლიო, ლიო, კეთილო,
ნათელგადაფენილო.

ასე უმღეროდა კოშკზე ასული გიორჩიკა შუაღამისას ლიოს. ლიომ რომ ეს სიმღერა მოისმინა, გაიცინა და ასე უპასუხა:

ჩემო დაო, მიწიერო,
ვარსკვლავს ძილი როდი უყვარს,
არ გაექრები უსახელოდ,
ვიდრე ზეცის თაღი ბრუნავს.
ვანათებ და თანაც ვფხიზლობ,

ვლიმლიოს ლა მაინც ვარიანები,
თუ ხაქრები, ხაკვლილის ფინ
ამოლა ვარსკვლავად ავენიანები.

ტურტურიკას ეკელა მისახლეს, რა თქმა უნდა, უხარიოდა, რომ მათთან კოშკზე ვარსკვლავი ანათებდა.

ჩუბოს ლელა გამოეკეთლა და ქალებმა კოშკი ხალიჩებით მორთეს. ლიოს ეკერლიო კი ყოველთვის ელოგა მიხლვრის ყვავილები.

მაგრამ ვიღაც კაცს, სახელად კერებულიას, აზრად მოუვიდა, ლიო მოეპარა და ბაზარში გაეყიდა. არ გინდა ამის მოფიქრება!

და აი, კერებულიამ ცომისაგან ჩუბოს მსგავსი ნიღაბი გამოძერწა და ღამით კოშკზე აძერა. სწვდა ვარსკვლავს, თავი უკრა გულაში, შინ წაიღო და ფარდულში შეინახა.

სოფელი მაშინვე სიბნელემ მოიცვა. ხალხი ვერ მიმხვდარიყო, სად გაქრა ვარსკვლავი, ანდა საიდან უნდა სცოდნოდათ, დამნაშავე რომ კერებულია იყო.

რა თქმა უნდა, არც კერებულიამ იცოდა, რომ ჩუბო ლიოსთან ჯერ კიდევ იყო ვადაბმული ვარსკვლავის ძაფით. ის იჯდა სუფრასთან, ვახშმობდა და ანგარიშობდა, რამდენს მისცემდნენ ბაზარზე ვარსკვლავში, როცა კარი გაიღო და ოთახში ჩუბო შევიდა.

— აა, ჩუბოცელ! შემობრძანდი, ძვირფასო, დაჯექი!

— გამარჯობა, — უთხრა ჩუბომ. — მომეცი ვარსკვლავი!

— რომელ ვარსკვლავზე მელაპარაკები?

— კოშკიდან რომ ჩამოხსენი.

— არავითარი ვარსკვლავი არ ვიცი. რას მეუბნები ჩუბო?

ჩუბოს კერებულიასთან ლაპარაკი აღარ გაუგრძელებია, პირდაპირ ფარდულში ჩავიდა.

გაათავისუფლა ვარსკვლავი და ისევ კოშკზე აიყვანა.

— ჩუბო, ჩუბო! — მისძახოდა კერებულია, — ვიხუმრე, შენ ხომ იცი, ფარდულში ბნელა, ცხვარი არა ჩანს! ჩუბო, შაპატიე! ოღონდ არავის უთხრა... ჩუბო... ჩუბო... ჩუბოცელ...

— უკვე დროა, შინ დავბრუნდე, — თქვა ლიომ, როცა ჩუბომ კოშკზე აიყვანა. — მალე ფრინველები თბილ მხარეებში გაფრინდებიან, მე კი ის ვარსკვლავი ვარ, წეროებს რომ გზას უჩვენებს.

— ერთი ღამე მაინც დარჩი, — სთხოვა ჩუბომ.

და მისცა ლიომ ჩუბოს კიდევ ერთი ღამე, მეორე ღამეს კი ვარსკვლავი ლიო, რომელიც წეროებს გზას უჩვენებს, გაფრინდა.

ჩუბოს შვილები

ბოლოს და ბოლოს მოხდა ის, რასაც დედა ელოდა.

ძილმა, რომელიც ჩუბომ დაიკლო, ორშაბათს წააქცია და ისეთ დღეში ჩააგდო, სამშაბათსაც ვერ გაახილა თვალი.

ოთხშაბათს მარჯვენა ხელის თითებმა გაიღვიძეს.

— ბიჭებო! — თქვა ცერა თითმა. — ჩუბოს სულ სძინავს და სძინავს. მოდით, კაცუნებად გადავიქცეთ და სასეირნოდ წავიდეთ.

— რა კარგია! — აყვირდა ნეკა თითი. — ცეროდენა რომაა, ჩვენ ისეთები ვიქნებით.

თქვეს და აასრულეს. გაიშალნენ, დატრიალდნენ და კაცუნებად გადაიქცნენ. უცებ ერთი, ორი, სამი, ოთხი და ხუთი ცეროდენა ერთად გადმოხტა საწოლიდან.

ცეროდენები გიორჩიკას კარიდან გაცვივდნენ ეზოში და მაშინვე სპილო დაინახეს. სპილოდ ფარაონი მოეჩვენათ. სპილო-ფარაონი ძაღლის ხუხულაში იწვა. მერე ხეზე შეფრთხიალებული ქათამი ნახეს, ოღონდა ის ქათამი კი არა, ბელურა იყო. მერე კი გიორჩიკა ნახეს და უშველებელი მოეჩვენათ.

— ერთმანეთის უნდა გადაეცათ, თორემ დაიკარგებით, — ურჩია ცეროდენებს გიორგიკამ.

— არ გვინდა გადაბმა, მამიდა გიორგიკა, — უთხრა ცერა თითმა, — ჩვენ თვითონ ჩავეტევიანთ ერთმანეთის. ერთი, ორი, სამი... სად არის ნეკა?

დაიწყეს ძებნა, ვერ იპოვეს.

ამ დროს მოიტრინდა მერცხლისხელა ფუტკარი, არ დაგვნესტრიოსო, და ცეროდენები დოქს ამოეფარნენ. უცებ დოქიდან კაკუნი მოისმა.

— ბავშვებო! მე აქა ვარ!

— მანდ რა გინდა?

— ვიღაცა ჩაძვრა და უსტვენს. მე ვეძებ, მაგრამ ვერ ვხედავ, ბნელა.

— აი, მამიდა გიორგიკა მოვა და დოქში წყალს ჩაასხამს! გირჩევნია, ამოძვრე!

— თოკი მოიტანეთ!

არათითი გაიქცა, მოიტანა ფეხსაცმლის თასმა. ჩაუშვეს თასმა დოქში, ჩაეჭიდნენ მოელი ძალით — ერთი, ორი და ამოათრიეს ნეკა.

ცერა თითი ისევ დათელას შეუდგა:

— ფუი! ახლა არათითი დაიკარგა!

უყვიროდნენ, უსტვენდნენ — არ გამოჩნდა!

დაიკარგა და ეგაო, იფიქრეს! და უცებ არ ვამოეცხადათ?! ტანზე პალტო ეცვა, ქამარზე კი ოქროს ბეჭედი ეკეთა.

— ქუდიც დაახურეთ, — გაიცინა შუათითმა.

— აბა, გაისადე პალტო! — უთხრა ცერა თითმა და, თუ შეიძლება, წესიერად მოიქეცი.

— პალტო რომ გავისადო, ბეჭედი ჩამომივარდება, — უპასუხა არათითმა და არ გაიხადა.

— ჰეი, თქვენ, ჩუმად იყავით! — უთხრა მათ გიორგიკამ. — ჩუბოს სძინავს, თქვენ კი გაჰყვირით. ისედაც ძრიხა ბლავის და საცაა, ჩუბოს ვაალვიძებს.

— მერე რა აბლავლებს? — იკითხა ნეკამ.

— წყალი სწყურია.

— ჩვენ დავალევინებთ! — დაიძახა შუათითმა და ხუთი-ვენი რეუტისაკენ გაიქცნენ წყლის მოსატანად. ვედროს ნაცვლად ერთი ყაყაჩო წაიღეს.

ცერა თითი ბრძანებებს იძლეოდა, სალოკი, ანუ საჩვე-ნებელი თითი გზას უჩვენებდა, არათითი კი, როცა მზე ღრუბლებს ეფარებოდა, სავალს ბეჭდით უნათებდა.

აიღეს წყალი, მოიტანეს წყლით გაპიპინებული ერთი ყაყაჩო. ფარდულისხვილა ძროხამ წყალი ისე ალოკა, ვერც მიხვდა, რა იყო, ნამი ეგონა.

— იცით, რა? — თქვა ნეკა თითმა, — ძროხის კუდს გა-მომაბით, ნახავთ, რასაც ვიზამ.

გაიცინეს ძმებმა. იფიქრეს, საქანელაზე ქანაობა მო-უნდა, უნდა და იქანაოსო. და გამოაბეს ძროხის კუდს. ნეკამ კი აიღო წნელი და ძროხა პირდაპირ რეუტისაკენ გადენა. დალია ძროხამ წყალი გემრიელად.

— პატარაა, მაგრამ საზრიანი, — თქვა მამიდა გიოჩიკამ და თავზე ხელი გადაუსვა. — მთლად მამამისია.

ნეკა უკვე კოშკზეც აძვრა. თავზე მოექცა და აყვირდა:

— ეჰე, ჰეი, მიშველეთ!

— რასა ხედავ? — ჰკითხა ქვემოდან ცერა თითმა.

— ვხედავ ბევრ ნეეეესვს და საზამთრررررოს!

გაუხარდათ ძმებს, გასწიეს ბაღჩისაკენ მხარზე დანა-გადებულებმა. გიოჩიკაც თან წაჰყვათ.

არათითს პალტოს ჩაცმა დაავიწყდა და ბეჭედი სულ დაბლა უცურდებოდა.

— მე მოგეხმარები, — უთხრა ნეკამ, ჩაძვრა ძმასთან ერთად ბეჭედში. ზუსტად ჩაეტივნენ.

ბაღჩაში შევიდნენ თუ არა, საზამთროებს მისდგნენ: მიუტყაპუნ-მოუტყაპუნებენ, ყურს მიუგდებენ, მწიფეა თუ არაო.

ბოლოს ერთი აირჩიეს, ვაჭრეს და მართლაც მწიფე

გამოდგა. საზამთროს ცეკვა-ცეკვით შემოუარეს. მათთან ერთად ცეკვავდა გიორჩიკაც.

— ნამდვილი საბავშვო ბაღია! — იცინოდა გიორჩიკა.

მაგრად რომ გაიტიკნენ, შინ წამოვიდნენ. ახლა კი არათითს ბეჭედი კარგად მოერგო.

გზაში სამჯერ დაისვენეს. შეხედეს არათითს, ისევ ჩამოუვარდა ბეჭედი. შეძვრა ნეკა თითი ბეჭედში ძმასთან და მიბრუნდნენ ბაღჩაში.

— მე უკვე ფეხები მტკივა, — ჩიოდა გიორჩიკა.

— კიდევ ერთხელ, მამიდა გიორჩიკა, ერთი პატარა საზამთრო კიდევ ეჭამოთ!

— აი, საბავშვო ბაღი!

ასე დადიოდნენ მთელი დღე ბაღჩაში წინ და უკან.

საღამოსღა მოაღწიეს შინამდე. მამა-ჩუბოს ეძინა. ამიტომ ვერავის მოუყვნენ, საზამთროები დამწიფდაო.

გიორჩიკა და ნეკა ძალიან დამეგობრდნენ. ნეკა სულ დაჭორფლილი იყო, მაგრამ სიმპათიური. გიორჩიკა ხელში იყვანდა და უნანავებდა.

— მომეცი რა, ერთი ჭორფლი.

— მაპატიე, მაგრამ ვერ მოგცემ.

კვირას ნეკა თითმა ცერა თითს გამოუცხადა:

— მე უკვე მეყოფა! ბევრი საზამთრო მივირთვი! მერცხალთან მივდივარ სტუმრად.

და კოშკზე აძვრა. გაუხარდა მერცხალ პაკიცას სტუმარი, შეისვა ზურგზე და დაფრინავდა მასთან ერთად.

ეს რომ დაინახეს, დანარჩენმა თითებმაც მოიწადინეს მერცხლით გასეირნება. ის იყო კოშკზე აძვრნენ, რომ ხუთივეს ხელმა დაუძახა. მამამ გაილვიძა, მამა-ჩუბომ.



ყარყატი ხარალამბი

სოფელში ამბობდნენ, რომ კვერცხი, რომლისგანაც ის გამოიჩეკა, ქუდში იდო.

ბუდე თვითონ აიშენა ბაბუა პანტელეის სახლის სახურავზე.

ბაბუა მარტო ცხოვრობდა, ყარყატიც მარტო იყო.

ყარყატს ხარალამბს ეძახდნენ, ქართულად ხარლამპი ერქმეოდა.

ყარყატი, როგორც კი მილზე ბზარს შენიშნავდა, იმწამსვე რეუტისაკენ გარბოდა. მოიტანდა თიხას და მილს ამოგლისავდა. საზრიანი იყო! თიხაზე ნისკარტით „ხ"-საც დააწერდა იმის ნიშნად, ესაო და მილი ხარალამბმა შეაკეთაო.

ყარყატს განსაკუთრებით ლურსმნების მიჭედება უყვარდა. ტყუილად როდი ცხოვრობდა მთელ ზაფხულს ერთი დურგლის ფარდულში, სანამ პანტელეისთან გადმოსახლდებოდა.

ბაბუა პანტელეის სახლი ძველი იყო და სახურავიდან წყალი ჩამოდიოდა. როცა წვიმა მათ კარ-მიდამოშიც შე-

მოუხვევდა, ბაბუა სხვენზე ქვეყნის თასებს, ქვაბებს, ვედროებს და ტაშტებს დადგამდა ხოლმე.

ყარყატს თავისი ჩაქუჩი ჰქონდა, ეს იყო ნისკარტი და ისიც თავისი ნისკარტით შეუდგებოდა საქმეს. მთელი დღე სახურავის შეკეთებას უნდებოდა: ზოგან ფიცარს აჭედებდა, ზოგან მუყაოს ნაგლეჯს.

ვინმეს კალოში თუ დარჩებოდა ქუჩაში, მეორე დღეს ბაბუა პანტელეის სახურავზე უნდა ეძებნა. ყარყატი კალოშსაც სახურავზე აჭედებდა რომ წვიმა სახლში არ ჩასულიყო.

— დილა მშვიდობისა, ხარალამბ, — ეუბნებოდნენ მეზობლები, ახლოს რომ ჩაუვლიდნენ, და ქუდისათვის ხელის წავლებას დააპირებდნენ, მაგრამ ვერ ასწრებდნენ, მათ ქუდებს ხარალამბი უკვე სახურავზე აჭედებდა.

— რას იზამ, — ხელს ჩაიქნევდნენ მეზობლები, — იცის ხარალამბმა თავისი საქმე!

ბოლოს და ბოლოს ბაბუა პანტელეის სახურავზე მთელი ავლა-დიდება დაგროვდა. რა არ იყო: ქოლგა, ჩანთა, რვა ქუდი, ცხრა შლაპა, წიგნიც კი.

დარიან ამინდში ხარალამბი წიგნს ფურცლავდა. ქვემოდან ადამიანებს ეგონათ, ფრინველი სურათებს ათვალიერებსო, ის კი კითხულობდა. წაიკითხავდა, სადმე გაფრინდებოდა და სახლში რაიმეს მოათრევდა. მერე სახურავზე აჭედებდა, მაგალითად, სასაპნეს, ანდა სულაც ჩექმას.

— მოიხედე, ხარალამბ, — იცინოდა ბაბუა პანტელეი. — რაიმე უსიამოვნებას არ გადავაწყდეთ!

მაგრამ მილიციაში არავინ ჩიოდა, ის კი არა, ზოგიერთი იკვეხნიდა კიდეც, ჩემი შლაპა მე თვითონ დავუთმე ბაბუა პანტელეის, სახურავიდან წვიმა რომ არ ჩასვლოდაო.

— ხარალამბ შინა ხარ? — მოესმა ერთხელ ყარყატს მერცხალ პაკიცას ხმა.

ყარყატმა ვერ მოასწრო პასუხის გაცემა, შინ იყო თუ არა, რომ მერცხალმა განაგრძო:

— ხარალამბ, შენ ხომ ფარდულში ფურცალთან ცხოვრობდი. ყველაფერი იცი. მითხარი, რა ექნა? მალე დაზაფთრდება, გიორგიკა სახლში ვერ იძინებს, ამიტომ თბილ მსარეში უნდა გადასახლდეს.

ხარალამბი ჩაფიქრდა. ფაქრობდა შუალამემდე ცალ ფეხზე იდგარი. მთვარე რომ ამოიყიდა, ფეხი მოინაცვლა, მეორე ფეხზე დადგა.

დილით დაიწყო კაკუნი — კაკ-კაკ, კაკ-კუკ, და მანამ აკაკუნა, სანამ ტრიალა არ გააკეთა. ტრიალა დიდად ლამაზი არ გამოვიდა, მაგრამ, როცა ქარი ქროდა, კარგად ტრიალებდა.

— ხარალამბ, — აღტაცების ვერ მალავდა მერცხალი. — რა საზრიანი ხარ!

— დაიჭერს გიორგიკა ხელში ტრიალას, — აუხსნა ხარალამბმა, — და გაფრინდება თბილ მსარეში.

— ქარი რომ არ იყოს?

ხარალამბი ღრმად ჩაფიქრდა.

— ვავრილკა დაგეხმარება, — თქვა ბოლოს.

— მაგას რა უნდა! — ეუხარდა ვავრილკას, რომელიც იქვე ტრიალებდა. — უფასოდ ვავაქროლებ.

— ვავრილკა არასაიმედო ყმაწვილია, — თქვა ჰაკიცამ, — თანაც თავქარიანი.

— რას ამბობთ, ღმერთო ჩემო, — თქვა ვავრილკამ. — რა, მე არაფერი მესმის?!

— წვერზე შლაპა მივაბათ და გიორგიკა თავის სახლიანად გაფრინდება. — თქვა ხარალამბმა.

— რაც გინდათ, ის მომაბით! — იცინოდა ვავრილკა. — თუნდაც ფარდული!

გავიდა რამდენიმე დღე, ყველაფერი მზად იყო გასაფრენად.

მოქრიალდა ვავრილკა, მოფრინდა კოშკთან და ჩუბოს მსხვილი თოკით წვერზე მიაბა დალბუ ბაბუას შლაპა.

— აბა, უკვე დრო, — თქვა ხარალამბმა, — დაემშვიდო-

ბეთ ერთმანეთს. — და ბაბუა პანტელეის სახლს მოხედა

— აი, წაიღე, — უთხრა ჩუბომ გიოჩიკას, — შენ გქონდეს, — და პატარა კასრი გაუწოდა — ცისფერი შინაური ჰაერია. უცხო მხარეში გამოგადგებათ.

— მიო, ჩუბო, — უთხრა გიოჩიკამ. — ეს კიდევ შენა გქონდეს. — და გაყვითლებული ფოთოლი გაუწოდა. — ჩემი წერილია.

— ვის უგზავნი? — ჰკითხა ჩუბომ.

— შენ.

შეიქნა ერთი ხვევნა-კოცნა, აფრინდა მერცხალი პაკიცა, მიჰყვნენ სხვა მერცხლებიც.

ფრთხილად, მსუბუქად აფრინდა გავრილკა, მძიმე-მძიმედ ყარყატი ხარალამბი. ასეც ვაფრინდნენ — წინ მერცხლები, მერე გავრილკა, ბოლოს ხარალამბი.

— გზა მშვიდობისა, — ეუბნებოდნენ სოფელ ტურტურიკას მცხოვრებლები და ხელს უქნევდნენ თბილ მხარეში გასამგზავრებლად აფრენილებს. ყველანი ქუჩაში გამოსულიყვნენ: ჩუბოს დედაც, მამაც, ძია ტოადერიც, ბაბუა პანტელეიც. წისქვილთან კი იდგა და წვერს იქნევდა წისქვილის კაცი.

— ფრთხილად იყავი, გავრილკა, — ხმა დააწია ჩუბომ.

კიდევ დიდხანს იდგა ჩუბო კოშკზე. საღამო სანს თვალი მოჰკრა სამხრეთით მბრწყინავ პატარა ვარსკვლავს.

„ალბათ, ლიოა," — ვაიფიქრა ჩუბომ.

მართლაც ლიო იყო, გზას უნათებდა სამხრეთისკენ მიმავალ წეროებს.

ჩუბო ჩამოვიდა კოშკიდან და მიადგა ძაღლის ხუხულას, სადაც ბებერი ფარაონი თვლემდა.

— წაიკითხე, — უთხრა ჩუბომ და გაყვითლებული ფოთოლი გაუწოდა.

— გიო, ჩიო, იკა, — მარცვალ-მარცვალ წაიკითხა ფარაონმა. — გაზაფხულზე დავბრუნდები, მელოდე.

გუგუცის თავგადასავალი

პატარა ბიჭი გუგუცე

გუგუცემ ვერც კი მოასწრო, თავისი დიდი ბომბორა ქუდი დაეხურა, რომ ზამთარი კარს მოადგა. ეტყობა, მოეწონა ბიჭი და მისი ქუდი.

ქვეყნის ოთხივ კუთხიდან მოფრინდნენ თოვლის ფიფქები გუგუცეს სანახავად და თავით ფეხამდე გაფიფქეს. დგას დამრგვალებული, თოვლის კაცივით გათეთრებული გუგუცე. ოღონდ ქუდს ქვემოდან ბოლი გამოდის.

— ხალხნო! — ეაოცდნენ ფიფქები. — ქუდში ცეცხლს ანთებს! აი, სულელი! რად უნდა! ასეთ ქუდს რომ დაიხურავ, სიცივე თვითონ გაიქცევა!

მათ რა იცოდნენ, რომ გუგუცეს სუნთქვისას პირიდან ორთქლი ამოსდიოდა.

ფიფქებმა ეზო თავიანთებურად გადაათეთრეს, ვადალესეს, გუგუცე კი ჭიშკართან მიიმწყვდიეს. ბიჭმა თვალები მოიფშვნიტა — ეს რა მომხდარა! გზა დაკარგულა! ღობეზე აძვრა, ერთი გავიგო, ველ-მინდორიც ხომ არ დაიმალაო? არა, ველ-მინდორიც იქვე იყო, გორაკებიც. ოღონდ თეთრი საბანი გადაჰფარებოდათ. თეთრი, ქათქათა ვორაკები თძთქოს სოფლისაკენ მოცოცავდნენ.

— უყურე ერთი! — გაიფიქრა გუგუცემ. — სად მოძვრებიან? ჰოო...მივხვდი, ჩვენთან ერთად სურთ გამოიზამთრონ.

გუგუცემ ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა და თქვა:

— ჰო-ო-ჰო! რამდენი ზამთარი მოგვაწყდა!

ფიფქები კი ისევ დაჰფარფატებენ გუგუცეს. უყურებენ და მაინც ვერაფრით გაუგიათ, ქუდს ქვემოთ რად ანთებს გუგუცე ცეცხლს.

გუგუცეს ქუდი

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მამამ გუგუცეს დიდზე დიდი ქუდი შეუკერა, ბიჭს ერთ-ორ წელიწადს მაინც არ დაუპატარავდებაო.

— თვალებზე მეფხატება, მამა.

— შენც ადექი და აიწიე, ჰოდა, ზამთარში საქმეც გაგიჩნდება.

უყურე ერთი! მაშ, გუგუცეს საქმე არა ჰქონია?! აბა ვნახოთ!

დილით გუგუცემ ყველას დაასწრო ადგომა, ფეხის წვერებზე ჩავიდა ეზოში და ცხვარს საკვები მისცა. მამა რომ გამოჩნდა, გუგუცე ყოჩზე იჯდა და ფარეხში დაარბენინებდა.

— დილა მშვიდობისა, გუგუცე!

— აა! გაგიმარჯოს, მამა! — სალამი დაუბრუნა გუგუცემ და ხელით ანიშნა, საკვები უკან წაიღე, ამათ აღარაფერი უნდათო.

იმ დღიდან მოყოლებული გუგუცემ დაიწყო ცხვრის მოვლა-პატრონობა.

სოფელში დღითიდღე მძლავრობს ყინვა. დათოვლილ ქუჩაჩე რომ მიაბიჯებ, გგონია, სიმებზე ვადგამ ფეხსო.

ჭრაჭუნ-ჭრაჭუნით მიდის გუგუცე გზაზე, დაეწია პირველკლასელ გოგონას. საწყალი გოგონა სულ გაულურჯებია ყინვას. გამოართვა გუგუცემ წიგნები, გოგონამ ხელები სახელოებში შემალა და ბაკიბუკით გასდია გუგუცეს. მიდის გუგუცე, ამოუიღლიავებია წიგნები და უცებ მშვენიერი აზრი მოუვიდა თავში: აკიღებ და წიგნებს ქუდში ჩავდებ, თავიც ჩაეტევა და წიგნებიცო. მოიხადა ქუდი, მოხედა გოგონას და კიდევ უფრო შეეცოდა:

— გცივა, არა? მართალი თქვი.

— ცოტათი, — კბილს კბილზე აცემინებს გოგონა.

— დაიხურე ჩემი ქუდი.

— არა, გუგუცე, შენ ხომ გაიყინები. თანაც გოგოები ასეთ ქუდებს არ იხურავენ.

— არ გინდა და ნუ გინდა, იდოს აგერ გზაზე, — უთხრა გუგუცემ და ქუდი თოვლზე დადო.

მიდის წინ გუგუცე, მისდევს გოგონა, მიდიან და უკან იხედებიან. დევს ქუდი გზაზე მარტოდმარტო, მიატოვა პატრონმა. ვეღარ მოითმინა ქუდმა, მოიკრიბა ძალ-ღონე, შეისუნთქა ჰაერი. შეისუნთქა და გაიბერა!

აიღო გუგუცემ ქუდი, იმხელა იყო, ორივეს ეყოფოდა. დაიხურეს და გაუდგნენ ერთად გზას, ქუდი კი ყინვისაგან იფარავდათ.

იმ დღის მერე, პირველკლასელები გამოსცდებიან თუ არა სკოლის ჭიშკარს, გუგუცე დაბარებულივით იქ გაჩნდება. ქუდქვეშ შეიფარებს შვიდ-რვა გოგონას და შინ მიაცილებს. ქუდი გუგუცეს სურვილისამებრ იმდენზე იწევა, რამდენზეც მოუნდებათ. ერთხელ მასწავლებელსაც ეხურა ბავშვებთან ერთად და შინ მიდიოდა. სოფლელები უყურებდნენ ამ ამბავს და გაოცებულები ხელებს შლიდნენ:

— აი, ქუდიც ამასა ჰქვია! კაი თივის ზვინივითაა! სასწაულია, ნამდვილი სასწაული!

მიაცილებს გუგუცე ბავშვებს თუ არა, ქუდი ისე პატარავდება, რომ საკიდ'ზე ჩამოიდებ.

მაგრამ ერთხელ უმტყუნა ქუღმა ბიჭს. რას არ შეეპირდა, ეფერა, ეხვეწა, ქუდი მაინც არ გაიხადა. მერე რა ღროს! სწორედ მაშინ, როცა ყინვისაგან სკოლის ზარს ხმა ჩაეხრინწა და სოფლის ბაღლებს ყეფის თავი აღარა ჰქონდათ.

მოვიდა გუგუცე შინ და ყველაფერს მისცდა: დილით ცხვრისაგან არ უშმავია! შემოირტყა შუბლზე ხელი — შენა საქმე არ უნდა დაიეიწყოთ! — და ქუდიც ისევ გამეორეს გახდა.

ერთხელაც გუგუცეს მოუხდა ქუდქვეშ მთელი სოფელი შეეფარებინა თავის სახლებიანად. იმ დღიღან მეზობლის ცხვრის მოკლა დაიწყო. ქუდიც გაიწელა, გადიდდა, იმხელაზე გაიზარდა, ცა სულ დაფარა.

ქუდქვეშ გაზაფხული დადგა. მართალია, ელექტრონათურები დღისითაც ენთო, მაგრამ ქუდის ქვეშ ცხოვრება ისე გრძელდებოდა, ვითომც არაფერი მომხდარაო. დარახრახებინან მანქანები, ჭრიალებდნენ ჭის ოწანარები...ხალხი კი უქუდოდ დადიოდა, ჯერ ერთი, დათბა, მეორეც ყველა ქუდი გუგუცეს ეეებეროელა ქედში მოექცა. მთელ სოფელში რამდენიმე ქუდიღა დარჩა. ქალაქში ვინც მიდიოდა ჰაერის ან ბლითების ჩამოსაჭანად, ან რამე საქმეზე, ისინიღა იხურავდნენ. აბა რა, ჯადოსნურ ქუდს წუთით რომ გამოსცილდებოდი, ისევ ზამთრის საშფლობელოში ამოჰყოფდი თავს.

ენძელები

1.

ეროხელ გუგუცემ თავისი ფული დაითვალა და შეიდი კაპიკი აღმოაჩნდა. არც მეტი, არც ნაკლები (ვინ ვინ და გუგუცემ შვიდამდე თვლა კი იცოდა, ათამდეც ითვლიდა). კაპიკები ჯიბეში ღრმად ჩაიჩხრიალა და სამი დღე თითიც არ ჩაუყვია, ეგებ მოემატოსო. მაგრამ ჯიბეში კაპიკებს კაპიკიც არ მომატებია, ხელს ერთი ლურსმანი ამოჰყვა და ეგ იყო. დამ უთხრა, ჩემს ჯიბეშიც ფულს ფული არ ემატებაო. მამის ჯიბისა არც დამ და არც ძმამ არაფერი იცოდნენ — მამა კი შინ არ იყო, რომ ეკითხათ.

ამ დროს სწორედ ის დღე ახლოვდებოდა, წელიწადში ერთხელ რომ დგება. როცა ყველა მამაკაცი ყველა ქალს საჩუქარს მიართმევს ხოლმე. გუგუცემ სოფლის მამაკაცთაგან პირველმა შეაღო მაღაზიის კარი. გზად მოიფიქრა, დედისთვის მანქასა ეყიდა, დისთვის — შვეულმფრენი. შვეულმფრენით და საბავშვო ბაღში იელიდა, დედა კი მანქანით ბაზარში წავიდოდა ხოლმე. რა თქმა უნდა, შვეულმფრენსაც და მანქანასაც თვითონ გუგუცე წაიყვანდა.

ხელების ფშვნეტით შევიდა ბიჭი მაღაზიაში, რაც უნდოდა, ვერ იშოვა; შვეულმფრენი სოფლის მაღაზიაში,

ალბათ არ დაეტია, ხოლო იმ მანქანებში, იქ რომ ყიდღნენ, დედა კი არა, გუგუცეც ვერ ჩაეტეოდა

ადგა გუგუცე და ღილი იყიდა. დარჩა სამი კაპიკი. ღილს კაბა მოუხდებოდა. ყველანაირი კაბა კი არა, ცისფერი. ცისფერი კაბა მალაზიაში არ იყო. ეგებ ის მალალქუსლიანი ფეხსაცმელები ეყიდა. გუგუცემ ლამის სთხოვა გამყიდველს, ვადმოძიღეო, მაგრამ არ იცოლა, რა ზომისა ეყიდა.

გაიქცა შინ. დაელოდა შელამებას. დედა რომ ღაწვა, გუგუცემ ზლაპრის მოყოლა დაუწყო, მალე ჩაეძინოსო. შუამდე რომ მიეიდა, დედას დაეძინა. ზლაპრის მეორე ნახევარი ბიჭს თავში ღარჩა. არა უშავს, დაელოდოს მეფის ასული მშვენიერ მოლდაველ ჭაბუკ ფეტ-ფრუმოსს. გუგუცეს ახლა მათთვის არა სცხელა.

ფეხის წვერებზე გამოვიდა გუგუცე საძინებელი ოთახიდან და ისევ უკან შებრუნდა ხელში ძაფმომარჯვებული. ძაფი მიაზომა დედის ფეხს და უცებ დედამ ხელი შეარხია. აიღო გუგუცემ ხელი, მოეფერა და მიუმღერა:

ღამე მშვიდია, მშვიდი და გრილი,
ლოგინი კიდევ — ღუნღულა, რბილი.
ნანა, საყვარელო, დაიძინე, ხელო!

სიმღერამ ხელი მაშინვე ჩააძინა. გუგუცემ აუღო დედას ფეხის ზომა, ჩაწვა საწოლში და ძაფი ბალიშის ქვეშ ამოიდო. დილით აიღო ძაფი და მალაზიაში გაიქცა. ყველა ფეხსაცმელს მოაზომა ძაფი, ამოირჩია ყველაზე უკეთესი. რომ გაიგო, რა ღირდა, მარჯვენა ყურის ძირი მოიქექა, ამოაძვრინა ჯიბიდან სამი კაპიკი, გადათვალა, მერე მარცხენა ყურიც მოიქექა, ფეხსაცმელები დასლზე დადო და წამოვიდა.

მაშინ რომ თქვენ იმ მხარეს ყოფილიყავით, ნახავდით, როგორ გავიდა გუგუცე სოფლიდან, როგორ მიიმალა ბორცვებს მიღმა მისი წოწოლა ქუდი და დიდსანს აღარ გამოჩენილა. მერე იმასაც ნახავდით, როგორ ჩამოდიოდა ბორ-

ცვილან ენძელების კონით ხელში. ყველანი ფეხსაცმელები მოისლაზნებოდნენ, ფეხებს სიარულს უძლიერნენ, ქალი ისე დაღლილიყო, თავზე ქანაობდა. მაგრამ გუგუცე უბარუკ ფეხსაცმელებსა და ქუდზე ყოჩაღი იყო. ენძელები პირდაპირ მაღაზიაში მიიტანა. ყველაზე დიდი კონა გამეიდველს აჩუქა, დანარჩენი იქ მყოფთ დაუნაწილა.

იმ წელს ხალხმა პირველად ნახა ენძელები. ყველამ შეაქო გუგუცე, გამეიდველი ქუდსაც კი მოეფერა, თუმცა ქუდი არაფერ შუაში იყო. მაშინ გუგუცემ გამეიდველის თვალწინ ჯიბიდან ამოიღო სამი კაპიკი, სამჯერ გადათვალ-გადმოთვალა, ფეხსაცმელებს გადახედა და ამოიოხრა. მაგრამ გამეიდველი ვერაფერს მიხვდა.

მზე ჩადიოდა, ცა თეთრი ღრუბლებით იფარებოდა, გუგუცეს კი დედისთვის ჯერ საჩუქარი არა ჰქონდა.

— არა უშავს, ბილით უთენია აეღვება, ენძელებს ღავკრეფ, — იმშვიდებდა თავს.

მაგრამ შელამებამდე ფანჯარას იქით ბინისთანა თოვლის ფანტელები ჩამოცვივდა, გუგუცე რომ არ მოსწრებია, ცა ჩამობნელდა, ბორცვები ჩამოთეთრდა, ბიჭს კი ნაეძინა. დედამ ფანჯარასთან ჩაძინებული იპოვა. ხელში სამი კაპიკი და ღილი ეჭირა. სწორედ ისეთი ღილი, დედას რომ ძალიან სჭირდებოდა.

სიმღერები

მას მერე, რაც გუგუცემ მოხუც იოანას ქათამს გოროხი ესროლა, სოფელში არავინ უცინის. როგორც დაინახავენ გუგუცეს, ცხვირს ჩამოუშვებენ, ღადიან გაბუტულები. დედაც არ იღიმება.

— რა ქნას გუგუცემ? ვისთან გაიცინოს?

გზად ხან ქათმები შემოეყრება, ხან იხვები და ინდაურები, მაგრამ ერთი სცადე მათთან გაცინება. პირს მხოლოდ მაშინ აღებენ, როცა კენკავენ, ან ყლაპავენ.

მიადგა გუგუცე ლუკა ბაბუას სახლს. ბაბუა სხვებს არა ჰგავს. შარშან გუგუცეს საზამთრო მისცა. აკაკუნებს გუგუცე ჭიშკარზე. აჭრიალდა კუტიკარი, გამოჩნდა ლუკა ბაბუას ქუდი.

— რაო, გუგუცე, გინდა რამე?

— ლუკა ბაბუა! ეგებ სიცილში ამყვე?

— უნდა ვისაუზმო, შვილო, კი არ გეწყინოს, უზმოზე არასოდეს მიცინია, — უთხრა ლუკა ბაბუამ.

წავიდა გუგუცე, დაეწია ბებია თუდორას.

— ბებია თუდორა, მოდი, ვიცინოთ.

— სადა მცალია, ჩემო კარგო. საქონელს მივდევნი ნახირში, — უთხრა ბებიამ და ძროხას წნელი გადაუჭირა.

გუგუცემ მეზობელ ქუჩაში შეუსვია. ხედავს, ჭას თხრიან, წყალს ეძებენ, ოღონდ ეგაა, ჯერ მხოლოდ მიწა ამოაქვთ. ჩამოცუცქდა გუგუცე და იყურება ჭაში. ქუდისტოლადღა მოჩანან ადამიანები. ლამის ამერიკამდე მისულან, წყალი კი არა ჩანს.

— მოდით, ვიცინოთ! — ჩაჰყვირის გუგუცე.

— მოაცილეთ აქედან! — ბრაზობენ მიწის მთხრელები.

დანაღვლიანებული დაბრუნდა გუგუცე შინ. რა ვქნა, როგორ მოვიგო ხალხის გულიო.

„ავძვრები საკვამურში, გავიმურები და ასე გამურული გავიელ-გამოვიელი სოფელში, — ფიქრობდა გუგუცე. — ხალხს გაეცინება და გაბრაზებაც გაუვლის; ანდა, იქნებ, ჯობია, დედაჩემის კაბა ჩავიცვა და ისე გავისეირნ-გამოვისეირნო“.

მაგრამ ერთი აზრი უღრღნის გულს: „არაფერი გამოვა. ხალხი იტყვის: „ვითომ ის არაფერი, მოხუც იოანას ქათამს გოროხი რომ ესროლა, ახლა კიდევ სოფელში დადის მასხარასავით. აი, უსირცხვილოო!“

რა იღონოს? დგას და ფიქრობს გუგუცე, მაგრამ ცუდი ფიქრები მოსდის. მიწაყრილზე ჩამოჯდა. ცოტა უკეთესი ფიქრები მოუვიდა, მაგრამ კარგი მაინცდამაინც ვერაფერი. აძვრა ღობეზე და მაშინვე მოიფიქრა ყველაფერი. ჩქარა გაიქცა სოფელში, რომ არ დავიწყებოდა, რაც მოიფიქრა.

მირბის გუგუცე. ეზოებში არავინაა. უცებ ხედავს, გზის პირას ტრაქტორია გაჩერებული. ტრაქტორისტი სახელურს ატრიალებს, ბრაზობს, მაგრამ ტრაქტორი არ იძვრის. მორჩა და გათავდა!

— ძია, ძია! — უყვირის გუგუცე. — უმღერე!

— აბა, რა ვუმღერო? —ბუზღუნებს ტრაქტორისტი.

— აი, რა:

ტრაქტორო, შენი ჭირიმე,
რომ ძლიერი ხარ ღონითა,
არც თივა-ქერი გჭირდება
და არც ბალახი ძოვნითა.

გაიცინა ტრაქტორისტმა, არახრახდა ტრაქტორი, დაიძრა ადგილიდან. დაეწია ტრაქტორისტი, აახტა, საჭეს მიუჯდა, იღიმება, ხელს უქნევს ბიჭს.

ისევ გაუყვა გზას გუგუცე. ხედავს, მოხუცები ვენახს რწყავენ, მიწას თოხით აფხვიერებენ. დიდი თოხები უჭირავთ. მოხუცებს სახეზე ოფლი წურწურით ჩამოსდით, სახელოთი წმენდას ვერ აუდიან. მოხუცებს შორის ლუკა ბაბუაცაა.

— ბაბუ, ბაბუ, უმღერე თოხებს და თვითონ გათოხნიან.

— რა უნდა ვუმღერო? — ბუზღუნებენ მოხუცები.

გუგუცემ გამოართვა ლუკა ბაბუას თოხი და ამღერდა:

დავთოხნოთ, ძმებო, ვენახი,
ლამაზად შეკაზმულია,
ღრმადაც ჩავუშვათ თოხები,
სიმღერები ვთქვათ ძმურია.

მოხუცებს გაეცინათ, თოხები კი მიადგნენ და თოხნიან, სულ ლაპლაპი გაუდით. მოხუცები ხედავენ, რომ მიდის საქმე თავისით. მათ, აბა, რაღა დარჩენოდათ, ჩაჰკიდეს ხელი ერთმანეთს და წავიდნენ შინ.

გუგუცეც გაუდგა გზას შინისაკენ. ვინც კი შეხვდა, ყველა უცინოდა, ხელს უქნევდა, მაგრამ სოფელში რომ შედიოდა, მაინც ბილიკისკენ ჩაუხვია, შემთხვევით მოხუც იოანას სახლს არ ჩავუაროო.



წვიმა

ღრუბლები მზეს თვალხუჭობანას ეთამაშებოდნენ. ერთი მზეს ეფარებოდა, დანარჩენები ცის ტატნობზე ირეოდნენ, ეძებდნენ უკეთეს სამალავს. დედამიწაზე ან სასიმინდეს ამოეფარები, ან თივის ზვინს. ან ტახტის ქვეშ შეძვრები. ცაზე კი, რა უნდა ქნა, არც ერთია, არც მეორე და არც მესამე.

ხუჭი, ხუჭი, თვალები!
ვერსად დამემალები!

მხიარულად ყვირის მზე და ცის რომელ კუთხეშიც უნდა იყვნენ ღრუბლები მიმალული, მაშინვე იჭერს თავისი სხივებით.

უცებ ერთი ყველაზე მომცრო ღრუბელი ადგა და, მოფიქრება არ გინდა, მეორე ღრუბელს ქვეშ შეუცურდა, შიგ შეიმალა. ცაზე ორი მომცრო ღრუბლის ნაცვლად ახალი, უფრო მოდიდო ღრუბელი გაჩნდა.

ეს ამბავი სხვა ღრუბლებსაც მოეწონათ. შეიმალნენ და შეიმალნენ ერთიმეორეში, სანამ დიდი, ვეებერთელა შავი ღრუბელი არ გაიწელა ცაზე. გამოვიდა მზე საძებნელად. ვერც ერთ ნაცნობ ღრუბელს ვერ მიაგნო. ვისთან უნდა

ეთამაშა და ან საღ, მოელი ცა შავ ღრუბელს დაეფარა. გაბრაზდა მზე და ცეცხლის ღანა დაესვა დიდ შავ ღრუბელს. გასკდა ღრუბელი, იქუხა და გადმოიღვარა წვიმა.

დაუშვა, მაგრამ რა დაუშვა!

მამალმა დედლებს უბრძანა:

— სმენა იყოს და გაგონება! საქათმისაკენ ნაბიჯით იარ!

ფრინველები ფოთლებს შეეყუღრნენ. ნისკარტი ნისკარტს დააჭირეს: აბა, რა ექნათ, ყივყივს ხომ არ ატეხდნენ. წვიმა ყურს მოჰკრაედა და მაშინვე გაიგებდა, ვინ სად შეაფარა თავი. ერთი ლამაზი პაპელა უშნო ოროვანდზე ჩამომჯდარიყო და კანკალებდა: „ყვავილებმა რომ დამინახონ, იფიქრებენ, ეს უგვანო ოროვანდი ვარსაო ყველასო!;“ დედები ჩქარ-ჩქარა ხსნიდნენ თოკიდან სარეცხს, ფანჯრებს ხურავდნენ და ბავშვებს შინ უხმობდნენ.

გარეთ მხოლოდ გუგუცე დარჩა. წვიმას ხელი შეუშვირა, ორი წვეთი დაიჭირა და გაოცდა:

— თქვე სულელებო! ხომ არ გგონიათ, ხელისგულზე ხორბალი მითესია? — და ამღერდა:

წვიმა მოდის, წვიმა მოდის,
მოა და ბარი სველდება...

წვიმა კი ასხამდა და ასხამდა სახურავზე, პარმაღზე. მაშინ გუგუცემ აიკაპიწა შარვალი, გამოვიდა გზაზე და წვიმას ასძახა:

— მომეცი!

და წვიმაც შხაპუნ-შხაპუნით მიპყვა კ[illegible]ლლაკვალ. მართალია, მთელი წვიმა ვზაზე არ დაეტია, სახლებსაც მოედო, ეზოებში შეაბიჯა, გალავნებს გადაახტა.

ვინც მინდვრად მუშაობდა, თავზე ცარიელი ტომრები წამოიცვა და შინისკენ მოკურცხლა. ვინ მანქანით, ვინ ფთრნით, ვინ ცხენით, ვინ ფეხშიშველა მიტყაპუნებდა გუბე-გუბე. მარტო გუგუცე ძიაბიჯებდა მამაცურად ლა მიუძ-

ლოდა წვიმას. წვიმის წვეთები ეწეოდნენ, ზოგი საყელოში უძვრებოდა, ზოგი ქეჩოსე კბენდა, ზოგი ცხვირზე ეტყაპუნებოდა, მაგრამ ამ ამბავს გუგუცე აინუნშიაც არ აგდებდა: დაე, თავისთვის გაერთიონო!

ასე მოიყვანა წვიმა ყანაში. წვიმის ნარნარ, მსხვილ ჭავლსა და ასევე ნარნარ და მსხვილ თავთავებს ერთმანეთი მოეწონათ და აცეკვდნენ, ფერხული გააჩაღეს.

გალუმპული დაბრუნდა გუგუცე შინ. შეხედა, ეზოს თავზე ცისარტყელას თაღი შეეკრა, მთელ სოფელში დედები ფანჯრებს გამალებით აღებდნენ, რომ ცისარტყელას შეხვედროდნენ. მამალი საქათმეზე ამძვრალიყო და იფხორებოდა ცისარტყელაზე ასახტომად, იქიდან ყიყლიყო უნდოდა შემოეძახა, რომ მთელი ქვეყნის მამლები აჰყოლოდნენ.

საიდუმლო

ყვითელი იხვის ჭუჭულები რომ დაიზრდებიან და თეთრი იხვები გახდებიან, ხოლო ყვინჩილები ფანჯარასთან ყიყლიყოს შემოსძახებენ, ეს იმის მაუწყებელია, გუგუცეს დაბადების დღე მოახლოვდაო. ბიჭს ცხენებისთვის წყლის დალევინებაც აკიწყდება. მთელ კვირას ფერად-ფერად ალმებს აკეთებს და ჰკიდებს ღობეზე, სახლზე, ფარდულზე. ღე ყველამ იცოდეს, რომ გუგუცეს ღლესასწაული აქვს.

გაიღვიძებს ბებია, სოფლის ბოლოდან დაინახავს ალმებს. პირველი გამოიქცევა გუგუცესთან და კალათით ტკბილეულს მოუტანს, მერე ლოყაზე ხელს მოუთათუნებს და უსურვებს -დღეგრძელ სიცოცხლეს, ისეთსავე მხიარულს, როგორიც მისი ალმებია. მოვლენ სხვებიც. ყველას უნდა, გუგუცე გაიზარდოს დიდი და ღონიერი — ქვეყანას გუგუცესნაირები სჭირდება. გუგუცე, ქვეყანას რომ ასსენებენ, ქამარში მაშინვე ხის ხმალს გაირჭობს.

დაბადების დღეს დედამ გუგუცე ქალაქში წაიყვანა. წავიდნენ ბაზარში. დედამ დახლზე ქათმის კვერცხები დაალაგა, გუგუცეს კი ამაყად ეჭირა ხელში ჭრელი მამალი, ნამდვილი მამალი, რომელიც, თუ მოუნდებოდა, ჩაგინის-

კარტებლა. ხალხი გუგუცეს გარშემო ირეოდა. ყველას აინტერესებდა, რა ღირდა გუგუცეს მამალი. სათვალიანმა კაცმა ხელში აიყვანა ჭრელა, ნახა, მძიმეა თუ არაო, მეორე მყიდველმა ბიბილო მოუსინჯა, ერთმა ქალმა შეუბერა და ბუმბულიც კი აუშალა, ის კი არავინ ჰკითხა:

— ყმაწვილო, თუ მღერის შენი ჭრელა?

— მერე როგორ! — უპასუხებდა. — მე თვითონ მომისმენია ჩემი ყურით.

— ყმაწვილო, მიმყიდე მამალი, რამდენსაც დააფასებ, მოგცემ, — ხოხოვს ერთი ქალი და ფულს უწვდის.

— გადავიფიქრე, — იშმუშნება გუგუცე და მამალს იღლიის ქვეშ მალავს.

ბაზრობა მთავრდებოდა, ბიჭს ერთი მეზღვაური რომ მიუახლოვდა:

— ყმაწვილო, სმამაღლა თუ მღერის შენი მამალი?

— მერე როგორ! — უპასუხა გუგუცემ. — მაგრამ ხომ არ დაკლავ?

— რას ამბობ? — გაიოცა მეზღვაურმა და ბიჭს თვალი ნაუკრა. გუგუცემ მიჰყიდა მეზღვაურს მამალი.

ნავაჭრი ფულით დედამ გუგუცეს ყაყაჩოს თესლმოყრილი ბლითები და ახალი შარვალი უყიდა. მერე კი ჯერ საპარიკმახეროში წაიყვანა, შემდეგ — მუზეუმში.

სოფლის ავტობუსში ტევა არ იყო. ოღონდ მგზავრებს შორის გუგუცესავით ზვიადად თავი არავის ეჭირა: მას ხომ ბავშვებისათვის საიდუმლო მიჰქონდა.

შინ გუგუცემ ახალი შარვალი ჩაიცვა, ბაღში ჩაირბინა, ხეზე აძერა და საყვირს ჩაჰბერა.

სად იყო, სად არა, მოცვივდნენ ხის ჯოხზე ამხედრებული და დურბინდიანი ცხენოსნები.

— სმენა! — ბრძანება გასცა გუგუცემ. — განდობთ სამხედრო საიდუმლოებას. გთხოვთ, არავისთან წამოგცდეთ!

ცხენოსნები ხესთან მიქუჩდნენ და სმენად იქცნენ.

— ხომ იცით ჩემი ჭრელა მამალი?

— ვიცით, ვიცით! — დაიძახეს ბავშვებმა.

— მაშ ასე. დღეიდან იგი საამხედრო ხომალდზე შეუდგა სამსახურს. შავ ზღვაზე წაჰყვება გემს და ყოველ დილით გააღვიძებს ფლოტს.

— ვაშაა! — მთელ სოფელს მოედო ბავშვების ყიჟინა.

გუგუცე ხიდან ჩამოხტა, ის უკვე წითელ ცხენოსანთა მეთაური იყო.

იმ საღამოს ცხენოსნებს დიდხანს არ დაუძინიათ. ფიქრობდნენ, რა ბედნიერება ეწია ჭრელ მამალსო.

ბაბუა დარაჯი

შემოდგომაზე, როცა სოფელში ყურძნით სავსე ურმები დაიძრებიან, არაფერი ჯობს ჭიშკართან დგომას. ითვლის გუგუცე, ითვლის მანამ, სანამ მისი არითმეტიკა აუთავდება. მაგრამ ურმებს ბოლო არ უჩანთ... რა იქნება, ერთი ამისთანა ურემი გუგუცეს ჭიშკართან გატყდებოდეს! მაგრამ ხარები გვერდს უვლიან ეზოს, მშვიდად მიაქვთ თავიანთი რქები და ეზიდებიან ურმებს ღვინის პუნქტში, სადაც მთებივით დგას კასრები.

ზვრები არაა შორს, სოფლის გვერდითაა. გუგუცე იქ ერთხელ მამას ახლდა, მაშინ ვენახს წამლავდნენ. თუ მოუნდება, ახლაც შეუძლია წავიდეს. ურმების ნაკვალევს გაჰყვება.

წავიდა გუგუცე, მაგრამ ნაურმალს კი არ გაუყვა, მოკლეზე მოჭრა, ორღობეში შეუხვია. გზად, იმ ეზოებს რომ ჩაუვლიდა, სადაც ძაღლები ეგულებოდა, არ ავიწყდებოდა, ღობეში ჯოხი შეეჩუჩხურებინა. ძაღლებს ძალიან უყვართ, როცა ვინმეს გამოენთებიან და უყეფენ.

სოფლის ბოლოს გუგუცე ვენახს მიადგა, ვენახს თეთრი ყურძენი ესხა. გაიხედა, გამოიხედა, ახლომახლო არავინ ჩანდა.

— არის ვინმე ვენახში? — იკითხა თავიდან ჩუმად, მერე უფრო ხმამაღლა. არავინ გაძოეპასუხა.

— შეიძლება, ერთი მტევანი მოვწყვიტო?

ჩამიჩუმი არ ისმოდა, ერთი ჩიტი აფრინდა და ეგ იყო. ნებადაურთველად მოუწევს მოწყვეტა, მაგრამ რა ანარი აქვს მოპარვას, თუ არავინ დარაჯობს.

გუგუცემ გზა განაგრძო. ისეთ ვენახს წააწყდა, ყურძენი რომ წითლად ღუოდა. იქაც არავინ იყო. გუგუცეს ძალიან უყვარს წითელი ყურძენი. თუ არაფინაა, რალა ფხოვნა უნდა. ამოარჩია ყველაზე დიდი მტევანი, გაიწვდინა და ის იყო, უნდა მოეწყვიტა, რომ ვენახს გაღმა ჯერ წყვილი ფეხსაცმელი დაინახა, მერე — ძარღლის ორი ტოტი, მერე — ხალათი, ხალათს ზემოთ კი ულვაშები და თოფი.

გუგუცე ეგრევე გახევდა ხელგაწვდილი. იქვე იდგა ბაბუა დარაჯი!

— აი, თურმე ვინ ვვეწვია, — შეირხა ულვაშები. — ვისი ხარ?

— ჩვენი, — წაიჩურჩულა გუგუცემ ისე, რომ თოფისთვის თვალი არ მოუშორებია.

ელოდა, დამაპატიმრებენო. სანაცვლოდ ბაბუა დარაჯი თავზე მოეფერა, თოფი მხრიდან ჩამოიღო და გაეწოდა:

— ერთი დამიჭირე, სანამ თუთუნს გავახვევ.

ბიჭმა ყურებს არ დაუჯერა, მაგრამ თოფი ორივე ხელით ჩაბღუჯა.

— ნეტავი, ახლა ნამდვილი ქურდი გამოჩნდებოდეს!

ბაბუა დარაჯმა აუჩქარებლად მოსწია ერთი პაპიროსი, გაახვია მეორე, მაგრამ ქურდი არ გამოჩენილა, გამომშვიდობებისას ბაბუა დარაჯმა აჩვენა გუგუცეს, საღ ესსა მსხვილ-მსხვილი მტევნები, გადაიკიდა მხარზე თოფი და მიიმალა, ვითომ არცა ყოფილა.



თოვლის ბაბუები

გუგუცემ იცის, ხაიდან მოდიან თოვლის ბაბუები.

მათ თავიანთი ქვეყანა აქვთ. იქ ღრუბლები სიცივისაგან კანკალებენ, მზე არ ანათებს, იმიტომ რომ მზე ჩვენთანაა. მათ წილად მთვარის ნაგლეჯი და ორიოდე ვარსკვლავიღა ბჟუტავს.

იმ ქვეყანაში რანაირი თოვლის ბაბუები არ ცხოვრობენ: მოხუცები, ყმაწვილები, მთლად ჩვილები.

ბებია ზამთარი მათ ახე აჩენს: თოვლში ყრის ნამცეცებს და ახურავს ქუდებს. დილით ნამცეციდან პატარა თოვლის ბაბუა გაჩნდება, თავზე ქუდი ხურავს. სამ დღეს ბებია ზამთარს შინა ჰყავს პატარა თოვლის ბაბუები და მხოლოდ თოვლის ფიფქებით კვებავს. უცდის, როდის ამოუვათ ულვაშები და თეთრი წვერი. შემდეგ ეზოში უშვებს, თქვენს თავს მიხედეთო, და ახლებს აჩენს.

პატარა თოვლის ბაბუები ერთმანეთს დასდევენ, მთებიდან ციგებით ეშვებიან და თეთრ დათვებს ქუდებს ესვრიან. ვინც შინ რჩება, თოვლის თოჯინებს ძერწავს. სკოლაში ირმებით დადიან. იქ მხოლოდ გეოგრაფიას და უცხო ენებს ასწავლიან, რომ თოვლის ბაბუებმა იცოდნენ,

[illegible] ძალიან [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. შუა [illegible] [illegible] [illegible]

ახალი წლის ღამე

ნაძვის ხემ თვითონ შემოაღო კარი და შინ შემოვიდა, უკან მამა მოჰყვა. მეტყევის ქალიშვილმა დოინამ ჯერ ტაში შემოჰკრა, მერე ნაძვის ხეს უჩვენა სადაც უნდა მდგარიყო.

ჩიტებმა, ციყვებმა, კურდღლებმა მაშინვე გაიგეს, ნაძვის ხე გვეწვიაო, და ზოგი ტოტებზე შეასკუპდა, ზოგი ზედ ჩამოკონწიალდა. ნაძვის ხეზე ნათურები აციაფდა. ყველა მზად იყო ახალი წლის შესახვედრად.

მოლდაეეთის სოფლებში ახალი წელი ალალბედად არ მოდის. უყვარს ახალ წელს იმ ღამეს ხალხი რომ ერთმანეთთან მიდი-მოდის, ერთმანეთს ახალ წელს ულოცავს, ფანჯრებში შემოდის ძახილი: „ეჰე-ჰეი!“ და ისმის ზანზალაკების წკრიალი.

ბის გოგონა ფანჯარასთან და გაჰყურებს სიბნელეს, ნაძვის ხეც იყურება ბნელი ფანჯრიდან. ბილიკზე არავინ ჩანს. მხოლოდ შორს, იქ, სადაც სოფელია, ზანზალაკები წკრიალებს.

— ახალი წელი უკვე სოფელშია, — ამბობს გოგონა თავისთვის. — რად ააშენა მამამ ჩვენი სახლი ტყეში? არა

და არ აწკრიალდებიან ზანზალაკები ჩვენს ფანჯრებთან, ვერ გაიგონებს მათ ხმას ახალი წელი და ვერც მოვვაგნებს, არც ვუგუცე მოვა მოსალოცად. სოფელში მას არ ეშინია, იქ ძაღლებია, აქ კი, ტყეში?..

მოიღუშა დოინა. ნაღვლიანად აციმციმდნენ ნაძვის ხის ნათურები.

საათმა შუაღამისა ჩამორეკა. დედა, მამა, პაპა შემოეხვივენენ დოინას, ვადაკოცნეს, საჩუქრები მიართვეს, ახალი წელი მიულოცეს, მაგრამ ეს რა ახალი წელია, თუ ფანჯარასთან არავინ დაიძახა: „ეჰე-ჰეი, ეჰე-ჰეი!“ და ზანზალაკმა ერთხელაც არ დაიწკრიალა? რატომ ააშენა მამამ სახლი ტყეში?

გოგონა ისევ სიბნელეს გასცქეროდა, მაგრამ მოვიდა ძილისგუდიანი პაპა და დოინა ფანჯარას მოაცილა. ძილმა ვერც მოასწრო დოინასთვის წამწამები მოეხუჭა, ფანჯრის ქვემოთ თოვლი აჭრაჭუნდა და მოისმა სიმღერა:

აბრძანდი, სახლის პატრონო
და ჩვენო დიასახლისო,
თქვენს ნახვას გულით ვნატრობდით,
სული ხიამით აგვევსოთ...
ფანჯარასთან მოდით ყველა,
გვსურს გიმღეროთ დელი-დელა!

ვინ იყო ამ ბიჭებში ყველაზე უმცროსი და ვის ეჭირა ყველაზე დიდი ზანზალაკი? რა თქმა უნდა, გუგუცეს!

ნებას დაგვრთავთ სიმღერისას,
თქვენი ქება-დიდებისას?

— ნებას გაძლევთ, ნებას გაძლევთ! — უპასუხა მამამ.

ზანზალაკების წკრიალს ფანჯრის მინებიც აპყვა. აგუგუნდა ბუგაი.[1] გაიღვიძა ნაძვის ხეზე მოკალათებულმა ნადირ-ფრინველმა. მათაც მოუნდათ მოსმენა.

გამოგვხედეთ კეთილ სტუმრებს,
ვიხალისებთ, ბევრს ვიხუმრებთ.

---

[1] ბუგაი მუსაკალური ინსტრუმენტია.

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

ხახლი ზანზარებდა, [illegible] ეს ხმა, რომ [illegible] ძალიან ძაბრეზე თავი ყანაბლის, [illegible] ხელაც არაფერი ხმაკენია.

გარეთ თოვდა. ბიჭები [illegible] ნიდაგინ თოვლში, [illegible] ხმაბლები [illegible]. [illegible] ეწოთა [illegible] ბუბალი [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible]

დილით დოინა ფანჯარას მივარდა. ცოდან ისევ ცვიოდა ფიფქები.

ფანტელ-ფანტელ თოვლის ფქვილი
ცვივა ლურჯი ტომრიდან.
ჩვენს ღუმელში გამომცხვარი
ტკბილეული მომინდა.

მხიარულად მღეროდნენ ფიფქები. ბარდნიდა და ბარდნიდა. გადაიპენტა ფანჯარა, მიწაყრილი, ეზო, ტყე, გადათეთრდა ირგვლივ ყველაფერი. აი, როგორი ყოფილა ახალი წლის დილა!

გამოვიდა მეტყევის ქალიშვილი წინკარში ფიფქების შესახვედრად, გამოუტანა მთელი კალათა თხილი და თაფლაკვერი. მაგრამ ვის მიართვას ნობათი? ფიფქებს ჯიბეები არა აქვთ, არ უნდათ არც თხილი, არც თაფლაკვერი.

ვლოცავ თეთრს და შინდისფერს,
რომ ჰყვაოდნენ მრავალ წელს!

მიუმღერეს ფიფქებმა გამომშვიდობებისას მერე თავიანთი თეთრი ქუდები დაუქნიეს და ფრენა-ფრენით მოედვნენ მინდორს, ტყეს, ველს, სოფელს, გაფრინდნენ ყველგან, სადაც კი ელოდებოდნენ.

ᲛᲔᲓᲝᲚᲔ

ᲒᲣᲒᲣᲪᲔᲡ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲔᲑᲡ ᲒᲝᲒᲝᲜᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲐᲗ.

ᲒᲝᲒᲝᲜᲐᲡ ᲓᲔᲓᲐᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲦᲐᲛᲔ ᲨᲣᲥᲘ ᲣᲜᲗᲘᲐ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲣᲮᲐᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ. ᲒᲝᲒᲝᲜᲐᲡ ᲛᲐᲛᲐ, ᲫᲘᲐ ᲛᲘᲮᲐᲘ, ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲑᲘᲭᲔᲑᲡ ᲛᲝᲣᲧᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲡ, ᲩᲐᲡᲮᲐᲛᲡ ᲝᲗᲮᲗᲕᲐᲚᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲚᲛᲐ-ᲓᲐᲦᲛᲐ ᲓᲐᲐᲡᲔᲘᲠᲜᲔᲑᲡ. ᲒᲣᲒᲣᲪᲔᲡ ᲡᲐᲓᲐᲕᲔᲪ ᲙᲘ ᲐᲜᲓᲝ ᲓᲐ ᲘᲡᲘᲪ ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲪᲮᲔᲜᲔᲑᲛᲐ ᲨᲣᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲩᲐᲘᲥᲠᲝᲚᲔᲡ.

ᲫᲘᲐ ᲛᲘᲮᲐᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲣᲒᲣᲪᲔ ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲙᲐᲪᲘᲐ. ᲛᲐᲗ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲡ ᲨᲣᲐ ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲦᲝᲑᲔᲐ ᲒᲐᲧᲝᲚᲔᲑᲣᲚᲘ, ᲡᲙᲣᲠ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲮᲢᲔᲑᲘ. ᲘᲥ ᲙᲘ ᲒᲝᲒᲝᲜᲐ ᲬᲔᲕᲡ ᲐᲙᲕᲐᲜᲨᲘ. ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲡ ᲡᲣᲚ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲝᲒᲝᲡᲐᲕᲘᲗ ᲐᲬᲧᲔᲢᲡ. ᲫᲘᲚᲨᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲝᲪᲘᲜᲘᲡᲝ ᲙᲘᲓᲔᲪ, ᲐᲡᲔ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲡᲘ.

ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲝᲒᲝᲜᲐᲡ ᲚᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲥᲛᲔᲕᲔᲜ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲐᲠᲥᲕᲐᲜ, ᲓᲦᲔᲝᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲝᲜ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲚᲘᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲑᲔᲑᲘᲐ ᲪᲝᲛᲡᲐ ᲖᲔᲚᲡ ᲓᲐ ᲧᲣᲠᲘᲐᲜ ᲞᲣᲠᲔᲑᲡ ᲐᲪᲮᲝᲑᲡ, ᲛᲔᲝᲠᲔᲡ ᲦᲣᲛᲔᲚᲘᲓᲐᲜ ᲜᲐᲛᲓᲕᲐᲚᲐ ᲛᲗᲕᲐᲠᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ ᲗᲐᲤᲚᲐᲙᲕᲔᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲐᲥᲕᲡ. ᲫᲘᲐ ᲛᲘᲮᲐᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ ᲙᲐᲠᲓᲐᲙᲐᲠ ᲓᲐᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲔᲑᲡ ᲓᲐᲔᲫᲔᲑᲡ.

ᲒᲣᲒᲣᲪᲔᲡ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ, ᲣᲤᲠᲝᲡᲔᲑᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲨᲐᲚᲝᲡ. ᲡᲙᲣᲠ ᲓᲐ ᲨᲘᲜᲐᲐ. ᲒᲐᲛᲝᲫᲔᲑᲜᲐ ᲡᲐᲮᲐᲢᲐᲕᲘ ᲠᲕᲔᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲔᲨᲕᲔᲑᲡ ᲮᲐᲢᲐᲕᲡ, ᲬᲘᲜᲐᲠᲨᲘ ᲛᲝᲘᲙᲐᲚᲐᲗᲐ, ᲮᲔᲚᲨᲘ

ფანქარი მოიმარჯვა და ფიქრობს, როგორ დახატოს გოგონა ისე, რომ გუგუცეს სახლისკენ იყურებოდეს.

ამ დროს გამოჩნდა ძია მიხაი.

— გუგუცე, ერთი ყური მიგდე, დოლის დაკვრა თუ იცი?

— ვიცი და ეგრე, ძია მიხაი!

— აი, რა, გუგუცე. შენ ხომ იცი, გოგონა მყავს, თუნდაც თავი ქვას ვაბალო, დღეს ჩემს სახლში მუსიკა უნდა უკრავდეს. სამწუხაროდ, მუსიკოსები მექორწილეებს წაუყვან-წამოუყვანიათ. დილიდან შარაზე ვარ გადებული, ფეხები დამაწყდა, ერთი აკორდეონზე დამკვრელი ყმაწვილი კი ვიპოვე, მაგრამ ხომ იცი, თავი და თავი დოლია.

— თუ არავინაა დოლზე დამკვრელი, მე მოვალ, ძია მიხაი, ოღონდ დოლი არა მაქვს.

— შენ მოდი, გუგუცე, და დოლს მე ვიშოვი.

ძია მიხაიმ მაშინვე მიაკითხა კრეცულიაკის ქვრივს და სთხოვა, ამ საღამოს ქმრის ნაქონი დოლი მათხოვეო. ქვრივმა ჩამოიღო სხვენიდან დოლი, მტვერი მოაცილა, ძია მიხაიმ კი მხარზე გადაიკიდა და წამოვიდა.

მზე ის იყო, ჩადიოდა, გუგუცე ღობეს რომ გადაახტა. სკუპ და დოლთან გაჩნდა, ხელში ჯოხები მოიმარჯვა. აკორდეონის დამკვრელმა ყმაწვილმა ბიჭს შურით გადახედა.

შეეცოდა გუგუცეს და უთხრა:

— ცოტა მოითმინე და შენც დაგარტყმევინებ.

დამ-დაირა-დაირა! — და გაჩაღდა ლხინი. აკორდეონის ხმა ეზოშივე იკარგებოდა. დოლი კი ქუხდა და მთელი სოფელი ფეხზე დააყენა.

დიდი ხანია, ამ დოლს ხმა არ ამოეღო. მას მერე, რაც ტოადერ კრეცულიაკი გარდაიცვალა. უცნაური კია: დოლი სხვენზე ეგდო, დუმდა, მტვერი ედებოდა: სიმღერები კი არ დავიწყებია.

— უსმინე, ტოადერ კრეცულიაკის დოლი არ არის? — ჩერდებოდა ქუჩაში ხალხი. — დოლიც ამას ჰქვია! მედოლე როგორიღაა, ჰა? ანდა ვინ არის?

მიაწყდა ხალხი ლილის სახლს. ძია მიხაი ძლივს ასწრებდა სტუმრების შესვეედრას. გუგუცე და აკორდეონისტი მარშს უკრავდნენ. სტუმრები მოიშველებდნენ ქუდს და ერთხმად იძახდნენ:

— გაუმარჯოს მუსიკას!

დოლის მოსასმენად კრეცულიაკის ქვრივიც მოვიდა.

გუგუცე რომ დოლზე უკრავს, ვერ გაჩერდები. ხალხი ცეკვავს, ხტუნავს, წყვილები ტრიალებენ, ფეხებს აბაკუნებენ.

— გუგუცე, ბიჭო! ცოტა ამოგვასუნთქე! ძალა გამოგვეცალა!

გუგუცე წუთით მოასვენებს ჯოხებს და ისევ: დამ-დაირა-დაირა! ეზომ თითქოს ფეხი აიდგა, ხეები ირწევიან, ფრინველები ბუდეებში ბარტყებს აღვიძებენ, თქვენც მოისმინეთ, გუგუცე დოლს როგორ უკრავსო.

იმ საღამოს სოფელში ერთიდროულად სამგან იხდიდნენ ქორწილს. სამივე ეზოში დოლზე უკრავდნენ, მაგრამ გუგუცეს, აბა, რას შეედრებოდნენ! გაიხედა ძია მიხაიმ და ეზოში ტევა აღარ იყო, სტუმრები პირდაპირ ქუჩაში ცეკვავდნენ. სწორედ ამ დროს ძია მიხაისთან სამივე სასიძომ ერთად მოირბინა, ქორწილი გვეშლება, ცოტა ხნით ხალხი გაგვატანეო.

დაჰკრა გუგუცემ დოლს, ველარ გაუძლეს სასიძოებმა და აცეკვდნენ.

სასიძოებს საპატარძლოები მოჰყვნენ, იხვეწებოდნენ, სტუმრები აღარ გვინდა, სასიძოები დაგვიბრუნეთო. მაგრამ სანამ გონს მოეგებოდნენ, ისინიც ფერხულში ჩაებნენ.

ის რაღა ქორწილია, სადაც ნეფე-პატარძალი არაა! და აი, ლილის სახლისკენ წამოვიდნენ სამივე ქორწილის მუსიკოსები. წინ სამი მოხუცი მედოლე მოუძღოდათ.

ნახა გუგუცემ, რამდენი ხალხი ცეკვავდა პატარა ლილის პატივსაცემად, რამდენი ვარსკვლავი ციმციმებდა ცაზე და ჯოხები აკორდეონისტს მისცა, თვითონ კი შინ ვასწია დასაძინებლად. ხალხმა გუგუცეს ქუდი კანფეტებით აუვსო, ხოლო ტოადერ კრეცულიაკის ქვრივმა თქვა, ეს დოლი გუგუცეს უნდა ვაჩუქოო.



სასწორი

ერთხელ გუგუცე ქალაქში იყო და დიდი სასწორი ნახა. ერთი თეთრხალათიანი მოხუცი იდგა და გამველელ-გამომცლელს წონიდა.

შინისკენ მოსაკალს გზაში ეაახსენდა, რომ სასიმინდეში მათაც ედგათ სასწორი. დილით, დედა და მამა მინდორში სამუშაოდ რომ წავიდნენ, გუგუცემ და მისმა დამ გამოათრიეს სასწორი და ჭიშკართან დადგეს. გუგუცემ პერანგი ჩაიცვა, ოღონდ შარვალში არ ჩაიტანა. გრძელი თეთრი პერანგი იყო. რაში ჩამოუვარდებოდა ხალათს? დამ საიდანღაც კარტოფილები გამოიჩხრიკა, ზოგი მსხვილი, ზოგი წვრილი. არ ავარგებს საწონებად თუ?

გუგუცემ ქაღალდზე დაწერა ციფრი „4“, მიუჩატა კაპიკიანი, ქაღალდი სასწორს მიაწება და თვითონაც სასწორის გვერდით დადგა. ყველაფერი ისე ეააკეთა, როგორც ქალაქში ნახა. მაგრამ ვაშველელები არიან სხვანაირი, მიდიან თავისთვის. წაშალა „4“, დააწერა „3“. მაინც არავინ მოვიდა. ფახი კაპიკამდე ჩამოსწია და აი, ერთი ძია გაჩერდა, სასწორს შეხედა, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ გადაიფიქრა და თავის გზას გაუყვა.

გუგუცემ სულ აიკალა ქაღალდი. ეს იმას ნიშნავდა,

უფასოდ შეგიძლიათ აიწონითთ. მაინც არავინ მიეკარა. მაშინ დამ მოიტანა ერთი კალთა ვაშლი და ერთი კალთა მსხალი. ვაშლი კაცებს უნდა მიართვან, მსხალი — ქალებს, თუკი აიწონებიან. მაგრამ ეამელლეებმა თითქოს პირი შეკრეს, არავინ ეკარება სასწორს. საბაგიეროდ მეზობლის ბიჭებმა მოირბინეს, თავიანთი ქუდები აწონეს და მოელი ვაშლი და მსხალი ჩაახრამუნეს.

სადილამდე ოთხთვალამ ჩაიარა. ოთხთვალა გუგუცეს ძმაკაცს მოჰყავდა. ცხენები შეაჩერა და ამბავი იკითხა. — ნუ დარდობ, — უთხრა გუგუცეს. — ახლავე გასწავლი, რა ქნა. მოიტა სასწორი, ოთხთვალზე დავდოთ. კალოზე მივიტანოთ. იქაა ბევრი ხალხი.

ძივიდნენ კალოზე. სასწორი მიწაზე დადგეს. გაიხედეს და ხალხი მართლაც ჭიანჭველასავით იარეოდა.

— ხალხნო! — დაიძახა მესახიდრემ. — არ გინდათ, შეიტყოთ, რამდენ ფუთს იწონით? მობრძანდით ამ ყმაწვილთან!

მაგრამ ხალხი მუშაობდა და არც არავის გამოუხედავს. იდგა გუგუცე სასწორთან მარტოდმარტო. მზე უკვე ჩადიოდა, როცა გადაწყვიტა, პერანგი ჩაეტანებინა შარვალში და სასწორი იქვე, კალოზე დაეტოვებინა. რალა საჭიროა, თუ არავინ აიწონება?

უცებ ხალხს ძია იონი გამოეყო, ოფლით დაცვარული სახე მოიწმინდა და გუგუცეს უთხრა:

— აბა, ყმაწვილო, ამწონე ერთი!

გამოუძებნა გუგუცეს ნამდვილი საწონები და დადგა სასწორზე. გუგუცეს სიხარულისაგან თვალები აენთო. დადო სასწორზე საწონები, ყურს უკან ჩადებული ფანქარი გამოიღო და დაითვალა:

— ამღენს და ამდენს იწონი, ძია იონ.

— ვითომ? — ულვაშებში ჩაეცინა ძია იონს.

აიღო გუგუცემ მეორე ფანქარი, ქიმიური, ისევ დაითვალა, ძია იონის კილოგრამები. ყველაფერი, როგორც უთხრა, ისე გამოვიდა.

— აი, ესეც აწონე, — ულვაშებში ჩაიცინა ძია იონმა და სასწორზე მარცვლეულით სავსე ტომარა შეაგდო.

გუგუცემ აწონა და მისი წონა ძია იონის წონას მიამატა.

— ახლა ამდენი და ამდენია.

— რაღაცა არა მგონია, აბა, კიდევ დაამატე აი, ის მარცვლეული.

ვვიან შელამებამდე წონიდა და წონიდა გუგუცე. ნაოურები აინთო, ორივე ფანქარი, ქიმიურიცა და უბრალოც, დაილია.

— ყოჩაღ! — იღიმება ძია იონი. — აი, ეს მარცვლეული აწონე, — და უჩვენა შვიდჯერ უფრო მეტი, ვიდრე ადრე ააწონინა.

გუგუცე მათ როდი პგავს, შრომას რომ გაურბიან. ძია იონმა უფრო დიდი სასწორი მისცა და ორი თანაშემწეც დაუნიშნა. მთელი კვირა დაჰყო ვუგუცემ მინდორში, დას მოჰქონდა სადილი, ფანქრები და უჯრიანი რვეული. ყოველდღე ახალი რვეული სჭირდებოდა, ფანქრებს ხომ ნულარ იტყვით: ერთი თანაშემწე ფანქრების წვერის წათლას ვერ აუდიოდა.

მერვე დღეს გუგუცემ დაამთავრა მარცვლეულის აწონა და ძია იონს აჩვენა, რამდენი გამოვიდა. ძია იონმა შუბლი შეიკრა.

— რაღაც არ გამოდის, შვილო, კიდევ უნდა დაეუმატოთ. და უჩვენა მთასავით ცამდე აზვინული სიმინდის ტაროები, გორებად დახვავებული მზესუმზირა, ყურძნით სავსე საზიდრები. ძია იონმა გუგუცეს მისცა მესამე თანაშემწე და ყველაზე დიდი სასწორი.

შემოდგომა იდგა. სკოლაში დიდი ხანია სწავლა დაიწყო. გუგუცემ ჩაალაგა ჩემოდანში რვეულები და მიადგა მათემატიკის მასწავლებელს, დამეხმარეო. მასწავლებელმა მთელ მესამე კლასს დაურიგა სამუშაო. რამდენიმე დღე გოგონები და ბიჭუნები ამატებდნენ, აკლებდნენ, ისევ

ამატებდნენ, სანამ საბოლოოდ შეკვანა არ ამოუშრათ. მიღებული ციფრი მატარებელივით გაიჭიმა.

გუგუცე კიდევ აანგარიშებანებდა, მაგრამ არ იცოდა, როგორ აეწონა: რომ დაითესა, ის ხორბალი, ბავშვებმა რომ პირი ჩაიტკბარუნეს, ის ყურძენი, ფრინველებმა რომ აკენკეს, ის მარცვლეული, მოძებნა ძია იონი და აჩუქა მატარებელივით გრძელი ციფრი.

— ძია იონ, შენ ასი ათას ფუთს იწონი, აი, რამდენია!

— ჰო, ახლა მგონი, სწორია. — ულვაშებზე ხელი გადაისვა ძია იონმა და დაუმატა:

— შენ, გუგუცე, კარგად იყავი, დიდი პიჭი გაიზარდე, ძალა მოიკრიბე. გეტყობა, კარგი მოწაფე დადგები.

ᲒᲣᲒᲣᲪᲔᲡ ᲛᲔᲠᲩᲘ

რამდენიმე დღეა, გუგუცე ეზოში არა ჩანს. ღიღ ბიჭებთან გაუწია საქმე. დადის მთელ სოფელში და სასკოლო წიგნებს დაეძებს. ოთხი დედაენა ღაავროვა, ზურგჩანთა კი ბიბაშვილისაგან ინათხოვრა.

პირველი სექტემბრის წინა საღამოს თავის პატარა მეგობრებს დაემშვიდობა, ურჩია, სხვა ამსანაგი მოძებნეთო. თავისი სათამაშოები კი უმცროს დას გადაულოცა. საჭესთან შოფერი რომ იჯდა, ის მანქანაც გაიმეტა.

ადრიანად დაწვა, მაგრამ ვერა და ვერ დაიძინა. აი, ძაღლიც აყეფდა. „უცებ რომ ძალისგუდიანი პაპა ენე მოვიდეს და ჩემი ზურგჩანთა ხელს გააყოლოსო“, — იფიქრა გუგუცემ. ადგა, ეზოში ჩაირბინა და ტარზანი აუშვა. დილით მთელ ღამეს პაპა ენესთან ნაბრძოლ ძაღლს ღრმად ჩასძინებოდა. ზურგჩანთა კი სელუხლებლად იდო.

გუგუცემ ხელ-პირი დაიბანა, ახალი ტანსაცმელი ჩაიცვა, ზურგჩანთა მოიკიდა, ბაღში ყვავილები მოწყვიტა და სკოლისაკენ გაუდგა გზას.

„ერთი წიგნით პირველ კლასში დადიან, ორით — მეორეში, — ფიქრობდა გუგუცე გზაში. — ოთხით ნეტავ რომელ კლასში იელიან?“

სკოლის ჭიშკართან დირექტორი იდგა.

— გუგუცე, შენა? — გაუკვირდა დირექტორს. — ჯერ ზურგჩანთას არ ასცილებიხარ! სანამ პირველ კლასში მოხვალ, კიდევ ეროი თავით უნდა გაიზარდო. მაგრამ, რადგან მოსულხარ, ბარემ სკოლის ბაღჩაში შედი და საზამთრო მაირთეი.

გუგუცე სირცხვილისაგან ლამის მიწაში ჩაძვრა. კაცი წიგნებით საკუსე ზურგჩანთით სკოლაში მოვიდა და ამდენი ბავშვის თანდასწრებით საზამთროს საჭმელად აგზავნიან!

გაბრაზდა გუგუცე და შინ დაბრუნდა.

მიხვდა დირექტორი, გუგუცე რომ გაუნაწყენდა და სალამოს შემოსარიგებლად შინ ეწვია. რას არ შეჰპირდა, მაგრამ ვერაფერს გახდა.

— რას იტყვი, გუგუცე, შესვენებაზე სკოლის ხარი რომ ჩამოგარეკინო? როგორ მოგწონს, ჰა?

— არც როგორ.

— დღესასწაულზე სკოლის სცენიდან ლექსი რომ წაგაკითხო, ამაზე რას იტყვი?

— არაფერს.

დირექტორი როგორც მოვიდა, ისე წავიდა.

გუგუცემ კი მამას უთხრა:

— მამა, ამიშენე ეზოში სკოლა.

მამამ მხრები აიჩეჩა;

— თუ ავაშენებ, ნამდვილი უნდა იყოს, მე კი არც ამწე მაქვს, არც თვითმცლელი მანქანა.

— მაშინ მერხი გამიკეთე, — არ მოეშვა გუგუცე.

— მერხი შეიძლება...

ერთ კვირაში გუგუცეს ნამდვილი მერხი დაუდგა მამამ. სკოლის ზარი დაიწკრიალებს თუ არა, გუგუცე მიუჯდება მერხს და შეუდგება სწავლას. მთელი სოფლის პატარები მოადგებიან ღობეს და ჭუჭრუტანებიდან შემოსცქერიან გუგუცეს. რას არ მისცემდნენ, ოღონდ ასეთ მერხზე დამსხდარიყვნენ. შეიცოდა გუგუცემ გოგო-ბიჭები, უთხრა: —

წიგნები იშოვეთ, ხელ-პირი დაიბანეთ და თითო-თითო მოდითო.

მერხის ამბავი მთელ სოფელს მოედო. დიდები ბაღს, რომ ჩაუვლიდნენ, გადაიხედავდნენ ხილმე ღობიდან და უხარიოდათ, სოფელს კიდევ ერთი სწავლული შეემატებაო. ზოგი შეივლიდა კიდეც ბაღში.

და აი, ერთ მშვენიერ დღეს, როცა გუგუცეს შესვენება ჰქონდა, ბაღის ჭიშკარი თვით სკოლის დირექტორმა შემოაღო.

— თუ შეიძლება, გუგუცე, შენს მერხზე დამსვი

— შეიძლება, — უპასუხა გუგუცემ. — ოღონდ ჯერ ჩვენი ბაღის ყაშლი მიირთვით.

ფოსტალიონი

ღაბერდა ფოსტალიონი, იშვიათად მოჰქონდა წერილები.

ვისაც ჯერ კიდევ შერჩა ძველი წერილები, ამოიღებდა, გადახუნებულ ასოებს ვადაამელნებდა, თარიღს ვადაასწორებდა და კითხულობდა ამ ძველ წერილებს, თითქოს ეს-ეს არის, მოვიდაო.

ვისაც ასეთი წერილები არა ჰქონდა, მეზობლებს ეკითხებოდა, ახალს რას იწერებიან სოფელშიო.

მეზობლებსაც თუ არა ჰქონდათ, მაშინ იდგნენ ალაყაფის კართან, უყურებდნენ, როგორ ჩაივლიდა ფოსტალიონი და ოხრავდნენ:

— ფოსტალიონი რომ დაბერდება და დაჩაჩანაკდება, ამაზე დიდი უბედურება სოფლის რაღა მოუვაო.

და აი, ყველანი, ვისაც დიდი ხანია, ხელში წერილი არა სჭერია, ფოსტასთან შეიყარნენ, ბალახზე მოირთხეს ფეხი და დაიწყეს ბაასი და ბჭობა, განსჯა და განკითხვა, რითი ეშველაო ამ უბედურებისათვის. ბებერი ვერ გაჯელდება, რაღას ველოდებით, რამე უნდა ვიღონოთ.

ქალაქიბეს მოელაპარაკნენ და იმავე დღეს ფოსტალიონს ცხენი და ოთხთვალა მიჰგზავნეს.

სადამოს სოფელში უკვე ორი წერილი ერთად მოვიდა!

ძველი ლამე თვალი არავის მოუხუჭავს. წერილებს კითხულობდნენ: ერთი სახლში რომ ჩაქრებოდა შუქი, მეორეში ანთებულიყო.

ღილით მაწყალები დიდზე ცარცით წერდნენ წერილებიანად აღოკრებილ წინადადებებს და გრამატიკულად არ ბეჭდავენ.

სოფელში მთელი კვირას ლხინი იყო გაჩაღებული. სვანმა ფოსტალიონის ხადოვრძელის და მის ცხენს საუკეთესო შვრიას ურჩევდნენ.

ბაგრამ წერილები ისევე შეწყობა. ის ოღონ დადგა, როცა დაავიწყდათ, ცხენისათვის შვრია ოაეყარათ.

— რას ამბობ, ნამეტანი დაგვიბერდა ჩვენი ფოსტალიონი! — წუსდა ხალხი და ცხენსაც ალმაცერად უყურებდა.

— ბო, ბაგრამ, ცხენი? — უკვირდათ ბავშვებს. — ცხენი რა შუაშია?

ერთხელ ფოსტალიონი გზის პირას ცხენს აძოვებდა და წუხდა, ძნელი ყოფილა საბერეო. მიეიდა მეჯინიბე და ეუბნება:

— წერილები თუ არ მოვიტანია, იცოდე, ცხენს ჩამოგართმევ!

გუგუნაძემ ეს კი ვერარ მოითმინა და ფოსტალიონს დაუმეგობრდა. ძველი დღეები ოთხთვალას უტრიალებდა. ცხენს აჭმევდა, სადამოს საჯინიბოში მიჰყავდა და ფოსტალიონისაგან ნელა-ნელა იგებდა, რაც ეწადა.

და აი, გუგუნაძემ მაღაზიაში იყიდა ჩვენი ქვეყნის რუკა, მოძებნა ის ადგილები, სადაც მისი სოფლელები იყვნენ წასულები. საიდანაც კაცი იყო წასული, ქუდი მიახატა,

საიდანაც ქალი — ყვავილი. მერე თვითონ თავისი ხელით შეადგინა სოფლის რუკა. ყველა სახლი, სადაც წერილებს ელოდებოდნენ, კარღია დახატა.

გუგუცე სოფლის ბოლოდან მოჰყვა.

კიშინიოვში რომ სწავლობდა, იმ სტუდენტის სახლიდან დაიწყო. ჯერ ვეოგრაფიის მასწავლებელს გამოჰკითხა, რა და რა ქუჩებია კიშინიოვში და როგორი ამინდიციის. დილით ფოსტაში წაცუნცულდა, ფოსტალიონს გვერდით მიუჯდა. ფოსტალიონს ვაახსენდა, პაუშვობაში თვითონ როგორ უყვარდა ბეჭდის დასმა და მისცა ბეჭედი გუგუცეს, ერთ-ორ წერილს დაუსვასო.

იმავე დღეს სტუდენტის დედამ მიიღო ბეჭდიანი წერილი, დიდი ასოებით ნაწერი, კითხვის დროს თვალები რომ არა სტკენოდა. დედამ მაშინვე წაუკითხა წერილი მეზობელს და მთელ სოფელში ხმა დაირხა, რანაირი ქუჩები ყოფილა კიშინიოვში და როგორი კოკისპირული წვიმები მოსულა დედაქალაქში.

შემდეგ იმ სახლის ჯერი დადგა, რომლის ჰატრონიც ჯარში მსახურობდა. რა უნდა მიეწერა მისი ცოლისათვის?

გუგუცემ იარა და იარა ოთახში, სმენაზეც გაიჭიმა, მაგრამ თავში არავითარი ჯარისკაცური აზრი არ მოუვიდა. მხოლოდ ის მოაგონდა, რომ სამხედრო საიდუმლოების ვამხელა არ შეიძლებოდა.

რომ ვერაფერი ვააწყო, ადგა, წერილის მაგივრად ქაღალდზე მტრედი დახატა და ბეჭდიან კონვერტში ჩადო.

დილით ჯარისკაცის ბედნიერმა ცოლმა სოფელი მოირბინა:

— ნახეთ, ქმარმა რა დამიხატაო!

გუგუცესაც დააჭერინა მტრედი ხელში, მერე წერილი ფანჯარაზე გამოდო, თვითონ კი ქუჩაში გამოვიდა, რომ ახლა შორიდან დამტკბარიყო ნახატის ყურებით.

— რაც მართალია, მართალია, — ამბობდნენ მოხუ-

ცები. — ასეთი მტრედი აქამდის ჩვენთვის არავის გამოუგზავნია!

ერთი სიტყვით, მას შემდეგ, რაც გუგუცე ეშველებოდა ფოსტალიონს ბეჭდის დასმაში, რუკაზე ლიკარიანი სახლები თანდათან კლებულობდა. ხალხი შორიდანვე ქუდს ეხდიდა ფოსტალიონს, ხოლო მისი ცხენი ყოველდღე მხიარულად შვრიასა და ლორთქო ბალახს შეექცეოდა.

გუგუცე ფისქვილში

მზემ საკმაოდ აიმაღლა, წისქვილი კი ჯერაც არ გაელოთ.

მარიუცა დეიდამ სამგზის ჩაამატა წყალი ქვაბში, რომელშიც ღომი უნდა მოესარშა, მაგრამ არც ძია იონი ჩანდა და არც ფქვილი.

მარიუცა დეიდას შეშის დასაპობად არ ეცალა, ამიტომ ხელის მოსანაცვლებლად თაეისი ღობიდან მზესუმზირას ღეროებს აძრობდა და ცეცხლს უკეთებდა.

ბოლოს მოთმინებაგამოლეულმა თავის გოგონას უთხრა:

— წადი, შვილო, მეწისქვილეს უთხარი, რომ მალე მის ღობეს მივადგები!

— აბა, როგორ დავფქვაე, — ბრაზობდა მეწისქვილე, — სულ სამი კაცი მოვიდა, ცოტაა საფქვავი, დოლაბი ტყუილუბრალოდ გაცვდება.

როცა სამი ქალი მის ღობეს მიადგა და მზესუმზირას ღეროები დააძრო, მეწისქვილემ წისქვილი კარღია მიატოვა და, როგორც იყო ისე, უქუდოდ, ღობის გადასარჩენად შინისაკენ მოუსვა. ხომ იცით, ღობე თუ მოიშალა, სახლ-კარს პატრონი არა ჰყოლია და ეგაა.

ჯერ დათელილიც არა ჰქონდა, მის ლობეს რამდენი მზესუმზირას ღერო ძოძრავს, რომ ქალები ახლა წისქვილის ლობეს მიაგენენ.

მეწისქვილე წისქვილისაკენ გაიქანდა. შეუდგა ლობეს და სახა, იმოდენაზეა გაბრაზებული, კაცი გაუტეხავ. შეუდგა ლობეს და გაამზადა.

— სალხნო, — იმუქრებოდა მეწისქვილე — აქ ძანამ ვიდგები, სანამ ღეროებს არ დაბრუნენ.

მოუტანეს სმელი ღეროები, ოღონდ ის კი არა, რომელიც გამოაძვრეს. (ღუმელიდან რომ ვამოელოთ, სომ ცეცხლი მოედებოდა იქაურობას.) მაგრამ მეწისქვილეს რჩევა არ დაუწყია.

— აი, ასე, — დამშვიდდა იგი. — ეს უკვე სხვა საქმეა.

— ფქვილის საქმე როგორ იქნება? — ღელავდა ხალხი.

— წადით სოფელში, შეუძახეთ ხალხს, საფქვავი მოიტანონ!

— მეწისქვილე შენა ხარ და შენ წადი!

მეწისქვილემ პიჯაკი ფქვილში ამოგანგლა, ხალხს შორიდანვე რომ ეცნო, და მთავარ ქუჩას დაუყვა, სამი კაცი შუკებში განაწილდა, რომ მიშველებოლნენ.

— ვის გითავდებათ ფქვილი? წამოიღეთ საფქვავი წისქვილში! — იძახდნენ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მეწისქვილე და მისი სამი თანაშემწე.

წისქვილის წინ, თითქოს მიწიდან ამოძვრნენო, ჯერ ერთი გამოჩნდა ნახევარი ტომარა საფქვავით, მერე — მეორე...

სამი კაცი და მეწისქვილე დასხდნენ ბალასზე და დაიწყეს ბჭობა, ვინ არ იქნება ახლა მინდვრად, რომ საფქვავი მოიტანოს წისქვილშიო.

მიხვდნენ, გუგუცეს გარდა შინ არავინ იქნებაო.

მეწისქვილე ზეთსახდელ ქარხანაში გაქანდა, ჯიბეები მზესუმზირით გამოიტენა და გუგუცესთან მივიდა.

— გუგუცე, წამოიღე საფქვავი წისქვილში, დაგიფქვავ

წმინდად. ფქვილი იქნება უმაღლესი ხარისხისა, ექსტრა-პრიმა-ლუქსი. ისეთი ღომი გამოვა, თითებს ჩაიკვნეტ!

ბუგუცემ რომ შეხედა, საწყალი მეწისქვილე ოფლად იღვრებოდა, და ხელ დაუძახა:

— სახლს მიხედე, მე წისქვილში მივდივარ!

ქუდი სიმინდით გაავსო, ფქვილისთვის სუფთა ტომარა აიღო, მოახტა ველოსიპედს და წისქვილისკენ გაუტია. მივიდა, ქუდი ხვამირში მოაპირქვავა. ხვამირი მაშინვე გაივსო და წისქვილიც აგოგდა.

— ყოჩაღ, გუგუცე! — ყვიროდნენ კაცები და ქუდებს ცაში ისროდნენ.

ცოლები კი ჭიშკრებთან იდგნენ და ქმრებს ელოდებოდნენ.

როცა დედა და მამა მინდვრიდან მობრუნდნენ, გუგუცე წინკარში იდგა და ღომისათვის ჩოგანს თლიდა.



საათი

ზოგჯერ, მამას რომ მოცლით ნახავდა, გუგუცე მიირბენდა და ეტყოდა:

— მამა, როცა შენი საათი ლაჟვერდება და ძალიან ცოტა წუთები დარჩება, მე მითხარი.

მამა თავზე ხელს გადაუსვამდა და გუგუცეს უსაროდა, დავიყოლიეთ.

გავიდოდა დღე, კვირა, მამა კი საათს არ აძლევდა. ეტყობოდა, კიდევ ბევრი წუთი დარჩა.

მაგრამ ოდესმე ხომ ამოიწურება ეს წუთები. გუგუცემ სელზე უკვე სამაჯური გაიკეთა. მიკიდოდა მამასთან, გვერდით დაუდგებოდა, დაიხედავდა სამაჯურზე და თავის თავს შეეკითხებოდა:

— ნეტა, რა დროა?

მამა ვერაფერს ამჩნევდა, ბაბუა კი რაფაზოლაც მზეს ასედავდა ხოლმე.

— რას შვრები, ბაბუა? — ჰკითხა ერთხელ გუგუცემ.

— როგორ თუ რას? ვანგარიშობ, რომელი საათია.

— მზე შენი საათია, ბაბუ?

— ჰო. ჩემი დღე და მოსწრება, მაგ საათია ვცხოვრობ.

გუგუცემ შეადარა ბაბუას საათი ძამისას. ბაბუასი, რა თქმა უნდა, უკეთესი იყო.

აბა, დაარტყი მამას საათს ჩაქუჩი, მისგან ერთი წუთიც ალარ დარჩება, ბაბუას საათს კი სარბასანიც რომ ეცრილო, ვერაფერს დააკლებ. თანიც ქვეყანას ანათებს და ათბობს. ნადირ-ფრინველიც ამათ აიეს-ალაკებს. ბაბუას საათი არასოდეს ჩერდება, არც შესაათე სჭირდება.

გუგუცეს ისე მოეწონა ბაბუას საათი, რომ საჩაგური გადააგდო.

მაგრამ ერთხელ მაინც ჰკითხა მამას, კიდევ ბევრი წუთი დარჩა შენს საათშიო. თუ ცოტა დარჩა, ისეთი ბიჭი ხომ არა ეჭირდება, გადაგიგდოსო.

მამამ პასუხის ნაცვლად მხოლოდ საათზე დაიხედა.

— ბაბუას საათი ყველაზე მთავარი საათია! — თქვა გუგუცემ. — შესაათე შენსას რომ აკეთებდა, ბაბას საათით გაასწორა.

მამამ გუგუცე ხელში აიყვანა:

— ყოჩაღ, ბიჭო! ეგრეა. აჰა, გქონდეს ჩემი საათი!

გუგუცემ მაშინვე ინანა, საჩაგური რომ გადააგდო და მოსაძებნად გაიქცა.

საღამოს ბაბუას საათი დასაძინებლად წაეიდა. თავის საათზე გუგუცეს ყური ჰქონდა მიდებული და არ იძინებდა, ეშინოდა, საათში წუთები არ გათავდესო.

მაგრამ ღილით ადრე საათი ისევ წიკწიკებდა. გუგუცემ სელოსგულზე დაიდო და სოფელში ეაიქცა. ზოგს ლოგინში მაუსწრო, ზოგს — ეზოში, ზოგს — ჭალთან. ყველას უჩვენებდა საათს. საათში ცოტა წუთები იყო დარჩენილი, მაგრამ იმისთვის მაინც კმაროდა, რომ მთელ სოფელს გაეგო, რომელი საათია. ბაბუას დიდი საათი ხომ ჯერაც არ აძოწვერილიყო ცაზე.

ხარაზი

გუგუცეს ერთ მეზობელს ქვეყნის შვილები ჰყავდა.

თოვლის ფანტელები დაიწყებდნენ თუ არა რიალს, მეზობელს სურდა, არ სურდა, სელში უნდა აეღო ჩაქუჩი, მახათი, ძაფი, პატარა ზომის კალაპოტები და ზამთრისათვის წალების კერვას შესდგომოდა. წალები მაღალყელიანი უნდა ყოფილიყო, რომ ბავშვებს შიგ თოვლი არ ჩასცვენოდათ.

შეკერავდა თუ არა პირველ წყვილ წალას, ეზოდან პირველი ციგა გაკვალავდა გზას.

მეზობელი ისევ იღებდა ზომას. გადიოდა და გამოდიოდა მასათი აქეთ-იქით, ჯარასავით ტრიალებდა ძაფი, მთელი ღამე არ იძინებდა ჩაქუჩი. გაიხედავ, მეორე წყვილი მზადაა და ეზოდან მეორე ციგის კვალიც გარბის.

მეზობელი ულვაშზე ხელს გადაისვამდა, ახალ კალაპოტს იღებდა, მესამე წყვილის შესაკერად ჯდებოდა და უცებ დაინახავდა, რომ პირველი წყვილი უკვე გაცვეთილიყო. ყიდულობდა სათვალეს, მახათის ყუნწში უფრო მსხვილ ძაფს უყრიდა და უფრო დიდ ჩაქუჩს აღებდა.

— კაკ-კუკ! — ისმოდა მთელი ღამე.

დილით წაღები მზად იყო, სკუპ, ეზოში გახტებოდა და, მორჩა, თვალსაც ველარ მოჰკრავდი.

სამაგიეროდ, მეზობელი ვერ გამოდიოდა მთელი ზამთარი შინიდან. გუგუცე მის შვილებთან ერთად უზიდავდა შეშას, ეგზავნებოდა წისქვილში და ეზოშიც საქმიანობდა.

ყმაწვილები საქმეს რომ მორჩებოდნენ, დაავლებდნენ ხელს თოკგამობმულ ციგებს და გორაზე გარბოდნენ. ვინც ჯერ წაღებს არ ასცილებოდა სიმაღლით, არსისტის ბექობზე სრიალს სჯერდებოდა, ვინც ცოტა უფრო ძოხრდილი იყო, გაყინულ რეუტზე გადარბოდა და ციგებით პირდაპირ წისქვილის გვერდით დამრეც ფერდობზე მიძვრებოდა.

და ისევ არ ეძინა ღამღამობით ჩაქუჩს.

ზოგჯერ ახალი წაღების შეკერვა უფრო ადვილი იყო, ვიდრე ძველის დაკერება. მეზობლის ცოლი კი ამბობდა, უფრო ადვილია, ციგები ცეცხლს შეეუკეოოთო.

— დამშეიდდი, დედაკაცო, — ეუბნებოდა ქმარი. — აბა, ერთი ჩვენი ბავშვობა გაიხსენე!

თვითონ კი ჩამოიცვამდა ცხვირზე სათვალეს და ჩაქუჩს ლაავლებდა ხელს. ჩაქუჩის კაკუნზე იძინებდა ყველა, ეზოში თოვლის ფიფქებიც კი ნება-ნება ეცემოდნენ, ჩამორჩენილი ჩიტი ფანჯარაში იყურებოდა და ოცნებობდა, ნეტავ ჩვენთან, ხეზეც ვინმე შეგვიკერავდეს თბილ წაღებსო.

ერთ მშვენიერ დღეს კი ნახა, რომ წაღები ალარ ცვდებოდა. შეათვალიერებდა მეზობელი, დაარტყამდა ჩაქუჩს ერთი-ორჯერ და იტყოდა, ჩაცმა შეიძლებაო. მერე ფანჯარაში გაიხედავდა, ზამთარი ხომ არ მიილიაო. არა, ზამთარი არ მილეულა, თოვლი მუხლამდე დევს.

უკვირდა მეზობელს, არაფერი ჰქონდა დასაკერებელ-დასაჭედებელი. შეუდგა თავისთვის წაღების კერვას, კერავდა აუჩქარებლად, ღამღამობით კი ეძინა.

მაგრამ ერთხელ ძილში ნაცნობი კაკუნი ჩაესმა და გამოელვიძა.

ადგა, შუქი აანთო.

თითქოს და არაფერი. ჩაქუჩს კალაპოტზე მიეღო თავი და ეძინა.

მეზობელმა კეფა მოიქექა, ჩაქუჩი ბალიშქვეშ ამოიღო და დაიძინა.

ჩაქუჩმა იყუჩა და ისევ აკაკუნდა:

— კაკ-კუკ, კაკ-კუკ!

ადგა მეზობელი, შუქი ალარ აუნთია, ისე ჩაიცვა და ხმას მიჰყვა. სიბნელეში მოძებნა ურდული, გააღო კარი და ქუჩაში გამოვიდა. ვუგუცეს ფანჯარაში შუქი ენთო.

შეიჭვრიტა ცალი თვალით და რას ხედავს: სხვადან მისი უმცროსი ვაჟიშვილი და გუგუცი დაბალ სკამზე და მთელი ძალით აჭედებენ ლურსმნების ფეხსაცმლის ლარჩებს, რომლებიც ერთი მშვენიერი დღის მერე ალარ ცვდებოდნენ.

— აი, რა ყოფილა! — ულვაშები გადაიგრიხა მეზობელმა და გასწია შინ, სადაც ბალიში ელოდებოდა.

დილით ცოლმა შეასურა, გვიან რად დაწექიო. მან თავისი ყურით გაიგონა ღამე ჩაქუჩის კაკაკუკი.

მეზობელმა ყურიც არ შეიბარტყუნა. ულვაშებში ჩაიცინა და, ვითომც აქ არაფერიო, მასათის ყუნწში ძაფი გაუყარა.



ვალი

გუგუცემ ეზო მიალაგ-მოალაგა და უცებ გაახსენდა, რომ ბიძაშვილის კაპიკი ემარცა. იფიქრა, ხვალ ახალი წელია. ეგებ, ფული არა აქვთ. ვალს დაბრუნება უნდაო.

დედა შინ არ იყო. გუგუცემ კაპიკიანი ქუდის სარჩულში ჩააკერა, რევოლვერით შეიარაღდა, ვაითუ ყაჩაღები დამესხან თავსო. ჯიბეში ღელის ფოტოსურათი ჩაიდო, სახელო აიწია და გასწია მეზობელი სოფლისაკენ, სადაც მისი ბიძაშვილი ცხოვრობდა.

გზად სან მარხილი წამოეწია, ხან მანქანა. წამოეწეოდნენ, გაუჩერებდნენ. როგორც ჩანს, ხვდებოდნენ, რომ გუგუცეს მგზავრობის საზღაური მოეძებებოდა.

— ფეხით მირჩევნია, — ეუბნებოდა ყველას გუგუცე. — ახალი წაღები მაცვია და უნდა გავწიო.

აი, რეუტზე დაგებულ ხიდს მიადგა, ნახევარი გზა დარჩა გასავლელი. დედა მოენატრა. ამოიღო ფოტოსურათი, დახედა და გაიფიქრა, ვინ იცის, რას შვრება ჩემი საწყალი დედაო.

ხელები დაიორთქლა და გზა განაგრძო.

თოვლს მეტი რა აქვს საქმე, ხრაშუნებს ფეხქვეშ.

გუგუცას კიდევ ორი მანქანა წამოუწია. გუგუცემ შოფერებს უთხრა, აღძრთია, მანქანებს ახლოდან უყურთ, ხვა საქმეა, თუ დაბრუნებასაც ეცადეთ ყოლეებით.

მეზობელი სოფლიდან ბავშვები უკვე ეზოში დადიოდნენ და პატრონებს ახალ წელს ეკითხებოდნენ. ხმამაღლა დალაპარაკობენ, ალვა დეიდაზე „ექსპედიციაზე“, დაწერიალებდნენ სანაზლაკეს და ხამუტარიდ ხურდა ფულსა და კალამებს იღებდნენ. ძველებს ეკიბნენ ალალ-ალალ და მბარეზე ბადებული ბოქლომებიათ.

გუგუცემ ქუდი კეფაზე მოიგდო, რომ ბუნდი ფიქრის დროს არ დამბალებულიყო, და თავის თავს შეეკითხა:

— ამ ნეზი-კაპიკათ სანზალაკი ხომ არ ეყოფდა? კარგი იქნება, ბიძაშვილს რომ ბაღლი აღმა კალამით მივიდეე!

ამ ფიქრში რომ იყო, მეზობლები ეზოდან გოგი და ბიჭი გამოვიდნენ. ჯიხეზე სანაზლაკი ნამოეკიდათ და ორივეს ერთად მიჰქონდა.

გუგუცემ ქუდი მაშინვე თავლებზე ნამოიწია. წვრილფეხობას თავს ვერ კაუცადრეს, ხელისთანები დამით ულოცავენ ხალხს ახალ წელსო...

მაგრამ გუგუცემ როცა გაიგონა, როგორ ხმამაღლა წკრიალებდა იმ გოგო-ბიჭის ჯანზალაკი, ქუდი ისევ კეფაზე მოიგდო და კვლავ ჩაფიქრდა: ამათ, ალბათ, ჰგონიათ, მე პატარა ვარ და ვთხოვ, თავიანთ შარაქაში გამრიონო. არავითარ შემთხვევაში! გუგუცეს თვითონვე გაუკვირდა, იმათ რომ უთხრა:

— აბა, მომილოცეთ!

— პირდაპირ აქ, შარაგზაზე?

— აბა, სად, მე ხომ თქვენი სოფელელი არა ვარ.

— გზაზე არ ვულოცავთ, — თქვა ბიჭმა და დაიძრა. გოგონამ მიიხედ-მოიხედა და წაიჩურჩულა:

— შენ, ქია-ბიჭო, შედი აგე იმ ეზოში და მოგილოცაკა.

სამი ფეხის გადადგმა და გუგუცე იმ ესოში გაჩნდა.

ბიჭმა გაატკაცუნა მათრახი და დაიწყო:

— ნება მოვეც სიმღერისა, მიბასილიხა და თქვენი ქება-დიდებისა!

გუგუცემ თავი დაუქნია:

— დასტური მიბრძანებია!

ვოვონამ ჩააწკრიალა საასალწლო სიმღერა.

— ვინაა ხახინადარი? — იკითხა გუგუცემ.

წინ ბიჭი წამოდგა. გუგუცემ ამოიღო ქუდიდან თავისი კაპიკიანი და გაუწოდა. კალანის სანაცვლოდ კი რევოლვერი აჩუქა. ყაჩაღები ახლა საშიშარლარ იყვნენ.

როგორ ვაიხარეს ბავშვებმა.

გუგუცემ უთხრა, მომავალ წელსაც არ დამივიწყოთ, მომილოცეთო, და შინისკენ გაუდგა გზას. ბიძაშვილი ჯერჯერობით მოითმენს. მაგრამ რა ეშველება საწყალ დედას, ახალი წლის წინა ღამეს შვილი რომ დაეკარგოს?

მისი უდიდებულესობა გუგუცე

მამა დილით ფარდებს ჩამოეშვებლა, გუგუცემ რიგიანად გამოიძინოსო, სალამოს კი პური მოჰქონდა, კურდღლებმა გამოგიგზავნესო.

მეორე დღეს გუგუცე კურდღლის პურს მიართმევდა. ერთხელ ღამით ძაფის ერთი ბოლო ხელში გამოიბა, მეორე მამას გამოაბა ფეხზე და დილით მზესთან ერთად ადგა.

მამამ მინდორში სამუშაოდ არ გაიყოლა, ჯერ პატარა ხარო, მაგრამ გუგუცე მიმავალს გაპყურებდა და შეამჩნია, რომ, რაც უფრო სცილდებოდა მამა სახლს, მით უფრო პატარა და პატარა ხდებოდა.

გუგუცემ სოფელი მოირბინა. ნახა, რომ ყველა მოზრდილს ასე ემართებოდა. სოფელს გაცილებულები მის უმცროს დაზე უფრო ტანმორჩილები რანდნენ, მერე დის ფეხსაცმელების ოდენებად იქცეოდნენ, ბოლოს ყაყაჩოს თესლს უტოლდებოდნენ.

გუგუცე მათთან შედარებით გოლიათი იყო და, რა გასაკვირია, როცა უფროსი და დიდი ბიჭები მინდვრად გაიკრიფნენ, გუგუცე რომ მეფე გახდა.

პატარები დაეთანხმნენ, მეფე სარო, და მიაწყდნენ სა-

სახლეს მნიშვნელოვან და სასწრაფო საქმეთა მოსაგვარებლად.

— შენო უდიდებულესობავ, სასურველია ნაბიჯ-დის, შიფერი ამბავ!

— შენო უდიდებულესობავ, მე ფლორანი ვარ, წასქვალში საფქვავი ვერ წაბილა!

ჭიშკარს მიაყრეს ცალი, არც მთლად ცალნი, მაგრამ შესაფერი კვიცი.

გუგუცემ უარით არავინ გაისტუმრა, ყველა საქმე მოაგვარა, მოასტა კვიცს და თავისი საბეღლიბელის დასათვალიერებლად გაემგზავრა.

ჭიშკართან ერთმა პატარა ბიჭმა შეაჩერა, ცრემლად იღვრებოდა:

— შენო უდიდებულესობავ, გუგუცე, ისვის ჭუჭული დამეკარგა!

გუგუცემ სამჯერ დაუსტვინა და ხად იყო, სად არა, გაჩნდნენ არც მთლად ცხენები, არც მთლად მხედრები. ყოველ შემოხვევაში, მხედრებიანი ყიყინებდნენ და ცხენებივით სცემდნენ მიწას ფლოქვებს.

— მოძებნეთ ისვის ჭუჭული! — უბრძანა მათ გუგუცემ. — თხრილში ჩავარდებოდა. — და კვიცი ჩორთით წაიყვანა.

მართლა, დამავიწყდა, მეთქვა, მის უდიდებულესობა გუგუცეს არც ხმალი ჰქონდა და არც ქეშიკი ახლდა.

ერთი სახლის საკვამურიდან ბოლი ამოდიოდა. გუგუცემ კვიცი შეაჩერა. სახლიდან წინსაფრიანი გოგონა გამოვიდა, სახელოები დაეკაპიწებინა.

— რა ამბავია? — გუგუცემ საკვამურზე მიუთითა. — ცეცხლი რად გაგიჩაღებია?

— შენო უდიდებულესობავ, დედ-მამას სადილი უნდა წაეღო. ძმემ უკვე საკმაოდ მაღლა აიწია, მინდვრამდე შორი გზაა, მეშინია, ვაითუ, სადილი ვერ მივუსწრო.

— გასაგებია, — უთხრა გუგუცემ. — შესს პატივცემულ დედ-მამას გადაეცი, მისი უდიდებულესობა გუგუცე გემრიელად საღილობას გისურვებთ-თქო.

მეორე ქუჩაზე ერთ ბიჭს ვიცნობდა. ბიჭს თეთრეულის თბილი ვიტრინა [illegible] ქალი [illegible]. ასეთი ჩაცმულობა [illegible] ძალიან.

— შენი [illegible] — [illegible] ბიჭმა ქუდი, — სად [illegible], [illegible] ჩანხარ. [illegible] ხება, [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

ქუდი [illegible] [illegible] [illegible] [illegible]

ცხენ-მხედრებმა ამასობაში [illegible] ისევ [illegible]. ახლა სოფელ-სოფელ [illegible] [illegible] [illegible]

მთიბავი

— სალესი ქვა ხომ არ დაგრჩა, გუგუცე? — ჰკითხა მამამ,შინიდან რომ გამოვიდნენ.

აბა, რა არის სალესი... ცელი რომ დაეთმო მამას, აი, ის მესმის! კაცს რომ ცელი აქვს მხარზე გადებული და მიდის, მისი ცქერა ერთ რამედ ღირს! აბა, ვინ რად აგდებს იმას, სალესი და დოქი რომ უჭირავს ხელში? გუგუცეს თავისი თაყი დოქზე პატარადაც კი ეჩვენებოდა.

მამა თავისთვის მიდიოდა და მიდიოდა, გუგუცე კვალდაკვალ მიჰყვებოდა, თითქოს იქ, სათიბში, ვიღაცა ზის და თოკით ეწევაო.

წყაროს ჩაუარეს. გუგუცემ დოქი აავსო. აი, მდინარის პირზე სათიბსაც მიადგნენ. მამამ ქამარი შემოირტყა და ცელი მოუსვა. ბალახიდან აფრინდნენ ჭრიჭინები, პეპლები, ჭიამაიები, აქეთ-იქით გაცეივდ-გამოცვიყდა შიშით დაფეთებული ათასგვარი მწერი.

ცელის წკრიალი ხან შორიდან ისმოდა, ხან სულ ახლოდან. მამა ხელს დაუქნევს თუ არა, გუგუცე აიღებს დოქს, სალესს და გარბის ახალ სათიბზე. ეგებ დაიღალა მამა და მისცეს ბიჭს ცელი, ერთი სვე მაინც გაატანინოს? მამა წყლით ასველებს სალესს, ლესავს ცელს. ბიჭი არის ისევ თავისთვის.

როცა სოფლიდან მოდიოდნენ, ხალხი, ალბათ, ფიქრობდა, გუგუცე მოთიბავს, მამა მხოლოდ ცელის წაღებაში მიეშველაო. ეს რომ მართლა ასე ყოფილიყო, რაც მართალია, მართალია, გუგუცე არაფერს იტყოდა.

მამა თითქოს ვერც ამჩნევდა ბიჭს. გუგუცეს გაუხარდა კიდეც, ფეხში ხიწვი რომ შეესო. მამამ მოხედა, ხიწვი ამოიღო, მაგრამ ცელის მიცემაზე კრინტიც არ დაუძრავს,

და უცებ მწყერმა შეიფრთხიალა! მამას ზედ ფეხთან აუფრინდა!

სადილად დასხდნენ. შელდაკში დედას რაც ჩაელაგებინა, ამოალაგეს. გუგუცე მადიანად მიირიმევდა, სათიბად ძალას იკრებდა. მერე მამას ბუჩქის ძირას საჩრდილობელი გაუმზადა და ურჩია, ცოტა წათელიმეო.

— მართალს ამბობ, — მოუწონა მამამ. ცელი დაშალა და მიწვა. როგორ უნდა მოთიბოს გუგუცემ, ცელი რომ დაშლილია? ეწყინა, მაგრამ რა ექნა. გაიქცა წყაროზე. აუვსო მამას დოქი წყაროს წყლით.

მობრუნდა. ნახა, რომ მამას ხელში ისევ წკრიალებს ცელი. მაშ, კარგი! გუგუცე თვითონ მოელაპარაკება მჭედელს, მჭედელი უარს არ ეტყვის, ცელი გამოუჭედოს. მაშინ შეიძლება ღამით მოვიდეს და მთვარის შუქზე თიბოს. საინტერესოა, რას იტყვის მამა მეორე დილით?

— ვაი, კურდღელი! — წამოიძახა მამამ.

გუგუცემ გაოცებისაგან პირი დააღო და იდგა ისე.

მამამ კურდღელი დააფრთხო და გამოეკიდა. კურდღელმა მოკურცხლა, მამა უკან მიჰყვა, კურდღელი ბორცვს მოეფარა, მამაც კვალში ჩაუდგა.

„გაება კურდღელი და ეგაა, მამას გრძელი ფეხები აქვს", — გაიფიქრა გუგუცემ. გონს მოეგო, დაღებული პირი მოკუმა და ცელს ეცა. დაიფურთხა ხელისგულზე, მოიქნია ცელი, მაგრამ... არაფერი გამოუვიდა. უკეთესად მოვიქნევ. ყოჩაღ, გუგუცეო! — შეეძახა თავს, მაგრამ ცელი ახლა მიწაში ჩაერჭო.

მიბრუნდა მ-მა, სახლ., რომ გოგუცი

ბავს თავისთვის. უკვე ათასჯერ ღვინა ბალაბი მოუთბაგს.

ხალამიმდე ვუვაცეს ტკბილი ლანის ხელეკი მიავრთვა და იმაერა ყველა ხიბლეგრა, რაც იცოდა.

და აი, მოდიან მამა-შვილი ერთად სათიბადან. ვუვაცე წინ მიუძღვის, იღლიაში ბალახი ამოუბრია, ხელში დიქა და ხალესი უჭირავს, შამას კი მხარზე ცელი გაუდგია და უკან მოჰყვება. ყველა ბავშვი, ვინც ვნახე შემოეფარა, გუგუცეს შინ მიიბარეს და ირეკრათი და სხვა გემრიელი ბალახით ვაუმასპინძლდა. კერძლელზე სმაც არ დაუძრავს. არავისთან დაცლილა, რომ კერძლელი კი არა, ერთი ცალა ბაშია იყო და მაძაც ასაც ვეკ ძალიანელია.



რ ო დ ი ნ ი

ერთხელ დილით ღედამ გუგუცე გაღვიძა. მართალია, ადგა გუგუცე, მაგრამ ჯერ ისევ ძილ-ღვიძილში იყო.

— ჩემო კარგო, წადი ძია სიმიონთან და როდინი სთხოვე. კანაფი უნდა დავსაფო. ძამას კანაფის რეტ მიენატრა.

გუგუცე სოფლის ბოლოში წასასვლელად. ჩაუარა ერთ სახლს, მეორეს, შესამეს და ბიბამასის ჭიშკარიც გამოჩნდა. გუგუცე სწორედ აქ გამოეხიზლდა და თავში ხელი შემოირტყა: იმახე ვფიქრობდი, კანაფს რა რეტ უნდა ჰქონდესო, ეზად რამდენი ხალხი შემომეყარა და არავის მივსალმებიეარო!

სირბილით მობრუნდა უკან. დაეწია ერთ-ერთს, დილა მშვიდობისა უსურვა, მაგრამ სხვებს როგორღა მისალმებოდა, არსად აღარავინ ჩანდა.

ავრონიმისაგან გაიგო, ვინ სად იყო და მინდორს მიაშურა. ერთგან შაქრის ჭარხალს მარგლავდნენ, მეორეგან თამბაქოს შეტეხვა ეაეჩაღებინათ. ყველას ცალ-ცალკე გამოჰკითხა, დილით თუ ეემხვდითო. ზოვი შეხვეღროდა,

ზოგი არა, ზოგს არც ახსოვდა, შესვლა თუ არ შესვლა. ყოველ შემთხვევაში, გუგუცეს ყველას მიესალმა, არავინ გაძოტოვა.

როცა ეკითხებოდნენ, რამ შეგაწუხაო, თავს იმართლებდა, ხელის წასაშველებლად გეახელითო. ერთს თოსს სთხოვდა, მეორეს წინსაფარს, რომ თამბაქოს ფოთლები საეწყო. ბაღში კიბე ითხოვა და ხეზე აძვრა გარგარის მოსაკრეფად. თან არ ავიწყდებოდა, აქეთ-იქით ეცქირა და, თუ დაინახავდა, ვინმე მანქანით, ან ოთხთვალათი მიდიოდა, ქუდს უქნევდა.

ტრაქტორისტებს „დილა მშვიდობისას“ ნაცვლად „დღე მშვიდობისა“ უსურვა. მერე დაიცადა, სანამ ყველა ტრაქტორისტი საველე საწარეულოსთან არ მოიყრიდა თავს, თითოეულს ცალ-ცალკე მიესალმა და თან სადილის ჭაჭაშიც წაეშველა.

მერე წავიდა კალოზე, სადაც პურს ლეწავენ. იქ მამაკაცები იყვნენ. გუგუცემ ყველას ჩამოართვა ხელი და თან რამდენიმე თავისტოლა ტომარა ააავსო ხორბლით. ბოლოს მეფრინველეობის ფერმაში შეიხედა, არ დავიწყებია, „საღამო მშვიდობისა“ ეთქვა ყველა ქალისათვის, ვინც იქ მუშაობდა, და თან სხვათა შორის კვერცხების თვლაშიც წაეხმარა.

შინ ისე მობრუნდა, გეგონება, დიდი ბრძოლა მოეგო, თუმცა დაღლილობისაგან ფეხზე ველარ დგებოდა. უკვე ბნელოდა.

— გუგუცე, სადაა როდინი?— ჰკითხა დედამ.

გუგუცემ შუბლზე ხელი იტკიცა და ძია სიმეონთან გაიქცა.

დანიანი გუგუცე

დათვი წყაროზე ჩამოვიდა, იღლიაში ფუტკრის სკა ამოეჩარა.

ცნობისმოყვარე შველი ლაელოდა, სანამ დათვი წყურვილს მოიკლავდა. მერე კი შეეკითხა:

— ახალს რას იტყვი, ბაჯბაჯა?

დათვმა სკა უჩვენა:

— ხედავ? რადიოა! უამისოდ ვერა ვძლებ. მუსიკა ძალიან მიყვარს!

შველმა ყურები ცქვიტა. მაგრამ რადიოს სანაცვლოდ ესმის, რომ მიწა იძრა! ჭიამაია კურდღელზე ამხედრებულა და გაჰყვირის:

— ყველას! ყველას! ყველას! კოდალამ დეპეშა ჩამოაკაკუნა: „ტყეში გუგუცეა“.

— შენ კიდევ სულ მღერი! — დათვი ისე ვაუბრაზდა რადიოს, კინაღამ ძირს დაასეთქა. — ჭიამაია, მათხარი, მარტოა თუ?

— ვინ? გუგუცე? დანა უჭირავს, ბაჯბაჯა, დანა! შენ გიკითხა!

დათვმა რადიო ჩაბღუჯა (თუ სიკვდილი მიწერია, ბარემ მსიარულად მოვკვდეო) და წაბუნძულდა.

„გუგუცეს დანა უჭირავს!“ — მიუდგა მთელ ტყეს.

ციყვმა ფულურობა ფარულად ჩაბუტბუტა. მელია თავის კუდიანად მაჩვის ბუნაგში ძეძვია. მელი ნარშავას ამოეფარა მიწად აკანკალებული, ვაითუ ვეგუცე იმ სოფლიდანაა, გუშინ რომ ცხვარი მოვიტაცეო.

— ყველას! ყველას! ყველას! გუგუცე მაჩვის ბუნაგს უახლოვდება!

მელამ ისკუპა ბუნაგიდან და თოგი ცაცხვის კოროში მისცა:

— ეჰ! ალთქმა დავდე, პარასკეობით შავ დეიალს არ დავითრევ-შეთქი. ოთოგბო, ოქვენი ბრალია. თვითონ წასვედით, მე არცა მკითხეთ!

— ეს-ეს არის, გუგუცემ ნარშავასკენ გასწია!

— ღმუ, ღმუ! — აყმუვლდა მელი. — დათვმა რაღიო მაინც ჩართო და ახალ ამბებს უსმენს. მე კი ავერ ვიღუპები ჩემი დონდლოობით, ღმუ-ღმუ!

აყმუვლდა და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. საითაც თვალი მიუწვდა, მაგრამ, რადგან მარჯვენა თვალი ამას წინათ მწყემსებმა დაუსვეს, მარცხნივ გაუხვია.

— დანიანი გუგუცე ცაცხვის კოროებს შეერია!

იქ დათვი და მელია დამალულიყვნენ. მელია რადიოს მიათრევდა, ოღონდ მარტო არ დარჩენილიყო და რას არ აზამდა.

ტყეში მთელი ღღე აურსაური იდგა. მხეცები ისე დარბოდნენ, ხმელ ფიჩხს სულ ლაწალუწი გაუდიოდა და ჩიტების ბარტყები ლამის ბუდეებიდან ცვიოდნენ.

— დედიკო! რა ამბავია? ომი დაიწყო? — კითხულობდნენ გულგახეთქილები.

საღამოსთვის დათვს არაქათი გამოელია:

— მეტი აღარ შემიძლია, ტყავს ვუფრთხილდებოდი

და აგერ თვითონვე შეკასიე ბეჭქეს. წადა, შელია, კოდალას ჰკითხე, ვინაა ეს ვუგუცე, რა ბაეპაყდევია და თოფზე რამდენად უფრო ხაშრიალა შისი დანა.

კოდალა სიცილით ვადაბრუნდა:

— ხა-ხა-ხა! აგიტყდეთ შაშის კანალი! ხა-ხა-ხა! ვუ-გუცე დიდი ხანია, უკვე შისა. დილითეკ ქოფრა დასით კა-ლამი სალამურისთვის და კრეს-ფიწალის დასაბურებლად წავიდა.



გუგუცეს საქანელა

ყოველ ცისმარე დღე გუგუცე საქანელას გასამართავად ემზადება.

ბიჭები უკვე მორბიან საქანაოდ და გუგუცის სირცხვილისაგან ლამის მიწა გაუსკდეს. მამამ ორი ძელის ჩასარჭობად ვერ მოიცალა.

დღეს არა სცალია, ხვალ არა სცალია და ამასობაში გუგუცე კი დაბერდება და იქანაე მერე!

ნეტავ ტელეგრაფის ბოძებს შორის ხომ არ გაბას? მაგრამ უცებ რომ მავთულები დაწყდეს და ყველა დეპეშა გუგუცეს ეზოში ჩამოცვივდეს?

ერთ მშვენიერ დღეს კი გუგუცემ საქანელა აღარ ახსენა.

„ეტყობა, რაღაცას აპირებს“, — იფიქრეს შინაურებმა.

უცებ გუგუცე სადღაც გაქრა. ეძება დედამ, ფეხები დაწყდა, ვერსად იპოვა.

მამა ამ დროს ჭასა და ბოსტანს შუა მიდი-მოდიოდა. ვედროებით წყალი მოჰქონდა და პამიდორს რწყავდა. ჯერ არ დაემთავრებინა რწყვა, რომ საიდანღაც გუგუცე გამოძვრა!

— სად დაიკარგე? — ეუბრაზდა დედა.

— არსად. მაპასთან ერთად პამიდორს ვრწყავდი, — მიუპასუხა გუგუცემ.

მამამ ჯერ ვედროს შეხედა, მერე ხელებზე დაიხედა და წარბშეკრულმა უთხრა შვილს: — ჭკვიანად იყავი!

შაბათ საღამოს გუგუცე ისევ დაიკარგა. დედამ ეძება, ვერ იპოვა, უძახა, ვერ გააგონა.

ამ დროს მეზობელი ყვავილებს რწყავდა. ჭის ოწინარი ადი-ჩამოდიოდა.

— ოლინა ნათლიდედა, გუგუცე არ დაგინახავს?

ნათლიდედამ მხრები აიჩეჩა, ბოლო ვედრო მოუპირქეაეა ყვავილებს და ამ დროს გუგუცე თითქოს მიწიდან ამოძვრა. დედამ დაუტატანა, გუგუცე თავის მართლებას მოჰყვა.

— რა იყო, ოლინა დეიდასთან ერთად ყვავილებს ვრწყავდი!

— დაიცა, მობრუნდება მამაშენი მინდვრიდან!

საღამოს მამა ოთხთვალათი მოვიდა და ცხენების დასარწყულებლად ჭასთან შეჩერდა.

დედამ მკლავში ჩააელო ხელი გუგუცეს, ვერ დამიძვრებიო, და მამას მიჰვეარა. ის იყო, ჩიეილი დაიწყო, გუგუცე თვალსა და ხელს შუა გაქრა.

დაარწყულა მამამ ცხენები, ოთხთვალა დაძრა და გუგუცეც უკან არ მიჰყვება?!

— ახლა რაღას იტყვი?

— რა და მამასთან ეროად ცხენებს ვარწყულებდი!

დედამ და მამამ ერთმანეთს გადახედეს და თავები გადააქნიეს.

მეორე დღეს დედამ ვადაწყეიტა, გუგუცე ექიმისთვის ეჩვენებინა. ოღონდ მანამდე კიტრი უნდა მოერწყა.

წავიდა დედა ჭაზე. ხედავს, ჭასთან ქვები ალაგია. ოწინარზე მობმულ კალათაში კი ქვების მაგივრად რაღაც სხვა

ხიმძიმე დევს. ღმერთო დიდებულო, ეს სომ გუგუცის ქუ-
დია!

— ერთი უყურე, სად ჩამძვრალა! ამრდი ახლავე!

— არ ამოვალ! მე ხომ შენთან ერთად კიტრებსა ერწყავ!

საღამოს მამამ საქანელა ვამართა.

მეზობლის ბავშვები ხან ზევით აქანდნენ და ხან ქვევით ჩამოქანდნენ. გუგუცე კი უყურებდა და ფიქრობდა: განა არის ამქვეყნად ისეთი საქანელა, ჭის ოწინარზე მაღლა რომ აგიყვანოს?

იონ კრიანგეს ანბანი

ბაბუა სულ ორი წელი სწავლობდა სკოლაში. ასე რომ, ზუსტად ორი კლასი განათლება ჰქონდა. ამიტომ წავიდწამოვიდოდა და მიუჯდებოდა ბაღში იმ მერხს, მამამ გუგუცეს რომ გაუკეთა.

— კარგი დრო-ჟამი დადგა, სკოლა ეზოში მოვიდის, — ამბობდა ბაბუა. — მე კი პირველ კლასში ცხრა ყერსზე დავდიოდი, სოფელ სტრიმბუში. მაშინ ასე იყო. დედა გამალვიძებდა მამლის ყივილზე, ჩამილაგებდა წიგნებს აბგაში, ხელში მომაჩეჩებდა ერთ შუშა მელანს (მელანს მაშინ ანწლისაგან ამზადებდნენ) და მივბაკუნებდი ჩემს ცხრა ვერსს, რეუტს ნაპირ-ნაპირ მივყვებოდი, სულ დავცქეროდი, ჩანდა თუ არა, თორემ გზა დამებნეოდა.

— ბაბუ, იონ კრიანგესთან[1] ერთად სწავლობდი?

— რაც არ ყოფილა, არ ყოფილა, იონ კრიანგესთან არ მისწავლია. კრიანგე ჩემზე საკმაოდ უფროსია. ის მაშინ თვითონ იყო მასწავლებლად იასიში. ერთხელ კი ერთი მისი ნამოწაფარი მოხვდა ჩვენთან. სულ წვრილ-წვრილად ვაამბობინეთ, როგორ ისწავლა წერა-კითხვა. ისეთი რამე მოგვიყვა, გუგუცე, რომ მართლა გასაოცარია.

---

[1] იონ კრიანგე (1837—1889) დიდი მოლდაველი მწერალი, ბავშვების მეგობარი. დიდხანს ასწავლიდა ყმაწვილებს წერა-კითხვას.

როცა კრიანგე სკოლაში მოდიოდა, იღლიაში თურმე მუყაოს კოლოფი ჰქონდა ამოდებული. კოლოფში ასოები ელაგა, უბრალო კი არა, სულ გულჩაშაქრული ქადები. ამოალაგებდა კოლოფიდან და ერთიმეორის მიყოლებით მიამაგრებდა დაფაზე მსხვილი ქინძისთავებით. უბრალოდ კი არა, ისე, რაიმე სიტყვა რომ გამოსულიყო. გამოიძახებდა მოწაფეს.

— წაიკითხე, — ეტყოდა მას, — ოღონდ ხმამაღლა. აბა, რა წერია მანდ?

თუ მოწაფე სწორად წაიკითხავდა, კრიანგე უფლებას აძლევდა, რომელიც მოეწონებოდა, ის ასო ამოერჩია და პირი ჩაეგემრიელებინა. ყმაწვილი რომ პირს ჩაიტკბარუნებდა და ტუჩებსაც მოილოკავდა, კრიანგე ეტყოდა:

— აბა, ერთხელ კიდევ წაიკითხე, რა წერია დაფაზე, ოღონდ რომელი ასოც ახლა მიირთვი, არ გამოტოვო.

ვერც კი გადმოგცემ, რა ტკბილი იყო იონ კრიანგეს ასოები. ყმაწვილები ხომ სუსნიები არიან და თუნდაც საუკუნე იდგებოდნენ იმ დაფასთან, სადაც ასეთი სიტყვები ეწერა. შვილო, იონ კრიანგე ძალიან ღარიბი იყო, თავისთვის არაფერი ებადა, მაგრამ მაინც ყოველ საღამოს უცხობდა ყმაწვილებს ტკბილეულს.

— ბაბუ, ასეთ ასოებს მეც გეახლებოდი.

ბაბუა ჩაფიქრდა: — აბა, ოთახში მიიხედ-მოიხედე, მე მგონია, სადმე იქნება იონ კრიანგეს ნამცხვარი.

გუგუცემ ბევრი იფათურა: ფოტოსურათები გადააბრუნა, ხალიჩების უკანაც მოათვალიერა, სხვენზეც აძვრა, დირედან ხმელი რეჰანიც ჩამოხსნა, მაგრამ ნამცხვრის ნასახსაც ვერ მიაკვლია. ალბათ, თაგვებმა შეახრამუნესო, იფიქრა.

იონ კრიანგეს ნამცხვარზე აღარც ფიქრობდა, როცა ბაბუა მოვიდა და ჰკითხა:

— გუგუცე, იპოვე?

— შენ ხომ მეხუმრე, ბაბუ.

ბაბუამ ხელი ჩაჰკიდა, ოთახში შეიყვანა და თაროდან წიგნი ჩამოუღო:

— აი, ჩემო კარგო გუგუცე, იონ კრიანგეს ღუმელში გამომცხვარი გემრიელი ასოები. მოდი, ერთი გავსინჯოთ, მაგალითად, აი, ეს: „ბეკო ბეკო, ბე... კარი გამოლეთ...“ კარგია?

გუგუცემ ფრთხილად ჩაიდო წიგნი უბეში და ბაბუას მიუბრუნდა:

— ვინა თქვა, ბაბუა, შენზე, მხოლოდ ორი კლასი განათლება აქვსო. ორი კი არა, მთელი ოთხმოცი გაქვს!

გუგუცა

გუგუცეს სკოლაში გასაცილებლად მთელი მეზობლები გამოეფინენ. პატარა და ყვავილების წალებაში ეხმარებოდა, მამა უკან მიჰყვებოდა მანქანით და გუგუცეს ცნობილი მერხი მიჰქონდა. დირექტორმა ყველა თავისი მედალი გულზე ჩამოიკიდა, სკოლის ჭიშკართან შეეგება გუგუცეს და ხელი ჩამოართვა.

მერხი მეორე კლასში ჩარიცხეს, ბიჭი პირველში და ახალი მერხი მიუჩინეს. მერხზე უკვე იჯდა ერთი გოგონა.

გაკვეთილი რომ დაიწყო, გუგუცემ გოგონას ჰკითხა:

— შენ ვინა ხარ?

— მე გუგუცა ვქვია, — უპასუხა გოგონამ, გაკვეთილი რომ დამთავრდა.

მეორე გაკვეთილზე დასაწერად წერტილები მისცეს. გუგუცამ თავის წერტილებს ხელი მოაფარა, გუგუცემ არ ვადაიწეროსო.

ყოველ დღე ახალ ასოს სწავლობდნენ. მასწავლებელი ასოს დაფაზე თეთრით შავზე წერდა, ხოლო მოწაფეები დაფიდან რვეულში იწერდნენ, მაგრამ თეთრით შავზე კი არა, შავით თეთრზე.

ახალ ასოს რომ ისწავლიდნენ, გუგუცა მერხიდან ნესვს ამოიღებდა, გუგუცეს აყნოსვინებდა და მერე მთელი შესვენება ჭამდა და ჭამდა. თუ შეატყობდა, ნესვი მოზრდილია და მარტო ვერ მოვერევიო, ბიჭსაც არგუნებდა ყუნწიან მოძცრო ნაჭერს.

დიდ შესვენებაზე გუგუცა ფანჯარას აღებდა და ფრინველებს კითხვას ასწავლიდა:

— მე აქ დავწერე „ყიე“. გაიმეორეთ ჩემთან ერთად. ყოჩაღ! ახლა— „ყიე-ყიე“. კიდევ ერთხელ. აბა, ყველამ ერთად ვთქვათ: „ყიე-ყიე-ყიე!“

გუგუცე ასეთი ხასულელებით არ ერთობოდა. რაც უნდა იყოს, მისი მერხი მეორე კლასში სწავლობდა.

გუგუცა სკოლიდან მოშორებით ცხოვრობდა. თითოეულ ასოს ახალ, ხუთია რვეულში იწერდა. ამიტომ ჩანთა ყოველდღე უმძიმდებოდა.

გოგონას ძალა რომ ჰყოფნოდა ჩანთის საზიდად, დედა სულ უფრო მეტ და მეტ საგზალს ატანდა.

გუგუცა თავს იქებდა, ყოველი ასალი ასოთი ახალ კლასში გადაადგენარო და არც ერთ ასოსთან მეორეწლიანი არ ვეოფილვარო.

მერხი ფანჯარასთან იდგა. მზე პირდაპირ ოვალებში აჭყეტდათ. გუგუცას ერთი სული ჰქონდა, ბიჭი როდის ადგებოდა გაკვეთილის საპასუხოდ, რომ ჩამოფარებოდა, მერე შესვენებაზე ნესვით უმასპინძლდებოდა და ამბობდა, ნეძს ქოლგას ვაპურებო.

გუგუცე ბრაზმორეული მიაჩერდებოდა ნესვს, გაკვეთილზე სანამ შეეძლო, ხმას არ იღებდა, მერე ისევ აიწევდა ხელს და გოგონაც ჩრდილში ნებივრობდა.

ბოლო ასოდა დარჩათ შესასწავლი, რომ ხმა დაირხა, მასწავლებელი სკოლიდან მიდის, რაიონის ცენტრში გადაჰყავთო.

რიგორ თუ გადაჰყავთო? მასწავლებელი მათ ხომ ასო „ანიკით“ უყვარდათ. გ'ხად თუ რამ საინტერესოს ვადაა-

წყდებოდნენ, მასთან მოარბენინებდნენ. ზოგს ყვავილი მოჰქონდა, ზოგს — რა, ზოგს — რა. გუგუცემ ყვითელი დაწინწკლული სოჭო აჩუქა. იმ ხოჭოს ზურგზე ოცდაერთი წინწკალი ეჯდა.

— სხვა მოგივათ! — ამშვიდებდა ყმაწვილებს მასწავლებელი.

— თქვენ ყველაზე ლამაზი ხართ, — არ ეპუებოდნენ ბავშვები. — მალე ზამთარი დადგება. ციგით გასრიალებთ.

მასწავლებელს, რა თქმა უნდა, უყვარდა ციგით სრიალი, მაგრამ რას იზამ კაცი, როცა თვითონ მინისტრი გიხმობს, მასწავლებლებს ასწავლეო.

ამ დროს დირექტორიც ვერ ეტყოდა, დარჩიო.

ერთი სიტყვით, მასწავლებელი დაემშვიდობა ბავშვებს და სამასწავლებლოში შევიდა.

გუგუცაც ადგა, აიღო ჩანთა, ჩაიცვა პალტო და კლასიდან გავიდა. ერთმა ბიჭმა შეხედა, როგორ ჩაჯდა პირდაპირ კიბის თავში, სკოლის კართან. ჩანთა მუხლებზე დაიდო და ხელები გაშალა, რომ გასასვლელი ჩაეკეტა.

მაშინვე ერთიანად გამოცვივდნენ კლასიდან ბავშვები წიგნებიანად და გუგუცას გვერდით ჩამოსხდნენ. მასწავლებელმა სცადა სკოლიდან წასვლა, მაგრამ გაგიგონია?! წამწამებზე ცრემლი ჩამოეკიდა, ეეგონებოდათ, წერტილია ან მძიმეო.

საღამოს მასწავლებელმა მინისტრს მისწერა, გუგუცასთან და გუგუცესთან ვრჩები სოფელშიო.

დილით გუგუცა კლასის მამასახლისად აირჩიეს. ბიჭმა იმ დღიდან თავი მიანება ბაქიბუქს, ჩემი მერხი მეორე კლასშიაო.

გუგუცე და თოვლის კაცები

გუგუცე თვალს აყოლებდა, როგორ ცვიოდნენ თოვლის ფანტელები და ეწყენებოდა, რომ ხელავდა თეთრ ფუმ-ფულა თიკნებსა და კრაეებს, თოვლის ბაჭიებს, თეთრ დათვის ბელებს და თეთრ ვეფხვის ბოკვერებსაც. ოღონდ ეგ იყო, თეთრი კაცუნები არ ჩანდნენ, ერთიც არ იყო, წამ-ლად რომ გდომოდა.

გუგუცემ აიღო ხელჯაგი, ერთმანეთში აურია თეთრი თიკნები, კრაეები, ბაჭიები, ბელები და თოვლის ქალი გა-მოძერწა. ლამაზი ქალი გამოვიდა. ახლა მას გუგუცემ თოვ-ლის კაცი გამოუძერწა. მერე, არ მოსწყინდეთო, და თოვ-ლის ბავშვებიც მიაყოლა ერთიმეორეს.

სხვა ეზოებშიც გაჩნდნენ თოვლის ადამიანები.

გვიან საღამოს, როცა არავინ ხედავდათ, თოვლის კა-ცებმა ფეხი აიდგეს. შუაღამისას ერთმანეთს ეწვივნენ და თოვლის ბიჭუნებს შაქარყინული მიართვეს (ადამიანები იმ შაქარყინულს ლოლუას ეძახიან).

ასე იცსოვრებდნენ ისინი თავიანთ გემოზე, ჩიტები რომ არა.

— საფრთხობელებო! — უყვიროდნენ ჩიტები. — სადაა პური?

თოვლის ადამიანები თოვლის მსრეებს ინყენდნენ.

— ადამიანებსა აქვთ პური, — რატრატებდნენ ნიტები, — თქვენ კი, საფრთხობელებს, არც მარცვალი გაბადიათ, არც პურის ნამცეცი. ადამიანები ხნავენ, თესავენ, თქვენ კი არა!

— რა უნდა მოვსნათ? თოვლი? — თავს იმართლებდნენ თოვლის კაცები. — რა უნდა ყოფსოთ? ისევ თოვლი?

— გაგონილა! — ბრაზობდნენ თოვლის ქალები. — ქვაბები პირდაპირ თავზე დაგვამხეს, მაგრამ ფაფა რისგან მოვხარშოთ, არავინ გვაპნყალა. მარცვლეული რომ გვქონდეს, ჩიტებს დაეაპურებდით, გაჯაერებით მაინც ალარ გაგვაჯაერებდნენ.

თოვლის ბავშვები ერთმანეთს თოვლის ფანტელების დეპეშებს უგზავნიდნენ:

„გ უ გ უ ც ე თ ვ ი თ ო ნ ბ ო თ ე ა დ ა მ ე გ ო ბ რ ე ბ ი ც დ ო ყ ლ ა პ ი ე ბ ი ჰ ყ ა ვ ს“.

ყმაწვილები მიუხვდნენ თოვლის კაცებს, რალაცას კიდევ გვთხოვენო, და თითოეულს მარცხენა ხელში ცოცხი მიაჩინეს: ესო დიდია, დადგნენ და დაგავონო.

ჩიტები თითქოს ამას ელოდნენო, მეზობელი სოფლიდან თავისიანებს დაუძახეს და თოვლის კაცებს თავზე დაჰფარფატებდნენ, აჯაერებდნენ და მასხრად იგდებდნენ.

თოვლის კაცებს მოთმინება გამოელიათ. ღამეს დაელოდნენ და აჯანყდნენ. ვინც თოვლის ბაჭიებისაკენ იყო ნაძერწი, საკუჭნაოში შეიპალა, ლანარსენები ჯგოოდ მიაწყდნენ გუგუცის კარ-მიდამოს.

თოვლის კაცები ცოცხებს მუქარით იქნევდნენ, თოვლის ქალებსა და ბავშვებს ხელში თასები და ქვაბები აეღოთ.

გუგუცეს სახლი ალყაში მოიქცეს. ძაღლი აყეფდა. აინთო შუქი. ვილაცამ ფანჯრიდან გამოიხედა. მშობლებს არაფერი გაუგიათ. სამაგიეროდ, გუგუცე ყველაფერს მიხვდა. ხუმრობა საქმე რ -ადია, ალყას შენს სახლს რომ შემოარტყამენ.

გუგუცე გამოეიდა წინკარში, გადასწია ურდული და კარის ღრიჯოდან აკითხა:

— რა გსებავთ?

დილით თოვლის კაცები, ვითომც აქ არაფერიაო, თავთავიანთ ადგილას იდგნენ, ოღონდ ახლა ხელთ ყველას მარცელეული და პურის ნამცეცები ჰქონდათ.

ბაბუას მინისტრი

ახალი წელი დგებოდა, გუგუცემ ქალაქელი ბიძისაგან წერილი რომ მიიღო. ბიძა იწერებოდა, ქალაქში ბევრია საახალწლო ნობათი, მაგრამ ახალი წლის მილოცვა რომ რიგიანად შეეძლოს, ისეთი ვინმე ცოტაა. მაშინ გუგუცემ აიღო ხელში ბუგაი, შესანიშნავი მუსიკალური საკრავი, ხარივით რომ ბუბუნებს, და ამოირჩია ყველაზე დიდი ზანზალაკი. გუგუცეს მამამ შეკაზმა ცხენი და ბიჭი რკინიგზის სადგურისაკენ გააჭენა.

მატარებელი ზღაპრულ რაშივით მიქროდა ტყე-ტყე. გუგუცე მთელი ღამე ფანჯარას არ მოსცილებია, ჩუმჩუმად იმეორებდა საახალწლო მისალოცებს, ორთქლმავალიც სწორედ მაშინ გაჰკიოდა, როცა გუგუცეს უნდა ეყვირა: „ეჰე-ჰეი!“

გუგუცემ ერთმანეთს მიაყოლა შარშანდელი და შარშანწინდელი მისალოცები, ერთი ზედმეტი სტრიქონიც შეთხზა, ქალაქელებს რომ არ ეფიქრათ, სოფლელებმა მარტო თმახუჭუჭა ძაღლებზე იციან ლექსებიო.

ბიჭს სადგურშივე შეეგება ბიძა. ბიჭმა მაშინვე სთხოვა, ძმარი მიშოვეო. თუ ბუგაის ბოლოს რაიმე მჟავეთი არ დაუსველებ, რაც უნდა გაწელო, ხმას არ გაიღებს.

დადგა ახალი წლის საღამო. გუგუცემ პირველად ბიძას მიულოცა. მერე ბიძამ ჩამოუწერა იმათი სია, ვისაც კარგი იქნებოდა, თუ წესითა და რიგით მიულოცავდა.

გუგუცემ ბიძაშვილს ასწავლა, როგორ გაეწელა ბუგაი, რომ ხმამაღლა ეზუზუნა. თვითონ აიღო თავისი ზანზალაკი და დაუყვნენ ქალაქს, რომელიც ბიძაშვილმა თავისი ხუთი თითივით იცოდა.

ეუჩაში გამოვიდნენ თუ არა, გუგუცეს ზანზალაკი ხელში თავისით აწკრიალდა. სახლების კარები ერთიმეორის მიყოლებით იღებოდა და ხალხი ქუჩაში მორბოდა, მაგრამ საახალწლო კალაჩების ნაცვლად ნაგვით სავსე ვედროები გამოჰქონდათ.

გუგუცეს შეეშინდა და გაქცევა დააპირა, მაგრამ ბიძაშვილმა გადაიხარხარა და აუხსნა, რომ ქალაქში ზანზალაკის ხმა იმას ნიშნავს, ნაგვის მანქანა მოვიდაო. ხალხი თვალებით მანქანას დაეძებდა. ერთი კაცი მიხვდა, გუგუცეს იღლიაში ამოჩრილი უცნაური ნივთი ბუგაი რომ იყო და ყმაწვილები შინ მიიწვია.

ბიძაშვილები კარის ზღურბლთან შეჩერდნენ და დაიწყეს:

— ნებას დაგვრთავთ, ვიმღეროთ და შემოვძახოთ, გაქოთ და გადიდოთ?

— მიდით ბიჭებო! ნებას გაძლევთ!

ბიძაშვილები შუა ოთახში გაჩერდნენ და ყველა ლექსი დაამღერეს, რაც ძია ტროიანზე იცოდნენ. მერე აივანზე გავიდნენ და მთელმა ეზომ მოისმინა, ძია ტროიანი როგორ ამოსდებდა ცხენს აბრეშუმის აღვირს და როგორ ადგამდა ოქროს უნაგირს.

— აი, მოლოცვაც ამას ჰქვია! — თქვა იმ კაცმა, ბუგაის ძმარი ასხურა და ტელეფონით ვილაცას დაურეკა. ყურმილი გუგუცეს მისცა. ყურმილიდან ხმამ სთხოვა, ახალი წელი მომილოცეო. გუგუცემ ბუგაი ტელეფონში ააზუზუნა, სახლის პატრონმა ამისთვის ყმაწვილებს თითო კალაჩი დაუმატა.

ტელეფონი რეკავს. როგორც ჩანს, ქალაქში ხმა გავარდა გუგუცე ჩამოვიდაო. რას იზამ! ბუგაი ისევ და ისევ აუბუნდა ტელეფონის ყურმილში. მერე ბიჭებმა სიაში ჩაიხედეს. ერთი ქუჩა ჩამოიარეს, მეორე ქუჩასაც მიულოცეს, ტროლეიბუსს და ავტობუსსაც მიულოცეს. ბუგაის ძალა დააკლდა, ძია ტროიანი ეშხში შედიოდა, მოსწონდა ხალხის გასახარად ოქროს უნაგირზე ამხედრება.

— ეჰ, — ამოიოხრა გუგუცემ, ბიძასთან რომ დაბრუნდა, — როგორ მინდა მივულოცო მამას, დედას, პაპას, მთელ სოფელს!

ბიძამ ხელი ტელეფონის ყურმილისაკენ წაიღო, მაგრამ გაახსენდა, გუგუცეს მამისთვის ტელეფონი ჯერ რომ არ დაედგათ.

— კარგი, რაიმეს მოვიფიქრებთ — თქვა ბიძამ და პალტო მოისხა.

...ახალი წლის ღამეა. მამა, დედა, ბაბუა და გუგუცის დაიკო გაშლილ სუფრას უსხედან, მხიარულობენ და ტელევიზორს უყურებენ. გუგუცის სკამიც იქვე დგას. მართალია, სკამი ცარიელია, მაგრამ დედამ თეფში, დანა-ჩანგალი და პურის პატარა ნაჭერი მაინც დაუდო.

კრაველისქუდიანი სამი ყმაწვილი მღეროდა. ერთს ხელში ქაღალდი ეჭირა და თვალს იმ ქაღალდისკენ აპარებდა, დანარჩენები „ეჰეჰეი-ეჰეჰეის“ გაიძახოდნენ, მაგრამ ისე განასებულები, ვეგონებათ, მხოლოდ ოთხშაბათობითა და პარასკეობით აჭმევენ საჭმელსო.

— ნეტა სადაა ახლა ჩვენი გუგუცე? — ამოიოხრა დედამ.

ბამამ ყოველთვის ყველაფერი იცოდა:

— აი, იქ, ზანზალაკიან ნაძვის ხესთან უნდა იდგეს!

— ბუგაი! — იყვირა დაიკომ. — ჩვენი ბუგაი აუბუნდა!

მომღერლებმა გაიწიეს და ეკრანზე გუგუცე გამოჩნდა.

— ნებას დამრთავთ, ვიმღერო და შემოვძახო, გადიდოს და გადღეგრძელოთ?

შინაურებმა პირი დააღეს, მაგრამ სიტყვაც ვერ ამოიღეს. პირველად დედა მოეგო გონს:

— იმღერე, შეილო, გვადღეგრძელე! ოღონდ კალაჩი როგორ უნდა მოგცე?

გუგუცე მთელი ხმით მღეროდა, „ეჰეჰეი-ეჰეჰე!“ რომ უნდა ეთქვა, ქუდს იატაკზე აგდებდა. ბუგაი ზუზუნებდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მანამ, სანამ ბოლო არ მოეფლითა.

— ამას რას მოვესწარით! — თქვა მამამ.

ბაბუამ ჭიქა შეავსო და გუგუცეს ქუდს ისე მიუჭახუნა, რომ ტელევიზორმა დაიწკრიალა.

— შენი დღეგრძელობისა იყოს, ბაბუას მინისტრო!

მეეზოვეები

გუგუცე მეორე კლასში რომ გადავიდა, ისე გაუხარდა ეს ამბავი, თავისი სახლიდან სკოლამდე მთელი გზა დაგავა.

ერთმა მეზობელმა თანაკლასელმა შეხედა და თვითონაც გამოვიდა ქუჩაში ცოცხმომარჯვებული. სხვა ქუჩებშიც მოიქნიეს კუდი ცოცსებმა. საღამოს ბიჭებს სოფელში გზა აღარ დარჩათ დაუგველ-დაუსუფთავებელი.

მესამეკლასელები ცისკარს აჰყვნენ, რომ ეჩვენებინათ, ჩვენც კარგი ოჯახიშვილები ვართ და მესამე კლასშიც ტყუილუბრალოდ არ გადავსულვართო. ყველამ თავისი სახლის წინ მოიზომა გზის ნაწილი და სხვას იქ არ უშვებდა. მარტო გუგუცეს დარჩა უფლება, დაეგავა გზა თავისი სახლიდან სკოლამდე. დანარჩენ მეორეკლასელებს ჩიხები და შესახვევ-შემოსახვევები შერჩათ, მაგრამ კარგი ადგილებიც ჩაიგდეს ხელში საავადმყოფოსთან, კოლმეურნეობის საწნახელის გვერდით.

ქუჩები ოთახებივით მოკრიალდა და მოსუფთავდა. სიბაკარში პატრული იდგა და ამოწმებდა, ჭუჭყიანი ფეხით არავინ შემოსულიყო სოფელში. ფეხსაცმლიანები ადრიანად იმარჯვებდნენ ჯაგრისებს, უეხშიშველები კი მდინარე რეუტში იბანდნენ ფეხებს.

ხალხს იმის მოგონებაც არ უნდოდა, როგორი მტერიანი და ტალახიანი გზები ჰქონდათ იქ ღღემდე, სანამ გუგუცე მეორე კლასში გადავიდოდა.

ბაზარიც კი სოფლის ბოლოს გადაიტანეს.

ზამთარში ბავშვებმა მთელ სოფელში ბილიკები გაიყვანეს. იქით-აქეთ თოვლის დარაჯი ქალები ჩაამწკრიეს, გოგონებს ბისდბუნდში სიარულის რომ არ შეშინებოდათ.

ღადგა გაზაფხული. მოწაფეებმა ახალი ცოცხები შეიძინეს და კარგი მეეზოვეებივით დილაუთენია დგებოდნენ.

სოფელში ხმა ლაირსა, ნორჩ მეეზოვეებს ხელფასს მისცემენო. ზოგი მედალს ელოდა. ისეთებიც გამოერევნენ, წინდაწინ კანფეტების ჩასაყრელად პარკები რომ მოამზადეს.

და აი, გუგუცეს სახლთან თავი მოიყარეს სოფლის დარბაისელმა ადამიანებმა. ჯერ დაიანგარიშეს, რამდენი დაგავეს და დაასუფთავეს ჯიბეში ხელებჩაწყობილმა ბიჭებმა. გზა გამოვიდა ცოცხზე მოკლე. მერე ზომეს და ზომეს გუგუცესა და მისი ამხანაგების დაგვილ-დასუფთავებული გზა. მიათვალეს ერთმანეთს ქუჩები, შუკები, ჩიხები, ეზოები და გამოვიდა ისეთი გრძელი გზა, რომ რაიონის ცენტრამდე ჩახვიდოდი, მაგრამ ამ გზას ბავშვები ხომ ყოველდღე სვეტდნენ და გააძრაველეს გზის სიგრძე წელიწადის დღეთა რაოდენობაზე. გამოვიდა გრძელზე გრძელი გზა, ბოლო რომ არ უჩანდა.

ერთმა მოხუცმა კაცმა წინადადება წამოაყენა: — რადგან ეზა გვაქვს, ბარემ გაგვესეირნაო.

ბავშვებს უთხრეს, მანქანა აირჩიეთო. ისინიც მაშინვე შეესივნენ. გუგუცე მძღოლს მიუჯდა გვერდით და მანქანამ პირი შავი ზღვისაკენ ქნა, იქიდან კი მთებისაკენ გასწევდნენ.

ბავშვები მიდიოდნენ, მიდიოდნენ და თვითონვე უკვირდათ, რამხელა გზა დაგვიგვიაო.

ფენუკი და თოვლის ბაბუები

თოვლის ბაბუამ საჩუქრები დაარიგა და სოფელი ცარიელი ხურჯინით დატოვა. საწყალი ნამქერში ფეხებს ძლივს ამოათრევდა.

თანდათან მისი თეთრი წვერი სიბნელემ შთანთქა.

პატარა ფენუკემ ვერაფრით დაიძინა. რატომ ვერავინ მოიფიქრა, თოვლის ბაბუასთვის ეკითხა, ხომ არა შია, თექის ჩექმები ხომ არ უჭერს, ფული აქვს თუ არა ახალი ქუდის საყიდლად. თუ არ ჰქონდა, ფენუკე მომავალ წელს მამის ქუდს მისცემდა.

და ერთხელ, ზაფხულში, ფენუკემ (მწყემსებისთვის საღილი რომ მიჰქონდა) ფარეხში ნამდვილი თოვლის ბაბუა ღაინახა. ბაბუას, მართალია, საზაფხულო ქუდი ეხურა, მაგრამ ფენუკემ მაშინვე იცნო გრძელი თეთრი წვერებით.

„ამას ცხვრებიც ეყოლება და გუდის ყველიც ექნება“, — გაიფიქრა ფენუკემ ღა საღილად ისიც მოიწვია.

ბრუნდება ფენუკე შინ, ხედავს, კიდევ ერთი თოვლის ბაბუა მოდის. თეთრი წვერი ქამარში ჩაუტანებია და პურს თესავს.

„ამას კალაჩები ექნება“, — გაიფიქრა ფენუკემ.

სათიბში კიდევ ერთი თოვლის ბაბუა ფეხშიშველა თიბავდა.

„ვაი, ვაი, ვაი! — შეეცოდა ფენუკეს. — გუგუცეს უნდა ეუოხრა, მოხუცს ერთი წყვილი წაღა შეუკეროს“.

ფენუკე სოფელში რომ მობრუნდა, ხედავს, საავადმყოფოდან კიდევ ერთი უქუდო თოვლის ბაბუა გამოვიდა. „აი, ვის მივცემ საახალწლოდ მამაჩემის ქუდს“, — გადაწყვიტა ფენუკემ.

ყოველ შემთხვევაში გუგუცეს დაეთათბირა. გუგუცემ ბიჭს მხარზე ხელი მოუთათუნა და ბავშვებს უამბო ყველაფერი.

იმ ზამთარს თოვლის ბაბუა სოფელს მხარზე ხურჯინგადაკიდებული ეწვია, ხოლო სოფლიდან ეჟვნებიანი მარხილით გაემგზავრა. მარხილში ბლომად ჩაელაგებინათ ქუდები, თექის ჩექმები, ჩიბუხები და ხველების საწინააღმდეგო აბები.

კაკლის სამტვრევი

როცა კი სოფელში კაკლის ბერტყვა დაიწყება, გუგუცეს მოიკითხავენ. გუგუცე თუ არა, ვინ ჩამობერტყავს ისეთ ტოტებს, ჭოკითაც რომ ვერა სწვდებიან.

ამიტომ, ვისაც მაღალი კაკლის ხე უდგას, რა თქმა უნდა, თავიდანვე იჭერს თადარიგს და გუგუცეს მამას აკითხავს:

— ნათლი, რასაც დავკრეფთ, ნახევარი შენი იყოს, ოღონდ ბიჭი გამატანე, თორემ კაკალს სულ ყვავები წამტაცებენ.

კაკალი ტომრობით შემოდიოდა გუგუცეს ეზოში.

მრგვალ კაკალზე მამა უკვე უარს ამბობდა, მოგრძოებს ირჩევდა და მაინც დილას თუ საღამოს, დარში თუ ავდარში, გუგუცეს სახლის კარს ჭახაჭუხი გაჰქონდა. საწყალი მამა სხვას არაფერს აკეთებდა, აიკიდებდა ზურგზე მორეულ კარს და დურგლისაკენ მიეშურებოდა. დურგლის გასამრჯელოდ კი სხვენიდან ხორბალს ხორბალზე ეზიდებოდა. კარს ჩამოჰკიდებდნენ თუ არა, ვინმე გამოაღებდა, კაკალს ღრიჭოში ჩადებდა და ბრახ! მიხურავდა.

შემოდგომა რომ დადგებოდა და კაკალს ლენჯო შემოასკდებოდა, მამა გრძნობდა, სადაცაა მეზობლები მომიკა-

კუნებენო, და საქმის მოგვარებას მშვიდობიანად ცდილობდა:

— გუგუცე, შვილო, ფეხი ხომ არ გაგიკეთა?

— არა, ძაძა, უკეთ გაბიარა.

და ისევ ზევ ძოვებულა გუგუცეს კაკლის კენწეროებს, ისევ შემოდიოდა ეზოში ტომრობით კაკალი, ისევ ყანყალებდა გუგუცეს სასლის კარი.

თვითონ ლარგალია, გაბარებულმა, რომ საქმე იმ წელსაც არ შემოაკლდებოდა, გუგუცე თავის კაკლის ხეზე მიიწვია.

გუგუცეს მამა წარბაწეული და ცხვირსამოშვებული დადიოდა. კარმა ისევ დაიწყო ღრაჭაღრუჭი. დურვალი სიამოვნებისაგან ხელებს იფშვნეტდა.

ძაგრამ ერთ მშვენიერ დღეს სოფლის მჭედელს სამუშაო შემოაკლდა და სოფელში გაისეირნ-გამოისეირნა. გაიგონა, გუგუცეს სასლის კარს ღრაჭაღრუჭი რომ გაუდიოდა და სახლში შევიდა. პატრონებს შესთავაზა, ხალხნო, კაკლის სამტვრევს გამოგიჭედავთო.

— აგაშენა ღმერთმა! — გაუხარდა გუგუცეს მამას.—რაღაც მაგის მსგავსი მიტრიალებდა თავში, შენ კი, ნათლი, მოსვედი და ზუსტად არა თქვი!

და გამოჭედა მჭედელმა კაკლის სამტვრევი.

მიიწურა საფხული, შემოაჭკნა კაკალს ლენჯო და ამ დროს გუგუცეს უმიზეზოდ ასტკივდა ფეხი.

კაკლის სამტვრევი მშვიდად, ხელუხლებლად იდო კიდობანში და ფიქრობდა, საიდან გამოუტყვრა გუგუცეს ფეხის ტკივილიო.

ბაბუას ხელჯოხი

აი, მოვიდა ბაბუას დაბადების დღე.

გუგუცეს დედამ ბაბუას პერანგი აჩუქა, მამამ — ფლოსტები, დამ — ყვავილები, გუგუცემ კი ხელჯოხი.

ბაბუამ ყვავილები ლარნაკში ჩააწყო, პერანგი კიდობანში შეინახა და გუგუცეს მარცხენა ხელი მოჰხვია, იმიტომ რომ მარჯვენათი ხელჯოხი ეკავა. სადილობისას ხელჯოხი გვერდით დაიდო და სულ იმაზე ლაპარაკობდა. მამამ ფლოსტებზე მოინდომა საუბრის გადატანა, საწოლისკენ იყურებოდა და ბაბუას ეკითხებოდა, ფეხებში ხომ არ გიბერავსო. მაგრამ პასუხის ნაცვლად ბაბუამ ხელჯოხი უჩვენა.

იმ საღამოს გუგუცემ დიდხანს კერ დაიძინა. ბაბუას ისე მოეწონა ხელჯოხი, ალბათ, აღ დაიძინებს, ჯოხზე დაყრდნობილი ივლის დილამდე და ჯოხი გაცვდება, დამოკლდება, რკინისა ხომ არ არისო.

გამთენიისას გუგუცემ რკინის რგოლი იპოვა და ბაბუასთან გაიქცა. გზად ვინც შემოეყარა, ყველას იმას ეკითხებოდა, ხელჯოხიანი ბაბუაჩემი ხომ არ გინახავთო. ერთნი პასუხად მსრეებს ინეცდნენ, მეორენი ხელებს ასავ-

ხაკებლნეს. გუგუცე უფრო და უფრო შფოთავდა, ბაბუას ხელჯოხს ხომ არაფერი დაემართოთ.

ბელად, ბაბუას ის-ის იყო გამოლეთებოდა, ამდგარიყო და დაჩაჩუნობდა ძან ლელის ნაჩუქარი პერანგითა და მამის ნაჩუქარი ფლოსტებით. გუგუცეს ნაჩუქარი ხელჯოხი უძრავად ეკიდა ლურსმანზე, ბოლო არც კი წაბლაგვებოდა. ეტყობა, ბაბუამ იფიქრა, გუგუცეს მანამ დაველოდები, სანამ მიხვდება და რკინის რგოლს ჩამოაცვამსო.

შინ ასანთი გამოლეთოდათ. გუგუცემ იფიქრა, ბაბუა მაღაზიაში წავა და ვნახავ, რკინის რგოლშემოცმული ხელჯოხი ხომ არ ემძიმებაო.

მაგრამ ბაბუამ ასანთზე გუგუცე გაგზავნა.

მეორედ გუგუცემ რკინის რგოლის ნაცვლად ხელჯოხს რეზინის რგოლი ჩამოაცვა. ხელჯოხი გამსუბუქდა. ბაბუას სწორედ ის იყო ფარეხის ასაშენებლად უხმეს, გუგუცემ იფიქრა, ბაბუა წავა და შეკვხედავ; მოუხდება თუ არა რეზინის რგოლჩამოცმული ხელჯოხიო, მაგრამ ბაბუამ გუგუცე თან გაიყოლა და ხელჯოხი ხელუხლებლად დარჩა.

მშენებლობაზე გუგუცე წუთითაც არ მჯდარა უქმად. ფარეხი ხომ არასოდეს უშენებია! ბოძები ეჭირა, ბაბუას ფიცრებსაც აწოდებდა. კარი რომ უნდა შეეებათ ფარეხისათვის, ერთი ყური ცხვარიც არსად იპოვებოდა იმ არეშარეზე, ყველა საძოვარზე გაერეკათ. კიდევ კარგი გუგუცე იქა ჰყავდათ. კარი მის ზიმაზე გააკეთეს. მერე მწვემსმა გუგუცის ერთი ჯამი ლო დაუდგა და ლიდი ხის კოვზიც მისცა ხელში.

ზაფხული მიიღია. ბაბუას ლელის ნაჩუქარი პერანგი გამოუსუნდა, მამის ნაჩუქარი ფლოსტები გაუცვდა. ხელჯოხი კი ისევ ეკიდა ლურსმანზე.

ერთ ღღეს ბაბუამ გუგუცე ბაზრობაზე წაიყვანა. გაყიდვით არაფერი გაუყიდიათ. ბაბუას სურდა, სხვა სოფლელ ნაცნობებს შეხვედროდა. ზოგს ორიოდე სიტყვით შეხმიანებოდა, ზოგს გამახლაიებოდა, ზოგს მოლაპარაკებოდა

რალაც-რალაცებზე. გუგუცესაც გამოუჩნდა საქმე. ბაბუამ ნაყინი უყიდა.

მარჯვენათი ნაყინი ეჭირა გუგუცეს, მარცხენა ბაბუას-თვის ჩაეკლო, რომ არ დაკარგვოდა.

წამოვიდნენ ბაზრობიდან: გუგუცემ გამბედაობა მოიკ-რიბა და ბაბუას ჰკითხა:

— ბაბუა, ძალიან აქებდი ჩემს ხელჯოხს და სულ ლურსმანზე კი გიკიდია.

ბაბუამ პასუხად ქუდი წარბებზე ჩამოიფხატა, მსარზე ხელი დაჰკრა და უთხრა:

— შენა ხარ, ჩემო გუგუცე, ჩემი ხელჯოხი!

როგორ გაიზარდა გუგუცე ერთ ღამეში

ხომ ხდება ქვეყანაზე ასეთი ამბავი: ერთსა და იმავე დღეს გუგუცეს მამამ ახალი საბარგო მანქანა მიიღო და გუგუცე მეორე კლასში გადავიდა.

და აი გუგუცე, რაც ძალი და ღონე აქვს, მირბის შინისაკენ დედასთან ახალი ამბის მისახარებლად, სოფლის მეორე ბოლოდან კი გუგუცეს მამა მოქრის თავისი ახალი მანქანით, აპიპინებს, ხალხს ხელს უქნევს: გზა მომეცითო.

ნახევარმა სოფელმა იფიქრა, გუგუცე შინ იმიტომ მიიჩქარის, ნახოს, მამის მანქანა რა ფერიაო, მეორე ნახევარს ეჭვიც არ ეპარებოდა, მამა მხოლოდ იმიტომ მოაქროლებს საბარგო მანქანას, გუგუცეს რაც შეიძლება მალე მიულოცოს მეორე კლასში გადასვლაო.

გარბის გუგუცე და უცებ ესმის დეიდა კატერინას ხმა:

— ეს გუგუცეა?

— აბა ვინაა?

ლეიდა კატერინამ რომ გაიგო, რომელ კლასში გადავიდა გუგუცე, შინ შეიწვია და ჯიბეები სამცხვრებით გაუვსო.

„რადგან ასეა საქმე, გზად სხვა ნათესავებთან ხომ არ შეკერბანინო,“ — იფიქრა გუგუცემ.

ნათესავებმა თითქოს მოილაპარაკესო: ზოგმა ოხილი ჩაუყარა უბეში, ზოგმა კანფეტი ჩაუდო ჩანთაში, ხოლო ლეიდა მერიოთარამ თქვა, ცხოვრებაში კაცი მეორე კლასში მხოლოდ ერთხელ გადადისო, და ქათამი და ორი წიწილა ასუქა.

გუგუცე დაიბნა — წიწილებს ჩანთაში ჩავასვამ, მაგრამ ქათამს რა ეუფლოო?

ხელავს, პირდაპირ მამა არ მიქრის ახალი მანქანით! გუგუცემ პირი დააღო. მამამ, გასარეცხელმა ახალი მანქანა მაქვსო, თავი კი გამოიყო კაბისიდან, მაგრამ გუგუცესთვის მილოცვა დაავიწყდა.

„მამა! არც იცი, ახალი საბარგო მანქანა იმიტომ რომ მოგცეს, გუგუცე მეორე კლასში გადავიდაო!“ — გაიფიქრა გუგუცემ და ქათამამოიღლიავებული სირბილ-სირბილით გაიქცა მანქანისაკენ.

მამამ გულში ჩაიკრა გუგუცე, მასთან ერთად ქათამიც და დაძრა მანქანა. ქათამი ისე აკაკანდა, ვამვლელ-ვამომვლელებს ახალი მანქანის სიგნალი ეგონათ და გზიდან გარბოდნენ.

სიხარულისაგან გუგუცეს სული დაავიწყდა, რომ ამ დღეს სოფელში ბაზრობა იყო. ხალხი ირეოდა, ზოგს ბატი ამოეიღლიავებინა, ზოგს ინდაური, ზოგი წნელით გოჭს მიდენიდა, ერთ ჭაბუკს კი ხბოსთვის თოკი შეეგა და ისე მიმყავდა. მიექონდათ კალათებით კვერცხები, ჭყინტი ყველი და ათასნაირი ნუგბარი. ყველა მშვენიერ ჯანმრთელობაზე იყო და, ბიჭს რომ დაინახავდნენ, ხელებს უქნევდნენ.

გუგუცე კი ფიქრობდა: — „სადან გაიგო ამდენმა ხალხმა, მე რომ მეორე კლასში გადავედი? უჰ, რა სეირნობა იქნება საღამოს სოფელ სამ თიკანში!“

რეუტის სანაპიროზე მშვენებლობა იყო გაჩაღებული. გუგუცემ მამას უთხრა:

— ხედავ! გადავედი მეორე კლასში და უკვე ახალი ხიდის მშენებლობასაც შეუდგნენ რეუტზე.

— ბაგ-ბუგ! ვუ-ვუ-ვუ! — ეცინებოდა მანქანა, მამა კი უსმოდ უჯდა საჭეს.

სახლის წინ ეზოდან მალე ბევრი ორი ალამი იყო გამოკიდული, მაგ შუა გუგუცის ქალი ქანაობდა.

მამა ეზოში შეეცალა. ფანჯრები პირთამდე იყო ღია, კარებიც — წინა და უკანა, სარდაფის კარიც კი.

ღობე ხალიჩებით იყო მორთული, ოთაზე ეკიდა ყველა პერანგი, რაც გუგუცის პირველ კლასში ეცვა, დედა მოდიოდა და ხელში ორი თაიგული ეჭირა: ერთი გუგუცესთვის, მეორე მამისთვის. დედამ ბაგი ეზოში ჩაიკრა და თვალზე ცრემლი მოერია:

— ჩემო შვილო! უკან მოსვლასაც ვერ მოასწრებ, რომ ჯარში წასვლა მოგიწევს! მე ვისთან დავრჩე?

გუგუცეს ბედნიერებისაგან თავი აღარ ახსოვდა:

„სუმრობაა, პირველი კლასი დაამთავრა! ამ საქმისათვის კოლმეურნეობა მანქანას გაძლევს, მძღოლად მამას ნიშნავს, დედა კი მზადაა, ჯარში გაგაცილოს!"

— გუგუცე, შინა სარ? — ჭიშკარს აღებს გაფია, ტოადერ პუტინეს ქალიშვილი, სელში ცარიელი ვედრო უჭირავს. — ღმერთო, რამსელა გაგვეზარდე! აბა, მაჩვენე შუბლი, უნდა ვაკოცო! — და გუგუცეს გვერდით დგამს ცარიელ ვედროს.

აჰა, გასაგებია! გუგუცემ აიღო ვედრო, გაიქცა ჭასთან და სავსე ვედრო მეზობლის ეზოში წაიღო. სანამ გაფია გუგუცეს მშობლებთან საუბრობდა, ბიჭმა წყლით გაუვსო ქვაბები, ქოთნები, თასები, დოქები, ბოთლები, პირთამდე გააზიმზიმა დიდი ვარცლიც, პატარა ვარცლიც, პატარა კასრიც — ასე რომ, ტოადერ პუტინეს წყალი ღრმა მოხუცებულობამდე ეყოფოდა.

დილაადრიან ერთმა ბაბუამ ძროხა გუგუცეს ჭიშკართან დააბა, თვითონ კი ეზოში შეავიდა. ბიჭი სწორედ მანქანის ფარეხს წმენდდა, მამასთან ერთად წასასვლელად ემზადებოდა.

— ყოჩაღ, გუგუცე! — უთხრა ბაბუამ. — გუშინ საღამოდან მთელი სოფელი გუგუნებს, მეორე კლასში გადავიდაო. მოვდები ძროხას და ვფიქრობ: „მოდი, შევივლი გუგუცესთან, ვნახავ, გავიხარებ, ამხელა ბიჭი რომ დადგამეთქი!“ გუშინ ერთი ბეწო იყავი, დღეს უკვე მხრებამდე მწვდები.— ბაბუა ძიწაყრილზე ჩამოჯდა.

გასაგებია! ვინ უნდა წაიყვანოს ძროხა მეძროხესთან, თუ არა გუგუცემ!

— ოჰო, ბიჭო გუგუცე! — ქუდი მოუხადა მეძროხემ. — როგორა ხარ! ყოჩაღ, ყველაფერი გაიგე! — და გუგუცეს ხელი ჩამოართვა.

გუგუცესაც შეუძლია სხვაზე ფიქრი. გაუშვა შინ მეძროხე და საღამომდე ძროხებს თვითონ მოუარა.

შუადღეზე მამამ მანქანით სადილი მოუტანა, მერე ფოსტალიონი მოვიდა ველოსიპედით და დედის დიდი ასოებით დაწერილი წერილი გადასცა.

საღამოს გუგუცე მხარზე ფოსტალიონის ჩანთაგადაკიდებული მობრუნდა. დეპეშები, გაზეთები და წერილები კი თავ-თავიანთ ეზოებში რქებზე წამოცმული მოიტანეს ძროხებმა.

ამჯერად მართლაც არავინ დარჩენილა სოფელში, არ გაეგო, გუგუცე მეორე კლასში გადავიდაო. და როგორც კი რეუტზე ხიდი გაიდო, ეს ამბავი სხვა სოფლებსაც მისწვდა.

პარიკმახერი

ყურს მოჰკრავს გუგუცე, თმა უნდა შემკრიჭონო და მორჩა, ველარ დალანდავ. საღამომდე სადმე იმალება, იცის: საღამოთი მათი სოფლის პარიკმახერი მაკრატელს არაფრით ხელში არ აიღებს, გუგუცე კი არა, მეფე რომ მივიდეს გასაკრეჭად. ეს იმიტომ, რომ ერთხელ ბინდბუნდში ვიღაცას კინაღამ ყური წაათალა.

ტყუილად მიუკაკუნებს სამუშაო დღის ბოლოს რომელიმე მექანიზატორი. „თქვე კაი ხალხო! — ისმის კარს იქით. — შინ არა ვარ! ეგ ყურები აღარ გინდათ, თუ როგორაა თქვენი საქმე, მოითმინეთ ხვალამდე!“

თვეში ერთხელ პარიკმახერი იხდის ხალათს, ჯდება ველოსიპედზე და მიდის სადგურში გასაკრეჭად.

მობრუნებული სადილობს, სარკის წინ ჯდება, თავის თმას აკვირდება, მერე სხვებს ზუსტად ისე კრეჭს, როგორც თვითონ შეკრიჭეს საპარიკმახეროში.

და ისე გეგონება, სოფელში ყოველ მამაკაცს მხარზე პარიკმახერის თავი ადგას. კიდევ კარგი, ცხვირები და ყურები ყველას სხვადასხვაგვარი აქვს, თორემ ბავშვები როგორ გამოიცნობდნენ თავიანთ მამებს?

როცა გუგუცე პარიკმახერთან მიჰყავთ, ყოველთვის ერთიანად ხოტრაავენ ხოლმე და მაშინ ქვეყანაზე არავინაა მასზე უბედური! პარიკმახერი პირველი ჩაუტყაპუნებს მოტვლეპილ კინკრიახოზე, გაიცინებს, საზამთრო ჯერ არ დამწიფებულაო, და გააგზავნის მზეზე დასამწიფებლად. იქ კი, ვისაც არ ეზარება, უკაკუნებენ საზამთროზე და ისიც საშიშია, ვინმეს ძროხამ არ შეჭამოს, სანამ გუგუცე შინაძდე მიაღწევს.

ასეთ დღეებში გუგუცე ფარდულში იკეტება, გულზე ხელებს იკრეფს და სიკვდილს ნატრობს. დახუჭავს თვალებს და ეჩვენება, რომ მათ სარკეზე ქსოვილია ჩამოფარებული, დედას ქალები წყალს აპკურებენ. მამა წვერმოშვებული, უქუდოდ დადის ეზოში.

„ეჰ, გუგუცე, რატომ არ გამიზიარე შენი დარდები!“ — მოთქვამს მეზობლის ქალი.

მოდიან მოსწავლეები, მოაქვთ შავ ჩარჩოში ჩასმული გუგუცეს სურათი. მათ პარიკმახერი მოჰყვება, ყვავილებით ხელში... ამ დროს გუგუცე ცოცხლდება და კარს კიდევ ერთ მორს შეუყენებს ხოლმე. ქათმებს ასეთ დღეებში მეზობლების ფარდულებში უწევთ კვერცხის დადება.

საღამოს ფარდულიდან ინდიელი გამოდის ბუმბულის ჭრელი თავსაბურავით. გუგუცე წითელკანიანთა ბანაკში რჩება მანამ, სანამ თმა არ წამოეზრდება.

და როცა ბიჭი ისევ იგრძნობს, გაკრეჭას მიპირებენო, სახლზე მაღალი აკაცია რომ უდგათ, იმაზე აძვრება. დედა ქვემოთ დარბის, მუქარით თითს უქნევს, ისეთ სახეს იღებს, თითქოს კიბის მოსატანად მიდიოდეს. გუგუცე აინუნში არ აგდებს. ეჰ, ნეტა ასე იჯდეს — იჯდეს ხეზე და შეუმჩნევლად ჩიტად იქცეს. მაგრამ რამდენიც არ

უნდა მჯდარიყო გუგუცე ხის ტოტზე. ხიდან ძაინც ისევ ადამიანი ჩამოდიოდა, თანაც უფრო გრძელთმიანი.

— თავი კი არა, ყვავის ბუდეა. — ბრაზობდა დედა.—ნეტა არა ვხედავდე!

— ჰოდა, ნუ დაინახავ! — თავს ქუდში მალავდა გუგუცე.

სამწუხაროდ, ქუდი ზოგჯერ უნდა მოიხადო, მაგალითად, სადილობისას. თანაც, თურმე ნუ იტყვით, და თმა ქუდის ქვემოთაც იზრდება. ეჰ, გუგუცე, უნდა გაუძლო, აწვება შენი გასაჭირი. დედა პარიკმახერთან ავსაგენის, ღვეზელი წაულეო. გუგუცე ძიდის, დების ღვეზელს კართან და მორბის შინ ისეთიეე გაბანჯგულული, როგორიც იყო.

მაგრამ ზოგჯერ ღვეზელი ძალიან გემრიელია და პარიკმახერი გამოედევნება ბიჭს, მიათრევს თავისთან და იკვეხნის, რომ ოდესღაც ერთი კაცი გავკრიჭე, რომელიც მერე გენერალი გახდაო.

ეროხელ გუგუცემ, ისევ რომ მოისმინა გენერლის ამბები, იმის მაგივრად, სკამზე დამჯდარიყო, პარიკმახერს უთხრა:

— რა კარგი იქნებოდა, თმის შეკრეჭა რომ გეხწავლებინათ!

პარიკმახერს შვილი არა ჰყავდა, მაგრამ ოცნებობდა, სოფელში თავისი საქმის გამგრძელებელი დარჩენოდა.

პარიკმახერმა სხვენიდან პარიკიანი და ყურებიანი მანეკენი ჩამოათრია, პირით სარკისაკენ მიაბრუნა და გუგუცეს მაკრატელი გაუწოდა:

— მაშ, ახე, დღეს კრიჭ მარჯვენა ყურთან.

„კრიჭ-კრიჭ-კრიჭ!“ — ჭრიდა მაკრატელი თმას, გუგუცე კი ფიქრობდა, მათ სოფელში ყველაზე მეტად ვინ იძახურებდა გენერლობას.

— ა-ა-ხე! — აქებდა პარიკმახერი. — ახლა აქ მოაცილე ცოტა... ა-ა-ხე... კარგია, მალე ჩემს თანაშემწედ გაგხდი.

მერე პარიკმახერმა ღვეზელი ბოლომდე შეჭამა და დაიჩივლა, შემოსავალი არა მაქვს. მამაკაცები სოფელში სულ მუშაობენ და მუშაობენ და თმის შეკრეჭა აღირ ახსენდებათო.

იმ დღიდან პარიკმახერმა რვეული ვაიჩინა და დაიწყო ჩაწერა, ვინ და როდის გაკრიჭა. როცა ნახავდა, ვინმე დიდ-ხანს არ გამოჩენილაო, ცოლს ავზავნიდა. პარიკმახერის ცოლმა სულ იცოდა, ვინ იყო ვასაკრეჭი და კარზე მიად-გებოდა. მოიხდიდა კაცი ქუდს და თმა ზუსტად იმდენზე ჰქონდა წამოზრდილი, რამდენსაც პარიკმახერის ცოლი ვარაუდობდა.

მაგრამ ერთი კაცის რვეულში ჩაწერა ვერა და ვერ მოხერხდა. იმ კაცმა ქუდს ნახვრეტი გაუკეთა, თმას რომ გასაზრდელი ადგილი ჰქონოდა, და ძალიან მშვიდად აკე-თებდა თავის საქმეს.

— საკვამურიანი ქუდი! — ასე დაარქვა პარიკმახერის ცოლმა.

— ჯობს საკვამურიანი ქუდი ვეხუროს, — მოუჭრა გლეხმა, — ვიდრე გაიკრიჭო როგორც შეგხვდება და ვის-თან მოგხვდება.

რვეულმა უშველა პარიკმახერს. ხალხი ისე მოაწყდა, სადგურში წასასვლელად ველარ მოიცალა. ასე რომ, მო-უწია ყველა თავისი სურათის მსგავსად შეეკრიჭა. თვი-თონ კი თმა ისე ჩამოეზარდა, ყურები არ უჩანდა.

— საქმე ისეა, კეთილო ხალხო, ჩემი თავის მისახედად არ მცალია. სოფელში ან მამაკაცები მომრაველდნენ, ან ყოველი გაკრეჭის შემდეგ თავი ეზრდებათ, — ხუმრობდა პარიკმახერი და თავისი თმიდან ყურს გამოიჩენდა ხოლმე, კლიენტის პასუხი რომ მოესმინა.

— ეგ რა არის! — ეუბნებოდა ზოგიერთი. — ქალაქელი პარიკმახერები უარეს დღეში არიან! მათთან ხომ ქალებიც იკრეჭენ თმას.

ერთ შაბათს, როგორც ყოველთვის, გუგუცემ პარიკმა-ხერის კართან ღვეზელი დადო და საჩქაროდ მოუსვა ში-ნისაკენ. მაგრამ პარიკმახერმა ჭუჭრუტანიდან მაშინვე იგ-რძნო ღვეზელის სუნი და იმასაც მიხვდა, ვინც მოიტანა. გაუხარდა, ფანჯარა გამოაღო, დაუძახა გუგუცეს და აგ-რძნობინა, თმის შეკრეჭას არ გიპირებო.

ბიჭი მობრუნდა, მაგრამ გული საგულეს აღარ ედო.

— მობრძანდი, ვუგუცე — ფართოდ გაუღო კარი პარიკმახერმა, თან ღეზელს ღეჭავდა. — ყოჩაღ, რომ შემოიმომიარე! ყური მიგდე, ეგებ გამკრიჭო? კეფა მაინც, ჰა? დათვიეითა ვარ გაბანჯგვლული! მართალია, ცოტა ფულს კი გამოვკარი ხელი, მაგრამ შიში მაქვს, მთელმა თმამ, რაც სხვებს მოვაცილე, ბოლოს და ბოლოს ჩემს საკუთარ თავზე ხომ არ მოიყარა თავი.

— რას იზამ, ძია, ვსინჯოთ, ხომ არ დამვიწყებია, როგორ უნდა შეკრეჭა, — გამბედაობა მოიკრიბა გუგუცემ.

ბიჭისთვის კარგა ხანია ნათელი იყო, სოფელში რომელი მამაკაცი იყო ღირსი, გენერალი გამხდარიყო.

ამიტომ ჩაიცვა თეთრი ხალათი, სული შეუბერა საკრეჭ მანქანას, დაადო პარიკმახერს კეფაზე და აუყვა და ჩამოუყვა, აუყვა და ჩამოუყვა...

პარიკმახერი, ბრგე კაცი, იჯდა სკამზე და ნელ-ნელა პატარავდებოდა.

— ხომ არ წუხდებით?

— უჰ... ცოტა ამომასუნთქე, — სთხოვა პარიკმახერმა, რომელიც ერთიანად გაოფლიღიყო, და ხელით მოისინჯა თავისი წითელი კეფა. — აქ სადღაც ყურები მქონდა, არ დამლუპო, არ მომაჭრა.

გუგუცემ მონახა, სად იყო პარიკმახერის ყურები და ისევ კრიჭ-კრიჭ! — კეფაზე ზევით და ქვევით.

— კიდევ ბევრი თმა მაქვს? — ჰკითხა პარიკმახერმა.

— სულ ცოტა დარჩა, — ოფლი მოიწმინდა გუგუცემ.

უცებ პარიკმახერის ორივე ყურს თითქოს გამჭოლმა ქარმა დაუბერა. პარიკმახერმა თავზე ხელები იტაცა და...

— მიშველეთ! ეს რა მიქენი, ყაჩაღო? — სკამიდან წამოვარდა პარიკმახერი.

გუგუცემ საკრეჭი მანქანა განზე მოისროლა, თვითონ კი ფანჯრიდან ისკუპა.

— კარგად იყავი, ძია!

პარიკმახერი ცალი ხელით გაფარებით ისინჯავდა

[illegible], [illegible] სწვდა პაჭარა სკამს, რომელზეც ბავშვებს სკოლა [illegible] ეკრეკინასა, და მთელი ძალით ესროლა ვაქცეულ გოგუცას.

ამ დღეს ისეთი ჩაბანაქება იდგა, ფრინველები ჰაერში [illegible] ამაგრამ პარიკმახერი ქუჩაში ზამთრის ქუ[illegible] [illegible]. ხალხმა იფიქრა, ზამთარში ვაცივდა, მაგრამ [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] ეკითხებოდნენ, ანგინა [illegible] [illegible].

[illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible]

გუგუცე — გემის კაპიტანი

— გუგუცე, იცოდე, არსად წახვიდე! — დაუძახა დედამ, ჭიშკარი რომ გაიხურა. — მეკასრე უნდა მოვიდეს, კასრს ძირი უნდა ჩაუდგას.

გუგუცემ ჭიშკარზე ზანზალაკი ჩამოჰკიდა, რომ გაეგო, მეკასრე როდის მოვიდოდა, და ეზეთონ თავის საქმეს მიუბრუნდა.

მზე უკვე შემალლებულიყო მაგრამ არავინ მოდიოდა, დედაც სადღაც დაიკარგა.

სირბილით რომ მოიღალა, გუგუცემ გადაწყვიტა, ყველაფერს ის აჯობებს, მეკასრეს პირდაპირ კასრში დაველოდოო. ჩაძვრა შიგ და, მზეს რომ არ დაეცხუნებინა, კასრს ძირი დააფარა, ვითომ ქუდიაო, და ღრმა ძილით დაიძინა.

უნდა გითხრათ, რომ იმ სოფლის მეკასრე ცალი ყურით ყრუ იყო და სულ უსტვენდა, ამოწმებდა, მეორე ყურში კარგად მესმის თუ არაო.

ეს იყო გუგუცემ ჩაიძინა, რომ ეზოში სტვენა-სტვენით

შეშინებული მეკასრე თუ ვიღაც სხვა და მაშინვე დაინახა კასრი.

— ეს არის! — დაუსაბრალა მეკასრეს თუ ვიღაცა მავანს.

ერთი-ორი და სელოსანნი კასრს ძირი მიაბავრა, ეკერ-ეკებიც მოარგო. თან ნელ-ნელა აკაკუნებდა, ეშვენებოდა, ეზოში ვიღაც სვრინავსო.

მერე მეკასრე იყო ის თუ სხვა ვინმე, ეზოდან გავიდა. აი, მაშინ კი ჩაესხა გუგუცეს ეჭვების ზანზალაკის წკრიალი. გაიოცა, ირგელივ ასე ბნელოდა, ივალთან თითს ვერ ხედავდი. გუგუცემ ეკერდ იცვალა და მაშინვე გაანათდა.

ბოლოს და ბოლოს გუგუცე მაინც, სად იყო, ყაბოხტა ფეხზე და თავი კასრის ძირს ნაარტყა. გამოსასვლელი არ იყო! გაიგეყიტა ბიეშმა ნაბვრეტში (კიდევ კარგი, ხაცობი არ დაუცავთ): „აა, ეს თითქოს ჩვენია. ჰო, ასეა. აგე, ფარდელის ლაფარი. აგე ვარ ცლი, საიდანაც ქათმები წყალსა სვამენ... მიშველეთ! კარი დაკეტილი არ არის. ვაითუ ქურდები შევიდნენ!“

ურტყამს გუგუცე კასრს მუშტრებს, ეძახის მეზობლებს, არავის ესმის. მარტო ბოჩოლა ბლავის. არაფერია, რომ წყალი დაალევინოს.

ბიჭი კასრში მოიკუნტა და უცებ საშინლად მოენატრა დედა, მამა, ბავშვები, მზე, ბალინარე:

— მე საწყალი, ბარტოლმარტო ვარ მოელ ქვეყანაზე!

ამიტომ ვადაწყვიტა, კასრი ადგილიდან დაეძრა, გვერდზე ვადაებრუნებინა, გზაზე გაპოორებულიყო და გორვა-ეორვით ბაბუას სახლამდე მიეღწია.

— რახ-რახ! — ბაგორავს კასრი, მაგრამ ვერაფრით ვერ მიადგა ჭიშკარს. ხან საქათმისკენ გადაუხვია, ხან სარლაფის უესასულელთან შენერდა.

ერთი საათი რომ გავიდა, გუგუცემ იფიქრა, უკვე ბევრი-ბევრი წელია, კასრში ვზიავარო. დროდადრო ხახვაე

ხელს ისვამდა, ყველი ხ

მ არ ამოიღებდა, ბიერმ არა, ვერ არა ჩანდა.

უცებ კასრში ჩამობნეულა.

— აბა, სიბერის გამო ალბათ ფეხებიც დამაკლდა, — ამოიოხრა გუგუცემ.

ამ დროს ქუჩაში რაღაცამ დაიგრუხუნა. მერე ისევ იელვა, გუგუცემ თავისი ხელოვნება დაიხსნა. ისევ დაიგრუხუნა და კასრში ყველის ხუნი დატრიალდა.

ღე ალვამოს, ღე ალუხოს,
ან ბაშინგს, არა ეკრეება,
ეს მატომ რომ, ეს მიტომ რომ
ახალ ქოლგას ვეკრებიო! —

მხიარულად შემოსძახა ბიჭმა კასრიდან.

ყვიბამ დაიწყო ძებნა, ვინ მაგაკრეფსო, ვერ იპოვა და გაბრაზებულმა ისე დასცხო სოფელს, რომ ბაშინგე ყველა ესოსა და ქუჩაში ნაკალულები არაკაცენენ და მდინარისაკენ დაეშვნენ. ესმის გუგუცეს, როგორი მეღოლეა ყვიბა და სული ეპარება, ბასი სახლი სადღაც ბორს კი არა დგას, ზეკ მდინარის პირასაა წამოგზიმული!

„ახლა წყლით გაივსება ესო, წააქცევს ლობეს და კასრს პირდაპირ მდინარისაკენ გაიტაცებს. შუადამისას აყივლდებიან მამლები, მე უკვე დნესტრამდე ვიქნები მიცურებული. მზე, რომ ამოვა, შავ ზღვაში მოვიდენ ტყაპანს...“ — შეძრწუნდა გუგუცე, ვაისადა ჰერასკი და კასრის ნახვრეტში ჩაჩურთა.

„ვეშაპის არ მეშინია. ამ ნახვრეტში ვერ შემოეტევა. მაგრამ მაინც ჯობია, ლელფინები შემოვდეს. „მოლაპარაკე კასრიაო“, გაუსარლებათ. ამათამაშებენ ტალღებზე, მერე ზღვის ფსკერიდან გემს ამოიყვანენ ჩემთვის. მე კი მათ კასრს დავუტოვებ, ითამაშონ პატარა ლელფინებმა. ეემით რეუტს ამოვუყვები და შინ მოვალ. პირდაპირ ზღურბლიდან დავიყვირებ: „დედა! მამა! მოვედი, ახლა უკვე ჩვენი ვემი გაკეთებულია.“ დედა სასწრაფოდ ლაიბანს ფეხებს

ვარცლში, მამა სასლის კარს დაკეტავს, ჩავისვამთ ქათმებს და ბოჩოლას, მე აეუშვებ ღუზას და სრული სვლით გავეშურებით სტუმრად ავსტრალიელებთან! დედა გემის მზარეული იქნება, მამა კაპიტნის უფროსი თანაშემწე, მე კი გემის კაპიტანი!“

წვიმამ რომ გადაიღო, გუგუცე თავისი გემით უკვე სადღაც ყვითელ ზღვაში იყო.

მამასაც მოუნდებოდა გემის მართვა, განსაკუთრებით მაშინ, დედა რომ გემბანზე გამოჩნდებოდა. გუგუცე ანიშნებდა, მოგვიანებით სჯობია, თორემ ასლა ძალიან დიდი ღელვაა. დედას როცა არ უნდა შეხედო, სულ ქათმებთანაა: „ჯუ-ჯუ-ჯუ! სასლი ხომ არ მოგენატრათ?“ ბოჩოლა კი დიდი საზრუნავი გაუხდა: გემის შეჩერება ყოველ კუნძულთან უხდებოდათ, რომ სანაპიროზე ებალახებინათ. ასე რომ, სანამ ავსტრალიამდე მიაღწიეს, ბოჩოლა ძროხად იქცა...

ამ დროს ჭიშკართან ზანზალაკმა დაიწკრიალა. ეზოში დედა შემოვიდა. გაიხედა, კასრიდან გუგუცეს პერანგის სახელოა გამოჩრილი, გაუკვირდა, გამოსწია პერანგი და გუგუცემ ჭუჭრუტანიდან დედის ფეხები დაინახა.

— დედა... მე აქა ვარ.

— ღმერთო ჩემო! მანდ საიდან გაჩნდი? ცოცხალი ხარ?

— ცოცხალი ვარ, დედი.

— მაგ კასრს ახლავე ძირს გავაგდებინებ!

გაიქცა დედა ჩაქუჩისთვის, მაგრამ გადაიფიქრა. კასრს რიმ ჩახაჩუხი ავუყენო, ვაითუ ჩემს ბიჭს ტვინი გავულაყოო. კასრიც წვიმისაგან ერთიანად გაჯირჯვებული იყო.

ბედად გზაზე საზიდარი მიდიოდა. დედამ შეაჩერა, მეეტლესთან ერთად კასრი საზიდარს დაუდო და მეკასრესთან ვასწია.

საზიდარს მაშინვე აედევნა უსაქმოდ მოყიალეთა ჯგერო.

ერთმა კაცმა ფანჯრიდან დაინახა, კასრი რომ მიჰქონდათ, იფიქრა, მაჭარი მიაქვთ გასაყიდადო და ქუჩაში გამოვარდა, ერთ ხელში შლანგი ეჭირა, მეორეში — ჭიქა.

— ძია, იქ გუგუცეა! — თითით უჩვენა ვილაცის ბიჭუნამ.

დედა ხასდახას პერის პატარ-პატარა ნატეხებს ყრიდა კასრში. გუგუცეს როგორმე ცოცხალს რომ მიელწია მეკასრეებდე.

მეკასრის ეცინა ხალხთან ოცნა.

— რა მოხდა, ხალხო? — შინიდან გამოვიდა მეკასრე.

— შენც თუ მეკასრე ხარ! — მიუარდა დედა, — ახლაც გაძალეკეთ ბავშვი კასრიდან! რა თვალები დაგაჭყეტია?

მეკასრე ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რომ კასრში ვილაცა იყო, ბაქუნს ტიტო შემოასვია, დაესტვინა, კასრს ხაბი ბაკრეკი მოაძრო, იქვე დაესტვინა და ძარიც გამოაყოლო. ხალ-ხალაბათმა გუგუცემ მაშინვე თავი ამოყო.

— ეს, შე, ასეთი და ისეთი! მახდ როგორ ჩაძვერი?! — ჰკითხა მეკასრემ და ლეკის მიუბრუნდა. — ვაიგე, ადამიანო, რომ დღეს ეზოდან ფეხი არ გაძაღგამს. ხვალ ვაპირებდი თქვენთან მოსვლას.

— ნამეკალიდან პარიკმახერმა ჩაჭვნა კასრში, — თქვა გუგუცეს ძეზობელმა, — ბას შემეკვა, რაც გუგუცემ გაკრიჭა, ვგრძნობდი, გულში რაღაც ჩაიდო. და სწორედ დღეს ხალილის ენან დაგისახე, გუგუცეს სახლის წინ დაბორიალებდა.

ზარის ხმას რომ გაიგონებ

გუგუცეს დიდი, ბანჯგვლიანი ძაღლი ჰყავდა, მაგრამ ყოვლად უსარგებლო. თვალის გახელა რა არის, კვირაში ერთხელ ისიც ეზარებოდა, თორემ ყეფას ვიღა დაეძებდა. ამიტომ მთელი ყეფა მასში ნელ-ნელა გროვდებოდა.

როგორც კი გუგუცემ შეამჩნია, ეზოში ბალი მწიფდებაო, პატარა ძაღლი, გოშია იყიდა, დიდი ძაღლის მაღვიძარა რომ ყოფილიყო. საკმარისი იყო ოდნავ გაფაჩუნება შუაღამისას და გოშია წკაეწკავს იწყებდა, სანამ დიდ ძაღლს არ გააღვიძებდა. დიდი თუ დაიყეფებდა, ისე დაიგრგვინებდა, გეეონებოდა, ქვემესი გაისროლესო. მეზობლების ფანჯრებში შუქი ინთებოდა და ბაბუა ნიკიტას და ტოადერ პუტინეს (სულერთია უკვე აღარ დაეძინებოდათ) გუგუცეს ბლის დარაჯობა უწევდათ.

დილით გუგუცეს მამა დიდ ძაღლს ეფერებოდა და იკვეხნიდა, ახლა ჩემს ბაღში ვაგლახად ვერავინ შემობედავსო.

ასე ხდებოდა ყოველლამ. ყეფდა ძაღლი და ინთებოდა შუქი მეზობლების ფანჯრებში... ერთი სიტყვით, გუგუცეს

ბალი რომ მიილია, ბაბუა ნიკიტა სიჩარულით აღარ იყო, საყარაულო აღარაფერიაო, და ერთი დოქი ღვინიო ტოალერ პუტინესთან გადავიდა.

მაგრამ ორი კვირაც არ გასულა, რომ დილმა ბალმა ისევ ააყორიაქა მეზობლები. ბაბუა ნაკიტა და ტოალერ პუტინე ისევ მთელი ღამე ლარაჯობდნენ, ოღოსდ არ იცოდნენ რას. გამთენიისას გამოირკვა: თურმე გარგარი მწიფდა.

ხუთშაბათს ძალლმა შუალამისას თვით კოლმეურნეობის თავმჯდომარე წამოახტუნა ფეხზე, ხოლო პარასკევ დილით, თავმჯდომარემ გამოაცხადა, გუგუცე ის ყმაწვილია, ურომლისოდ კოლმეურნეობა ვერ ივარგებს: ვის უნდა უდარაჯოს ყველაზე შორეულ ვენახს, გუგუცემ თუ არაო?

— დედი, მე წავედი, — თქვა გუგუცემ და ძალლებს დაუსტვინა.

— ჩვენი ბედშავი მეზობლები ცოტას ამოისუნთქავენ, — თქვა დედამ. — გამიგონია?! რაც შენ ეს პატარა არამზადა მოიყვანე, საწყლები სამსახურში ჩაწვიოლებული თვალებით დადიან იღლიაში ბალიშამოჩრილები.

იმავე დილით კოლმეურნეობამ გუგუცესთვის ჯიხური ააშენა და ბიჭი დღის ყარაულად დანიშნა, ძალლებს კი ღამითაც უნდა ელარაჯათ ვენახში.

ოდნავ შებინდებოდა თუ არა, გუგუცეს ნაცვლად ღამის ყარაული მოვიდოდა, თოფს დამალავდა, რომ ვინმეს არ მოეპარა, დიდ ძალლს თავის მოადგილედ ნიშნავდა და ბალიშში ჩარგავდა თავს.

დიდ ძალლსაც მეტი არაფერი უნდოდა. მიდებდა ბორცვაკზე თავს, ბორცვაკი ჯერ კიდევ დღისით ჰქონდა შეთვალგულებული, და ისიც იძინებდა, ყეფას აგროვებდა.

სამაგიეროდ გოშიას არ ჰქონდა მოსვენება: ერთ ყურში ჭრიჭინების ჭრიჭინი ედგა, მეორეში — დარაჯის ხვრინვა. შუალამისას გორას იქით ნახევარმთვარე აპოცურდებოდა. მეორე ნახევარი სალლაა, ძიშვილეთ! მოიტაცესო! — ლა ატეხდა წკავწკავს.

ღაღ! — ისე ლაღურუხუნებდ დიდი ძაღლი, რომ ხმა სოფლამდე აღწევდა.

— ნაოლი, ადექი, უბედურებაა! — მიუკაკუნებდა ტოლ-ადერ პუტინე ფანჯარაზე ნიკიტა ბაბუას. — დიდმა დაიყეფა!

ნიკიტა ბაბუა მხარზე დაბმულ ჯუბას მოიკიდებდა და მეზობელთან ერთად ეზისაკენ ამოიჭარბოდა.

— შეხედეთ! თორემ გესერი! — ღრიალებდა ხანძარსანგევი ღამის დარაჯი (დიდმა ძაღლმა ისიც გამოალეიძა).

ძილ-ღვიძილში იწყებდა თოფის ძებნას და ხანამ მიაგნებდა, ისე იღლებოდა, რომ ისევ ძილი მოეგლებოდა დიდი ძაღლიც ხანჭაროდ ისევ ბორცვაკენ მიეგებოდა. ჩემი საწოლი არ გამიცივდებოდ. ტო

და ეშმაკი კაცი და იმ გზაზე შემდგომ არ გაიჭაჭანებდა.

თუ ვენახის გვერდით ქალი ჩაივლიდა, გუგუცეს არ ავიწყდებოდა, ერთი მტევანი შინაც გაეტანებინა.

— ნეტა რა იქნება ზამთარში? — ეკითხებოდა ხალხი ერთმანეთს. — ზარი ტყუილად არ რეკავს, იქნება გუგუცემ მოგვთხოვოს, გორაზე ქარის წისქვილი ავაშენოთო, თორემ ისე მარტო სახელიღა შერჩა გორას.

ხეებიდან ფოთოლი ჯერ კიდევ არ იყო ჩამოცვენილი, ყმაწვილებმა ფარდულებში რომ დაიწყეს უფროსებისაგან ჩუმ-ჩუმად რაღაცების კეთება. შევიდოდნენ ორნი ფარდულში, ერთი მამის ტყაპუჭს მოიცვამდა, მეორე საზომს ჩამოიღებდა და ისმოდა ნაჯახის კაკაკუკი გვიან ღამემდე.

როგორც კი პირველი თოვლი მოვიდა, გუგუცე ფარდულიდან ფარდულში სიარულს შეუდგა შესამოწმებლად, აბა საქმეს როგორი პირი უჩანსო.

თოვდა და თოვდა. ერთხელაც, კვირა დღეს, ალიონზე, ის-ის იყო სახლის საკვამურებიდან კვამლი ბოლქვ-ბოლქვად ავარდა, რომ სოფელში ზარის რეკვა გაისმა. ზარი დიდხანს, დიდხანს რეკავდა, თითქოს მოსწყინდა უხალხოდო, რეკავდა მანამ, სანამ მთელმა სოფელმა დიდიან-პატარიანად წისქვილის გორასკენ არა ქნა პირი..

გორაზე იდგა და იცდიდა გუგუცე სამასი და კიდევ სამი ახალთახალი ციგით.

— ღმერთო! — თოვლში ჩავარდა ერთი ქალი. — ნეტა სხვა სოფელში ხომ არ გადავყავართ?

— ხალხნო! — დაიწყო გუგუცემ, მოიხადა ქუდი და თქვა მოკლე სიტყვა, რომ ყურები არ გაჰყინვოდა, — ვინც ზაფხულში ყურძენი იგემა, იმის სანაცვლოდ ახლა ციგით ისრიალოს, — და სასწრაფოდ დაიხურა ქუდი.

ხალხმა ერთმანეთი შეათვალიერა: ულვაშები, წვერები, ჯუბები, დიდი შალები — ყველაფერი ეს ჭირად ექცეოდათ ციგით სრიალისას.

— მეტად ციცაბო ფერდობი შეგირჩევიხ! — თქვა ერ-

— წყალში გინდა ჩაბანინო ერთი მტევანი ყურძნისათვის? — ეცა ბიჭს მეორე.

— უმჯობესი იქნება, ბავშვებმა ისრიალონ, — საყელო აიწია სკოლის დირექტორმა (მანაც იგივე ზაფხულში ყუძური). — ჩვენ ცოგებს ამოვიტანთ.

ამ დროს ხალხს ტოიდერ პუტინე გამოეყო:

— ნიკიტა, აქა ხარ?

— აქა ვარ, ნათლი!

— მოდი, ეს საქმეც ჩვენა ვქნაო! — ჩამოიფხატა პუტინემ ქუდი და ნიკიტა ბაბუასთან ერთად ციგაზე დაჯდა.

— გზა! გზა! — დაიძახა იმ კაცის ცოლმა, რომელსაც საკვამურიანი ქუდი ესურა, და მეორე ციგაზე დაჯდა.

„ეჰე-ჰეი!" — აჰყვნენ ერთმანეთს.

„ეჰე-ჰეი!" — ვამოეპასუხათ ექო.

— დახე შენა, ჯერაც არ დაგვეიწყებია! — გაიძახოდნენ მოხუცები.

ყველამ გაისარა, თითქოს მხოლოდ ამას ელოდებოდნენო. ციგები არც ეყოთ. ყინულს ქვემოთ თევზები ჯამოფხისლდნენ, თვალები გადმოკარკლეს. სოფელში ცხვრები და მშიერი ძროხები ბღაოდნენ, პატრონები კი თავისთვის სრიალებდნენ რეუტის ხეობაში დალამებამდე. მხოლოდ ისინი იდგნენ ვანზე მოწყენილები, ეშმაკურად რომ მოიქცნენ და ყურძნის ჭამის ნაცვლად ვითომ საოვალეების მოსატანად გაიქცნენ.

ეჰე-ჰეი! — გუგუნებდა ფერდობი.

სკოლის დირექტორი თოვლში ისე გაფაფრაობდა, არ იცოდნენ, რომელ ნამქერში ეძებნათ. კოლმეურნეობის მოანგარიშე, რომ მოფრინაცდა, ბეჭედიც სადღაც გაიფრინა.

ბოლოს წისქვილის გორაზე თოვლის კაცი გაკეთეს. თავი დაადგეს — ზეიგამოჭრილი გუგუცი! ფეხებთან კი ორი თოვლის ძაღლი დაუყენეს — დიდი და პატარა.

გუგუცეს დურბინდი და ფოფანე კაცუნები

იშოვა გუგუცემ დურბინდი, მაგრამ ახლა დურბინდით ვილას ვააკვირვებ? ლარჩება მიწაფრილზე ღღისით, მივა სალამოს და იქეე გდია; ჭიშკართან მიაყრდება, იქვე იპოვის.

— ხი-ხი-ხი! — ავდავრეებს ერთი ლაქლაქა მეზობელი. — აი, ომში კი დურბინდი ფასდაუდებელი იყო. მასსოვს, ჩვენს გენერალს ჰქონდა დურბინდი: მიიტანდა თვალთან. და გერმანელი უკვე ხელებაწეული გამოდიოდა საფარიდან.

რა ეოქმოდა გუგუცეს. ომს ხომ არ დაიწყებდა დურბინდის გამოსაყენებლად.

გუგუცეს დურბინდი მალე აღარავის გაახსენდებოდა, მაგრამ აი ცოლხელ ბიჭმა გაიხედა ლურბინდში და ხედავს, სოფელში საშიდარი შემოდის. რაღაცაზე ჩაფიქრებულ შესახიდრეს კი არც შეუნიშნავს, როგორ გამოქმა ერთა ცხენი და დარჩა გზის პირას, საბალასოდ. — შოლტს მეორე ცხენს უტყლაშუნებს და ხან აღმართს აუყვება, ხან დაღმართზე დაეშვება. აბა შემოვიდა სოფელში.

შეხვდა დურბინდიანი გუგუცე.

— ბაბუა, ცხენი დაგეკარგათ!

— სასაცილო თუ გინდა ესაა! — წამოიძახა ბაბუამ. — სადაა?

გუგუცემ ჩაიხედა დურბინდში და მაშინვე მიაგნო ნისლა ცხენს ხირტოპის გორაკის ძირას.

ბაბუამ გამოხსნა მეორე ცხენი, შეაჯდა ზედ და გააჭენა. აი, ხირტოპის გორაკიც. ცხენის პოვნით გახარებული ბაბუა ახლა ნისლას მოახტა, წაბლა კი გორაკის ძირას მიატოვა.

უკან დაბრუნებულს ისევ შეხვდა დურბინდიანი გუგუცე.

— ბაბუა, სადაა ის ცხენი, რომლითაც ამის მოსაყვანად წახვედი?

— ეს რა დურბინდია! — შლაპის კინკრიხო მოიქექა ბაბუამ და ისევ გორაკისაკენ გაეშურა.

მალე მობრუნდა და ორი ცხენი მოიყვანა, მაგრამ ახლა საზიდარი ველარ იპოვა. ბაბუა პირდაპირ გუგუცეს მიადგა და ჭიშკარზე დააკაკუნა.

გუგუცემ აიღო დურბინდი და ფარდულზე აძვრა. არ იტყვით, თურმე რა მომხდარა! ბაბუას საზიდარი სოფლის ერთ ბოლოში დაუტოვებია, მეორეში კი ეძებდა.

საღამოს ბაბუამ გუგუცეს ერთი ჯამით თაფლი მოართვა, ხოლო დურბინდის ამბავი მთელ სოფელს მოედო.

ახლა ყველა გუგუცესთან დადიოდა; ზოგი დაკარგულს ეძებდა, ზოგს რაღაც ეპოვა და პატრონის მონახვა უნდოდა.

გუგუცე უთენია დგებოდა, იღებდა დურბინდს, აბგაში საგზალს იდებდა და ადიოდა ყველაზე მაღალ, სახლზე უფრო მაღალ აკაციაზე.

გუგუცეს რომ დაინახავდნენ, სოფელს გადმოჰყურებსო, უხაროდათ: რაც გინდა თქვი და სასიამოვნოა, როცა ვიღაც ზემოდან დაგცქერის, გამჩნევს და ყოველთვის მზადაა მოსაშველებლად.

რამე გაიზუზუნებს და გუგუცე [illegible]
ეერს: უცხო ოვითძერა [illegible] ხმ[illegible]
ნება ერთი მაინც [illegible]

დელა ბუზღუნებდა, [illegible]
მაში წაგივალ, [illegible]
ოვითონვე მიუბაძა [illegible]
ასწიე, შვილო, [illegible]!

როცა თვითონ გუგუცეს ჰქონდა [illegible]
ბინდის წაღება [illegible]

ერთხელ [illegible]
სახლიან გაიხედა [illegible]
თი ღურბინდში [illegible]
ჩაეტია, მეორე კი [illegible]

საღამოს კაცი, [illegible]
ბრიგადირად [illegible]
მოხსნეს ბრიგადირის [illegible]

მას შემდეგ გუგუცე [illegible]
რის სახლთან. [illegible]
სად იყო სად არა, [illegible]

— გუგუცეს ღურბინდი [illegible]
ამას!

თანაც თითოეული [illegible]
ლიც ჰქონდა, თითქოს [illegible]
იყო.

— ზღაპრებსა [illegible]
მჯდომარე, [illegible]
ბევრს უშველა [illegible]

გუგუცე ღურბინდით [illegible]
ავად და ავადმყოფს [illegible]
ფობასთან ხომ ხუმრობა [illegible]?!

— გმადლობთ, ექიმო, [illegible]
ერაფრით ვერ [illegible]
ექიმს რომელიმე [illegible]

ექიმი გაკვირვებული უყურებდა და სიცხეს უზომავდა.

დირექტორის ჭიშკრიდან გუგუცე ღურბინდში ხედავდა, ვინ და რატომ არ წავიდა იმ ღამეს სკოლაში... და მაშინვე მიუდიოდათ მშობლებს დირექტორისაგან მიწვევა შვილების მაგივრად, თანაც მათი წიგნებიც უნდა წაეღოთ.

— შეიძლება შემოვიდე? — მოისდიდა კაცი ქუდს, მიუჯდებოდა მერხს პირველ კლასში და ვაჟიშვილის მაგივრად სატაკდა ათასნაირ კაუჭებსა და რგოლებს.

„X + Y = "... — წერდა ცარცით დაფაზე მეორეკლასელის ხედა.

ავიზგიზდა ხალხის გულში
მოლდაეური სიტყვის ალი,
თაკდახსნილი მოყმესავით
კვლავ მიეცა ხმა და ძალი, —

იხსენებდა ლექსს ბაბუა მეექვსეკლასელი შვილიშვილის ნაცვლად.

ასე რომ, მშობლები ხვდებოდნენ: ყველაფერი-ყველაფერი და მათი შვილები სკოლაში უსაქმურად არ ისხდნენ და დილით პირდაპირ ხელში აყვანილები მოჰყავდათ კლასებში, ჯიბეში კი ვერცხლისფერ ქაღალდში გახვეულ შოკოლადებს უტენიდნენ.

მას შემდეგ, რაც გუგუცეს ღურბინდი გაუჩნდა, ხალხი ერთი საათით ადრე დგებოდა და ორი საათით გვიან წვებოდა, სამაგიეროდ მხიარულად იყვნენ და უშფოთველად ეძინათ. მათი ბიჭები სწრაფად იზრდებოდნენ და ბადრ მთვარესავით ანათებდნენ.

დარაჯებმა რომ შეამჩნიეს, ბოლო დროს ქურდობა თითქმის შეწყდაო, თავ-თავიანთ სახლებს მიაშურეს.

ძაგრამ პირშავებსა და ხელმრუდებს (სოფელში ასეთებიც იყვნენ) ღურბინდი თვალში არ მოუვიდათ.

— მივწერ გენერალს, რომ შენ მშვიდობიან დროს ტყუილუბრალოდ აფუჭებ ღურბინდს, — შეუჩნდა გუგუცეს ყბედი მეზობელი. — რა უფლებით მტენი მაგ ღურბინდში, როცა მოგეპრიანება? რა გესაქმება ნემთან?

— მაინტერესებს, როგორ არიან მწვანე კაცუნები? თქვენ დაგდევენ თუ არა?

— რა კაცუნებზე მელაპარაკები? — ბრაზობდა მეზობელი — მე შენ ის ბერიკაცი ხომ არ გგონივარ, ცხენებს რომ კარგავდა?!

ბიჭმა დურბინდი თვალებთან მიიტანა. მართლაც ღაინახა მწვანე კაცუნები! ერთი შარვალზე აცოცებია მეზობელს, მეორე პიჯაკის ღილზეა შემომჯდარი, მესამეს სახელოდან გამოუყვია თავი.

გუგუცემ დიდი ხანია შეამჩნია ეს კაცუნები. ღაიძინებდა თუ არა მეზობელი, მაშინვე ბაღში ასუნსულდებოდნენ, ბიჭთან უნდოდათ მისვლა, მაგრამ ღობიდან გადასვლისა ეშინოდათ.

სანაძლეო შემიძლია დავდო, მეზობელმა იცოდა მათი არსებობა, მაგრამ ხმას არ იღებდა.

— ეს ოხერი დურბინდი! — გამოსცრა ერთხელ კბილებში და წავიდა ორ სხვა პირშავ კაცთან მოსალაპარაკებლად. ბჭოდნენ, როგორ მოეშორებინათ თავიდან სახიფათო დურბინდი.

მეორე დღეს მეზობელი გუგუცესთან მოვიდა. იღლიაში ლეკვი ჰყავდა ამოჩრილი, თავში კი ასეთი ფიქრი უტრიალებდა: ნეტა გუგუცე არ გამიცელის ლეკვს დურბინდშიო? გუგუცემ გაგონებაც არ ისურვა. მაშინ მეზობელმა დიდი ძაღლი მოუყვანა. ბიჭმა მაშინვე დურბინდში მოაქცია: „აჰა! შენთან ერთად კაცუნებიც არიან!“ მეზობელმა ისე მოკურცხლა, მიწას ფეხს არ აკარებდა. ძაღლი ჭიშკართან შეჩერდა, შეუყეფა გუგუცეს, კაცუნებმა კი მუქარით მოულერეს მწვანე მუშტები...

დურბინდის ყიდვაც სცადეს, მოპარვაც, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ.

და უცებ ისე მოხდა, რომ დურბინდში აღარაფერი ჩნდებოდა, გარდა რაღაცნაირი ნაფლეთ-ნაფლეთი ღრუბლებისა. ვინ იყო დამნაშავე? თვითონ გუგუცე. აი, როგორ მოხდა ეს ამბავი.

ერთხელ დედამ უთხრა გუგუცეს:

— გადადი, შვილო, ძია პანტელეისთან, უთხარი, მოვიღეს და ლირსები შემაღებინოს, თორემ დღესასწაული შეუღებავ სახლში მიმისწრებს.

რა დროს ლირსებია, როცა გუგუცეს უფრო დიდი საქმეები აქვს! ადგა და დედას თავი ისე მოაჩვენა თითქოს დურბინდში იყურებოდა, მერე კი მოიტყუა, ძია პანტელეი შინ არ არისო.

დედა დედაა და დაუჯერა შვილს, ოვითონ შეუდგა ლირსების ღებვას — ფუნჯი როგორ არ აუსვა, მაგრამ მაინც მრუდე გამოსდიოდა. იწვალა, იწვალა და სოფელში გაიქცა ძია პანტელეის საძებნელად.

ტყუილი გუგუცეს პატარად მოეჩვენა, პატარად, ზუსტად მისი კოვლის ხელად.

მაგრამ დედა გავიდა თუ არა ეზოდან, პატარა ტყუილი ხელად იქცა გვერდზე ქუდმოგდებულ კაცუნად.

— გამარჯობა, მამილო! — ქუდი მოუხადა კაცუნამ.

გუგუცემ მიიხედ-მოიხედა — არავინ იყო. ესე იგი, კაცუნა ელაპარაკებოდა. დაიხარა, შეათვალიერა სტუმარი: ნამცეცა, სავსივით მწვანეთმიანი, მეზობლის კაცუნებისაგან ვერც გაარჩევდი.

— მამილო, მშია! — სთხოვა სტუმარმა.

გუგუცემ ხელისგულზე დაისვა კაცუნა, ჯერ პურის ნამცეცებით გაუმასპინძლდა, კაცუნამ პირი არ დააკარა, მერე მზესუმზირა მიართვა, კაცუნამ ფეხი ჰკრა.

— ყურს აჭამე და არა მუცელს! რასაც ვისმენთ, იმას ვჭამთ! — კაცუნამ ბიჭს ყური მიუშვირა. — იცი, რითი ვიკვებები? ჭვავის მარცვლით კი არა, ცინცხალ-ცინცხალი ტყუილით!

გუგუცემ დაბნეულად შეხედა.

— რა თქვი, სად არისო ძია პანტელეი? — ჰკითხა მწვანეთმიანმა.

— შინ არ არის, — წაიბუტბუტა ბიჭმა.

— ხი-ხი-ხი! — კაცუნა ხელისგულიდან გადმოხტა, მხიარულად გადაკოტრიალდა და თითქოს სიმაღლე მოემატა. — გმადლობ, მამილო, სადილისათვის!

გუგუცეს თვალები იმ კაცუნებზე უფრო დიდები გაუხდა და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა, სიმინდის ყანაში შევარდა, კიტრის კვლებს გადაახტა, კარტოფილის მინდორზე აქეთ-იქით ირბინა, ბუჩქებში გაძვრა-გამოძვრა, ბოლოს კი სხვენზე ავარდა, თვითონ ვერც მიხვდა, ისე გახსნა საკვამლე საფარი და შიგ ჩაიმალა.

ის იყო, გაიფიქრა, კაცუნას კვალი ავურიეო, რომ ვიღაც ლამის ყურში ჩაუძვრა და ჩაუჩურჩულა:

— იცი, რასა ვფიქრობ, მამილო, დედა რომ მოვა, ცეცხლს გააჩაღებს, დღეს ხომ პურის გამოცხობას აპირებს.

გუგუცე შეწუხებული გამოძვრა კვამლსადენიდან.

— უჰ, მამილო, როგორ გამურულხარ! — კაცუნა ბიჭის ერთი მხრიდან მეორეზე გადახტა და თავისი ქუდით ტანსაცმლიდან მურის ჩამოფერთხვა დაუწყო.

— მაშ, შენ ამბობ, რომ პანტელეი შინ არ არის, არა?

— რა ტკიპასავით მომეკარი! — ბრაზობდა გუგუცე და სხვენიდან ქვევით მოძვრებოდა. — სადა ხარ?

— აქა ვარ, მამილო! ჩემს სამ ნაბიჯზე შენი მარცხენა ყურიდან. შენ წინ იყურები, მე — უკან. შეიძლება ითქვას, რომ შენ ახლა ოთხი თვალი გაქვს!

გუგუცე ბექობზე დაეშვა. მიირბინა რეუტთან და პირდაპირ თავით გადაეშვა მორევში. ითმინა წყლის ქვეშ, რამდენსანსაც გაუძლო, იფიქრა, კაცუნა ახლა კი მოვიშორეო, მაგრამ თავი ამოყოფილი არ ჰქონდა ჰაერის ჩასასუნთქად, მის ცხვირწინ შლაპა გაცურდა, რომელზეც პირალმა გაშსლართულიყო მწვანეთმიანი კაცუნა.

— გახდა დაგავიწყდა, მამილო! — დასცინოდა კაცუნა და თვალის დახამხამებაში თავზე დაახტა გუგუცეს, იქიდან წყალში ჩაყვინთა. მალაყებზე გადავიდა და გუგუცეს წყალი შეაშხეფა, ხოლო შინ რომ ბრუნდებოდნენ, უთხრა:

— მეძინება, შამილო! ვაი-ვაი! როგორც ჩანს, ბახაი-ბამ ძომთენია!

გუგუცემ კაცუნა სახურავს ქვემოთ ბელურას ბუდეში ჩასვა, გამოსასველელს რაღაც დააფარა, ძირს ჩამოვიდა, კიბე თავის ადგილზე დადო და დურბინდში გაიხედა, დედა თუ მოდისო. დურბინდი მიაბრუნ-მოაბრუნა. მაგრამ რაღაც ვერაა რიგზე: არაფერი არა ჩანს, გარდა რაღაცნაირი მწვანე ლრუბლებისა.

— მოდის, მაგრამ დედა არა! — პირდაპირ დურბინდიდან გაისმა ხმა.

— აბა, ქშშ! აქაც ჩაძვერი? აბა გამოდი დურბინდიდან! — გაშმაგდა გუგუცე.

ამ დროს გაილო ჭიშკარი და ეზოში აგრონომი შემოვიდა.

ბიჭმა სასწრაფოდ ჩამალა დურბინდი უბეში.

— გუგუცე, ყური მიგდე, — ხმხოვა აგრონომმა. — მომეცი შენი დურბინდი.. გავიხედავ, ხოფლის მეორე ბოლოში სიმინდს შამბი ხომ არ მოერია. გაბსოვს, გუშინწინ რა კოკისპირულად წვიმდა?

— სიამოვნებით, ძია, შაგრამ ვერ მოგცემთ. ბიძაშვილს ვათხოვე ერთი დღით, — ისევ მოიტყუა გუგუცემ, შეშინებულმა, აგრონომმა სასაცილოდ არ აიგდოს ჩემი დურბინდიო.

გაბრუნდა უკან აგრონომი.

გუგუცემ როგორც კი ტყუილი თქვა, ერთი მწვანე კაცუნა კიდევ გაუჩნდა. ბიჭის შლაპაზე წამომჯდარი ფეხებს იქნევს.

— შენ მეძახი, შამილო?

— ხი-ხი-ხი! უკვე ორნი ვართ! — ეაუსარდა იმას, რომელიც დურბინდში იჯდა.

— ავდგები და ორიეეს კატას შეეაჭმეეთ! — დაემუქრა გუგუცე. — რას გადამეკიდეთ? არც მე ვარ თქვენი კრუხი და არც თქვენ ხართ ჩემი ჭიწილები. თუ გინდათ, უდურბინდოდ დამტოვეთ?

— გუგუცე-ე-ე! — დაუძახა ქუჩიდან ვიღაც ქალმა. — დედაშვილობას, ფურბინდში ჩაისველე და ნახე, სადაა თავმჯდომარე, კიშინიოვიდან მის სანახავად კაცია ჩამოსული.

გუგუცე ფურბინდიანად ხეზე აძვრა. ფურბინდი თვალთან მიტანილი არ ჰქონდა, რომ შიგ მეორე კაცუნა შეეარდა.

— მამილოს ფურბინდში რამდენი რამა ჩანს! ნეტა ის ქათამი სად გაიქცა? — უკვირდა კაცუნებს.

ბიჭი მხოლოდ მწვანე ნისლს ხედავდა, მეტს არაფერს. ანჯღრია და ანჯღრია გუგუცემ ფურბინდი: „აბა, ქუშ! გამოდით მანდედანო!“ — მაგრამ ვერაფრით ვერ გამოყარა იქიდან კაცუნები..

ამ დროს დედაც გამოჩნდა ძია პანტელეისთან ერთად. გუგუცე ჩამოვიდა ხიდან და ეზიშკრისაკენ გაიქცა. კაცუნებიც თან მიჰყვნენ.

— დედა! — მუხლებზე დაეცა გუგუცე მის წინ. — თუ ვინდა სახლიდან გამაგდე, ოღონდ მაპატიე, დედიკო, მაპატიე! ძია პანტელეი შინ იყო.

დედა ხედავს, რომ გუგუცე თვალებში შესცქერის, ადეკიო, უთხრა და აპატია.

— ვაი! — გაისმა გუგუცეს ზურგს უკან.

გუგუცემ თავი მოაბრუნა და პირველ კაცუნას მაშინვე მიწამ უყო პირი. მხოლოდ შლაპა დარჩა მისი, ისიც ბალახს გამოედო და იქიტომ, მეორე კაცუნა კი, მოლად გაფითრებული, გუგუცეს სახელოზე ექაჩებოდა:

— გამაგრდი, მამილო! არ ვადათქვა, მამილო!

— ვინაა, რომ ველაპარაკება, გუგუცე?

— ვიღაც კაცუნები არიან, ერთი უკვე გაიქცა...

ღედამ შეუმჩნევლად ჩაიცინა და ძია პანტელეისთან ერთად შინ შევიდა, გუგუცემ კი აგრონომის საძებრად მიაკურცხლა, რომ ეთქვა, მართლა რაც დაემართა ფურბინდს.

შინ მჩიარული მობრუნდა, თითქოს ზურგიდან მძიმე ტვირთი მოეხსნაო.

მას შემდეგ დურბინდში არაფითარი მწვანე ლრუბლები აღარ გამოჩენილა.

თანასოფლელები, როგორც კი რამე დასჭირდებათ, ძველებურად აკითხავენ გუგუცეს. სოფლის დარაჯებმა ხელობა გამოიცვალეს, ზოგი თერძი გახდა, ზოგი ხარაზი, ზოგი — დურგალი. ერთი კი ქალაქში გადასახლდა და ახლა იქ ნაყინს ყიდის.

მონადირე

ხალხს თითქმის მიაჩნდა, რომ მათ სოფელში მონადირე ცხოვრობდა და ეცემ რუდენის ნაპირას ბახ-ბუხ! გავარდებოდა თოფი. როდესაც კი ხრეოლის ხმას გაიგონებდა, მონადირის ცოლი, სასწრაფოდ ნაასხამდა ქარდალაში წყალს და ღუმელში ცეცხლს გაანადგებდა.

მონადირე ხელაცდა თავისი სახლის საკვამურიდან ამოსული კვამლს, მაგრამ შინ არ ბრუნდა, იხვს ქამარზე ჩამოიკიდებდა და გახზრახ სოფელზე ჩამოიკლიდა, ხალხმა ნემი ნანადირევი დაანახოსო.

ეუბედურეს სხვა ყმაწვილებივით ფეხბურთს არ მისდევდა მონადირეს. გაიგონებდა თუ არა ხრეოლის ხმას, მონადირის სახლს მიაშურებდა, რომ მის ცოლს მიშველებოდა. მონადირე ხელაცდა, რომ [illegible] ბიჭი მის ეზოში შეშას აპობდა, მაგრამ უბრალ ნაუცლიდა, ძალლს თუ შეუძახებდა.

კვირა ღლე იყო, ერთმა ღარაჯმა ცაში ისროლა თოფი, რა არი, ხალხს არ ეგონოს, სადარაჯოზე სძინავსო. მონადირის ცოლმა მაშინვე დაავლო ქვაბს სელი, მხარზე ნაჯახგადაღებულმა გუგუცემ კი ეზოში შეაბიჯა.

მონადირემ ტბიღან დაინახა, რომ მისი სახლის საკვამურიდან კვამლი ამოდიოდა და კეფა მოიქექა: რას მივაწეროთ ჩემს სახლში შეშის უყაირათო ხარჯვაო. ადგა და თვითონაც ისროლა თოფი: ეგებ მიხვდნენ და ღუმელში ცეცხლი გაანელონ, სანამ რაიმე არ მომინადირებიაო. მონადირის ცოლმა მეორედ სროლა რომ გაიგონა, მეორე ქვაბი შემოდგა ღუმელზე, ღუმელს კი იმდენი შეშა შეუკეთა, საკვამურიდან ალი ავარდა.

გუგუცე რომ არა, ხანძარიც გაჩნდებოდა. დიასახლისი რომ ვედროებით გამოვარდა ეზოში, გუგუცე უკვე სახურავზე იყო გასული. საკვამურიდან ნაპერწკლები ცვიოდა. გუგუცემ ერთი ვედრო წყალი საკვამურში ჩაუშვა, ოთხიოდე კიდევ სახურავზე დაასხა. თავიან-ფეხიანად გაიწუწა და ისე გაიმურა, მშობელი დედაც ვეღარ იცნობდა.

მონადირემ რომ დაინახა, მთელი სახლი კვამლში გაეხვიაო, სოფლისაკენ გამოიქცა და როცა გაიგო, ჩემი ავლადიდება გუგუცემ გადაარჩინაო, ბოლოს და ბოლოს მიაქცია ყურადღება.

— რა გქვია, ბიჭო? — ჰკითხა გუგუცეს და თავისი მშრალი შარვალი გამოუტანა.

გუგუცე შინისაკენ ნება-ნება მიდიოდა, მაგრამ გზა მაინც ძალიან მოკლე ეჩვენა. სამწუხაროდ, ბევრმა ვერ მოასწრო მონადირის შარვლის ცქერით გულის მოჯერება. მართალია, გუგუცე შარვალში არ ჩანდა, მაგრამ მონადირის ძაღლმა რომ დაინახა, პატრონის შარვალი ეზოდან გადისო, ძუნძულით აედევნა უკან.

დადგა ღლე, როცა ერთი თოფით ორი მონადირე გაეიდა სოფლიდან. თუ ძაღლსაც მივათვლით, სამნი იყვნენ. ამჯერად მონადირეს ისე გაუმართლა, როგორც არას-

დროს. ერთი გასროლით ორი იხვი მოკლა. ერთი ძაღლმა ამოუთრია წყლიდან, მეორე გუგუცემ გამოუტანა ლელ-ქაშიდან.

— კარგი ფეხისა ყოფილხარ! — უთხრა ეასარებულმა მონადირემ გუგუცეს და იხვის კვერცხი აჩუქა.

კი არ მიუცია, დაჰპირდა, პირველივე კვერცხი, რომელსაც იხვის ბუდეში მომავალ გაზაფხულს ვიპოვი, უთუოდ შენი იქნებაო, რა თქმა უნდა, თუ იხვები ისევ ამ ადგილებს ეწვევიან კვერცხების ღასადებაღო.

იმ დღიდან მოყოლებული სანადიროდაც ასე დადიოდნენ და ნადირობიდანაც ასე ბრუნდებოდნენ: წინ მონადირე მიდიოდა, მერე გუგუცე მიპყვებოდა, გუგუცეს კი ძაღლი მისდევდა, მთელი სოფელი მიეჩვია ამ სამეულს. ერთმა ენაკვიმატმა გუგუცეს „მონადირის კუდიც“ კი შეარქვა.

— ნუ მიაკერებ მაგ სახელს, — უთხრა მეორემ. — მე ლეონტი არ ვიყო, თუ ერთ მშვენიერ დღეს გუგუცე თვითონ არ ენახოთ მხარზე თოფგადაკიდებულიო.

ალბათ, ასეც მოხდებოდა, მაგრამ ერთხელ გუგუცემ, დაჭრილ იხვს რომ მისდევდა, ფეხი გაიჭრა. კოჭლობ-კოჭლობით მიჩანჩალებდა ლელქაშში, ტკივილებისაგან კბილებს აკრაჭუნებდა და ფიქრობდა: "ალბათ იხვებსაც ასე სტკივათო. მე რომ გარეული იხვი ვიყო და ბახ, ტყვია მომმხვდეს, ძაღლმა მიპოვოს ლელქაშებში, ჩამაყლოს კბილი, მიმათრიოს პატრონთან და თბილ ქვეყანაში გაფრენის ნაცვლად მოვხვდე...“ ამ ფიქრში მყოფმა გუგუცემ ლელქაში გასწი-გამოსწია და ბრაზით გახედა ნაცნობ საკვამურს, საიდანაც კვამლი ბოლქვა-ბოლქვა ამოდიოდა.

იმ ღამეს ბიჭს ცუდად ეძინა. ძილში ხან წამოხტებოდა, ხან გარეული იხვივით ყვიტყვიტებდა.

მეორე დღეს, ისევ რომ წავიდნენ სანადიროდ, მონადირემ ტყვია ვერ მოახვედრა იხვს, რომლის ჩამოგდება ჯოხითაც შეიძლებოდა, იხვმა ბოლო აიქნია, ფრთები ააფათქუნა, ფრრ...ფრრ... და აფრიკაში გაფრინდა. გუგუცემ

ხელი დაუქნია დასამშვიდობებლად. მონადირე ისე გაბრაზდა, ღამის უკან ძალთხოვა თავისი [illegible] იხვის კვერცხი.

მას შერე [illegible] მონადირეს [illegible] [illegible]ჰქონდა. ხუდი თავის ორ ძეგობართან [illegible] [illegible] [illegible] ახინი ასწრებასეს ტბაზე მისვლას [illegible] [illegible] [illegible]

მუსიკოსი სოფელ საგი თიკნიდან

ბაბუამ გუგუცეს ბატკანი აჩუქა. ოჯახში მეტი ცხვარი არ ჰყავდათ და ბატკანი მთელი დღე ბიჭს დასდევდა. სამაგიეროდ დედა აღარ დასდევდა შვილს. ახლა ადვილი საპოვნელი გახდა: ბატკანი იმ სახლის ახლომახლო წიწკნიდა ბალახს, რომელშიც გუგუცე შედიოდა.

თანდათან ბატკანმა სულ გადაძოვა სახლების წინ ბალახი და გუგუცეს ქუჩამ სოფელში პირველი ადგილი დაიკავა სისუფთავეში. ერთ დღეს ბატკანს ვილაცამ ზანზალაკი შეაბა და სოფელ სამ თიკანს ერთი მუსიკოსიც შეემატა. მუსიკოსი პეპლებს დასდევდა, ზანზალაკი წკარუნებდა: წკრ-წკრ-წკრ!

წკრიალს რომ გაიგონებდნენ, ბავშვები ჭიშკარს აღებდნენ, ბედნიერი მუსიკოსი ხელში აჰყავდათ და პირდაპირ შუბლში კოცნიდნენ.

ყოველი ორშაბათი ბატკნის დაბადების დღე იყო და გუგუცეს ფარეხში მიჰყავდა, დედა ცხვართან ერთად რომ ეგალავა მინდორში. იქ სხვა ბატკნებიც ელოდებოდნენ,

ზანზალაკს სთხოვლნენ ხოლმე და ეხვეწებოდნენ, ჩვენთან ლარჩიო.

— რას ამბობთ! — უარობდა მუსიკოსი და გუგუცეს უკან მიბაკუნებდა. — იცით, სოფელში რამდენი საქმე მაქვს!

მაგრამ უეცრად ბატკანს რქები არ ამოუვიდა?! გუგუცეს მამამაც არ დააყოვნა და ბაკი აუშენა.

— დინ-დინ! — მოიწყინა მუსიკოსმა.

დიდხანს იჭყლეტდა თავის ცხვრის ტვინს იმაზე ფიქრში, ახლა რასაირად ედევნა გუგუცესათვის. ბაკს თან ხომ არ წაილებდა. წაილებდა და ჭიშკარში გაეხირებოდა, არ გაეხირებოდა და, სულერთია, ვერ გაივლიდა, ეზები ვიწრო იყო.

წკრ-წკრ! წკრ-წკრ! მიშველეთ! — გააბა ზანზალაკმა, მაგრამ დედა ცხვარმა და ბატკანმა ფარეხში ვერ გაიგონეს. მუსიკოსს არცერთი ბავშვი არ ულებდა ბაკის კარს, რატომღაც ალარავის აჰყავდა ხელში და არ კოცნიდა შუბლზე. ის კი არა გუგუცეც იშვიათად აკითხავდა, რეუტის ნაპირიდან კი მოჰქონდა ბალახი, ოღონდ ბალახს პეპლები არ მოჰყვებოდა.

ერთხელაც გუგუცეს ბაკის კარის ჩაკეტვა დაავიწყდა. მუსიკოსმა ეზოში გაისეირნა, ვარცლში ჩაიხედა და რას ხედავს? ბატკნის ნაცვლად წყლიდან ცხვარი შემოსცქერის. თავი გააქნია, კიდევ ჩაიხედა. ფუი, ისევ ცხვარია! გაიქცა ჭიშკრიდან, სადაც მანამდე ბალახობდა. ყველა გუბურაში ცხვარი მოჩანდა, ბატკანი ალარსად იყო. ნეტა დაიკარგა, თუ რა იქნა?

„ყველაფერი შენი ბრალია!“ — გადააყირავა ვარცლი და დაიწყო აქეთ-იქით ცქერა, კიდევ ვის ეურქინოო.

შაბათს გუგუცე ჯოხით ხალიჩას ბერტყავდა.

„აჰა! აი, ვისი ბრალია!“ — გაიფიქრა მუსიკოსმა, ეალმოსტა ბაკიდან და ხალიჩას ეძგერა.

გუგუცე მაშინვე ზედ შემოახტა, ჯოხი კი მის ხელში მახვილად იქცა, ხალიჩა ურჩხულის თავშესაღარად.

წკრ-წკრ! ბახ! ბახ! ურჩხულის თავშესაფრიდან ისეთი მტვრის ბუღი გამოდიოდა, გაქელელ-გამომელელები ადგილზე შეშდებოდნენ და თვალდაჭყეტილები შეჰყურებდნენ დაკა-დაკას.

შემდეგ ცხვარი ვარცლთან მივარდა. ჩაიხედა შიგ და ნახა, რომ მაინც ცხვარია და ცხვარი, ასწია რქები და გუგუცეს ურქინა. გუგუცემ კიდევ იფიქრა, ალბათ, მტვერი უნდა რომ ჩამომფერთხოსო.

ამის შემდეგ გუგუცეს მუსიკოსი კაკლის საბერტყად დაჰყავდა. ურქენდა ცხვარი ხეს და მოდიოდა კაკლის წვიმა.

თუ ვინმეს სოფელში ღობის ან ფარდულის დანგრევა სჭირდებოდა, მაშინვე გუგუცეს და მის მუსიკოსს აკითხავდნენ.

და აი, ერთხელ ზუსტად გუგუცეს ჭიშკრის წინ ტალახში ჩავარდა კოლმეურნეობის თავმჯდომარის მანქანა. მძღოლი ასეც ეცადა, ისეც, მაგრამ რაც გინდა ქენი, ბორბლები მაინც ბუქსაობს, რაში ენაღვლებათ, რომ კაცს კრებაზე აგვიანდება. ის იყო ტრაქტორის მოსაყვანად უნდა გაქცეულიყვნენ, რომ გუგუცემ თავისი ცხვარი მოიყვანა. გამოიქცა მუსიკოსი და ისე დაეტაკა უკანა ბორბალს, რომ მძღოლს საჭე ხელიდან გაექცა... სამაგიეროდ მანქანა ტალახიდან ამოძვრა.

კრებაზე თავმჯდომარეს რატომღაც არ უხსენებია, ვინ და საიდან ამოათრია, მსოლოდ შუბლზე ამომხტარ კოპს ისინჯავდა, მაგრამ, როგორც კი კოპი ამოებურცა და ასტკივდა, კრება დააჯერა, რომ გუგუცეს სახლის წინ გაზაფხულისათვის გზა აუცილებლად მოეკირწყლათ.

ცხვარი მაინც ადგილს ვერ პოულობდა... აი, დადგა ზამთარი, თოვლი მოვიდა, ის კი ბატკნად ვერა და ვერ იქცა.

„ალბათ გუგუცემ განზრახ ჩამაცვა ქურქი და დამადგა ეს წყეული რქები. თვითონ ხომ ზაფხულში ისეთივე გამ-

ხდარი იყო, როგორც ბატკანი, ახლა კი ნახე როგორ გასუქდა, თავზეც ბალანი ამოუვიდა,“ — ფიქრობდა მუსიკოსი.

აბა საიდან უნდა სცოდნოდა ცხვარს, რომ გუგუცეს ზამთარში პალტო ეცვა, ხოლო თავზე რომ ამოუვიდა, იმას ქუდი ერქვა.

ერთ მშვენიერ დღეს კი ცხვარმა რომ დაინახა, გუგუცე ისევ გახდა, იფიქრა, მეც მალე მიმაძრობენ რქას, გამხდიან ამ მძიმე ქურქს და ისევ ვიქნები გამხდარი, საყვარელი ბატკანიო. ელოდა, ელოდა და, რომ ვერ ელირსა, გადახტა გალავანზე და ერთიმეორეზე მიყოლებით ყველა რქით დაჩხვერა, ეგებ დამნაშავესაც მოხვდესო. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ერთ კვირა დღეს გუგუცემ გამოაბა საბელი და არც ისე დიდი ხნის წინ მოკირწყლული გზით სოფლიდან ფარეხში წააბრძანა. რამდენიც უნდა, იმდენი ურქინოს სხვა ცხვრებს, ღმერთმა ხელი მოუმართოსო.

— წკრრ-წკრრ! — აწკრიალდა ზანზალაკი და სოფელი სამი თიკანი უკან დარჩა.

გუგუცე თვითმფრინავით ეიფრინავს

მას შემდეგ რაც გუგუცემ თვითმფრინავის კუდს ხელი შეასო, მოსვენება დაკარგა. შეპყურებს ცას მანამ, სანამ თვალები არ ეტკინება. თანახმაა, თუნდაც კოლოდ იქცეს, ოღონდ იფრინოს.

მუყაოსაგან ფრთები გააკეთა და სოფლის ბოლოს ჩალის ზვინისაკენ ვაიქცა. ეგებ ფრთებმა სოფლის თავზე მაინც ამაფრინოსო! გუგუცემ იქ ცოტა ხანი დაჰყო, უკან კი კოჭლობა-კოჭლობით მობრუნდა.

როდესაც დედას ბელცაში მიჰყავდა, ეუგუცე აუცილებლად რაიმეს მოიფიქრებდა ხოლმე, რომ აეროდრომზე მოხვედრილიყო. ერთხელ იქ ვერტოსიპედის ტუმბოთი მივიდა, ეგებ, ნება დამრთონ და თვითმფრინავის სალტეები ვამაბერინონო. არა, არ დართეს ნება. მეორედ მამამისის შარვლით მივიდა, მტვერს გადაეწმენდ თვითმფრინავის ფრთებიდან და კუდიდანო. მაგრამ არც ამის ნება დართეს.

— შეიძლება თხები ვამოვრეკო საფრენი მინდვრიდანო? — ითხოვა გუგუცემ.

კვლავ ცივი უარით გამოისტუმრეს.

მაშინ მამას სთხოვა საბუთი, რომ მას, გუგუცეს, შეუძლია სატვირთო მანქანის მობრუნება და უკანა სვლით წაყვანა. სკოლაში აიღო ბეჭდიანი ცნობა, რომ აქვს ერთი კლასის განათლება. არა, არც ამან უშველა.

მაგრამ გუგუცე ის ჩიტი არ იყო, ადვილად დამორჩილებოდა ბედს. გაიგო, რომ ერთ ასნაშანელ გლეხს სამი მფრინავი ვაჟიშვილი ჰყავდა და თითოეულ მათგანს თითო თვითმფრინავი ებარა. თურმე ეს თვითმფრინავები მიყრუებულ ბელცაში კი არა, ყველაზე დიდ აეროდრომზე სხდებოდნენ. თანაც აღმოჩნდა, რომ ის გლეხი საიდანღაც ენათესავებოდა გუგუცეს თუ, პირიქით, გუგუცე მას. მაგრამ ამ რთულ საქმეში გასარკვევად ვის ეცალა. ჩასხდნენ გუგუცე და მამა სატვირთო მანქანაში და გაქრიალდნენ ასნაშანში.

გლეხმა მათ სუფრა გაუშალა, გაუმასპინძლდა და, როცა გაიგო, რისთვის იყვნენ ჩასულნი, მაშინვე მისცა ცნობა და ზედ ხელიც მოაწერა. ცნობაში ეწერა, რომ გუგუცეს სამი მფრინავი ნათესავი ჰყავს, სამივე პილოტი. ნუთუ არ შეიძლება ბავშვს ერთხელ მაინც გადააწმენდინონ მტვერი თვითმფრინავის კუდიდან? წარმოგიდგენია, თურმე ამასაც არ ანდობენ!

ასნაშანელი გლეხი ისე აღშფოთდა, მიატოვა ნახევრად გადახურული სახლი, ჩაჯდა სატვირთო მანქანაში და მათთან ერთად გაემგზავრა ბელცაში.

მიადგნენ აეროდრომს. გუგუცემ უკვე შეათვალიერა თვითმფრინავი, რომელსაც მისთვის შესაფერისი ფრთა ჰქონდა, რომ უცებ მოესმა:

— აა, ეს ის ბიჭია, ერთი კლასის განათლება რომა აქვს?

და გუგუცეს ისევ გაუცრუვდა იმედი. რა იქნებოდა, არ წარედგინა მაშინ ის უბადრუკი ბეჭდიანი ცნობა! ერთი კლასის განათლება მართლაც ცოტაა, მაგრამ გუგუცე ყაბულსაა, დანარჩენი ცხრა კლასის ცოდნა თუნდაც თვით-

მფრინავში მიიღოს. არ შეიძლება თუ? წაიღებს თან წიგნებს საკლასო ჟურნალს და იმ სიმაღლიდან ისწავლის გეოგრაფიას, ასტრონომიას, ისტორიას...

კიდევ რამდენჯერმე მიაკითხა გუგუცემ აეროპორტს. ხან მუცელშეყვითლებული ნესვი იპოვა ბოსტანში, გარედანვე რომ ეტყობოდა, შიგნით რა ტკბილი და გემრიელიც იქნებოდა, და გაარბენინა აეროდრომზე ბედის საცდელად. ხან ხაერდოვანი ყვავილი მიიტანა, ხან კიდევ შარშანწინდელი ხმელი ყვავილები, მაგრამ ძალიან სურნელოვანი, რა ეიცით, ეგებ თვითმფრინავის ჭერის ყვავილებით მორთვა მოინდომონო. ვერაფერმა უშველა! ზედაც არ შეხედეს. ბეჭდიანი ცნობა გაახსენდათ და მორჩა!

— რას იზამ, წავალ ისე! — ამოიოხრა გუგუცემ, როცა არდადეგების ბოლომდე ორი დღეღა დარჩა. ახლა დამიძახებენ არ დამიძახებენ, სულერთია, ვერ შევძლებ. სამაგიეროდ, გაისად თავიდან ასე ადვილად ვერ მომიშორებენ! ორი კლასის ვანათლება მექნება. ეს უკვე სხვა საქმეა.

დგას გუგუცე აეროდრომზე დადარდიანებული, დაღონებული, ემშვიდობება თვითმფრინავებს. უცებ ვიღაც მფრინავი ეძახის:

— ბიჭი, რომელი სოფლიდან ხარ?

— სამი თიკნიდან!

— სწორედ იმ სოფლიდან ყოფილხარ, მე რომ მჭირდება! — ხელი ჩამოართვა მფრინავმა. — ახლახან დარეკეს სოფელ ტაშიანიდან, ვეაცნობეს, რომ... ი-ი-ი... როგორ გითხრა, დიდი უბედურება მომხდარა, საბავშვო ბაღის აღმზრდელს ბლომად ნაყინი უჭამია, ანგინა დამართნია. მესამე დღეა, ბავშვებს ზღაპრებს არავინ უყვება. ჰოდა, ძალიან იხვეწებიან, სამი თიკნიდან თვითმფრინავით... ეინმე მეზღაპრე ბაბუა ჩამოვიყვანეთო.

გუგუცე მაშინვე გაიჭიმა.

— მე რომ წამოვიდე ბაბუას მაგივრად? ბავშვებს ვუამბობ ზღაპრებს თხაზე, რომელსაც ერთი თიკანი ჰყავდა.

ან ორთიკნიან თხაზე, ანდა, თუ უნდათ ოთხთიკნიანზე, ხუთიანზეც და საერთოდ, რამდენ თიკნიანზეც მოისურვებეს, იმდენ თიკნიანზე.

მფრინავმა ახედ-დახედა გუგუცეს. მართლაც, რატომ არ უნდა წავიყვანოო, იფიქრა, საამოიკანელი ბიჭია, ეტყობა, იქ ენა ყველას უჭრისო, და სოფელ ტაშიანის ძებნას შეუდგა რუკაზე.

მაგრამ თვითმფრინავში რომ შედგა ფეხი, გუგუცე სხვაგვარად აჭიკჭიკდა:

— გამოფრენით კი გამოეფრინდები, მაგრამ თქვენც ნება დამრთეთ, ცოტა ხანს მაინც წავიყვანო თვითმფრინავი. — თქვა ეს და ამოიღო საბუთი, რომ შეეძლო მანქანის შემობრუნება და უკანა სვლით წაყვანა. ერთი კლასის გახათლება რომ ჰქონდა იმაზე სიტყვაც არ დასცდენია.

მფრინავმა, ამაზე (შეტი რაღა დარჩენოდა) უპასუხა:

— რა ვაეწყობა, მერე ვნახოთ.

და აი, აფრინდნენ ჰაერში, გუგუცე ციდან ხედავს, როგორ რჩებათ უკან მინდვრები, სოფლები. უცებ ისეთი რამ მოესმა, ყურს ვერ დაუჯერა:

— გთხოვ, მობრძანდე საჭვეართან, ვნახოთ, რა შეგიძლია.

ჰო-ჰო! ნეტა გენახათ, გუგუცე მფრინავის სავარძელში!

— გუ-გუ-უ! — გუგუნებდა ძრავა და მის ვაგონებაზე ხალხი ზევით, ციხკენ იყურებოდა. თუმცა ყველა არა. მაშინ გუგუცე თავისთვის ბუზღუნებდა: „უყურე ერთი, ყოყლოჩინა! თავსაც არა სწევს! ერთი უთხარი, თვითმფრინავი ძართეო, აბა, თუ შეძლოს?!“

გუგუცე მფრინავს მიუბრუნდა:

— არ შეიძლება ჩემს სოფელს გადავუფრინოთ? მეზღაპრე ბაბუას სახლს გიჩვენებთ, თორემ სხვა დროს ხომ შეიძლება მე არ მეცალოს.

— კი ბატონო! — უპასუხა მფრინავმა.

კაცმა რომ თქვას, სამი თიკანი იქვეა. რატომ არ უნდა გადაუფრინონ?

და აი, თვითმფრინავი სოფლის თავზე მიფრინავს. აფსუს, გუგუცეს რომ რაიმე ფურცლები ჰქონდეს, დაბლა ჩაყრიდა, თანასოფლელები წაიკითხავდნენ, გაიგებდნენ, ვინ მიფრინავდა მათ ზემოთ თვითმფრინავით. თორემ მერე ეტყვი ვინმეს და არ დაგიჯერებენ. ბიჭს დიდხანს არ უფიქრია, გაიხადა პერანგი და ქვევით, პირდაპირ სოფელში გადაუძახა. პერანგს ჯერ შარვალი მიაყოლა, მერე ქამარი, ერთ სანდალი, მეორე...

— ეს რაღაა? — ეკითხებოდნენ ერთმანეთს სოფლელები. — ნუთუ თვითმფრინავში ცეცხლი გაჩნდა? თუ ალმეებია?

გამოცვივდა ხალხი ეზოებიდან და გაეკიდა თვითმფრინავს. მირბიან, ხელებს უქნევენ, ქუდებს აფრიალებენ, აგერ ამ მინდორზე დაფრინდიო.

თვითმფრინავში კი ეგონათ, სოფელს უბედურება ეწიაო, და სახლებს ზემოთ დატრიალდნენ.

— მიწაზე ეშვება! — დაიძახა იგსატმა და ადგილიდან მოწყდა.

აი, დაეწია უკვე თვითმფრინავს, დანარჩენებიც უკან მიჰყვნენ. ზოგი ღვეზელს აწვდიდა, ზოგი ბალიშს, ზოგი ტოლჩა წყალს, ზოგი ხელსახოცს.

და უცებ, ყველას გასაოცრად, თვითმფრინავიდან გუგუცემ ამოყო თავი. ისე იღიმებოდა, თითქოს მხრებზე თავი კი არა, ნესვი ება, რომელიც სიმწიფისაგან ეს-ეს არის გასკდა:

— რა დაემართა? რატომ არ ჩამოდის თვითმფრინავიდან? ნუთუ არ შეუძლია? უფეხებოდ ხომ არ დარჩა, ღმერთო ჩემო! აი, რატომ მოიყვანეს თვითმფრინავით! ვაი, ჩემს უბედურ თავს! — გული წაუვიდა გუგუცეს დედას (იმასაც მოურბენია სხვებთან ერთად).

— მოიცა ქალო, თავს ნუ იკლავ, ხედავ, მომაქვს მი-

ხი ფეხები! — დაუყვირა ლეონტიმ, რომელსაც გუგუცის შარვალი იღლიაში ამოეჩარა და მორბოდა.

ვილაც კი თვითმფრინავში პერანგს ტენიდა...

— ჰორ, — ხმამაღლა ფიქრობდა პილოტი, ისევ ჰაერში რომ აფრინდნენ. — ხალხი, ჩემი აზრით, სწორედ მოიქცა, უკან რომ გამოგვეკიდა. სახელგანთქმულ სოფელ სამი თიკნიდან მეზღაპრეს ელოდებიან, და როგორი იქნებოდა, ის ლამის ტიტლიკანა რომ მისვლოდაო! — და ისევ მისცა ბიჯს თვითმფრინავის საჭეკარი.

როგორ ასწავლა გუგუცემ დედას ველოსიპედით სიარული

— დედა, შენი შვილი ვარ, თუ არა? — ეკითხება გუგუ-ცე დედას მოულოდნელად.

— შვილო, ავად ხომ არა ხარ? — ფერი დაკარგა დედამ და შუბლზე ხელი დაადო.

— ჰოდა, რასან შენი შვილი ვარ, მოდი, ველოსიპედის ტარებას გასწავლი!

დედას გულზე მოეშვა. მაგრამ მაშინვე გაახსენდა, რომ ველოსიპედს მხოლოდ ორი თვალი აქვს და არა ოთხი, როგორც სატვირთო მანქანას, მამა რომ დაატარებს, და ამიტომ საუბარი სხვა რამეზე გადაიტანა:

— ველოსიპედისთვის მცალია? ხომ არ დაგავიწყდა? სადაცაა, ჩვენი მერცხალი მოფრინდება თბილი ქვეყნები-დან, მე კი ფარდულის ყველა კედელი არ შემიღებავს. ვა-ითუ მერცხალმა არ მოინდომოს ზედ ბუდის გაკეთება? შენ რომ მართლა დიასახლისის შვილი იყო, ადრე ადგებოდი, აიღებდი ვედროს,წახვიდოდი, თვითონ იცი სად, და ცხე-ნის ვაშლს მომიტანდი, თორემ თიხაში შესარევი არაფე-რი მაქვს, რომ კედლები შევლესო.

გუგუცემ ერთი კი არა, სამი ვედრო მოუტანა. ტყუილუბრალოდ იარეს აქეთ-იქით უთენია ამდგარმა დიასახლისებმა. იმ ეშმაკის ფეხმა გუგუცემ წინა საღამოსვე მიაბა ცხენებს კუდზე ცარიელი თოფრები, დილით კი შინ სავსეები მიარბენინა: „აი, დედა, საქმე რა ყოჩაღად გავაკეთეო!“

გუგუცეს დედაც კაი ვინმეა! კეთილმეზობლურად მიადგნენ თოფრაკებით, ცოტა ჩვენც გვიწილადეო, ცხენები ხომ საზოგადოებრივი საკუთრებაა. იმან კი უპასუხა:

— თუ გინდათ შემოდგომაზე ხეზე დაკრეფილ ვაშლს მოგართმევთ? ამას კი ხელი არ ახლოთ! თბილი ქვეყნებიდან მერცხალი მოფრინდება, ფარდული კი ჯერაც მოუწესრიგებელი მაქვს!

გუგუცემ აზილა თისა ფეხებით და ფარდულთან მიზიდა. დედა აქებდა და აქებდა, ის კი წარამარა საჩუქარზე გადაუკრავდა ხოლმე სიტყვას.

„გუგუცე თავისას არ დაიშლის,“ — ოხრავდა დედა. მაგრამ რა ექნა, ავი იყო თუ კარგი, გუგუცე მაინც მისი შვილი იყო.

შელესვას რომ მორჩნენ, დედამ ხელები დაიბანა და გუგუცეს ჰკითხა:

— აბა, ჩემო თვალბრიალა, ახლა მითხარი, რა გიყიდო?

გუგუცეს ცხვირი თიხით ჰქონდა მოსვრილი:

— შეიძლება მე თვითონ მოვიფიქრო საჩუქარი?

დედამ ისე ჩაიკრა გულში, თიხით მოთხვრილი ცხვირი სულ მოუწმინდა,

— შეიძლება! შეიძლება!

— მოდი, მე შენ გასწავლი, იცი, რას? ველოსიპედის ტარებას, ეს იყოს ჩემი საჩუქარი.

— ხალხი რას იტყვის, შვილო? — შორს დაიჭირა თავი დედამ.

— ჟენია დეიდასაც ვასწავლი და ერთად ივლით.

იდეა მოეწონა. დედა ლამის დაეთანხმა და უცებ არ გაახსენდა, რომ ველოსიპედს მხოლოდ ორი თვალი აქვს?!

— მეც და ჟენიასაც სასაცილოდ აგვიგდებენ! რა ჩემი საქმეა ველოსიპედი! შენ თვითონ დაფიქრდი და მეტს ნუ გამაბრაზებ!

„ნამდვილად შეშინდა დედა“, — ყურები ჩამოიყარა გუგუცემ.

მას შემდეგ გული საგულეში აღარ ჰქონდა — დედაზე ხომ ცუდი რამ იფიქრა. როცა ამ ფიქრმა შეაწუხა, მიეიდა დედასთან და უთხრა:

— დედა, ძიმბერტყე ერთი! ყველაზე ცუდი შვილი ვარ!

დედა უყურებდა გუგუცეს და აღარ იცოდა, რა ეფიქრა.

— დედა, მცემე! — ღაჩოქილი ეხვეწებოდა გუგუცე.

დედას თითიც არ დაუკარებია, ისე აღგა.

მაშინ გატეხა ერთი ჭიქა, მეორე, მერე თეფში მიაყოლა. დედას არც ახლა უხლია ხელი. გუგუცე აღრიალდა. ტყვიასავით გავარდა სახლიდან, ჩაიკეტა ფარდულში, სადაც უკვე საქმიანობდა მერცხალი და იმდენი იტირა, პერანგი ცრემლით გაელუპა. მერცხალი თვალდაჭყეტილი შეჰყურებდა.

— ჩემი დედა მშიშარაააა! — შესჩიოდა მერცხალს გუგუცე.

იმ დღიდან მოყოლებული ერთხელაც არ გაუღიმია. ხედავს დედა, ბიჭს რაღაც ემართება, მაგრამ სიტყვას დააცდენინებ?!

და ამ დროს აი რა მოხდა. სოფელ სამ თიკანში ერთი საშინელი რქენია ძროხა იყო. ყველას ერჩოდა. ამიტომ პატრონი რქებზე დაბამბული ქურთუკის სახელოებს ჩამოაცმევდა ხოლმე და შეუკრავდა. სწორედ ეს ძროხა მოდიოდა საღამოს საძოვრიდან, დაინახა ქალი და ეძგერა. ლობესთან მიიმწყვდია, თავი დაღუნა, რქები სახელოებიდან გამოუძვრა და სადაცაა, ვაფატრავდა. საწყალ ქალს ენა ჩაუვარდა, მიტკალივით გათეთრდა. ერთი ზორბა გლეხი მეზობელი ეზოდან უყურებდა ამ ამბავს, მაგრამ პირდაღებული გაშეშებულიყო. მხოლოდ გუგუცეს დედა მო-

ვარდა როგორც იყო ისე, თმაგაწეწილი, და მოუქნია, — თუ იცით, რა? — სამინდის ღერო და ძროხა იქედან გააგდო.

ბიჭს გულზე მოეშვა. თუ ვინდა ადი სახურავზე და იყვირე, რაც ძალი და ღონე გაქვს:

„აბა ვინ გაბედავს, თქვას, რომ დედაჩემი მშიშარაა? ილიანა-კოსინზიანაც არ დადიოდა ველოსიპედით, მაგრამ ზღაპარში ფეტ-ფრუმოსი მისი გულისთვის სამ ურჩხულს კი ერკინებოდა. მერე რას უსათქუნებდა მათ თავის უზარ-მაზარ კომბლეებს.

გუგუცე იმათ არ ეკუთვნოდა, სიტყვებს ტყუილად რომ ხარჯავენ.

„მოიცა! — მიხვდა უცებ. — ახლა დედა ველოსიპედზე რომ დაინახონ, სოფელში აღარავინ გაიცინებს. აბა, გუ-გუცე, ახლა შენ იცი, ნუ იქნები დოყლაპია!“

სანამ დედა შინ არ იყო, გუგუცემ კარგად გაბერა ველოსიპედის სალტეები, ასწია უნაგირი, შინიდან გამოიტანა ბალიშები, საბნები, ფეხსაფენები, პალტოები, ქუდები, მატყლიანი ტომარა და ეს ყველაფერი ბილიკის ორსავე მხარეს დაყარა.

დედა რომ შინ დაბრუნდა თავში ხელები იტაცა.

— რა მოხდა? თუ თვალი მატყუებს? ვინ აურდაურია აქაურობა?

— მე გამოვიტანე, დედა, ყველაფერი. ველოსიპედიდან თუ ჩამოვარდები, ხელი აღარ მოეტყდება.

— რა გიყო მე შენ? თანაც ყველა მეზობელი შინაა.

— ახლავე, დედუნა, წამში შინ აღარავინ დარჩება. მარტო ჩვენ ვიქნებით, — აცეკვდა გუგუცე და სირბილით გაიქცა ეზოდან. — სანამ მოვალ, მამას შარვალი ჩაიცვი!

— დეიდა ოლიკაა! — იძახის გუგუცე მეზობლის ჭიშკართან.

გამოვიდა ქალი, ცომიანი ხელები აქვს.

— ბაბუა ანტონის ბარი თქვენა გაქვთ, ძალიან გთხო-

ვათ, საჩქაროდ დამიბრუნეთო. ჯერ კიდევ დილით ველრო ჭაში ჩაუვარდა და ვერაფრით ამოუღია.

— აკი ვეუბნებოდი ჩვენებს: რომ გამოართვით კაცს ნივთი, დაუბრუნეთ, სხვა დროს რა სინდისით მიხვალთ-მეთქი? გმადლობ, გუგუცე, ხაშხაშიან კოკორს გამოგიცხობ.

— ბებია ანი-კა-ა-ა! — გადაახტა გუგუცე ღობეს.

— რა იყო, გუგუცე? — გამოხედა მეზობელმა სარდაფიდან.

— თქვენი სპო მინდორში ბღავის!

— ოპ, ჭირი ჩემს თავს! — ქალმა თავზე იტაცა ხელი — აქამდე წყალი არ დამილევინებია! განგებ დავდგი ველრო შუა ეზოში, რომ არ დამვიწყებოდა, გაიზარდე, ჭკვიანო ბიჭო!

— დეიდა ლიდ-ა-ა! — მესამე ეზოში შევიდა გუგუცე. — ძია ზაქარიამ შემოგითვალათ, სადილად არ მოვალო: ხელსა ვატყდომია! წაუღეთ სადილი ყანაში. გთხოვათ, პური იმ ხელსახოცში გამისვიოს, ვუშინ რომ პეპელა ამოქარგაო.

ორი მეზობელი ქალი გაიქცა საქმეზე, ერთი შინ არ იყო, მაგრამ დეიდა ლიდამ რაღაც იყნოსა, ტყუილად კი არა აქვს არშინიანი ცხვირი. ეითომ გავიდა ჭიშკრიდან, სინამდვილეში კი დაიღუნა, ღობეს ამოეფარა, თითის წვერებზე დაბრუნდა და საქათმის უკან დაიმალა. ვინმეს რომც დაენახა, გასაკვირი არაფერი ჩანდა: ქალი ქათმებს სინჯავდა, კვერცხის დადებას ხომ არ აპირებენო.

გუგუცე ველოსიპედთან ტრიალებს, ისეთი სახით უხსნის დედას ყოველ წვრილმანს, თითქოს სულ ცოტა ავიაკონსტრუქტორი მაინც იყოს. დედა სმენით კი უსმენდა, მაგრამ სულ ფარდულისკენ იყურებოდა. დაელოდა, სანამ მერცხალი არ გაფრინდა და მხოლოდ მერე დაჯდა ველოსიპედზე.

თუმცა დედა ძალიან ცდილობდა, საინ̄ც შიშველ მიწაზე ეცემოდა. გუგუცე მიათრევდა რომელიმე ფეხსაფენს, ვე-

ლოსიპედს ბალიშით ხელში მისდევდა. დედა კი მაინც ხან ხახვის კვლებში ეცემოდა, ხან ვარცლში, მაგრამ ერთხელაც არ აკიშვიშებულა. ადგებოდა და ისევ ველოსიპედზე ჯდებოდა.

მამა რომ შინ მივიდა, მანქანა ეზოში ვერ შემოიყვანა, ჭიშკართან დატოვება მოუხდა. მამას მოეწონა გუგუცეს მოფიქრებული ამბავი. განა ცუდია, ოჯახში კიდევ ვინმემ იცოდეს მანქანის მართვა, დასაწყისისთვის თუნდაც ორთვლიანისა. და აი, მამამ აიფარა წინსაფარი, თვითონ მოიმზადა ვახშამი და თვითონვე უსურვა თავისთავს კარგი მადა, რადგან დედა ველოსიპედიდან აღარ ჩამოდიოდა.

მეზობელი მოელი ამ ხნის მანძილზე კრუხიეით იჯდა ნაქათმის უკან. როგორ გაოცდა დედა, როცა მისგან გაიგო, რამდენჯერ ჩამოვარდა ველოსიპედიდან და ზუსტად რა ადგილას.

— თქვენი ბედი, ნათლიდედ, შარვალი რომ გეცვათ, ველოსიპედი კი კარგი რამაა. არ მოვეშვები ზაქარიას, სანამ არ მიყიდის.

მესაზღვრე

გუგუცემ გაიგო, როგორ მოგზაურობს სალხი ქვეყანაზე და იფიქრა, სწორედ საჩემო საქმეაო.

სტუმრად იყო ბიძასთან კიშინიოვში. გლობუსი ჰქონდათ. აიღო გლობუსი და ატლასი, რომ შესაფერისი მარშრუტი შეერჩია. მერე შეუჩნდა ბიძას, რომლის სოფელიც ქვეყნის კიდეზე იყო, საზღვართან. ბიძამისი ბარე ოცი წელიწადი კი იქნებოდა, რაც არ ყოფილა თავისიანებთან.

— წადი რა ფეხით,— ეხვეწებოდა გუგუცე, — მაშინ გაპატიებენ იქაურები, ამდენი ხანი რომ არ ყოფილხარ. მე კი ერთი საიდუმლო საქმე მაქვს საზღვარზე.

ერთ დილას ბიძა წამოსტა ლოგინიდან: მართლაც-და, რატომ არ უნდა წავიდეს?

ბიჭს რა უნდოდა, ქამარს შემოაჭერდა ღა მზად იყო წასასვლელად. ბიძა დიდხანს ტენიდა ტომარაში პროდუქტებს, ბალიშს და კიდევ ქვეყნის რამეს. გუგუცეს შიში შეეპარა, მეც არ მიკრას თავი ტომარაშიო. მიდი და გაძვერი ასეთი ტომრით კარებში. კიდევ კარი, გუგუცე მიაწვა ღა გაიყვანა, თორემ შუაში გაეჩხირებოდა.

ნამძინარევმა ლეიდამ მათ მესამე სართულის ფანჯრიდან დაუქნია ხელი, ხოლო კატა ტენასემ ცხვირი ფანჯრის ჩინას მიაჭყლიტა და დიდხანს გაჰყურებდა მიმავლებს.

ოთხმა ფეხმა, ორმა დიდმა, ორმა პატარამ, გაიარა რიშკანის ტყე და მინდორ-მინდორ წავიდნენ სოფელ გრეტიეშტისაკენ.

უცებ, საიდანღაც, მათ თავზე შვეულმფრენი გამოჩნდა. პილოტმა, რა თქმა უნდა, დაინახა სიმინდის ყანაში როგორ მიდიოდა მოზრდილი ტომარა. ალბათ, ის უკვე ხელებს იფშვნეტდა, ჩავარდი, ჩემი ხარ, გენაცვაო! — და კაუჭიანი თოკიც ჩამოუშვა, რომ ტომრისათვის მოედო.

„მაგრამ ერიჰაა, ტომრის ქვეშ ვილაცაა! ვაითუ მომთხოვოს, შინ წამიყვანეო“, გაიფიქრა პილოტმა, შვეულმფრენმა ერთი ამოიგუგუნა: — ღრრრ! — და გორაკს მიეფარა.

მიდის ბიძა და წამდაუწუმ გახედავს ბიჭს, ეგებ მეშველოს, გუგუცეს ფეხები ასტკივდეს და ან მატარებელში ჩავჯდეთ, ან საზიდარშიო. მაგრამ ბიჭი ქურციკივით მიხტის გორაზე. ორკაპიანი ჯოხი კი მოძებნა, ტომრის შესაყენებლად, რომ ბიძამისს ზეზეურად შეესვენა.

შევიდნენ სოფელში. რა ამბავი შექნეს სოფლის ბიჭებმა! ყველა ჭიშკარს მიაწყდა მოგზაურებისათვის რომ შეეხედათ.

ღამე ერთი გლეხის ოჯახში გაათიეს: რბილ ტახტზე გაუშალეს ლოგინები, ქათქათა თეთრეული დაუფინეს. ბიძას, ალბათ, მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, რცხვენოდა, თავისი ბალიშით რომ წამოვიდა.

მეორე დღეს ტომარას პრიმუსი მოხსნა და ხევში გადაუძახა. ბალიში სოფელშივე დატოვა, სახლთან, მიწაყრილზე დადო. ახლა გუგუცეს ასე ეგონა, ჩემს გვერდით კიშინიოველი ბიძა კი არა, სამთიკნელი გლეხი მოდიხო. თუმცა ბიძამისმა ცისფერქუდა ყვავილი რომ დაინახა, რატომღაც ქუდი მოუხადა, როგორც ადამიანს.

— ფუნჯის მოსმა რომ შემეძლოს, — თქვა ბიძამ, — დავხატავდი, როგორი ლორთქო ბალახია, თან რა სურნელი ასდის.

მზე ჩასვლის წინ დიდი ხენდრო გეგონებოდა, რომელიც სადაცაა ონემტის გორაზე ტყეში ჩაეშვებოდა.

ბიძა მთელი ხმით მღეროდა:

ტყეო, იზარდე მწვანეო,
თავშესაფარიც მამეო.

გუგუცე უსმენდა სიმღერას, ხოლო ნესტოებში გემრიელი სიო უღიტინებდა. აი, გზაში ცხეირიც გამოადგათ. მისი დახმარებით ბაღჩას მიაგნეს. ქოხში არავინ იყო. ბაღჩაში იმდენი ყვითელზე-ყვითელი ნესვი მწიფდა, მოგინდებოდა, მთელი სიცოცხლე იქ დარჩენილიყავი. რასაკვირველია, თუ ისეთი საიდუმლო საქმე არ გელოდა, გუგუცეს ბიძის სოფელში, საზღვარზე რომ ჰქონდა.

იმ ღამეს ბიძამისთან ერთად ბაღჩას დარაჯობდა, ალაინზე კი გზას გაუდგნენ. დილის ნამმა სულ დაუსველათ შარვლები.

მიდიან, მიდიან და წინ ერთი გლეხი შემოეყარათ.

— საით მიდიხართ?

— საზღვარზე.

— აა, მანქანა გინდათ?

გლეხმა აჩვენა, რომელ გორაკებს შორის გადიოდა გზატკეცილი.

— არა, ჩვენ მოკლეზე გადავალთ ფეხით.

— საზღვართან? ამხელა გზაზე ფეხით? გაუგონარი ამბავია! ეგ. როდის იყო, ფეხით რომ დადიოდნენ, — ისე უღიმის გლეხი, თითქოს რაღაცას მიუხვდაო, და ჯიბეებში აფათურებს ხელს. — ალბათ, ჯიბეგახვრეტილი ხართ. რა ბოზდა მერე. პირდაპირ გეთქვათ!

ბიძამ ამოიღო ფული და აჩვენა. გლეხმა ახედ-დახედა. მოგზაურებს, რომლებიც უკვე მზესუმზირის ტევრში შევიდნენ, და ასე იარეს, იარეს ძანამ, სანამ საღამოთი სოფელ ციბრიკს არ მიაღწიეს.

ღამე ფერმასთან საზიდარზე დადებულ თივის ზვინზე დაიძინეს. ერთმა ბიჭმა დაინახა, ზვინზე რომ ეძინათ, ჰოდა, მოიყვანა ორი ხარი, შეაბა საზიდარში და გაუყენა

გზას. გუგუცე სიზმარს ხედავდა, ვითომ საქანელაზე ქანაობდა, დაღლილ-დაქანცული ბიძა კი მაგრა ხვრინავდა, მუშტები თავქვეშ ამოედო და თვალებზე ქუდი ჩამოეფხატა.

როცა მამლებმა მეორედ იყივლეს, თივის ზვინი თავის სტუმრებიანად კიშლის გორაკზე იდგა. ონავარმა ბიჭმა გამოხსნა ხარები, მძინარე მოგზაურებიანი თივის ზვინი გორაკის წვერზე დატოვა, თვითონ ფერმაში ხარები სხვა საზიდარში შეაბა და ჩიქ-ჩიქ უკან, ციბრიკში დაბრუნდა.

კიშლელები დილით შეგროვდნენ, გაკვირვებულები თავს იმტვრევდნენ, როგორ აიტანა მთის წვერზე ორმა კაცმა ამხელა საზიდარიო.

ამასობაში გუგუცემ და ბიძამისმაც გაიღვიძეს, გადმოხედეს ზვინიდან ხალხს:

— რა მოხდა, ხალხო, არ გვეტყვითო?

— ეგ ჩვენც გვაინტერესებსო, — უპასუხეს ქვემოდან.

— ჩემო გუგუცე, ამ ამბავს ერთადერთი ახსნა აქვს. მე და შენ ძილში შევებით ამ საზიდარს და აქ ამოვიტანეთ. ხედავ, რა შეუძლია ადამიანს მოიმოქმედოს ძილში!

გაიარეს ზგრედეშტი. მერე გავიდნენ კოზეშტში. ბიძა ვილაცის ეზოში შევიდა მაწვნის საყიდლად.

— ვაი, ეაი, ვაი! ნუთუ ისე სწრაფად მოდიოდით, ერთი მანქანაც არ დაგეწიათ? — გაუკვირდა დიასახლისს, რომ ვიიგო კიშინიოვიდან ფეხით მოდიანო, — ჩვენთან კი ძრობას რომ საბალახოდ მიდენიან, მაშინაც ველოსიპედზე სსდებიან.

საღამომ ახალი სინჟერეს გზაზე მოუსწროთ. ბიძას გუგუცე ხელში აყვანილი მიჰყავდა, თვითონ კი დაღლილობისაგან ქუთუთოები დაუგრძელდა და თვალს ვეღარ ახელდა, ფეხები აღარ ემორჩილებოდა. ირწეოდნენ გორაკები, ქანაობდა ცა, გეგონებოდა, სადაცაა მისი კალთიდან ვარსკვლავები გადმოცვივდებაო, ირგვლივ ჭრიჭინების ჭრიჭინი ისმოდა. ბიძამ შორიახლო ცეცხლი დაინახა და იქითკენ გაუხვია.

დილით გუგუცეს ფარეხის სახურავზე გამოელვიძა. ცხვრის კულულ ცოტა თა დილი გოგინა შოლტით ცხვრებს ფარეხში მოერეკებოდა, ბიძა კი მწყემსს მათ დაჭერაში ეშველებოდა. „აქეთ, საძაგელო! — გოგონამ კერჭი ესროლა მამალს. — ერთი გაბედე და გუგუცე გაალვიძე, გინდენებ სეირს!“ — დაემუქრა, მაგრამ მამალმა თითქოს იცოდა, რომ მოგზაურებს ბელცაში გამგზავრების ღრო დაუდგათ.

სადილობის ჟამს ბელციდან გავიდნენ. — ნაბიჯით იარ, ერთი-ორი! — გლოდიანიც უკვე ახლოსაა. გუგუცეს ეჩვენებოდა, რომ ამ დღეებში საძაგერ შემოუარა ღელამიწას და ნახა ეფერო მეტი ქვეყნები, ვიდრე გლობუსზე იყო აღნიშნული, თუმცა ესაა, რომ ამ ქვეყნებში ყველანი მოლდაკურად ლაპარაკობდნენ...

კიდევ ერთი ცისკარი და მათ წინ საზღვარი გამოჩნდა. ბიძამ ქუდი მოიხადა. ეგონა, ბავშვობიდან მოყოლებული ასე იდგა ამ ადგილას. „ერთი, ორი, სამი...“ — მაშინ-დელივით ითელიდა მდინარისაკენ მიმქროლავ მტრედებს. წარმოგიდგენიათ, როგორ ატირდება დედა, როცა ის ეზოში შევა.

უცებ მიიხედ-მოიხედა და გუგუცე ველარსად დაინახა.

— წავალ, მესაზღვრეებს შევხედავ, — მოესმა შუა მინდვრიდან.

არავინ იცის, რაზე ელაპარაკა პატარა მოგზაური კაპიტანს, მაგრამ ამის შემდეგ, კაპიტანმა, გინდათ დაიჯერეთ, გინდაო არა, გამოითხოვა ადგილი საზღვარზე გუგუცესათვის. ეს კიდევ ცოტაა, წარმოიდგინეთ, შაშხანაც კი უშოვეს

გუგუცე ხელებს დასცქერის, ფეხებზე იყურება, ნატრობს სარკის ნატეხი ჰქონდეს, თუნდაც ერთი ბეწო, ოლონდ თავისი სახე დაინახოს: მართლა თვითონაა, შაშხანით ხელში რომ დგას საზღვარზე? აი, ესაა ის საიდუმლო საქმე, რომლისთვისაც ამხელა გზა გამოიარა ფეხით. „უყურე შენ, პატრონი შაშხანაზე პატარაა!“ — ფიქრობს

ალბათ, აგე, ის ყვავი. ბიჭი იჭიმება: „მე ვარ, მაშ ვინაა?“ ახლა ღიდა ძროხას წველის. რომ იცოდეს, ვინ იცავს საზღვარს, გაღაგდებდა საწველელს და გასარეცული ხბოს ნებას დართავდა, ძროხისთვის მთელი რძე გამოეწოვა. ბაბუა კი ბებიას ეტყოდა: „შენ არ ამბობდი, ბებერო, გუგუცეს შენი ცხვირი, შენი ყური და შენი შუბლი აქვსო?“ მერე დაიწყებდა ეზოში უქუდოდ სიარულს, რომ ყველას დაენახა ეს ყურები, ეს შუბლი, ცხვირს კი რაც შეიძლება მაღლა ასწევდა და მხოლოდ ყვავილებიანი ცხვირსახოცით მოიწმენდდა...

უცებ ბიჭი ხედავს: სამ გლეხს მოჰყავს ბიძამისი.

— აბა, ღაუძახე კაპიტანს! — სთხოვს გუგუცეს ერთი მათგანი.

— როგორ გგონიათ, მე აქ რისთვის დამაყენეს? — მკაცრად ეკითხება გუგუცე და თავის საკუთარ ბიძას ეუბნება: — თქვენი საბუთები მაჩვენეთ!

გუგუცე გულმოდგინედ ამოწმებს პასპორტს. ცალი თვალით ფოტოსურათს უყურებს, მეორეთი ბიძას.

— ამბობს, თქვენებური ვარო, — არ ჩუმდება გლეხი. — რაღაც არა ჰგავს! ჩვენებურს უბეჭდოდაც კარგად ეცნობთ!

ამ დროს გზაზე ერთი ცელიანი კაცი მოდიოდა. გუგუცეს ბიძამ გამოართვა ცელი და სიმწრისგან ისე დაიწყო თიბვა, ორი გლეხი ერთხმად აყვირდა: „ჩვენებურია, ჩვენებურია!“

— ეგრეა! — შლაპას აწვალებს მესამე გლეხი. — ეს ხომ იონას ვაჟიშვილია, გიორგის შვილიშვილი, ვასილის შვილთაშვილი! ასე თიბავდა მამამისიც, მსუბუქი იყო მისთვის ეს მიწა! სად დაიკარგე ამდენხანს?

გლეხები ერთი მეორის მიყოლებით ისე ეხვევიან ბიძას, რომ ძვლებს ჭახაჭუხი გააქვს, და სტუმრად მიჰყავთ.

გუგუცე კი რჩება საგუშაგოზე საზღვართან.

ბაბუა

როგორც კი წამოთოვა გუშინწინ, ისევე თოვს, არ გადაუღია. კაცის სიმაღლე ნამქერები დადო სოფელ სამ თიკანში. ქუჩები და ეზოები დაცარიელდა. ხალხი შინ ზის. ქუჩაში გამოსვლას მარტო ისინი ბედავენ, ვისაც წაღები თითქმის წელამდე სწვდება.

მხოლოდ ბაბუას ეზოში ირევა ხალხი. სახემოღრუბლული მეზობლები კარებთან თოვლს იბერტყავენ და სახლში შედიან. სახლში კი ხან ინთება, ხან ქრება სანთელი. ცხვრები თავაწეულები დგანან ბაკში. წყლის ოწინარს წვერზე თოვლის ფაფახი ადევს და ისე გაშეშებულა. ძაღლი მთელი ღამე ყმუოდა, ახლა აქეთ-იქით აწყდება...

კვდება ბაბუა. ისე დაილია, გუგუცეც კი აიყვანს ხელში. მარტო ულვაშები დარჩა ძველებურად გაფანჩული.

ბარდნის და ბარდნის. თითქოს ერთად მოდის მთელი ის თოვლი, რასაც ბაბუა თაეის სიცოცხლეში მოსწრებია.

თანასოფლელები ნამქერებს არ ეპუებიან და ერთი მეორის მიყოლებით მოდიან ბაბუასთან გამოსამშვიდობებლად.

სასაფლაოზე სამი კაცი ოხრის საფლავს. სოფელში ისმის, როგორ გაჭირვებით თხრიან წერაქვით ერთიანად გაყინულ მიწას.

გუგუცე, რასაკვირველია, ბაბუას გვერდითაა. რა შეიძლება ახლა გაუკეთოს! მხოლოდ ის, რომ თავშიშველამ იაროს?

— დაიხურე ქუდი, — ეუბნება ბაბუა, — ჩემი სული ისევ მიწაზეა და არა ზეცაში.

გუგუცე გამოდის ქუჩაში. სახლების საკვამურების თავზე ღრუბელი ფარავს ცას და ბიჭს გული უკვდება: „გაიყინება ბაბუას სული, სანამ ზეცამდე ააღწევს.“

გუგუცე ადის სხვენზე, ზეცასთან რომ ახლოს იყოს, და ევედრება მზეს, გამოიხედოს ღრუბლიდან, ეძახის ხმამაღლა, მაგრამ მზეს არ ესმის.

და უცებ ყველა თანასოფლელზე ბრაზი მოსდის. რატომ მოდიან გამოსამშვიდობებლად? რატომ უნთებენ სანთელს? როგორ შეიძლება ბაბუა მოკვდეს?

...დილას მესაფლავეებმა აქოშინებულებმა მოირბინეს სახლში.

— ბებია, ბებია, ორმო აღარ არის! ვიღაცას ამოუვსია ღამე!

— ოჰ-ოჰ-ოჰ! — მოთქვამს ბებია. — მისთვის ცაც დაიხურა და მიწაც.

— ეჰ, დაგვეჭირა ვიღაცა იყო ის ოხერი! — ამბობს მეზობელი და დანანებით არჭობს ნიჩაბს თოვლში ტარამდე.

მესაფლავეები ერთმანეთს გადახედავენ ხოლმე და მხრებს იჩეჩავენ: ვის შეეძლო ეს ექნა?

— ეს ბაღში შეპარვა ხომ არ არის, — ამბობს ერთ-ერთი. — ცეცხლი რომ წამიკიდო, მაინც ვერ შემაგდებ სასაფლაოზე ღამით და ისიც მაშინ, როცა გარეთ ასეთი მეორედ მოსვლაა, ვიღაცა, შიშისაგან როგორ არ გაუსკდა გული!

ბებიამ ჩვეულებისამებრ თითოეულს მიხცა ქათამი, უხმარი ვედრო და ისინიც თავ-თავიანთ სახლებში წავიდნენ.

ბაბუამ რომ გაიგო ორმოს ამოვსების ამბავი, უცებ მოიხედა და ხმა ამოიღო:

— ეტყობა, ჩემთვის ნაბოძები დღეები, ჯერ არ დალეულა...

სალამოს მეავე კიტრი მოისურვა. მერე ჩათვლიმა. როცა გაიღვიძა, ორივე თვალში სინათლე ედგა.

— უთუოდ იმ კიტრმა მიშველა, — გამსიარულდა ბაბუა.

მეორე დღეს მთლად ამოიდგა ენა.

— მორჩა, მე ისევ სააქაოს დავრჩი, — უთხრა დილით ბებიას. — გუგუცე სადაა?

— სკოლაშია, სად უნდა იყოს, — აკანკალებული ხმით უპასუხა ბებიამ და თვალი მოარიდა, რომ ბაბუას არაფერი ეგუმანა. საწყალი გუგუცე გუშინდლიდან ბელცაშია, საავადმყოფოში. ცოცხალი გამოვა თუ არა იქიდან, საკითხავია. ამბობენ, დედა მის საწოლს არ სცილდებაო. მამა ბულდოზერით წავიდა საავადმყოფოში, ბელცაში უფრო დიდი თოვლი ყოფილა, ვიდრე სამ თიკანში.

ბებიას და ბაბუას კარზე მეზობელმა მოუკაკუნა.

— გაიგეთ? ღამე ჭა ჩაიქცა!

ბაბუა თითქოს ამას ელოდაო.

— ხომ ვამბობდი, დაძველდა-მეთქი. როდის, როდის ამოაშენა მაძაჩემმა. არა უშავს, მე შევაკეთებ. დაე, სოფელმა მამაჩემისეული წყალი სვას. — თან ბებიას ეუბნება: — ილია, სად არის ჩემი თოკი?

ბებიამ იფიცა, თოკი ხბომ დაღეჭაო, მაგრამ ბოლოს სკამიდან გამოაძვრინა და კარის სახელურს მიაბა. ბაბუამ ჩაჰკიდა ხელი თოკის მეორე ბოლოს, მოქაჩა, მოქაჩა თავისკენ...

აი, წამოვჯექი კიდეც, ჯე-ჭე! ეს თოკი ფასდაუდებელია.

...გუგუცე ჯერ კიდევ საავადმყოფოში იწვა, თოკლი რომ დადნა და მისი ცალთითა ხელთათმანი სასაფლაოზე იპოვეს. იმ დღეს ყველა სამ თიკნელმა მამაკაცმა ქუდი მიწაზე დაახეთქა:

— აი, ვინ ყოფილა ღამე სასაფლაოზე! აი, ვის ამოუვსია საფლავი!

ბებიას ხელში ეჭირა ცალთითა ხელთათმანი და ცრემლად იღვრებოდა. ბაბუამ კი მინდვრიდან ენძელები მოიტანა, ცალთითა ხელთათმანს გარს შემოუწყო და თქვა:

— აი, ისევ გაზაფხული მოვიდა. გუგუცე, დროა, შენც ღაბრუნდე.

როცა გუგუცე საავადმყოფოდან გამოვიდა, ბაბუა სოფლის შესასვლელთან შეხვდა. ხელში ჯოხი ეჭირა.

— გმადლობ გუგუცე, დღეები რომ მოგიმატე, — ქუდი მოუხადა ბიჭს. — სულ მთლად გამოვკეთდი. ჭაც კი ამოვლესე ცემენტით. დასვენება იმ ქვეყანაშიც მეყოფა.

საღამოს კი ჰკითხა:

— კი მაგრამ სასაფლაოზე არ შეგეშინდა?

— ახლა შემეშინდებოდა, მაშინ კი წავედი, მარტო ხომ არ ვიყავი, შენი ძაღლი მახლდა, ჩავვარდი ორმოში, ზედ მათოვს და მათოვს. კოლცუნი წკმუტუნებს, დარბის ორმოს გარშემო. მერე თათებით მიწის ჩამოყრა დაიწყო. მე თოვლთან ერთად ერთ კუთხეში მივხვეტე. მიწა ახუხულავდა და მეც ზეეით ამოვბობღდი... ბაბუა, — თვალებს ხრის გუგუცე, — შენ არ გეშინოდა იმ ცივ ზამთარში სიკვდილი?

ბაბუა ულვაშებზე ისვამს ხელს.

— სიცივე ჩვეულებრივი ამბავია. აი, სიბნელეა თურმე იქ ისეთი, ნუ იტყვი! არც მთვარეა, არც ვარსკვლავები, გესმის შენა. თანაც სულ უსაქმოდ უნდა იჯდე! ასე მართლა გაიყინები.

მეორე დღეს გუგუცემ ჭიშკარი გააღო, და რას ხედავს, ბაბუა დაჩოქილი დაფორთხავს ეზოში და მზესუმზირას თესავს.

— ადექი, ბაბუ, მე ვიზამ! — მიირბინა გუგუცემ.

— ო, არა! ჩემი ხელით მინდა ჩავთესო. ნახავ, როგორ ამობიბინდებიან და ცხენზე მაღალი გაიზრდებიან. ქუდებს რომ დაიხურავენ, უბრალოს კი არა, ოქროსფერს, იცი, რა სილამაზე იქნება! მუხლებზე რომ დავღოღავ, ეგ არაფერია. სამწუხარო ისაა, დახრა რომ აღარ შემიძლია, წელი მტკივა. და, რაც მთავარია, ესეც იცოდე, მიწა ჩვენი მარჩენალია და მის წინაშე დაჩოქებაც არაა უკადრი. — და თესავს, თესავს ბაბუა მზესუმზირას. ტყუილად როდი ამბობს ხოლმე, კაცი რომ ამქვეყნიდან წავა, ცოტაოდენი ნათელი მაინც უნდა დარჩეს მისგანო.

საღამოს ძლივს მილასლასდება საწოლამდე, ტანსაცმლის გახდას ვერ ასწრებს, ისე იძინებს. გუგუცე ძალიან ცდილობს, ტანზე გახადოს, მაგრამ თვითონაც მალე ეძინება ბაბუას გვერდით.

ასე ჩაცმულებს ნახულობს მათ ბებია და ფრთხილად ორივეს ერთ საბანს აფარებს.

მოსერხებული საჯინიბო

ფიფქებმა გუგუცეს ეზოში საჯინიბო დაინახეს და აქეთ-იქიდან შემოუარეს. საჯინიბოში ხომ ძალზე მხიარულად ჟღარუნებდა ორი ეჟვანი.

— გამოუშვი ეჟვნები ჩვენთან! — შეუჩნდნენ ფიფქები საჯინიბოს. — ყველამ გაიგოს, ზამთარი რომ მოდის.

საჯინიბოს არც უფიქრია, კარი გაეღო.

— ჯერ ზამთრის ქუდი დამახურეთ, — უთხრა მან.

შუადღემდე თავდაუზოგავად იმუშავეს ფიფქებმა. დაახურეს საჯინიბოს თეთრი წოწოლა ქუდი.

— ახლა ფანჯარა მომისატეთ ყვავილებით!

ფიფქებს ხმა არ გაუღიათ, ისე მოხატეს თეთრი ყვავილებით საჯინიბოს ფანჯრები.

— რაც გვთხოვე, ყველაფერი აგისრულეთ, გამოუშვი ეჟვნები! — მოითხოვეს ფიფქებმა.

— ერთი ამათ უყურე! — აბუზღუნდა საჯინიბო. — გირჩევნიათ, მწვანე მეფე მომგვაროთ. ერთი კარგად დამასუფთავოს.

— საჯინიბოვ, ყური გვიგდე! — აწრიალდნენ ფიფქები. — როგორ მოგვგვაროთ მწვანე მეფე, როცა მის ქვეყანაში ჯერ არც ერთი ფიფქი არ შეფრენილა?

— არ გინდათ და ნუ გინდათ! — გაბრაზდა საჯინიბო. — ეჟვნები ხელთან ლარნები.

რას იხამლნენ. ფიფქების ნახევარი გაფლითილა. ნახევარი დარჩა და ისევ საჯინიბოს თავზე ლაჩრიალდა.

თეთრი ქუდიდან ცერად გამოიხედა ფიფქებს საჯინიბომ და უთხრა:

— თქვენ აქ რას ჭრიალებთ? წადით, წითელი მეფე მომგვარეთ, შეჯინიბედ დამიდგეს, თორემ ეჟვნებს ვერ ელირსებით!

— ყური გვიგდე, საჯინიბოვ, — შეეკითხენ ფიფქები. — შორია წითელი მეფის ქვეყანამდე, გზაზე ოცდაოთხ ეტაპებით.

— თქვენი საქმისა თქვენ იცით! — შუბლი შეიკრა საჯინიბომ და ეჟვნები აიყარუნა.

ადგნენ ფიფქები და გაფრინდნენ. უკან აღარც ერთი არ მობრუნებულა. მხოლოდ ერთი კოჭლი ფიფქი დაფარფატებდა ეზოში. უცებ ფეხის ხმა მოეყურა.

„მეფე მოვიდა! — გაიფიქრა კოჭლმა ფიფქმა. — ოღონდ რომელია, მწვანე თუ წითელი?“

სად იყო მეფე, გუგუცე მობრძანდა. საჯინიბოს კარი მოალიავა და ეჟვნიანი, ფრთამალი ცხენი გამოიყვანა, შეაბა მარხილში და ქარივით გაფრინდა ეჟვნების ყლარუნ-ყლარუნით.

მოხერხებულმა საჯინიბომ გააცურა ფიფქები, გუგუცესათვის გზა თეთრი ფიანდაზით მოაფენინა.

ამბავი სპირიდონ ვანგელისა

სპირიდონ ვანგელი მოლდაველი მწერალია.

მოლდავეთში დაიბადა, მოლდავეთში გაიზარდა, მოლდავეთში ცხოვრობს.

სკოლაში და უმაღლეს სასწავლებელში სანამ სწავლობდა, ლექსებს წერდა და აქვეყნებდა კიდეც.

მერე მიატოვა წერა. წაეიდა მოლდავეთის ერთ პატარა სოფელში და სკოლაში ასწავლიდა მშობლიურ ენას და ლიტერატურას. იგი საოცარ ამბებს უყვებოდა მოსწავლეებს მოლდაველ გოგონებსა და ბიჭუნებზე. სოფელში ხმა გავარდა, ჩვენი მასწავლებელი ისეთ ზღაპრებს ყვება, მართალი გეგონებაო.

მოლდაველებს უყვართ ზღაპარი.

სპირიდონს მსმენელები მოუმრავლდა. საღამოობით ჩამოუსხდებოდნენ ეზოში და სთხოვდნენ, გვიამბეო. სთხოვდნენ არა მარტო პატარები, დიდებიც. ისიც ყვებოდა და ყვებოდა.

გავიდა ხანი.

სპირიდონ ვანგელმა ის საოცარი ამბები დაწერა და მოლდავურ საყმაწვილო ჟურნალში დაბეჭდა, მერე წიგნად გამოსცა. იმ წიგნიდან ერთი მოთხრობა რუსულ ჟურნალ „მურზილკაში“ გამოაქვეყნა. წაუკითხავს ეს მოთხრობა რუს მწერალს კორნეი ჩუკოვსკის, ძალიან მოს-

წონებია და სპირიდონ ვანგელი გაუცვნია. ბევრი უსაუბრიათ. კორნეი ჩუკოვსკის ურჩევია, არამც და არამც არ გადაუხვიო არჩეულ გზას, არ ულალატო ბავშვებსო.

მალე რუსულად გამოიცა სპირიდონ ვანგელის საბავშვო მოთხრობები გუგუცეზე.

სპირიდონ ვანგელმა ბევრი წერილი მიიღო მოლდაველი და რუსი ბავშვებისაგან, კიდევ დაწერე გუგუცის ამბებიო.

და აი, დაწერა, როგორ გახდა გუგუცე გემის კაპიტანი, როგორ გადაარჩინა გარეული იხვები, როგორ გაკრიჭა პარიკმახერი, როგორ მოახერხა თეითმფრინავში ჩაჯდომა, როგორ ასწავლა დედას ველოსიპედით სიარული...

ახლა გუგუცეს ქვეყანა იცნობს.

იცნობენ უკრაინელები, ბელორუსები, ესტონელები, ლიტველები, ლატვიელები, ყაზახები, უზბეკები...

იცნობენ საზღვარგარეთ: ინგლისში, საფრანგეთში, იაპონიაში, ამერიკაში...

გავიდა კიდევ ხანი.

სპირიდონ ვანგელმა ახალი წიგნი — ჩუბოს ამბები დაწერა. ჩუბოსაც ქვეყანა იცნობს, ქვეყანამ იცის, რა გადახდა თავს ამ პატარა ბიჭს.

რას აკეთებს ახლა სპირიდონ ვანგელი?

მუდამდღე ბავშვებზე ფიქრობს, დადის სკოლებში, საბავშვო ბიბლიოთეკებში, დადის და სწავლობს, რა წიგნებს კითხულობენ ბავშვები, რა აინტერესებთ, რაზე ფიქრობენ. ბავშვებთან ერთად ესწრება კინოფილმებს, სპექტაკლებს. ათვალიერებს სახვითი ხელოვნების ნიმუშებს. ბავშვებთან ერთად მიდის ბაღ-ვენახებში სამუშაოდ.

მოლდაველ ბავშვებს არ ჰქონდათ ისეთი სახელმძღვანელო წიგნი, როგორიც ჩვენი „დედაენაა“. სპირიდონ ვანველმა და მისმა მეგობრებმა, მწერლებმა და მეცნიერებმა, ერთად შექმნეს ასეთი წიგნი.

ერთხელ სპირიდონ ვანველს ერთმა ბავშვმა მოსწერა, ძალიან მინდა შენ და გუგუცე ჩვენს სკოლაში მოხვიდეთო.

სპირიდონ ვანველი ჩაფიქრდა. არ იცოდა, როგორ მისულიყო გუგუცესთან ერთად.

იფიქრა, იფიქრა და მოიფიქრა.

მივიდა ერთ თავის მეგობარ მხატვართან, სთხოვა გუგუცე დამიხატეო. იმანაც დაუხატა. აიღო ეს სურათი და ეწვია სკოლას.

ბავშვებმა ეს სურათი კედელზე ჩამოჰკიდეს, მწერალს კი შესთავაზეს, რამდენიმე დღე ჩვენთან დარჩიო.

დარჩა, აბა, რა უნდა ექნა?!

ხან გაკვეთილებს დაესწრო, ხან ვენახში ყურძნის კრეფაში წააშველა ხელი, ხან მდინარეზე გაჰყვა საბანაოდ, ხან ცეკვა-თამაშში აჰყვა...

ვავიდა რამდენიმე დღე. ახლა კი წავალო, მაგრამ შეეხვეწნეს, კიდევ დარჩიო და დარჩა.

ბოლოს, როგორც იქნა, წამოვიდა.

კიშინიოვში ძლივს მოასწრო ჩასვლა, რომ წერილი მიიღო, მაგრამ გვონიათ მხოლოდ ერთი წერილი?! ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე, მესამეს — მეოთხე... მოდიოდა და მოდიოდა წერილები. ყველა წერილში ნახატი იდო.

გუგუცე დაეხატათ და გამოეგზავნათ. დაეხატათ ისეთი, როგორიც წარმოედგინათ. გუგუცე ზოგან იცინის, ზოგან ჩაფიქრებულია, ზოგან

წერს, ან ხატავს, ან გარბის, ან ხომალდში ზის, ანდა თვითმფრინავში...

სპირიდონ ვანგელს საწერი მაგიდის უჯრაში ულაგია ეს ნახატები, ხშირად ამოიღებს და ათვალიერებს ხოლმე.

სხვა წერილებიც მისდის სპირიდონ ვანგელს. ზოგი ბავშვი მოლდავურად სწერს, ზოგი — რუსულად, ზოგი — უნგრულად, ზოგი — რუმინულად... ყველა თავის მშობლიურ ენაზე სწერს.

სპირიდონ ვანგელი ყველას პასუხს სცემს.

თქვენ ალბათ გაინტერესებთ, წერს თუ არა კიდევ მოთხრობებს.

წერს, როგორ არა წერს.

ჯერ თავის შვილიშვილს უყვება ამბებს, უყვება და უყვება. ზოგიერთი მათგანი თქვენც იცით. რაც არ იცით, ისიც მალე გამოვა წიგნად.

სპირიდონ ვანგელს ფეხითა აქვს შემოვლილი მოლდავეთი, მაგრამ ყველგან ფეხით ხომ ვერ ივლის კაცი და სხვადასხვა ქვეყანაში იგი დადის მატარებლით, გემით, თვითმფრინავით.

თვითმფრინავით იყო ჩამოსული დაღესტანში, საბავშვო მწერალთა შეკრებაზე.

იქ შევხვდი პირველად ამ ორი ათეული წლის წინ.

ჩუმი კაცია, მოკრძალებული.

იქ, დაღესტანში, ერთ საბავშვო ბიბლიოთეკაში მიიწვიეს რუს მწერალ აგნია ბარტოსთან ერთად.

აგნია ბარტო ლექსებს კითხულობდა, სპირიდონ ვანგელი მოთხრობებს.

ბარტოს ლექსები ბავშვებმა ზეპირად იცოდნენ და პოეტთან ერთად იმეორებდნენ.

ვანგელის მოთხრობებს პირველად ისმენდნენ და უხმოდ მისჩერებოდნენ მწერალს.

რატომღაც მეგონა, მოსწყინდებათ მეთქი, მაგრამ შეეცდი. დიდხანს არ გამოუშვეს, სთხოვდნენ, კიდევ გვიამბეო.

ის ყვებოდა დინჯად, თითქოს არსად ეჩქარებაო, არადა ეჩქარებოდა. იმ დღეს ისევ მოლდავეთში მიფრინავდა და თვითმფრინავზე აგვიანდებოდა.

მას შემდეგ სპირიდონ ვანგელი ბევრჯერ ვნახე: ხან საბავშვო მწერლებთან, ხან ბავშვებთან. ისევ იხე ყუჩი, ისევ ისე მშვიდი და აუღელვებელი მთხრობელი.

გაივლის ხანი. თქვენ გაიზრდებით. სპირიდონ ვანგელი დაბერდება, მაგრამ არასოდეს დაბერდებიან გუგუცე და ჩუბო. ისინი ივლიან დედამიწაზე და, ვინ იცის, ეგებ სხვა პლანეტასაც ეწვეიონ.

ლილე გოგოხია

შ ი ნ ა ა რ ს ი

ტურტურიქელი ჩუბო

ჩუბოს მეგობის და ბებუას ამბავი 5
წიხქვილის კაცი 11
უ ჯ უ . . 17
როგორ აამუშავეს წიხქვილი? 23
მფრინავი კალარები . 29
მთვარიდან ჩამოტანილი კეერცხი 33
ჩუბოცელის კოშკი 36
ე ა ზ ი 41
ბებუა დალბუს თავიხი წიხქვილი ხხვა მსარეში მიაქვს 45
გ ი თ ჩ ი კ ა 52
გასერეტილი ქუდი 56
გ ა ვ რ ი ლ კ ა 60
წიხქვილის კაცის ქორწილი 65
მადალი ხტუმარი . 70
როგორ მოატყუა ჩუბომ წიხქვილი 75
ხ ი დ ი 78
ლ ი ო 83
ჩუბოს შვილები 89
ყარყატი ხარალამბი 93

გუგუცეს თავგადასავალი

პატარა ბიჭი გუგუცე 99
გუგუცეს ქუდი 101
ე ნ ძ ე ლ ე ბ ი 104
ხ ი მ ღ ე რ ე ბ ი 107
წ ე ი მ ა 110
ხ ა ი დ უ მ ლ ო 113
ბებუა დარაჯი 116
თოვლის ბაბუები 118

ახალი წლის დამე 120
მ ე დ ო ლ ე 124
ხ ა ს ნ ო რ ი 127
გუგუცეს მერსი 131
ფოსტალიონი 134
გუგუცე წისქვილში 138
ხ ა ა ბ ი 141
ხ ა რ ა ზ ი 143
ე ბ ლ ი 146
მიხი უდიდებულესობა გუგუცე 149
მ თ ი ბ ა ვ ი 152
რ ო დ ი ნ ი 155
დანიანი გუგუცე 157
გუგუცეს საქანელა 160
ეონ კრეანგეს ანბანი 163
გ უ გ უ ც ე 166
გუგუცე და თოვლის კაცები 169
ბაბუას მინისტრი 172
მ ე ე ზ ო ვ ე ბ ი 176
ფენუკე და თოვლის ბაბუები 178
კაკლის ხაძტერეები 180
ბაბუას ხელჯოხი 182
როგორ გაიზარდა გუგუცე ერთ დამეში 185
ბარიკმახერი 189
გუგუცე — გემის კაპიტანი 195
ზარის ხმას რომ გაიგონებ 200
გუგუცეს დურბინდი და მწვანე კაცუნები 205
მონადირე 215
მუსიკოსი სოფელ ხამი თიკნიდან 219
გუგუცე თეითმფრინავით მიფრინავს 223
როგორ ასწავლა გუგუცემ დედას ველოსიპედით სიარული 229
მესაზღვრე 235
ბაბუა 241
მოხერხებული საჯინიბო 246
სპორიდონ ეანგელი 248

ხ. ბ № 1721

რედაქტორი ჯ. ბაკელაძე
მხატვარი შ. შორნიკაძე
მხატვრული რედაქტორი ვ. ლლონტი
ტექნიკური რედაქტორი ნ. შუელიძე
კონტრ.-კორექტორი მ. ლადაძე
კორექტორი მ. ხიმონიშვილი
გამომშვები ნ. კაკაშვილი

გადაეცა ასაწყობად 11.09.87 ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.12.87. ანაწყ. ზომა 6×10. ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆ ნაბეჭდი თაბახი 16. ნაბ. ქაღალდი № 2 სიღეპიკატურა 16,5 სალრ.-სგამომცემლო თაბახი 10,32 ტირაჟი 50.000.
შეკვ. № 550. ფასი 45 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული", თბილისი, პუშკინის გამზ. 28.
Издательство «Накадули» Тбилиси, пр. Мира, 28

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი ხელოვნების კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.
Комбинат печати Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

Вангели Спиридон Степанович
РАССКАЗЫ О ГУГУЦЕ И ЧУБОЦЕЛЕ
(На грузинском языке)
Художник М. Мерчилидзе
Детюниздат Грузинской ССР
«Накадули», Тбилиси, 1988